ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

3

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრიობას არ ახსოვს.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე

226

გამოცემის მეცხრამეტე წელი

3

მარტი

1976

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
მაგუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაძრაკაძე,
გურამ გვეტრწყვიტელი,
გივი გეგეჭკორი,
რისმაგ გოგრდეჭიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მელაგდე,
ოტია პაჭკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ტარიელ ფანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

გაზაფხულის სიმღერები

10. მზია ჩხეტიანი. ლეილა ერაძე. ლია ფაჭაკაძე. ლალი თოთაძე. ლიდა სტვილია. მეგი ბარნაზიშვილი. ლია ასათიანი. თამარ მეფარიშვილი. მანანა აბრამიშვილი. ელენე გაფრინდაშვილი. ნუ-ნუ ყასაბეგაშვილი. ლია გედოფშვილი. დოდო ჯაჯვლიანი. მანანა ჩიტიშვილი. ნუცა გელენავა. იზო ცარციძე. ნინო ხიჯაკაძე. შარლოტა კვანტალიანი. ლია ჯაჯელი. ბიეტა აბგილავა. ნაზი ტარიელაშვილი. ჯანიკო გაბუნია. ვარინა უჩიაშვილი. ირმა გურიელი. ანა იმედიძე, გულიკო დვალი. ლალი გულისაშვილი. ნარა შენგელაია. ნატო გაბუნია. ლია ხეთისაშვილი. ლილი ხუციშვილი. ლინა ბარათაშვილი. ლექსები

პ რ ო ზ ა

3. რევაზ ინანიშვილი. მოთხრობები

27. ჯემალ ქარჩხავა. მდგმური. რომანი. დასაწყისი.

75. გოდერძი ჭეიშვილი. მოთხრობები

ახალი თარგმანები

86. კო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ცოცხალი ჯვრები

ტყიანი ხეობის პატარა, ჩამშვიდებულ სოფელში, სიძველითა და მიუხედაობით ჩაშლილ, კიდეებმორღვეულ, დანაღვლიანებულ სახლში, დერეფნის ტახტზე ერთმანეთის გვერდით ზის ორი ბებერი — ქალი და კაცი; გაძვალტყავებული, გაყვითლებული ხელებით დაჰყრდნობიან მუხლებთან ჩადგმულ თავკაუჭა ჯოხებს და უსინათლოებივით მისჩერებიან ლურჯად გამკვრივებულ ცას.

მოდის კოჭდაბალი, შეწუხებული იერის მეზობელი ქალი, — გამარჯობათო, — გულდამდგარი ქვედაკაბის სწორებით ჩაცუცქდება ბებრების წინ, უცებ გაიცისკროვნებს სახეს და იწყებს:

— აღათონამა თქვა, ბერძენმა აღათონამ...

— ვინა? — იხრება ბერიკაცი.

— აღათონა ბერძენმა, ოქუაშვილების სიძემ.

— ვისმა სიძემ?

— ოქუაშვილების სიძემ, ბერძენმა აღათონამ, მატურებს რომ აკეთებს საკაფლაოზე, იმ აღათონამა თქვა, თუ კიდევ გაცინებულებსა ჰხედავენ ბიჭებს სიზმარში, ცოცხლები იქნებიანო, გაიგეთ? თუ გაცინებულებსა ჰხედავენ ბიჭებს სიზმარში, უეჭველად ცოცხლები იქნებიანო.

ბებრები საგონებელში არიან.

— აღათონამ რა შავი ქვა იცის. — კითხულობს კაცი.

— იცის, ბერძენია, მაგათ ყველაფერი იციან.

— ეე, — ხელს ჩაიქნევს კაცი, — არავინ არაფერი იცის.

— რას ამბობ! — კანკალით მიუბრუნდება დედაბერი, ცრემლი ჩაუვარდება გახუნებულ კალთაში. — გასულელდი, კაცო!

— არც გავსულელდი, არც დავჭკვიანდი, აესა ვარ, რაცა ვარ...

კაცი ხელებს გაშლის და თავს ასწევს.

მეზობელი შეხედავს, მოიკუნტება, თვალებსაც დახუჭავს.

ცოტა ხნის მერე ბალახებზე ხელისკიდებით ჩასდევს ანწლმოდებულ დაღმართს.

— როგორ არიან ეგ საცოდავები? — ეკითხება ქვემოდან ამომავალი, წინსაფარაკალთავებული ქალი.

— როგორ იქნებიან, სხედან ცოცხალ ჯვრებად და ტოკავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობის სიმღერა

აი, კიდევ ერთი მარტოობის სიმღერა, თქმული ზუზუნით, თუში დედაბრის მიერ, სოფელ შენაქოში, ძროხის წველისას, რძის ჩქამუნში, როცა ის-ის იყო საგანთიადოდ იცრიცებოდა ჰაერი, სახლების უკან ღამურის ფრთასავით მსუბუქად ამოჰკრა პირველმა თეთრმა კვამლმა, ქვების ღრაჭუნით, მოწყენილი ნაბიჯებით ჩაიარა წყაროსკენ ცხენის ლანდმა და თან გაიყოლა ძროხის ფშვინვა თუ ოხერა.

— რაო, ჩემო საწყალო ტუბალო! რაო, ჩემო საცოდავო დედოვ და დაო! რას ოხრავ და ჰგმინავ! შენ რაღა გემართება, მადლიანო! წახვალ, დარდიანი წახვალ, მოხვალ, დარდიანი მოხვალ, დგახარ, დარდიანი დგახარ. რა ავი ამბავი იცი, კეთილო! რა ელდას რასმე გიგრძნობს გული! რატომ არას მეტყვი, უთქმელო, რატომ არ მანიშნებ რაიმეთი...

დედაბერი გაჩუმდება, გაჩუმდება საწველელიც. მერე კვლავ:

— შენ ხომ გაზაფხულზე ისევ გახვალ ყვავილებში, შენ ხომ ისევ გაგვესება დამჭკნარი ძოძუები, ისევ გეყოლება შენი ნაწილი და სრული! მაშ რა არი, რა მავმა ფიქრმა გაგიტანა სხეული, რა მიგაქვს და მოგაქვს, სულ ეუდამ სევდიანო, სულ მუდამ შეწუხებულო...

დედაბერი ერთხელაც გაჩუმდება, გაჩუმდება საწველელიც. მერე კვლავ:

— მითხარი, დედოვ და დაო, მეც ხომ ქალი ვარ და დედა; მითხარი, რა დარდის ღრუბელი დადის ქვეყანაზე, მანიშნე, მიმახვედრე. ვხედავ და ვერცა ვხედავ. ღარ შემიძლია მეტი. თვალებს ხომ არ ავიხვევ, ისედაც თვალებბნელი! მითხარი! მითხარი!

დედაბერი ორჯერ დაჰკრავს ძროხას გავაზე ხელს. ძროხა გაიწევს, აჩხარუნდება ჯაჭვი.

ჩამოვარდება სიჩუმე.

სადღაც ვიღაცა შეშას დაჰკრავს ცულს.

აწრიპინდება ღობემძვრალა.

დედაბერი შავად ამოიმართება ყორის იქიდან. საწველელს ყორეზე შემოდგამს. დგას და იყურება. მერე ჯადოქარივით იძახის:

— ვინც აიაროს და ჩამოიაროს და ხმა არ გამცეს, გაქვავდეს!

მ ა რ თ ა

მართა მეოცე წელიწადში გადადგა. რაც საშუალო დაამთავრა, სულ შინ ზის. ხანდახან კოლმეურნეობაში დაუძახებენ, აიღებს თოხს და მიდის. გაჰყვება სამი-ოთხი ბიჭიც. მუშაობენ, ბიჭები მართას თავს აწონებენ, — მკლავმაგრობენ, ენამახვილობენ. მართა პატარა ცხვირს ჰმუხნის, თავდაღუნული იცინის, თუ აიხედავს, შორეულ საგნებს ეფოფინება.

ბიჭებმა არ იციან, რომ მართა „დაღურბლებულ“ ყმას ელის. „ბევრი რად უნდა დედასა, ერთ უჯობს დაღურბლებულიო“. ის „დაღურბლებული“ ერთ ქართველ კინომსახიობს უნდა ჰგავდეს. ოღონდ ხელები უნდა ჰქონდეს დიდი. მართამ მწყრის ბარტყებივით უნდა შეამწყვდიოს ხოლმე შიგ თავისი მხრები; სახეც უნდა ჩამალოს ხოლმე. სახეც და პატარა ვარდისფერი ყურებიც, მთლიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართაანთ სახლი არაგვს გადაჰყურებს. კლდეა, იმ კლდეს შუაზე ბაქანივით სისწორე გასდევს და სახლი იმ სისწორეზე დგას, ფარიან წითელ კრამიტებს ხავსის მწვანე ხალები გასჩენია. დერეფნის ბოძსა და ბოძს შუა ხახვის გალები ხვეზა.

შემოდგომაზე, ნიავიან ამინდში, კლდის თავზე გადმოხრილ მუხას რკოები სცვივა და კრამიტებზე რაკარუკი გაუდის. ტკაპუნობენ მკვრივი ხმელი ფოთლებიც. ხმელ ფოთლებს სხვანაირი ხმაც აქვთ — თითქოს წრუწუნები დაცუცუნებენ პატარა ბრჭყალების ფხაჭუნით. არაგვის პირას გამავალი სამხედრო გზიდან სულ ჩანს: როგორ დგას სახლის წინ მართა, როგორ რეცხავს სარეცხს, როგორ უპრიალებს ზეაწეული მკლავები ინ სარეცხის გაფენის დროს, როგორ გადაჰყურებს გზას.

მოასფალტებული გზა შავია, სწორად წაღებული, არაგვი — მოლურჯო-მომწვანო, ალაგებში თეთრად დამსხვრეული; მართა, სახლი და მათი შემოგარენის ხეები — ერთი ფერისა — კრამიტის, რიყის ქვის და შემოდგომის ფოთლების ფერისა.

სახლში მართას საკუთარი კუთხე აქვს. იმ კუთხეში ვერავინ ვერაფერს ახლებს ხელს. საწოლიც იქ უდგას. ზედ ცისფერი აბრეშუმის ზეწარი აქვს გადფარებული. ზეწარზე უცნაურად აყირავებულ-დაყირავებული თუთიყუშებია ამოქარგული. მართას ზამთარ-ზაფხულ მატყლის სქელი, ძალიან სქელი საბანი ახურავს. საბანი უნაბისფრად არის დაწინწკლული, გაეხვეება ფეხიდან თავამდის და ტკბილად, სახეგაღიმებულს სძინავს. თავითი უდგას თაროებიანი კარადა, შიგ სულ ქართული წიგნები უწყვია. ის წიგნები ძალიან უყვარს, თვით ლექსებიც კი. ლექსებს ჩუმ-ჩუმად თვითონაც წერს. წერს და ხევს. ან ხევს, ან არადა სადღაც მალავს. კედელზე უკიდია პაპისეული ქარქაშდაძეელებული ხმალი და მარჯვენათვალდაზიანებული ვაჟა-ფშაველას ფოტოსურათი.

კაბას ყოველთვის საწოლშივე იცვამს. ღონივრად ჩამოიწევს და ჩამოიჭიმავს მკერდზე. სამაგიეროდ ფეხებზე იყურება ხშირად. ხან შეატყუპებს, ხან ტერფებგაჭიმულებს აქანავებს. წვივები მსხვილი და ოდნავ გაღუნული აქვს, არაფრით მიუგავს ქერნალებში დახატული ქალების ფეხებს, მაგრამ მათში ვედავს რაღაც უფრო ნამდვილს, უფრო საჭიროს. შემოდგომიდან ვვიან გაზაფხულამდე საკუთარი ხელით ნაქსოვი წითელი, შავკუწუბიანი ხევსურული ყაიდის მაღალყელიანი წინდები აცვია, — წითელი წინდები და უქუსლო შავი ფეხსაცმელები! ღონივრი ფშაველი ქალის ლაღი, მსუბუქი ნაბიჯებით დადის. თმაც ხევსურულად სწორად აქვს წაჭრილი, წინაც და უკანაც. განიერი ყვრიმალები თითქმის პატარა ცხვირის სიმაღლეზე აქვს ამოწეული, ღაწვებზე მკრქალი ჭორფლი აყრია. მაინც ლამაზია, ძალიან ლამაზიც. ცისფერ თვალებში მოუსვენრობის კრაზანები უსხდიან, ჯანსაღ ტუჩ-კბილზე სიკეთის ყვავილები გადასდის.

დედას და მამას თავისი საქმეები აქვთ. დედა ფოსტაში მუშაობს, მამა ცხვარშია გაგზავნილი. დიდედა მიუჯდება ხოლმე საწოლთან, თან ქსოვს, თან ელაპარაკება. დიდედას თქმით, კაცის ფეხის ტალახიც კი დიდი რამეა ოჯახისთვის, ამიტომაო, შვილო, ქალი ყოველთვის თვალებში უნდა შეჰყურებდეს ქმარსაო. ქალი ქმრით უნდა იწოლებდეს თავს. რაც არ უნდა ძვირფასი სამკაული ჰქონდეს, ქმრის სახელოვნობაზე ძვირფასი სამკაული მაინც არაფერი ექნებაო. ქალის ჯანმაგრობაც კი კაცის ხელშიაო.

მართა ზღაპრებსაც აამბობინებს დიდედას. ძალიან უყვარს, ხაროში ჩაცვივნულ ხმა და რომ წაადგა მეფის შვილი.

„— შენაო, პატარავ, შენ რის გაკეთებაღა შეგიძლიაო? — ჰკითხა უფროსი დების დაპირებებით გოცებულმა მეფის შვილმა სულ უმცროს დას.

— მეო, არაფერიო, ოქროს თმიანი ქალ-ვაჟების გაჩენის მეტი, არაფერიო“.

მართა თვალებს ხუჭავს და ოცნებებში ინაბება. მასაც ასე ჰგონია, ოქროსთმიანი ქალ-ვაჟების გაჩენა შეუძლია და ეგ არის და ეგ (თვითონაც ხომ ოქროსფერი თმა აქვს; გეზად რომ გახედავ, გეგონება მხურვალე მზის ალმური ასდიოდეს). წევს გულაღმა, თავქვეშეულებამოწყობილი, ფეხებოდნავმოხრილი, და აშკარად ხედავს, როგორ მიდიან და მისძოვენ მისი მკვრივ-მკვრივი, კბილებთეთრი, წარბებგადახუნებული ნაშიერნი.

ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
ორიალეთზე უძოვნია.

ზოგჯერ შინ აღარ უდგება გული. ადგება, დაბლა ჩავა, გადაივლის არაგვზე გადადებულ ხიდს და აჰყვება გზას სოფლის მაღაზიისკენ. გზაზე მანქანები მიმოდიან. საკვირველია, ზემოთ არის მისი საყვარელი მწვერვალები, ტყეები, წყლები, მდელოები, მაგრამ თავის „დაღურბლებულს“ მაინც ქვემოდან ელის. ყოველი მანქანის ხმაზე კრთება და გვერდზე გახედვისა ეშინია.

რამდენჯერმე აშკარად გაიგონა:

— შეხედეთ, რა გოგოა! შეხედეთ, რა გოგოა!

მართამ თვალებმოჭუტულმა გახედა. იმ მანქანებშიც ყურებამდე პირგახსნილი კაცები ისხდნენ, „დაღურბლებული“ არც მათ შორის ჩანდა, ჩვეულებისამებრ შეჭმუხნა პატარა ცხვირი და გულგრილად განაგრძო გზა.

. მართამ იცის, რომ დედამიწა დიდია, არაგვის ხეები — პატარა, თვითონ ამ ხევში — სულ პატარა, მაგრამ მაინც ჰგონია, რომ იგი ყოველი მხრიდან უშორესი ქვეყნიდანაც კი, ვარსკვლავივით ჩანს, და ადრე თუ გვიან, მისი „დაღურბლებული“ მოვა.

ხანდახან თუ მაინც მოეფუშება გუნება, — სახეარეული გაენთება საჭონელს თუ ფრინველს, — საკმარისია ერთმა ჩიტმა გადმოხედოს საყვედურით მაღლიდან, — რა იყო, მართა, რა მოხდაო?!

— ჯანდაბა და დოზანა! ჯანდაბა და დოზანა ჩემი თავისთვისო! — იტყვის დამორცხვებით, მაშინვე გაეღიმება და უკან გადაადგება მოღერებულ ქვას.

მართაანთ ეზო-ყურეში მუდამ რაღაცა თბილი შუქი დგას.

პრქაიკა

ადრე აქ, ამ ვენახებში, ბუმბერაზი კაკლები იდგა. ყველა კაკალს თავისი სახელი ერქვა: ბერებიანთ კაკალი, ფეშვველაანთ კაკალი, ქარიაანთ კაკალი, ზაქარაანთ კაკალი, ჩვენი, ოქრუაანთ კაკალი და სხვა. იდგნენ, როგორც სპილოები ცხვრებში, ესხდნენ კენწეროებზე გუნებამძიმე ყვავები, ამთქნარებდნენ, სთვლემდნენ, — არსაიდან ემუქრებოდათ საფრთხე. დაჰკიდებდნენ შიგნითშიგან, ორკაპა წვრილ ტოტებზე, მახარობელა ბიუოგოგიები ბუდეებს, დასჩეკდნენ ბარტყებს, აქანავებდნენ, აწოვებდნენ და ხალისიანი პატარძლებივით გადასძახოდნენ ერთმანეთს: „ნათლიჯალაბო! რა გებავთ! ერთი პური გვასესხეთ! ინებეთ!“ შიკრიკებივით მირიკრიკებდნენ და მორიკრიკებდნენ ხიდან ხეზე ჩიტბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონები, ჭრიჭინებდნენ მუდამ უჩინარი ჭრიჭინები. ზამთრობით კიდევ, სიცივეებში და ნისლებში, მოფრინდებოდნენ უცხო დიდ-დიდი ფრინველები, — შავები, ჭოხებივით დაღუნულები, — დასხდებოდნენ ჩუმად, ისხდნენ, ჩუმადვე აფრინდებოდნენ და წავიდოდნენ.

კუნაპატ ღამეებში კაკლების ქვეშ თავს იყრიდნენ ჭინკები და მაჯლაჯუნები. გოდებდნენ საუკუნოვან საგოდებელს ჭოტები, ქვეყანას აშინებდნენ მიკიოტები. ზოგჯერ ეტტუმრებოდათ ხოლმე მეხიც, — ჭაახო! — დაიძახებდა ზაფხულის გიჟმაჯ წვიმაში და აბობოლებდა რომელიმე მათგანს, დააყენებდა ტუსისა და გოგირდის სუნს. დაუბერავდა ქარი და დაიწყებდნენ გუგუნს, — ზღვასავით ღელავდნენ და მიმოიქცეოდნენ. ისეთაც მექნი, სიცხეში უფრო მეტად მუქდებოდნენ. დაბლიდან რომ ახედავდი, თითქოს ტაძარიაო, — ჩამობინდული, ჩამომშვიდებული, გრილი, — ადიოდა ტოტიდან ტოტი, მიდიოდა მაღლა, მაღალი ცისკენ, აქა-იქ თუ გამოიჭიატებდა მზე.

ის კაკლები ძალიან უყვარდა მთელ ქვეყანას, დიდებსაც და პატარებსაც. იმათ ქვეშ ხელსაქმობდნენ, იმათ ქვეშ ისვენებდნენ, თამაშობდნენ და ქეიფობდნენ. დაჭკლავდნენ ცხვარს ან თხას, ჩამოკიდებდნენ მიწამდე დაწეულ ტოტზე, დაანათებდნენ ცეცხლს, დასხდებოდნენ მწვანეზე და გადადიოდა ჯამი და ჭიქა.

ნართვლევის ნაწვიმრებზე ხომ მათ ქვეშ გაელას არა სჯობდა რა. ეყარა ბროლა-ბროლა კაკლები, ჯერ ისევ ნედლები, ჩატყვიალებივით მძიმეები, თეთრლებნიანები.

ჩაღრმავებულებში, სქლადდაგებულ ფოთლებში, ნედლ კაკლებს იპოვიდი გაზაფხულზედაც კი. ჰქონდათ იდუმალიანი ხერეღები, ნუტრები, ფუღეროები. ყივნახველიან ბავშვს თუ იმათ ფესვებში გააძვრენდი, უკეთეს წამალს აღარ ინატრებდი. დიდ ვაკკაცობას ჩემულობდნენ მათი მბერტყავები.

სანამ ისინი ცოცხლობდნენ, ცოცხლობდნენ ზღაპრებიც: ამირანისა, დევებისა, მფრინავი რაშებისა, უჩინმაჩინის ქუდისა, მზის ასულისა, ირმის შვილისა. თავისით იბადებოდა სურვილი გუნდური, დიდი, გაგრძელებული სიმღერებისა, და იმღერებოდა კიდეც.

ომის შემდეგ ყველა სახელიანი ხე მოჭრეს. იმათ ადგილზე, ახლა, ხომ ხედავთ, წვრილ-წვრილი, ფაციფუცა ხეები ხარობენ: ვაშლები, მსხლები, ატმები, ქლიავები, — სულ ნამყენები. ხეებსა და ხეებს შორის ბოსტნეულია ჩარიგებული. ყვავიან, ისხამენ, მწიფდებიან, ევეკევებენ, ფული შეაქვთ ოჯახებში.

ჰო, ერთი კაკალიღა დარჩა, აქედან არა ჩანს, ზაქარაანთი, — ამ მხრიდანაც ტოტებაჭრილი, იმ მხრიდანაც. აქეთა მომიჯნავემაც აიჭრა, იქითა მომიჯნავემაც, და ქარი რომ დაუბერავს, როგორ ხმას გამოსცემს, იცი, — ფსხხიი!..

ჩურჩული ტელეფონით

გაგაღვიძეთ? ხომ არ მუშაობდით? შეიძლება, ელაპარაკოთ? სხვები ხომ არ შეწუხდებიან? დაბრძანდით, მე ცოტა გრძელი სალაპარაკო მაქვს და უნდა დაბრძანდეთ. არ ვიცი, რაღაცით ვგრძნობ, რომ ფეხზე დგახართ. შემიძლია, გავგაგრძო? უთუოდ გაღიზიანებთ, ჩურჩულით რომ ელაპარაკობ, მაგრამ ეს პოზა არ გეგონოთ. საავადმყოფოდან ვრეკავ, ირგვლივ ყველას სძინავს, მორიგე ექთანსაც კი, მხოლოდ ერთი დამის ნათურა ბჟუტავს, ყურმილი ტუჩებთან მაქვს მიტანილი, ხელსაც ვაფარებ და ისე ელაპარაკებით. ნუ შეკრთებით. ნუ შეგაკრთობთ საავადმყოფო. მე თქვენი ნაცნობიც კი არა ვარ. მე ვარ... ოცდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრამეტი წლის ქალი, რომელსაც თავისთვის უჭირს რაღაც და მხოლოდ თქვენ სჭირდება თქვენი. რატომ მაინცდამაინც თქვენ? აი, რატომ.

ოცი წლის წინათ, სტუდენტობისას, ფილოსოფიის ისტორიაში ნიშანი ვერ მივიღე და ტირილით გამოვედი უნივერსიტეტიდან. მე მაშინ... დიახ... მე მაშინ კარგი ბოგო ვიყავი, როგორც, საერთოდ, ყველა ცხრამეტი წლის გოგო. თქვენ ეზოში შემოგგხვედით, მე და ჩემს ამხანაგებს, — დიდი, კეთილი, ლამაზი და ლაღი. „რატომ ტირიო? რატომ ტირისო?“ — გვეკითხებოდით ხან მე, ხან ჩემს ამხანაგებს სრულიად პატარებსავით, და რომ გიგეთ, რატომაც ვტირიოდი, შეწუხდით, დაიხარეთ, შუბლზე მომადეთ თითი,—„დაიმახსოვრე, შენს ერთ ცრემლად არა ღირს ყველა ფილოსოფოსი ერთად — სოკრატედან დღემდე. გაიმეორე!“ მე შეველყოფილი. — „გაიმეორე-მეთქი!“ — თითქმის მიყვირეთ. მე გავიმეორე: — „ჩემს ერთ ცრემლად არ ღირს ყველა ფილოსოფოსი“... „ყოჩაღო“ და წახვედით, წახვედით რომაელი იმპერატორივით ხელაწეული, ვიღაც მამაკაცს მისალმებული.

მე უკვე ვიცოდი, თქვენ ვინც იყავით, გიყურებდით და ღიმილით ვიკავებდი ტირილს.

თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გახსოვთ ამ ამბიდან, მე კი მთელი შემდგომი წლები უძვირფასესად ავგაროზივით ვატარებდი თქვენს სიტყვებს, შუბლზე ახლაც ვგრძნობ თქვენს თითს. უცნაურად გეჩვენებათ? არაფერია უცნაური,— ყველა ქალმა იცის ლამაზი წუთის ფასი. დაგინახავდით საფმე ქუჩაში, ანდა ტელევიზორში, ანდა, უბრალოდ, რადიოში ვიცნობდი თქვენს ხმას, და რაც არ უნდა ცუდად ვყოფილიყავი, წელში ვიმართებოდი და ვიღიმებოდი კიდეც. ცუდად კი... ცუდად ხშირად ვიყავი.

ვიცი, კარგ ტონად არ ითვლება საკუთარ გასაჭირზე სხვებთან ლაპარაკი, მაგრამ მე დღეს ყველაფერი მეპატიება.

ჩემი ცხოვრება უიღბლობის ჯაჭვად გამოიბა ბავშვობიდანვე. მამა ომიდან არ დაბრუნებულა. მე ის სიზმარში ნანახივით მახსოვს — მსხვილი, რკინასავით მაგარი მკლავები ჰქონდა, ყირაზე დგებოდა და ისე მიცინოდა და მელაპარაკებოდა. ხომ ხვდებით, რადაც გადაიქცეოდა იგი ჩემთვის ქალიშვილობაში! ოცდაერთის არ ვიყავი, რომ დედაც გარდამეცვალა. ერთადერთი ძმა, ჩემი მფარველი უსაყვარლესი ადამიანი, საჰეერო კატასტროფაში დაიფერფლა. პირველმა ქმარმა მიმატოვა, მეორე ქმარი, ჩუმი მანიაკი, მე მივატოვე. ხუთი წლის გოგონა ლეიკემიით დამეღუბა. ხვალ საოპერაციოდ გაეყავარ, სრულიად მარტო. მყავს გვალენიანი დეიდაშვილი, მაგრამ მე მას არ ვაწუხებ, არც სურს, რომ შევაწუხო. არც თქვენ... არავის, არავის შევაწუხებ. თქვენ მარტო ერთი პატარა რჩევაც უნდა მომაცეთ და მორჩა. როგორ შევხვდე საიქიოს კარიბჭესთან მდგარ ანგელოზებსა თუ, როგორ ჰქვიათ, არ ვიცი, — ტარტაროზებს, საოპერაციო ოთახიდან გზის გაგრძელება თუ მათკენ მომიწევს. თუ გადავრჩი, მე ისევ გავრჯი ჩემს მხრებს, სხვა რომ არ იყოს, არავინ არაფერს იწყებს თავიდან ჩემს ასაკში, — თუ ვერ გადავრჩი, მითხარით, როგორ შევხვდე საიქიოს კარიბჭესთან ძდგარ ანგელოზებსა თუ ტარტაროზებს.

შეშინდით? განზე რატომ ეწევით ყურმილს? ნუთუ ასეთი უჩვეულოა ჩემი თხოვნა? მე მინდა, უბრალოდ, თქვენი ჭკვიანური რჩევის მიხედვით ვიქცეოდე ქვაც, საიქიოში, მითხარით, ორი სიტყვა და მორჩა. გიჭირთ? როგორ? განაგრძეთ თქვე... განაგრძეთ? იმ სიტყვიანად? ჰა-ჰა-ჰა! კარგიო! კარგიო! ზუსტად ეგრე ვეტყვი. ახლა მშვიდობით! არა, არა, ვრჩებით უცნობებად. ასე ჯობს, ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვისაც, თქვენთვისაც. არა, მშვიდობით! ექთანი მოდის. ღმერთი გფარავდეთ. ვერ მნახავთ. მშვიდობით!

მამაკაცმა ყურმილი დადო, წამოდგა, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და ფანჯარასთან მივიდა. ბნელში ჩაყუჩებულ ქალაქს წვრილი ყვითელი ნათურების ციმციმით ეძინა. ჭუჩაში მანქანებიც აღარ მიმოდიოდნენ. რაღაც კვნესა ესმოდა. შემკრთალი მობრუნდა, ტელეფონთან მივიდა, გაუბედავად დაადო ხელი ყურმილს და გაასწორა. კვნესა შეწყდა.

დამშვიდება

იმ დათვს ტროსის მარყუჟი მუცელში წასჭეროდა. მე რომ მივედი, ალბათ, ორი დღის გაბმული მაინც იყო, — იქაურობა სულ დაელეწა, დაეღრღნა; მიწა, ხე, ხის ქერქი, ბალახი და დათვის ლეგა ბეწვი ერთმანეთში იყო არეული, აზელილი. იწვა სველი, — იმ კვირას ციდან წვეთი არ ჩამოვარდნილა, მაშასადამე, სიმწრის ოფლით სველი, გატალახიანებული, — თავი წინა თათებში ჩაეყო და, კარგი ვაჟკაცი რომ იტირებს ჩაგუდულად, ისე ზლუქუნებდა.

ჩემი მიახლოვება მაინც სწრაფად გაიგო. მოიხედა, შეტტა, შებღავლა, ტროსმა არ გაუშვა და უკან გაიმოვარდა.

მე თოფი მომარჯვებული მეჭირა. უკანგადმოვარდნილმა ქვემოდანვე ამომხედა, წამოდგა, გაქცევას აღარ შეცდილა, წინა თათები მაღლა ასწია და ასე დარჩა. — შიში კი არა, წელისმომწყვეტი ნაღველი ედგა თვალებში.

ვუყურე, თოფი მივუმიზნე, მინდოდა, მიბრუნებულიყო და ისე მესროლა. იმან კი რა ქნა, იცით, — ცახცახით ჩამოსწია თათები და თვალებზე აიფარა.

წუთით შევყოყმანდი, მერე ვესროლე.

სროლამდე ეს ვიფიქრე: „მაგისი მარყუჟიდან გამოხსნა შეუძლებელია, თუ ასე მივატოვებ, უარესი, — წამებით ამოხდება სული; სროლის შემდეგ ხმამაღლა ვთქვი, — რას ვიზამთ, კაცნი ვართ!“

და ხელათ დავიმშვიდე თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის სიმღერები

მზია ჩხეტიანი

კორჩაგინი

შარაზე სისხლის გუბე და მტვერი,
სისხლში მოსვრილი ქოჩორი ურჩი...
ჯიქურ მოდისარ
გამჭოლი მზერით,
რომ კიდევ ერთხელ ჩამხედო სულში.

ბავშვივით ვდგევარ მე შენს წინაშე
და შენს ანთებულ სიმღერებს ვყვები,
დგახარ ტალახში,
დგახარ წვიმაში
და მხრებით მოგაქვს სიკეთის გზები.

აღრიალებულ ქარში,
გრიგალში
ქუხს და გუგუნებს შენი ძახილი,
ვიცი, მომავლის გმირად მიგაჩნდი
და ამად მიხმობ ხალხის სახელით;

ხალხის სახელით
ქარს და გრიგალებს
აწყდება ჩემი ცხოვრების გემი,
შენსკენ ლტოლვაში არ დავიღალე —
ხარ სიყვარული პირველი ჩემი!
მიგიხვინებენენ ცხენები ქარში, —
ერევა ყინვას,
ქარსა და
შიმშილს —
მარად დევგმირი და სულით ბავშვი, —
კომკავშირელის ამაყი ჯიში!
ჰმატებ ჩემს დღეებს,
დღეებს სისხლსავსეს
მგზნებარე გულის შუქსა და ხალისს —
რა დიდი ვალი დამდე, ძვირფასო,
იმ ქარიშხლებ-
დღეის და
ხვალის!

შენს გზაზე

დაჭიმულია ყველა ზამბარა,
დაწყვეტაზეა გულის ძაფები,
ისევ აწყდება ქარი ფანჯარას
შფოთვით,
ღმუილით
და გამძაფრებით.

ისევ ანთია ყველა ტაძარი,
სადაც იმედის შუქდა სანთელი,
ამწვანებულა გზა ნახანძრალი.
ამ გზით მე შენსკენ მოვემართები.

შენ დგეხარ ჩემი მწვერვალის თავში
და რაღაც უცხო ნათელი გმოსავს

(ამგვარად წმინდა თუ არის ბავშვი,
ან შვილდაკარგულ დედების ლოცვა!).
ათას სისხლიან ბარიკადიდან,
სიმართლის ათას სასაკლაოდან
თავისუფლება —
დაკლული ხარი —
შენ მოგძახოდა,
შენ მოგბღაოდა!

შენს ძლიერ ნებას ვერავინ ჰკლავდა,
თუმცა სიცოცხლეს მრავალჯერ ჰკვეთდნენ,
ბავშვის გულით და
პრომეთეს მკლავით
სითბოს, სიკეთეს ართმევდი ღმერთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ხმა ახლაც სამყაროს უვლის,
მიდიხარ კვლავაც წაღმართი გზითა,
(ასე მაღალი თუ არის სული,
რომელმაც ქვეყნის ტკივილი ზიდა)!
კარგი თუ მელის,
შენს გზაზე მელის,
დავთმე ზღაპარი და ყველა მითი.
წინ ბილიკია — სავალი ძნელი,
ვისმენ დაჩეხილ ნეკერჩხლის ქვითინს.
ეალერსები მოსხეპილ ტოტებს,
ბევრისმნახველ და კოჭრიან მერქანს,
გეცნო ტკივილიც, —
შენ მხარში რომ გტეხს—
ეს — ცული დაჰკრა ვიღაცამ ძელქვას.

ის შენი სულის მოკვლასაც ლამობს,
ანგარიშები იმასთან შენც გაქვს
და იწვი ა, იმ კაცუნას გამო,
სული რომ ფულზე მიჰყიდა ეშმაკს.

ასეთ შერცხვენას სიკვდილს არჩევდი,
ჰაი, ჰაი, რომ —
გვეიმედები!
ყველა სიკეთის და გამარჯვების
ხარ შემოქმედი,
გამომჭედელი!
ჩემი ოცნების მწვერვალის თავშიც
შენ დგახარ,
შენთან ყოველთვის მზეა
(ასე ნათელი თუ არის ბავშვი!)
შენ მუშაკაცის სინდისი გქვია!..

ლეილა ერაძე

უჩემოგა

ნეტავ უჩემოდ დააკლდება ქვეყანას რამე?
ჩვეულებრივად იკაშკაშებს მიმწუხრში მთვარე?

ნეტავ უჩემოდ აგევსება სული ხალისით?
თეთრი ვარდებით მობრძანდება ისევ მაისი?

ყოველ გაზაფხულს აფეთქდება კვირტები ნუშის?
და ჩემს დედიკოს სიხარული ექნება გულში?

ჩამოიქროლებს რუსთაველზე კოჯრის ნიავი?
დიდი ჭადრები იმღერებენ ფოთლის შრიალით?

კვლავ იტრიალებს სურნელება ნაწვიმარ მიწის?
ნაკადულები მოჰყვებიან რაკრაკა სიცილს?

ნეტავ უჩემოდ ყველაფერი დარჩება ასე?
ჩემი მაია კვლავ იქნება იმედით სავსე?

არ მოაკლდება სიმღერები მშობლიურ მთა-ველს?
არ დააჩნდება ბზარი მიწის თუნდაც ერთ მტკაველს?

სულ არაფერში დავაკლდები ჩემიან ვინმეს?
ძომისაკლისებს ჩემი ხალხი თუნდაც სულ მცირედ?

ჩემი არ ყოფნით რომ დააკლდეს ქვეყანას რამე,
მე სიხარულით დავხუჭავდი მოღალულ თვალებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ჭავჭავაძე

ქნარი — სამშობლო

ატმის ყვავილი ანთია ქნარზე,
როგორ შვენის,
აი, სამშობლო, აი სამშობლო
ჩემი და შენი.
ანათებს ქნარი, განა სივრცე
მთათა და ზღვათა,
აი, სამშობლო, აი, სამშობლო
სხვათა და სხვათა.
დარეკავს ჟამი გაგებისა,
გაეგოთ მათაც.
ნაზი აპრილი ანთია ქნარზე,
როგორ შვენის,
აი, სამშობლო, აი, სამშობლო, —
სამშობლო ჩვენი...

მცხეთის ჯვარი

სხივადქცეული წამომდგარა ხუროთმოძღვარი,
სხივადქცეული
ზე აუპყრია მარჯვენა,
და მის ცხელ სიტყვებს წვეთავს ნათელი მზის:
— არ გაბედოთ,
ხელი არ ახლოთ ჩემს შვილს...

ლალი თოთაძე

პოეტი

მე გარდავსახე სამყარო მთელი
და ყველა საგანს სხვა ფორმა მივეც
და მწვერვალებზე მაღალი რწმენით
მე ჯვარი ჩემი ავზიდე მძიმე.
ნუ გებრალები, დამტოვე მარტო,
შემომახვიე მიმწუხრის ფერი,
მე არ მოგკვდები, ტყუილად დარდობ,
სიკვდილს ათასი წელია ველი.

ჩემთვის ქვეყანა — ლამაზი ბავშვი —
მწვანე წალკოტად გადაიშალა,
ძველ მწვერვალებთან დავტოვე მაშინ
ბედნიერება, როგორც ნიჟარა.
მე გავამართლე სიმღერა ყველა,
ყველა ზღაპარი, ყველა ღალატი,
მერე დაყყარე სიმშვიდე ველად
და მაღალ ღმერთთან ვიწყე კამათი.

მუდამ ვიცოცხლეგთ

სილურჯე ისევ ფაქიზად და უმანკოდ მათოვს
და შეუმჩნევლად ეჭვნებივით რეკენ ზარები,
გემუდარები, ნუ ინაღვლი, დამტოვე მარტო, —
ნუ გებრალები, მეგობარო, ნუ გებრალები.
ქვეყნად ვის ნახავ ჩემზე ძლიერს და ჩემზე დიადს,
რად გჯერა უცბად მოკვდინების მიეთ-მოეთი,
დედამიწაზე ვეღარაფრით ვერ დაეტია,
ისე მძლავრია, ისე დიდი — სული პოეტის.
მე მაშინ მოველ, როცა ქვეყნად იყო არავინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვყევი ღრუბლებს. სიმწვანეს და ოქროს ქარ-წვიმებს,
მერე მიწაზე და ზეცაში დავდგი კარავი
და სული ჩემი თვითონ ღმერთებს დავუნაწილე.
დავსტრიალებდი სიკეთის ხეს, ო, ისე ნაზად,
არაფრად ვთვლიდი სიმდიდრეს და ტკბობას დანარჩენს,
მე გადავარჩენ სიყვარულს და პლანეტებს ათასს,
თვით დიად ღმერთებს განწირულებს მე გადავარჩენ.
ისე დიდია, ისე ნაზი სული პოეტის,
ისე ფაქიზად, ისე სათნოდ რეკენ ზარები, —
რად გჯერა ნეტავ მოკვდინების მიეთ-მოვთი,
მუდამ ვიცოცხლებ, მეგობარო, ნუ გებრალები!

გაზაფხული

მე მაგონდება: ათასწლების და უფრო იქით —
ვიყავ ყვავილი უთვრესი, მსგავსი გვირილის,
დედაბუნება სავსე იყო გულწრფელი რიხით,
აღტაცებული მამხნევებდა ხოლმე ყვირილით.
ო, მაშინ ქვეყნად არ ისმოდა გლოვა და ზარი,
არც ტყვიამფრქვევი კაკანებდა სადღაც ავბედად,
დიდი ხნის მერე ღმერთმა ტანი მაჩუქა ქალის
და უკითხავად ამ სხეულში მაგრად ჩამკეტა.
და მიმორჩილებს დღეს საბრალო ფიტული იგი, —
თუ ავიწყდება, რომ ვიყავი ოდესღაც წმინდა,
მეძახის ვიღაც ათასწლეულ ქარების იქით
და სხეულიდან გაქცევა მინდა!

●

მხოლოდ შენ შესდექ და უშიშრად ვერ მითხარ სიტყვა
რომელიც სხვებმა მითხრეს ბევრჯერ ისე უბრალოდ,
როგორც მოცლილი ისვრის ხოლმე ანკესს მორეულში
და გაწბილება ოდნავადაც კი არ აფიქრებს.
შენ კი მოჰგავდი იმ გამოცდილ, მოხუც მეთევზეს,
რომელსაც ისე ეშინია გაწბილებისა,
რომ საყვარელ წყალს უვლის ზორიდან
და მიკარებაც ვერ გაუბედავს.

ღმერთმა შეუნდოს ყველა მეთევზეს!

გედნიერება

მე ჩემი სულის ულამაზეს ბილიკებს მივდევ,
აქ ცისფერია უცხო ხეთა ნედლი რტოებიც,
ასაფეთქებლად გამზადებულ მორთოლვარე კვირტებს
შეეხარის ჩემი სიყვარული განმარტოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც მიმალულ ცისფერ ბგერებს ეძებს და დარდობს
(ბედნიერება: რწმენა შენი სულში ჩახედვის)
აქ ყველაფერი შიშველია და ისე სათნო,
როგორც სხეული საყვარელ დედის.
აქ ჩემი ყველა სიხარული, ყველა ჭრილობა
თავს დასტრიალებს ჩემი ლექსის დანისლულ მინდვრებს,
ჩემი გოლგოთა, ჩემი რწმენა, ჩემი გმირობა:
მე ჩემი სულის ულამაზეს ბილიკებს მივდევ.

ლიდა სტვილია

●

ნაზ რტოს
ყვავილები რთავენ —
თეთრები
  და
მოწითალო...
ავსებულა მზით მაყვალი
და

აქა-იქ
მომწიფარობს.
—ტკბილი კენკრის ნაზი ტოტი
მოსწი ქალო,
მაყვალ-ქალო...
—გაგიმარჯოთ!
მწიფე მაყვლის
წვენით მთვრალი ჩიტი ვგალობ.

●

მთვარეს უყვარს
აივანი ჩემი;
მთვარეს უყვარს
ღიმილიც და ცრემლიც!

მოვა,
სხივებს თეთრ სვეტებზე ართავს,
მიჩურჩულებს ტყუილსა და მართალს...
ხან ღრუბლებში
აცა-ბაცა დადის...

მთვარემ იცის ფიქრებიც და დარდიც...
მთვარეს უყვარს მეოცნებე ბიჭი,
გოგოც უყვარს — შეპყრობილი იჭვით...
მთვარეს ჩემებრ
ღამე უყვარს მშვიდი...
მტერი არის სიბნელის და ბინდის...
...აიხედე!
ღრუბელ-ღრუბელ ახლაც
ჩემი მთვარე ჩასასვლელად მიდის!

მერი ბარნაბიშვილი

გურამ სალარაძეს

შენ ერთ ქალიშვილს უყვარდი, გურამ!
და სწამდი, როგორც თავისი ჭრწამსი.
მის თეთრ კედლებზე შენს მრავალ სურათს
გვერდს უმშვენებდა ლისტი და ბრამსი.
მისთვის არ იყავ დარდი და ურვა,
ის შენ ყოველთვის თავისად გცნობდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რადგან გძულდა, რაც იმას სძულდა,
და რადგან გრძნობდი, რასაც ის გრძნობდა —
შენ მას ძალიან უყვარდი, გურამ!
შეხვდები ალბათ ადრე თუ გვიან, —
მას სწორი თმა აქვს და კეპი ხურავს
და შუბლზე ზეცის ნათელი სცხია.

ნუგეში

თენგიზ ბახტაშვილს

რად მედები ასე გულზე,
შენ ხომ ჩემი შვილი არ ხარ...
როგორ გადავიდა რჯულზე —
ოი, რა ვუთხარი ამ ქარს.

— ამაღამ გადაიღებს თოვა,
ხვალე დედაშენი მოვა.

წყნარად რომელი სვამს წამალს,
ხმა შენც ამოიღე, შვილო,
შორსა გყავს დედა და მამა,
სიჩუმეს ამიტომ ცდილობ.

— ამაღამ გადაიღებს თოვა,
ხვალე დედაშენი მოვა.

ოღონდ ნუ იქნები ჩუმად —
გული არ იტკინო რამით,
გინდა? მივატოვებ სტუმარს,
შენს გვერდით ვიქნები ღამით.

ხვალ კი გადაიღებს თოვა, —
ჰოდა, დედაშენი მოვა.

შენი სიმარტოვე მომკლავს,
სანამ დედაშენი მოვა...
ოი, რა ვუთხარი ზამთარს,
ოი, რა ვუთხარი თოვას.

ლია ასათიანი

ფრთები

სრულიად მალე —
შეიქნები ისე მუბუქი,
რომ ჰაერს დაღლის ფერი თვისი
და ღრუბელს — სისქე, —
შენ დაიხრები,
ამიტაცებ,
მხრებზე შემისვამ...
და მე ვიქნები შენი ფრთები
მეშვიდე ცისკენ.

თამარ მეფარიშვილი

ვარდის თვეა

ვარდის თვეა,
ყვავილებში
მსურდა ღამე გამეთია,
მოვარისხელა თბილი სევდა
გულში აღარ დამეტია...

გადავღალე ვარსკვლავები, —
მთელი ღამე ვაცემცემე,
მერე? მერე ნაადრევი
რიეტრაკივით გავიცინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უცებ შემოვა ჩქარი ფიქრები,
უცებ შემოვა — დაუზარებლად...
მე გაზაფხულის მთაზე ვიქნები,
ვით უკვდავების გამოდარება.
და სულ მცირე ხნით მოვწყდები მიწას...
ფირუზისა და ზურმუხტის თმებში
გავიხლართები ანთებულ ფიქრად
და ჩავინთქები უნაურ ხმებში.
დრო შემიტყუებს გაუვალ ტყეში,
სად ნაღვლიანად ფიქრი ჩაბღავის.
გადავერევი ურიცხვთა ბედში, —
დავენანები ქვეყნად არავის!..

მანანა აბრამიშვილი

●

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო".
ხალხური

ლექსო, მიზღაპრე ნამდვილი,
ზღაპარი გამინამდვილე,
ლექსო, მიშველე ოხერო,
სიცოცხლე გამიადვილე.
სიკვდილიც გამიადვილე,
არ მითხრან რისთვის მოხველო,
სიბერეც და სიყმაწვილეც, —
ლექსო, მიშველე ოხერო!
რაც კი ვინატრე, ასრულდა,
უბე ბარტყებით ავივსე,
ჩემთა ძეთა და ასულთა
შენი კურთხევა აღირსე.
წამომესია წვრილშვილი,
ტაბიკად მექეც ულელში,
მაშორე სიტყვა შიშველი,
უგემური და უხეში,
შაირო, შენი ფრთა მომე—
ბუდეს ბუმბულად ვაფინო,
ჩემი ქალ-ვაჟი, წყვილ-წყვილი,
თამამად წამოვაფრინო!
ლექსო, მიზღაპრე ნამდვილი,
ზღაპარი გამინამდვილე,
ლექსო, ამოგთქომ ოხერო,
სიცოცხლე გამიადვილე.

ელენე გაფრინდაშვილი

სურათი

შეპარვოდა ბებერ ბუხარს
წელთა სრბოლა იარებად,
სულში ფიქრთა ნიაღვარი
უმოწყალოდ რიალებდა —
მზეს სხივები აეკეცა
ჩემი სოფლის მთა-ველიდან,
მიყურებდნენ ბეღურები
გაყინული ალვებიდან.

ნუნუ ყალაბეგაშვილი

გალადა შვილზე

პატარა გოგო ყიდისო პალტოს —
ომში წასული ძმის,
პატარა გოგო ყიდის პალტოს —
არ აფასებსო ძვირს...
ამ ზამთარს, როგრც მრისხანე ბატონს,
თუ კი შეხვდება მხნედ,
ჩავლილ მდინარედ წავა და წავა —
ან იშრიალებს ხედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა, ცრემლებით თვალდანისლული,
მინავლულ ცეცხლთან ზის,
წერილი თუა სახლში მისული
იმ ერთადერთი ძის...
პატარა გოგო ყიდისო პალტოს —
ომში წასული ძმის,
კიდევ კარგია, მყიდველი არ ჩანს,
კიდევ კარგია, წვიმს...
სახლში ბრუნდება პატარა გოგო,
მისდევს ტვირთიან ჩრდილს
და დედა პალტოს ისუტებს, როგორც
ფრონტიდან მოსულ შვილს.

●

მარტო იმედით გადავივლი ხევსა და ლაკბეს,
მარტო იმედით
მოვიშუშებ ნამტკივნს და ნაკბენს.
არავის მოვთხოვ რწმენის საგზალს,
არცა წრიალებს,
არც განსაცდელი ამაწრიალებს.
გადავივლიან მთებს ფიქრები
ალაყ-მალაყით,
გადავივლიან,
დაიჭერენ ხელში ძალაყინს,
ვერც განჩინება და ვერც რისხვა —
ვერრას დაგაკლებს,
ისევ სინდისი თუ არ იქნა
შენი ჯალათი.

ლია გედოზვილი

მონატრება

ვუძღვნი დაღუპულ მეგობარს

ჩემს ნაფიქრალზე, როგორც თოვლზე,
ენძელასავით
ამოსულა და უტირია
თეთრ მონატრებას,
სალი კლდეები დამყურებენ — მუნჯი დარდები, —
და თვალებს მწყურვალს ფერად ლიბრად
აჰფარებია
ტკივილით სავსე შენი სახება;
ასე მგონია, ვიძირები თბილ სილურჯეში
და ეს მირაჟი არასოდეს არ გათავდება.
დღეს შენი დღეა და ჩემი სევდა
მუქ უფსკრულებში ბროლად დაიმსხვრა,
მაგრამ მე მაინც ვუფრთხილდები
წარსულის სიზმრებს,
ხსოვნის აკვანში ვანანავებ
და მწვანე მთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუდ, დაბალი ხმით გუგუნებენ
მთრთოლავ დალაის,
გულაღმა ვწევარ სველ მინდორზე,
გიგზავნი წერილს—
ბაბუაწვერას უნაზეს ფიფქს;
შენ უნდა მიხვდე,
რომ ნაფიქრალზე, როგორც თოვლზე,
ენძელასავით
ამოსულა და უტირია თეთრ მონატრებას!

ღამით მოსული პირველი თოვლი

მე დამესიზმრა გამოწვდილი თეთრი ხელები, —
ირგვლივ სიბნელის იდგა სიშავე და სიშავეში
შორეული ხმა მოიწევდა თვალთა ცეცებით,
ჩუმი სიფითრით ანათებდნენ ბავშვის ხელები.
ათრთოლებული, მუხლმოყრილი ვემთხვიე მირაჟს,
გულს მიფატრავდა უცნაური ტკივილი ფოთლის,
ფიქრმა დანამა ქვითინა მიწა,
სადღაც გაძარცვულ ბეღს ჩიოდა უმწეო ტოტი,
მაგრამ სიწმინდე ჩამოვშვა უცებ ზეციდან
და თეთრ თითებში თეთრი სანთელი აენთო ლოცვით,
სადღაც ბავშვის ხმა ჩურჩულებდა:
„მოსვლა მეღირსა“.
თურმე ნუ იტყვი: მოსულა თოვლი!..

დოდო ჯაჯვლიანი

●

თუ გამეპარა სიცოცხლე ისე,
როგორც განთიადს — ყველა ვარსკვლავი,
ვაი, რამდენი რამ დამრჩება
შენთვის უთქმელი...
რა მცირე დრო მაქვს,
უნდა ვიჩქარო —
დიდი მზეების დღესასწაულზე...

●

კლდის ნაპრალები
ინხელა ცრემლებს მოაგორებდნენ,
რომ შემეცოდა ჩემივე თავი:
მე ხომ ვერასდროს ვერ ვიტირებ
ასე მდუღარედ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შეიძლება,
სულ მცირე ხნით შემოიხედე
ჩემს ღარიბ ქოხში.
იქნებ გამთელდეს
გაბზარული სულის ფიალა
და ნამსხვრევებმა არ დაჩხვლიტონ
სელის თითები...
. . . . . .
თუ შეიძლება
სულ მცირე ხნით შემოიხედე...

მანანა ჩიტიშვილი

შუამთის გზაზე

მხრებზე გაუდვიათ შემოდგომა
გზისპირ წიფლებსა და იელებს,
ტორეადორის წითელი მოსასხამი
ტყეში კოცონივით იელვებს.
ათასი ფუნჯით და საღებავით,
როგორც ვინიანი ანთარი,
ჩუმად!
შემოდგომა, სიკვდილის წინ,
თავის ავტოპორტრეტს ამთავრებს.

მარტი

ნეკერჩხლის ცალ ფლოსტს
აითრევს ქარი...
და ასე
სველი და ხორკლიანი
მოისუნსულებს
გათოშილ ბუჩქებს,
რომელზეც
ხვადი კატის თვალივით
წითლად ანთია
კენტი ასკილი.

ნუცა გელენავა

ჩემი უკვდავი გადია

ენგურის ტკბილი ნანინა
მალაღებს, ასე საამო—
ვარდადფრქვეული ოდიშის
ნათელი დილა-საღამო.
რუხის ცისე და სათანჯო
დგანან წარსულის დიდებად.
მამულო, შენზე სიმღერა
არასდროს არ მომწყინდება.
ტკბილია ჩემი ოდიშის
ოდოია და ვარადა.
მეგრული ჩელა, ურმული
ალალი შრომის ბალადა.
დიდია ჩემი აკვნეთი—
სულის და ხორცის ზიარი.
ჩემი უკვდავი გადია,
ჩემი სამშობლო სვიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზო ცარციძე

ჩემს ბოგონას

შენ ირმა გქვია და ირემივით
ყელმოღერილმა უნდა იარო,
უნდა გიყვარდეს დედა-სამშობლოს
ყველა კორდი და ყველა ფრიალო...

ღამაზ თვალებში გენთოს სიკეთე,
შენთა მოყვასთა სასიხარულოდ,
გულზე გეხატოს უპირველესად
აყვავებული შენი მამული...

წვიმაში

წვიმს და ასფალტზე
ჩიტის თვალებს ხატავს წვეთები,
ფოთოლთა ფარით
დგანან იქვე მაღალი ხენი,
თუ არ იკარა,
ჩანჩქერივით დავეფეთები,
რადგან ამ წუთში ძლიერ მინდა
დანახვა შენი...

...ვდგავარ. ხანდახან
ცას გავყურებ, გული კი გელის,
სულში შემოხველ
და საოცრად ჩემში ღმერთდები,
მაღლა ღრუბლებმა
უცბად გაპკრეს ასანთი ელვის,
ძირს ჩიტის თვალებს
ისევ ისე ხატავს წვეთები...

●

ჩაფიქრდებიან ტოტები ხეთა,
იდუმალ ეზოს წაიღებს ძილი.
გაინაბება სამრეკლოს სვეტთან
ნიავი — ქარის მორჩილი შვილი...

დაესიზმრებათ ფერმკრთალ მონაზვნებს
გამოზაფხულის ლურჯი ფერები,
მიატოვებენ წამით მონასტერს
და ნაზ აბრეშუმს შეიფერებენ...

გაეღვიძებათ უეცრად მერე,
გამხდარ ხელებით აღებენ კარებს.
და საკუთარი კაბების ფერი —
შეეგებებათ საღამო გარეთ...

აუთრთოლდებათ მოხუცი მხრები,
კვლავ მიაპყრობენ სველ თვალებს ზეცას,
მოინატრებენ იმ კაბებს ისევ,
სიზმარში ერთი წუთით რომ ეცვათ...

ნინო ხიჯაკაძე

გულმავიწყობა

შენ დაგავიწყდა იმ დღეების ცისფერი სევდა —
თოვლის სიმძიმითა და სისველით გავსილი ჩემი სული.
კმაყოფილმა და მაძღარმა —
ძველმანებში
მიაგდე ,,ღამის ზღაპარი'' და ერთხელაც აღარ
გაგახსენდა თოვლში შიშით მომზირალი შეცივნული ენძელა,—
აქამდე რომ მოგიყვანა,
ეს დღე რომ გაჩუქა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარლოტა კვანტალიანი

საიდუმლო

მთვარეგ ახალო, ახალო,
იცი, რა უნდა გახარო!
ვიპოვე ვისაც ვეძებდი,
მარტო ვარ უკვე აღარო.

ეს საიდუმლოც შენ გქონდეს,
უკარებავ და მაღალო,
თუ ისიც ასე არ ფიქრობს —
თავი რა შავ ქვას ვახალო?!

ნარგიზა

თოვლის თეთრი თითებით
მაგნოლიას მაგონებ,
ცივი ბრილიანტებით
მოთმინებას მორთავენ,
ისევ გემუდარები,
სევდით ნუ მოირთვები,
ნუ იქნები ყოველთვის
მწუხარების მოთავე.

რომ სიმართლე ვამხილო,
უნდა ვიყო თემიდა,
მზე თვალებში დაგუბდა —
იქნებ წვიმამ დაიკლოს,
კვლავ სიკეთის ხატებად
მომევლინა ჩემი და,
და სიმშვიდე შემოპყვა
ჩემს ვარდისფერ დაიკოს.

ცისფერი ხილა

შენი ფანჯრიდან ამოდის მზე და
მაძლევს ჩრდილსა და
მაძლევს სინაზეს,
ისევ მაწვალებს ნაცნობი სევდა
ამოკაწრული
ცისფერ სილაზე.

მოგონებები რამდენხანს მსდევდა —
გადაქცეული
ეშმას ეშვებად,
შენი ფანჯრიდან ამოდის მზე და
ჩემს ფანჯარაში
მთვარედ ეშვება.

ლია ჯაყელი

●

მე უკვე ვსუნთქავ იმ სურნელით,
შენ რომ მომიტან
და მოლოდინი აღარა ჰგავს
ნაღვლიან მოტივს.
ციეწყაროს წყალი უკვე მოგაქვს
თიხის კოკითა,
სულში ხმასავსე სიმღერების
ფერხული მოდის.
აუწყვეტიათ თავი ისევ
ეცცხლოვან ფიქრებს,
დაულაშქრიათ მოფარფატე
რუნი ნისლები...

ქროლლის ციხე ხმამადლიან
სიმღერას გიქებს
და თეთრ სიყვარულს არიგებენ
აკაციები...
თუმცა ყოველი შევიგრძენი
ჯეერაც შორიდან,
მაგრამ მოკითხვა, ყოჩივარდებს
რომ დააბარე,
მომიტანეს და უკვე ვიგრძენ,
შენ რას მომიტან —
წყაროს წკრიალს და
მხრებზე დაყრილ
ოქროს დაღალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგობისთვე

თეთრი გედები შემსხდარან მთებზე,
სოფელსაც ელის უკვე სიფითრე,
ქარი სალამურს კვლავ ააკვნესებს,
მზე გაცინებას გადაიფიქრებს,
გაუქვავდება ღრუბელს ცრემლები
და წვიმა შეწყვეტს გედის სიმღერას...

და მონადირის ჟინი დაარღვევს
გიორგობისთვის ამ ჩაფიქრებას...
თოვლისქალივით თეთრი ბებია
ფთილას დაართავს ბებრულ ხელითა,
მერე ზღაპრები აფრინდებიან
ბუხრის ყელიდან...

ბიეტა აბშილავა

საუკუნეს გაცდევინებ!..

თუნდ მაწამონ, ჯვარს გამაკრან,
დიდო ღმერთო, მათმენინე!
საქართველოს სიყვარულზე
ორი სიტყვა მათქმევინე:

შენ, სიკვდილო, ნუ მაჩქარებ,
ნუ მიმზადებ სასჯელს მძიმეს!
სიყვარულის დიდ ჭიშკართან
საუკუნეს გაცდევინებ!

ჩემო თბილისო!

შენს სიყვარულს განა მარტო მტკვარი მღერის?!
განა მარტო მტკვარი გკოცნის თბილის-ქალაქს?!
აქ ვარდების და ბალახის ყველა ღერი
ალამაზებს შენს მიწას და ნარიყალას!..

როს ინათებს... და როდესაც შებინდდება, —
გულში ვმღერი, ჩუმად ვმღერი შენს დიდებას!..

ნაზი ტარიელაშვილი

სიო მღეროდა...

სიო მღეროდა,
სიო მღეროდა, —
გადატეხილი
ლერწმის ღეროდან.
და განა სიო,
და განა ქარი? —
ლამაზი ქალი,
ლამაზი ქალი!..
ქცეული დარდად,
ქცეული სევდად, —

შორეულ სატრფოს
წერილებს სწერდა.
ჰგავდა სირინოზს,
ჰგავდა ფერიას,
მის ხმაში რაღაც
კვნესა ერია.
მეგონა სიო,
მეგონა ქარი, —
ლამაზი ქალი,
ლამაზი ქალი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანიკო გაგუნია

ზამთარი

რა ხანია თოვს და თოვს,
რა ხანია ყინავს, ყინავს,
რა ხანია თოვლის ქვეშ
ფერმკრთალ ბალახს ძინავს, ძინავს.
რა ხანია თოვს, ო, თოვს,
რა ხანია ყინავს, ყინავს,
რა ხანია ციცქნა ჩიტს,
აღარა აქვს თბილი ბინა,
რახანია თოვს და თოვს
რა ხანია ყინავს, ყინავს.

●

გადაჩვეულმა ძლივს ვიხილე
კვირტების ფეთქვა.
გაზაფხულს,
როცა ფერებს არჩევს,
ალბათ შენ შველი,
მე წყაროს პირას
აზიდულ თეთრ ქვას, —
ხელის კანკალით დავაწერე
სახელი შენი.

მარინა უტიაშვილი

●

ბიჭაუ, გულის მეუფევ,
ნუ მიეცემი ურვასა:
„უკვდავებისა წყاროთი
მოგართმევ სავსე სურასა“.
დაგიკრეფ მინდვრის ყვავილებს,
გვირგვინს დაგხურავ მზისასა...
სხვაი გსურს, სხვისკენ მიიწევ!
გზას გაგიყენებ მტრისასა!
. . . . . .
მზეო ნათელო! მამხედე
მიჯნურს, უგულო ყმისასა.

წვიმა

შენს მაგიერ
დამხვდა
წვიმა,
წვიმა, წვიმა —
ვერცხლისმძივა.
მომეფერა,
დამიყვავა,
შავი თმები გამიბრწყინა.

●

— ვაჟაუ!
გესმის ძახილი?
გიხმობს პატარა ქალიო.
დაულოდნე წყاროსპირს,
არ დაუბნიო კვალიო.
თუ აუქციო მას მხარი,
დაგიბრმეს ორთავ თვალიო...
გალავდეს,
გახრჩობდეს წყურვილი,
ყველგან დაგიშრეს წყალიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმა გურიელი

ლოდინი

ჩამოიღვენთა სანთელი,
რით აენთება თავიდან.
იქნებ არ ჰქონდა სათქმელი?..
იქნებ, უთქმელი წავიდა?
ნუთუ კვლავ სევდა, ლოდინი..
ნუთუ კვლავ თმენა ტკივილის...
დუმილმა იწყო ბოგინი,
სულმა ატეხა კივილი.
ვეღარ დაოკდა... არაგვთან
ზზემ მარგალიტი არეკლა,
დუმილი ალაპარაკდა —
არაგვის ტალღას ჩაეკრა...
ცისფერი კაბის ფრიალით
ელვამ ცას შეხსნა საკინძე..
აწეწა სული ტიალი
და ვეღარაფრით ავკინძე.
ჩამოიღვენთა სანთელი,
ვეღარ დაიწვის თავიდან, —
ალბათ არ ჰქონდა სათქმელი
და უბრად მისთვის წავიდა.

ანა იმედიძე

რა უშავს...

რა უშავს, ხანდახან გავწვიმდე, —
დავიდგა ნისლების კარავი,
დავართო ბაწარი საწინდე,
გავტეხო ღამენი წკვარამი.
ამ მთებთან აკვანში დამწინდეს,
მოვცილდი — ვიგემე ვარამი.
რა უშავს, ხანდახან გავწვიმდე,
ვაპკურო მინდორ-ველს ცვარნამი.
რა უშავს, ფრთა ვთხოვო შავარდენს.
იალაღს — სიმწვანე, ნუგეში,
ეულად მწვერვალზე ავვარდე,
რა უშავს... გაგცვალო ღრუბელში.

გულიკო დვალი

●

მთებზე თოვლი იდო, ქუჩებშიაც თოვდა
და ოცნებას თოვლზე თეთრი ფრთები ჰქონდა,
იღვრებოდა ირგვლივ, ვით მუსიკა ნელი,
ფიფქზე უფრო ნაზი, უბოლოოდ წრფელი, —
გაუმხელი გრძნობა, გრძნობა დაფარული,
თოვლში სანთელივით ენთო ჩემი გული,
თითქოს ყოვლად-წმინდა ჩამობრძანდა ციდან,
ფიფქი, მკრთალი ფიფქი, ყველა ცოდვას შლიდა,
ივსებოდა სივრცე უცოდველი თოვლით,
რაღაც უცნაური, იდუმალი თრთოლვით,

ო, ამ ღამეს ისე უჩვეულოდ თოვდა,
ოცნებასაც ისე თეთრი ფრთები ჰქონდა,
თითქოს ყოვლად-წმინდა ჩამობრძანდა ციდან
და პატარა ფიფქი ყველა ცოდვას შლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი გულისაშვილი

ეშვნიერ

ქარი და ქალი

ქალს წამოეწია ქარი,
ქალი შეაშინა ქარმა,
მაგრამ შეიფარა ქალი —
ვიღაც გოლიათის მხარმა...
უცებ დაძაბუნდა თითქოს —
წელში მოიხარა ქარი,
ამაყად არღვევდა სივრცეს
მხარს შეფარებული ქალი!..

ნანა ფენგელაია

ბიჭი

ნაცნობი ქუჩის წიწვიანს,
შეფარებია ბიჭი.
სხვისთვის უბრალო ბიჭია,
ჩემთვის ბოლმა და იჭვი.

ქუჩის ხატულა ობობას
ქსელი უბია გზნებით.
მისთვის უბრალო გოგო ვარ,
სხვისთვის... ჯანდაბას სხვები.

ნატო გაგუნია

უთქმელი ზღაპარი

გამოსულიყო ცარგვალზე
მთვარე და მისი ამქარი,
ბრძოლაში ბიჭი კვდებოდა,
როგორც უთქმელი ზღაპარი.

ჯერ ჩურჩულებდნენ ტუჩები,
თრთოლვით იძვროდნენ ხელები,
—მო, ჩემთან ჩემო ყამარო,
ახლაღა მოგეფერები.

ჯერ ბალღი შენზე ვფიქრობდი
დაღლილი ასკინკილათი,
სიზმრად ციხე-კოშკს მიმყავდი,
გზას მოგიფენდი იათი.

შენთვის ვებრძოდი ამირანს,
მიზანს ხვდებოდა ისარი
და სინამდვილე მეგონა
ჩემი ლამაზი სიზმარი.

გამოსულიყო ცარგვალზე
მთვარე ვარსკვლავთა ამალით,
აკვანთან დედა გლოვობდა,
ცაში გოდებდა ყამარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ხვთისიაშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნას!..

მწვერვალებზე დაათოვა ქარვა, ძოწი,
მზის საუფლო ხელმეორედ ნახა სულმა.
ამ სინათლეს,
საქართველოს ციდან მოწვდილს,
ზღვარი არ აქვს,
მერიდიანს გადასულა.

საუკუნის დიდ სახსოვარს —
მარად ხსოვნა,
აღარ გშია?..
ჩემო მიწავ, ქარვის მსმელო,
შენი ცრემლით ერთი ისე დამასველა —
კონსტანტინეს მაღალ ჩრდილში დავისვენო.

ლილი ხუციშვილი

●

გემუდარები, მთაწმინდაზე ავიდეთ ერთად,
საუბრით შევყვეთ მთის ფერდობზე დახვეულ ბილიკს,
შეღამებისას გადმოვხედოთ საყვარელ თბილისს,
გემუდარები, მთაწმინდაზე ავიდეთ ერთად.

მინდა გავეჭცე ამ მცხუნვარე მზესა და ივლისს,
დავსტკბე თვალწარმტაც სილამაზით საღამოს ფერთა,
რაღაც ვუშველოთ
ჩვენს მშვენიერ ტანჯვას და ტკივილს —
გემუდარები, მთაწმინდაზე ავიდეთ ერთად.

ლინა გარათაშვილი

მამულს

მე შენს მეციხოვნედ ვდგავარ —
ტანზე რკინის აბჯარს ვიცმევ, —
გუმბათებზე სძინავთ ფხიზლად
შენს სიმღერებს და შენს ფიქრებს...
მზე რომ დაუბნელდეს მტარვალს, —
სულში ათას სანთელს გინთებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

მ დ გ მ უ რ ი

რ ო მ ა ნ ი

და ჰრქუა მას: ესე ყოველი მოგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.

მ ე ტ ა ფ ო რ ფ ო ზ ა

ვერვის კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაჲ მის თავს-იდგას, და ერთი იგი შეურაცხ-ყოს.

მიზანი მაცთურია, ბატონებო. სანამ მიღწევთ, თქვენი გგონიათ; როცა მიღწევთ, მაშინღა მიხვდებით, რომ სხვისი ყოფილა.

ცხვრის ფარა ბღავილით ბრუნდება საძოვრიდან და თარეხში ისე მიდის, როგორც საკუთარი მიზნისკენ.

უკან კი მწყემსი მისდევს შოლტით ხელში ...

ქვა მოწყდება კლდეს და ხევში ჩავარდება. მიზანი მიღწეულია. მაგრამ ვისი? ქვის? ხევის? გრავიტაციის? თუ სულ სხვა რამის, რაც ქვაც არის, ხევიც და გრავიტაციაც?..

თუ მაინცადამაინც, ისეთი მიზანი უნდა დაისახოთ, რომელსაც ვერ მიაღწევთ.

წამება კია, მაგრამ სამაგიეროდ რწმენაცაა.

მე, მაგალითად, ძალიან მომწონს მრავალკუთხედის მიზანი, კუთხეების უსასრულო გაორკეცებით იქცეს წრეხაზად.

მიღწეული?

ერთი ამხანაგი მყავდა. უცნაური კაცი იყო. სულ იღიმებოდა, სულ ღიღინებდა, სულ ოხუნჯობდა. არ ვიცი, ისეთი რა უნდა შემთხვეოდა, რომ გუნება გაფუჭებოდა. ეს უთავბოლო ოპტიმიზმი ცნობისმოყვარეობას მიღიზიანებდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ხან აქედან ვეუტრიალე, ხან იქიდან. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვტეხე. მეო, მითხრა ერთხელ, მიზანი მაქვსო. მერე-მეთქი? ჩემთვის მხოლოდ ის ხიფათი არსებობს, რომელიც ჩემს მიზანს ემუქრება, სხვა ყველაფერი მასხრობაა. ჩემი სული ჩემს მიზანშია. მოგვიანებით ისიც გავიგე, თუ რა მიზანი ჰქონდა. ნასვამი იყო და თავისი უბის წიგნაკი მაჩვენა. ასო „მ“-ზე კალიგრაფიული ხელით ეწერა: „ჩემი ცხოვრების მიზანი“. მერე ეს მიზანი დაყოფილი იყო ეტაპებად:

1. საშუალო სკოლა ოქროს მედლით.
2. უმაღლესი სასწავლებელი წითელი დიპლომით.
3. ასპირანტურა.

4. საკანდიდატო ხარისხი (ამ ეტაპის გასწვრივ ფრჩხილებში ეწერა „26 წ.", რაც იმას ნიშნავდა, რომ საკანდიდატო ხარისხი 26 წლისას უნდა დაეცვა).

5. სადოქტორო ხარისხი (30 წ.)

6. პროფესორის წოდება (32 წ.).

იმ დროს ეს ჩემი ამხანაგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო (18 წ.) და უკვე ასეთი მკაფიო მიზანი ჰქონდა.

და როგორ გგონიათ? მიაღწია კიდეც.

თოთხმეტი წელი ჩრჩილივით ღრღნა წიგნები და, ოცდათორმეტის რომ შეიქნა, პროფესორი გახდა. თანაც მთელი გზა ისე განვლო, ერთი არ წაუფორხილებია. ჭლექიც კი არ შეყრია. სამად სამი კილო დაიკლო წონაში, ეს იყო და ეს.

მერე ის რომ, რაც პროფესორი გაზდა, მის სახეზე ღიმილი აღარ გაჭაჭანებულა, მისი პირიდან ოხუნჯობა არ ამოსულა, მისი ღიღინი აღარავის გაუგონია. ღიღინს დავანებოთ თავი. ღიღინი ისეთი რამაა, მწიგნობარ კაცს იქნებ არც კი შეეფერებოდეს. დავუშვათ, სიბრძნისათვის ოხუნჯობაც ზედმეტი სიმსუბუქეა. მაგრამ ღიმილი? ღიმილი ხომ ჯიბის ფარანია, ბნელ ღამეში ყოველ წუთს შეიძლება დაგჭირდეს.

ბატონო?

რასაკვირველია! აბა სხვისი გამოცდილება რას მეყოფოდა!

მე ერთხელ მანქანის შეძენა გადავწყვიტე. არ ვიცი, შესაძლებელია მანქანა სიმბოლო უფრო იყო, ვიდრე რეალური ნივთი ... ჰმ!.. ადამიანი რთული მოვლენაა. თავი ბუნების გვრგვინი გვგონია, სინამდვილეში კი გულისფანცქალით, შიშით, რუდუნებით ვაგროვებთ ფულს, კაპიკს კაპიკზე ვდებთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ. პირიდან ლუკმას ვიცლით და მანქანას ვყიდულობთ, რათა ამით უმანქანოებს დაეუპირისპირდეთ... ზოგჯერ ვცდილობ გონების თვალით წარმოვიდგინო ჩემი თავი ისეთი, როგორიც უნდა ვყოფილიყავი, მიზნისთვის რომ მიმეღწია: ძლიერი, კმაყოფილი, თავდაჯერებული... სახლი მაქვს, კარი მაქვს, მანქანა მაქვს. მაძღარი და მსუქანი ცოლ-შვილი მყავს. მეც მსუქანი ვარ. პიჟამა მაცვია და ფიფქ-დილობით საცურაო აუზში დავდივარ, რომ ცოტა წონაში დავიკლო. როცა მინდა ვინმეს გავუღიმო, საკუთარ თავს ვუღიმი, რადგან მხოლოდ საკუთარი თავი მიმაჩნია ღიმილის ღირსად. არაფერი მაწუხებს, არაფერი მაკლია... სიკვდილის გარდა... ვცდილობ წარმოვიდგინო და მიკვირს. მიკვირს, რადგან აღარ მახსოვს, მაშინ როგორ მჭონდა წარმოდგენილი ჩემი მომავალი. სინამდვილეში ხომ ზოგი ჩვენგანი იმიტომ იბადება, რომ ახალგაზრდა მოკვდეს...

რატომაც არა! სიამოვნებით გიამბობთ.

მაგრამ საიდან დავიწყო?

საიდან დაიწყო ეს ამბავი?

იქნებ იქიდან, შავკეპიანი უცნობი რომ ვნახე.

თუ იქიდან, ვარდენ მექვაბიშვილს ცოლი რომ მოუკვდა და ამის გამო სახლიდან დამითხოვა.

იქნებ არსაიდანაც არ დაწყებულა. იქნებ ყველანი მართლა რომელიმე კოსმოცენრის პერსონაჟები ვართ და როლები იმთავითვე იყო განაწილებული.

პირველი ბიძგი მუდამ შეუმჩნეველი გვრჩება და, როცა საჭიროება მოითხოვს, ვეღარ ვპოულობთ ...

სოფელში დავიბადე. ბავშვობაც იქ გავატარე.

მერე პატარა პერიფერიულ ქალაქში გადამიყვანეს, ჩემი სოფლიდან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით.

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში ჩამოვედი და სტუდენტი გავხდი.

ინჟინერი გამოვედი.

ალბათ არქეოლოგი უნდა გამოვსულიყავი და საუკუნეების ქვეშ მოქცეული ჯუჭჭლის ნამსხვრევები და ყელსაბმების თვლები მეძებნა ...

მჭონდა რაღაც ბუნდოვანი, მაგრამ ძლიერი მიღრეკილება აქეთკენ.

ღმერთმა იცის, იქნებ ეს იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდასული კულტურის სიყვარული არ იყო, რამდენადაც თანამედროვე ტექნიკის სიძულვილი.

ახლა ძნელია თქმა.

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ძველ ეგვიპტეს რომ გადავეყარე.

ეს იყო პატარა დეტალი სასახლის თუ ტაძრის მოხატულობიდან. ახალგაზრდა კაცის ფიგურა.

მაშინ არც ხაზის მოქნილობა მესმოდა, არც კონტრასტის ეფექტურობა, არც ფერთა უჩვეულო ძალა. ძველი ეგვიპტის პატარა ნატეხი პირდაპირ სულში შემოვიდა, უმოკლესი გზით, გონებისმიერი განსჯისა და ტვინისმიერი ლაბირინთების გაუვლელად.

ყველაზე მეტად მხრებმა გამაოცა, მხრების ხაზები სწორად მიდიოდა და ეს კუთხოვანი ფორმა უჩვეულო მომხიბლაობას ანიჭებდა სურათს.

მერე, როგორც ეს ბავშვის ბუნებას ჩვევია, ამ შთაბეჭდილებას სხვა შთაბეჭდილებათა ნაირ-ნაირი ფენები გადაფარა ზემოდან და ძველი ეგვიპტის ჩვენება დავიწყებას მიეცა.

სკოლაში რიგიან მოწაფედ ვითვლებოდი. განსაკუთრებით მათემატიკური საგნები მემარჯვებოდა და, სკოლის დამთავრების შემდეგ რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევედი, ეს თითქოს სავსებითი ბუნებრივი იყო.

ამ ბუნებრიობის არაბუნებრიობა მაშინ გამოჩნდა, როცა მეორედ შეეხვდი ძველ ეგვიპტეს. ამჯერად რომელიღაც ფარაონის პორტრეტი ჩამივარდა ხელში და, დავხედე თუ არა, წამსვე გაიღვიძა მოგონებამ, რომელიც გამქრალი მეგონა. და ის წამიერი, გაუცნობიერებელი სიხარულის ელვა, დროდადრო რომ უცხო სინათლესავით იფეთქებდა სხეულში, თურმე იმ პირველი შეხვედრის კვალი ყოფილა.

და დაიწყო ორმაგი ცხოვრება.

ინსტიტუტში მასალათა გამძლეობასა და მხაზველობით გეომეტრიას ვსწავლობდი, შინ კი, ჩემს პატარა ოთახში, ვსწავლობდი ეგვიპტისა და შუამდინარეთის ისტორიას, ბილგამეშის ეპოსს, ძველისძველ მითებს ღმერთებისა და ადამიანების შესახებ, ბაბილისა და სახარებას. დავრბოდი მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, ვათვალიერებდი, ვკითხულობდი. ვაგროვებდი რეპროდუქციებს. ვყიდულობდი, თუკი სადმე გასაყიდს წავაწყდებოდი..

ბოლოს დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტიც ვიშოვე. ჩინებული პორტრეტი. და, რაც მთავარია, სწორი რაკურსით შესრულებული.

ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ერი მოსაწყენზე მოსაწყენ ბიუროში დავიწყე მუშაობა.

სამსახური მძულდა.

მეგობრები თითქმის არ მყავდა.

მარტო ცხოვრებამ კი ფიქრს შემაჩვია.

ვკითხულობდი, ვათვალიერებდი, ეფიქრობდი.

და დარწმუნებული ვიყავი, რომ უკუგდებული ჰიპოთეზა ქართველებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ ერთხელ კიდევ დადგებოდა დღის წესრიგში.

საბუთი არაფერი მქონდა.

მქონდა მხოლოდ სენტიმენტალურობამდე მისული მშობლიურობის გრძნობა.

თბილისში ვარდენ მექვაბიშვილთან ვიდექი მდგმურად. მთელი სტუდენტობა აქ გავატარე და მერეც აქ ვცხოვრობდი, სანამ ცოლი არ მოუკვდა და ამის გამო სახლიდან არ დამითხოვა.

ერთი პატარა ოთახი მეჭირა. კაცმა რომ თქვას, ოთახი არც ეთქმოდა და რამდენიმე წლის წინ მართლა არ ერქვა. მაშინ აივანი ერქვა. მერე აივანი ამოაშენეს, მინებით შემოსეს, ოთახი უწოდეს და ოცდაოთხთ მანეთად მომაქირავეს. ისეთი ოთახი გამოვიდა, ზამთარში რომ შეუმჩნევლად მოვმკვდარიყავი, გაზაფხულამდე არ გავიხრწნებოდი.

ზურგალ ჭარჩხაძე
მდგმური

მაგრამ „მე წლების განმავლობაში მაინც ვიდექი ამ ოთახში.

ჩემს გარდა აქ იდგა ერთი ჭრიალა ტახტი, ერთი კოჭლი მაგიდა და ორი კოჭლი სკამი. ტახტქვეშ ჩემოდანი იდო. კარზე ტახსაცმლის საკიდი მქონდა მიჭედებული.

კედელზე დედოფალ ნეფერტიტის სურათი მეკიდა.

ჩარჩოში ჩასმული და გამჭვირვალე ქაღალდით დაფარული.

სხვა ეგვიპტური რეპროდუქციები ჩემოდანში მეწყო, დროდადრო ამოვალაგებდი, ვათვალიერებდი და რაღაც სიზმარეული განცდა მეუფლებოდა.

როგორც მოგახსენეთ, ცოლი რომ მოუკვდა, ვარდენ მექვაბიშვილმა სახლიდან დამითხოვა.

ცოლის გარდაცვალება და მდგმურის დათხოვნა არ არის ისეთი მოვლენები, რომელთა შორის კავშირი მაინც დამაინც ნათელი და მკაფიო იყოს, მაგრამ ვარდენ მექვაბიშვილმა მაინც მოახერხა მათი დაკავშირება.

ორი თვე გავიდა, რაც ცოლი მოუკვდა. საღამო ხანი იყო. მე ჩემს ოთახში ვიჯექი და ვკითხულობდი. მერე ნელ-ნელა ფიქრებმა გამიტაცეს, კითხვას თავი მივანებე და თვალები დავხუჭე.

მქონდა ასეთი ჩვეება. ვკითხულობდი, ვკითხულობდი, მერე ფიქრები გამიტაცებდა და თვალებს დავხუჭავდი. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც უცნაური ბურანი ჩამომაწვებოდა და ირგვლივ ყველაფერი ქრებოდა. უხმაუროდ, თითო-თითოდ. მალე სამყაროს სულ მთლად დაიცლებოდა და რჩებოდა მხოლოდ სივრცე, ცარიელი და უკიდეგანო. მერე ეს სივრცე თავიდან ივსებოდა ახალი დეტალებით. ჯერ ნილოსი გაწვებოდა ცისფერ ზოლად სამყაროს მთელ სიგრძეზე. მერე ორივე ცისფერ ნაპირზე ამოძრავდებოდა სიცოცხლე, და იქმნებოდა ეგვიპტის ისტორია. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ამოიზიდებოდა ცხელი მიწიდან ვეებერთელა პირამიდები, ჩნდებოდა ფარაონთა სამარხები, იკვეთებოდა უმცირეს დეტალებში დამუშავებული გიგანტური ქანდაკებები, რომლებიც ისეთი მეტყველი სახით შემოგცქერიან, თითქოს ეს წუთია რაღაც გკითხეს და პასუხს ელოდებიანო. სასახლეები, ტაძრები, სვეტები, ოქროს ეტლები... ბოლოს ოსტატის სახელოსნო. სადღაც, ნილოსის ზედა წელთან. ოსტატი ძერწავს დედოფლის პორტრეტს. ყოველ შეხებაზე გული ისე უცემს, თითქოს ნამდვილ დედოფალს შეხებოდეს. ოსტატი ძერწავს და არ იცის, დალოცოს თუ დაწყევლოს ის წუთი, როცა დედოფალს პირველად მოჰკრა თვალი...

იმ დღესაც ასე იყო.

სამყარო დაიცალა. მერე ნილოსი გადაიჭიმა, როგორც ქვეყნიერების ცისფერი ძარღვი, და სიცოცხლემ მოძრაობა დაიწყო. ცხელი მიწიდან უკვე ამოიზარდა პირამიდები, გაჩნდა სამარხები, გამოიკვეთა ქანდაკებები... და ის იყო ოსტატი გულისფანცქალით შეეხო დედოფლის პორტრეტს, რომ კარზე კაკუნი გაისმა.

თვალი გავახელე, მაგრამ, სანამ გავძახებდი, მობრძანდით-მეთქი, ვარდენ მექვაბიშვილი თავისით შემოვიდა.

რაც ცოლი მოუკვდა, საწყალი სულ ასე უთავბოლოდ დაბორიალებდა და ადგილს ვერ პოულობდა. დროდადრო ჩემს ოთახში შემოეხეტებოდა, ჩლუნგ მზერას მომაპყრობდა, იდგებოდა ერთხანს მოწყენილი და ისევ გავიდოდა.

მე უკვე მიჩვეული ვიყავი მის ახირებულ ხეტიალს ოთახიდან ოთახში და ყურადღებაც არ მიმიქცევია. სამაგიეროდ, რაკი ხილვა ისევ გაქრა, წიგნი მოვიჩოჩე და კითხვა განვაგრძე. მავრამ სახლის პატრონი იმდენ ხანს იდგა ჩემს უკან უხმოდ და ისე თავგამოდებით ქშინავდა, რომ შევაღუე, რაღაც ჰქონდა სათქმელი, და ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. მაშინ იგი ახლო მოვიდა და ყურადღებით დააცქერდა ჩემს გაწლილ წიგნს. ერთხანს უყურა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ ერთ თვალთან მიიტანა, მერე მეორეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და ისევ ჯიბეში ჩაიდო. ამას რომ მორჩა, ხელებიც ჯიბეებში ჩაიწყო და ძმამე, დარდიანი ნაბიჯით რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში. დღესავით ნათელი იყო, რომ რაღაც ჰქონდა სათქმელი. რაღაც ისეთი, რისი თქმაც ძალიან უჭირდა. ბოლოს ჩემს წინ შეჩერდა, ნერვიულად ჩაახველა და ცოტა უფრო ხმამაღლა თქვა, ვიდრე მოსალოდნელი იყო:

— ვიცი, შენ გამიგებ ...

ამ სიტყვებზე ისევ ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, მაგრამ ამჯერად თვალების ნაცვლად ხელისგულები გაიშშნდა.

რაკი საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, წიგნი გვერდზე მივწიე, თავი ავიღე და ვკითხე, რა უნდა გაგიგომეთქი.

მან ჩემს მზერას გააყოლა თვალი და მოპირდაპირე კედელზე დედოფალ ნეფერტატის პორტრეტს მიაჩერდა.

პორტრეტმა ისე დაიინტერესა, თითქოს აქამდე არასოდეს ენახა. ახლო მივიდა და საფუძვლიანად დაუწყო თვალიერება. ხან აქედან შეხედა, ხან იქიდან. ხელიც კი მოიჩრდილა. უყურა, უყურა და თქვა:

— ოთახი უნდა დამიცალო.

წამით სახტად დავრჩი. რა გზიკმა უკბინა-მეთქი, ვიფიქრე, რატომ მითხოვს? ჩემზე უკეთეს მდგმურს ვის იშოვის? ათი წელია ვცხოვრობ აქ და მთვრალი არასოდეს მოვსულვარ, გვიან არასოდეს მოვსულვარ, ქალები არ მომიყვანია და ბინის ქირა არ დამიგვიანებია. მერე დავიჭვდი, იქნება ჩემდაუნებურად რამე ვაწყენინე-მეთქი, და ვკითხე კიდეც:

—ხომ არაფერი გაწყენინე, ვარდენ?

ამაზე ახტა და დახტა. მხურვალედ და, ჩემის აზრით, სავსებით გულწრფელად დამიწყო მტკიცება, რომ ასეთი ეჭვი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

რას ამბობ, კაცო! წყენა რა მოსატანია! ათი წელია სიამტკბილობით ვცხოვრობთ. ნეტა შენისთანა ბიჭები ბლომად იყვნენ ამ ქვეყანაზე. ხომ არაფერი გაწყენინეო! მაგ რამ გათქმევინა, შეკაცო, ღვიძლ ძმაში არ გამომერჩევი!

მერე, ცოტა რომ დამშვიდდა, ისევ ცხვირსახოცი მოიშველია და განაგრძო:

— ეს არის სამართალი? ჩემი საწყალი ნინელი საფლავში იწვეს და მე ქვეყანაზე დავდიოდე! მაგრამ ცხოვრებას უნდა გავუძლოთ, ძმაო; სხვა გზა არ არის. საწყალი ნინელი იყო ჩვენი პატრონი და მომხედავი. ახლა ორი მარტოხელა კაცი ვართ. ან სადილ-ვახშამს ვინ გაგვიკეთებს, ან ვინ დაგვირეცხავს, ან ვინ მოგვვლის. მე და შენ სიბინძურეში ამოვიხრჩობით. ამიტომ მე ასე ვიფიქრე: ქალს დავაყენებ ამ ოთახში. მოვძებნი ვინმე წყნარ, წესიერ სტუდენტ გოგოს. სახლს მაინც გამოხვეტავს ხანდახან ... ვიცი, შენ გამიგებ.

მე მშვენიერად გავუგე. უკვე მთელი ორი თვე იყო, რაც ცოლი მოუკვდა.

— კი, ვარდენ, გაგიგე. მართალია არ ყოფილა სამართალი ამ ქვეყანაზე, თორემ, საცოდაობა არაა, საწყალი ნინელი საფლავში იწვეს და შენ ცოცხალი იყო?!

ვარდენმა მწყრალად შემომხედა.

— მაგას რატომ მეუბნები, შე კაცო?

— საწყენი გითხარი რამე?

— ბიჭო! ცოცხლად ჩამდე საფლავში და საწყენი გითხარიო!

— ეს შენ თქვი, ვარდენ. მე ისე, ზრდილობის გულისთვის დაგემოწმე.

ვარდენმა არ დამიჯერა და ერთხანს კიდევ მიყურა დაეჭვებულმა თავისი მორჩილი, საწყალობელი თვალებით. ბოლოს მოლაპარაკება დასრულებულად ჩათვალა:

— აბა, აღარ გაგაცდენ მე.

ესა თქვა და გასვლა დაიპირა, მაგრამ კარს რომ მიაღწია, უცებ უკანეკნ მოტრიალდა, ხელი დედოფალ ნეფერტატია სურათისკენ გაიშვირა და მკითხა:

— ეს კინოვარსკვლავია?

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

— არა, ვარდენ. ეს ცისკრის ვარსკვლავია.

ვარდენმა უნდოდ შემომხედა.

— კაი ერთი!

აქ, ბატონებო, ერთ უჩვეულო გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. საქმე ის გაგლავთ, რომ დროდადრო, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი ხილული მიზეზის, ყოველგვარი ლოგიკური კავშირისა და, რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, უცნაური რაღაც დამეტაკებოდა, ქადაგად დავეცემოდი და არ იყო ძალა, ჩემი გაჩერება რომ შეძლებოდა. ვლაპარაკობდი უჩვეულო ენით, უჩვეულო ტონით, უჩვეულო გატაცებით, თითქოს ეს მე კი არა, ვიღაც უცხო სულიერი ჩამისახლდა სხეულში და ის ლაპარაკობდა. რა მემართებოდა, არ ვიცი: მკერდქვეშ მტკივნეულსა და საამო ღიტინს ვიგრძნობდი, მერე ნაწლავები გამიხურდებოდა და ამეწვებოდა. და იმავ წამს სადღაც სხეულის ღრმა ფენებიდან რაღაც დაიძვრებოდა. დაიძვრებოდა მძლავრად, როგორც ზღვის მოქცევა, წამოვიდოდა ზევით და მკერდსა და ყელში მომებჯინებოდა. და მე ვლაპარაკობდი. და გულწრფელად მჯეროდა ყველაფერი, რასაც ვლაპარაკობდი.

რას მოვაყოლე ეს ამბავი?

ჰო. მაშინ მომხვიდა ერთი შეტევა. სწორედ იმ დროს, როცა ვარდენ მექვაბიშვილმა დედოფალ ნეფერტიტის ცისკრის ვარსკვლავობა არ დაიჯერა და უნდოდ მომპაყრო ჩლუნგი, მწუხარე მზერა.

მკერდქვეშ მტკივნეული და საამო ღიტინი ვიგრძენი, ნაწლავები გამიხურდა და ამეწვა, სხეულის ღრმა ფენებიდან ზღვის მოქცევა დაიძრა და მკერდსა და ყელში მომებჯინა.

წიგნი დავხურე და წამოვდექი.

— ჩვენ ილუზიურ სამყაროში ვცხოვრობთ, ჩემო ვარდენ. ილუზიურ სამყაროში ერთადერთი ჭეშმარიტება არის ოცნება. ჩვენ კი ოცნებას ცხვირსახოცად ვხმარობთ: ამოვიღებთ ჯიბიდან და მჯახე ოფლს ვიწმენდთ. ჰაერი ოფლისა და ელექტრონის სუნით გაიღენთა. შეტეხილ წუხებული ღმერთები სამყაროს ცალ-მეში გაეჩინარდნენ და ახლა იქ, სამშვიდობოს გასულნი, მხრეს ეჩეჩავენ დ შუბლშეკმუხნული ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ადამიანმა, ამ უსუსურმა და უილაჯო არსებამ, მათს ყოველისშემძლე გავლენას თავი დააღწია. ადამიანი მანქანებისა და მჯახე ოფლის ანაბარა დარჩა. ნინელი მოკვდა, რათა ღმერთივით გაქცეოდა მჯახე ცხოვრებას, და შენ სიბინძურეში ამოიხრჩობი არა იმის გამო, რომ მომხედავი და სახლის დამლაგებელი არავინ გეყოლება, არამედ იმის გამო, რომ ნინელი მოგიკვდა. როგორც ოცნება, რომლითაც იატაკს გვიდი და ლოგინს ბერტყავდი. — აქ რატომღაც გამეცინა. არ ვიცი, იქნებ ჩემდაუნებურად ვარდენ მექვაბიშვილის სახის გამომეტყველებას მივაქციე ყურადღება. მერე განვაგრძე. — ოცნება ჩვენს უკან დარჩა ანთებული პროექტორივით. მაგრამ ჩვენი მოასფალტებული და კრიალა ქუჩები პროექექტორის შუქს ბეჯითად ირეკლავენ და უკანვე აბრუნებენ. ეს ქალი ამომავალი მზეა. ხედავ, შუბლზე ნათელი რომ ადგას?

მე შეჩერებას არ ვაპირებდი და არც პასუხს მოვითხოვდი, მაგრამ სახლის პატრონმა დამასწრო და უიმედოდ ამოილუღლუღა:

— აბა ნათელი?

რა თქმა უნდა, ის ნათელს ვერ ხედავდა. იმიტომ რომ ნათელი არ იყო. მაგრამ მე ვხედავდი.

— შენ თვალებზე ოფლი გაქვს ვადაკრული. მოაშე და მჯახე ოფლი. ამიტომ ვერ ხედავ. აი, ამ ადგილას ადგას ნათელი. როგორც ვვირგვინი. ერთი შეხედვით ყვავილწნულის ვვირგვინი გეგონება. მაგრამ ყვავილწნულისა არ არის. ეპითეტების ვვირგვინია. ეპითეტების ნათელი. ამ ქალის ქმარს ორშემოსავით თავი ჰქონდა, მაგრამ იმდენი კი ესმოდა, რომ მის ცოლს უჩვეულო ვვირგვინი უნდა ჰქონოდა, რადგან იგი უჩვეულო ქალი იყო. მოიწვია მთელი თავისი ნაზირ-ეზირები და ერთად დაიწყეს

ფიქრი იმაზე, თუ რისგან დაეწნათ გვირგვინი. დიდხანს იფიქრეს, მაგრამ ვერაფერი მოიგონეს, რადგან ყველა მათგანს ორშმოსავით თავი ჰქონდა. ბოლოს მოვიდა ღმერთი ცეცხლისფერქვეველი ღიმილით და თქვა, გვირგვინი ეპითეტებისაგან გააკეთეთო. სასწრაფოდ დაეზავნეს ხალხი ქვეყნიერების ყველა კუთხეში, მოაგროვეს, რაც კი ენაში სუკეთსო ეპითეტი იყო, და ღმერთმა საკუთარი ხელით დაწნა გვირგვინი. და დღეს ჩვენი ეპითეტები, რომლებითაც გულუხვად ვამკობთ ერთმანეთს, დაშრეტილ წყაროს ჰგავს, რადგან ყველაფერი, რაც კი მასში მყარი და სურნელოვანი იყო, იმ ვვირგვინს მოხმარდა. შეხედე ამ ქალს, ვარდენ. ჩამოიარეს თვალებიდან ოფლი და შეხედე. ეს ქალი რომ დაიბადა, იმ დროს დედამიწაზე ჯერ კიდევ იყვნენ ღმერთები. ღმერთები ნათელი ნაბიჯით მიმოდიოდნენ დედამიწაზე და სიწმინდე და უწმინდურობა მკვეთრად იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან. ღმერთები უადრესად ლმობიერები იყვნენ და ძალიან უბრალოდ ეჭირათ თავი. თბილი, ელვარე ღიმილით იღიმებოდნენ და დროდადრო, როდესაც გულზე სენტიმენტალური სევდა შემოაწვებოდათ, თავიანთ ღვთაებრივ ხელს ჰუმეყიან თავზე უსვამდნენ ადამიანს. მაშინ ღმერთებს ჯერ კიდევ უყვარდათ ადამიანი და არ გაუბრდნენ მას. და ეს ქალი, ვარდენ, ისევე როგორც მოგვიანებით იესო ქრისტე, გაჩნდა უკეთილშობილესი ღმერთისა და ულამაზესი ქალის კავშირის შედეგად. ამიტომ არის იგი ასე ნატიფი და სევდიანი. და ამიტომ არა გაქვს შენ უფლება უყურებდე მას შენი ოფლიანი და მჭახე თვალებით და ფიქრობდე იმაზე, თუ რა უბედური ხარ, რომ შენი ნინელი ცოცხალი აღარა გყავს.

სახლის პატრონი პირდაღებული იდგა და ისეთი სახით მიყურებდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, უკვე დროა გაქცევით უშველოს თავს, თუ ჯერ კიდევ არის იმის იმედი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის.

ამასობაში მეც გამოვერკვიე, ყველა გაწყვეტილი კავშირი აღდგა, სხეულიდან განდეგენილი სამყარო ისევ შეძერა სხეულში, როგორც ქუჩაში, ირგვლივ ყველაფერი დალაგდა და გახურებულ შუბლზე მსხვილ წვეთებად დამასხა ოფლმა.

ერთი სიტყვით, იმ დღეს ვარდენ მეტვანაშვილმა დაძლია თანდაყოლილი სიმორცხვე და თავისი გადაწყვეტილება გამომიცხადა. და თუ აქამდე ცოტა მაინც ქენჯნდა სინდისი იმის გამო, რომ უმიზეზოდ დამითხოვა, ჩემმა მონოლოგმა საბოლოოდ დაარწმუნა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

მე სხვა ოთახის ძებნას შევუდექი და კვირის თავზე ვიშოვე კიდეც. ქალაქის განაპირას, ერთ მიყრუებულ უბანში, ორი ვიწრო ქუჩის კუთხეში ახლაც ისევ ისე დგას ის ორსართულიანი სახლი და ახლაც ისევ ისე ჩივიან მისი მობინადრეები, არ ვიცით, რა წუთში ჩაპოგვენგრევა თავზეო.

მგონი მარიამს უნდა ჰქონდეს ოთახი გასაქირავებელია, უთხრა ჩემი შეკითხვის პასუხად ერთმა ცოცხიანმა ქალმა მეორე ცოცხიან ქალს. მეორე ცოცხიანმა ქალმა თავი დაუქნია, კი, ქალი მდგმური ამ ერთი კვირის წინ გაისტუმრაო, მერე მე მომიბრუნდა და დაუმატა, ზემოთ მიბრძანდით, მეორე სართულზეო. მე კიბეს ავუყევი. ცოცხიანმა ქალებმა ცნობისმოყვარე მზერა დამადევნეს.

ქალბატონი მარიამი მოხუცი დედაკაცი გამოდგა. გამხდარი, შავი და შავად შემოსილი. დიდი, მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა და პატარა, ღრმად ჩამსხდარი თვალები. თვალები იმდენად ღრმად ისხდნენ, გეგონებოდათ ვიღაცა ბნელი სოროდან მითვალთვალებსო. როცა გაიღიმა (გაღიმებით კი ჩემი დანახვისთანავე გაიღიმა), პირში, ქვედა მხარეს, წინა ორი კბილი გამოუჩნ-

ჯემალ ანარჩაძე
მდგმური

და: გრძელი და წვრილი, წვეტიანი კბილები. მეტი კბილი, მე მგონი, არც ჰქონდა.

კიო, მითხრა ქალბატონმა მარიამმა და თავით ფეხებამდე შემათვალიერა, მაქეს ოთახი, თუკი მოგეწონებაო. ამ სიტყვებით სველი ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და წინ გამიძღვა. სამზარეულო გავიარეთ და სულ განაპირა მხარეს მივადექით ჩემს მომავალ ოთახს. დიასახლისმა კარი შეაღო და შემიპატიჟა.

პირველი სიტყვა, რომელმაც ამ ოთახში შესვლისას თავში გამიელვა, იყო „სამარე“. თუმცა შემდეგ, როცა აქაურობას შევეჩვიე, ასეთი შეფასება ცოტა გადაჭარბებული მომეჩვენა. ეს იყო პატარა ოთახი, ვიწრო და გრძელი, როგორც დერეფანი, და უსაშველოდ მაღალი ჭერი ჰქონდა. უგერგილო მშენებლებს ფანჯარა ძალიან მაღლა გამოეჭრათ. მე არც ისე დაბალი ვარ, როგორც ზოგიერთები არიან, მაგრამ, ფანჯრიდან რომ გადამეხედა, ფეხის წვერებზე უნდა შევმდგარიყავი. ხოლო როცა ფეხის წვერებზე შევდექი და გადავიხედე, დავინახე ეზო, რომელიც, ეჭვი არაა, ერთ დროს მოასფალტებული უნდა ყოფილიყო და რომელშიაც ახლა ჯარისკაცებივით იდგნენ ერთ ხაზზე ჩამწკრივებული ნაგვის ვედროები.

ასეთი იყო ჩემი ახალი ოთახი.

ფასი — ოცდახუთი მანეთი.

მე და ქალბატონმა მარიამმა ერთ-ერთ კიდევ ვიბაასეთ სკამების, მაგიდისა და სხვა წვრილმანი საკითხების თაობაზე, მერე ბედ ათი მანეთი დავუტოვე და ვუთხარი, საღამოს გადმოვბარგდები-მეთქი. ქალბატონმა მარიამმა ბე დაუდევრად მიაგდო სამზარეულოს მაგიდაზე და ღიმილით გამაცილა კარამდე. უნდა მოგახსენოთ, ფრიად უსიამოვნო ღიმილი ჰქონდა, თითქოს მე კი არ მიღიმოდა, არამედ რაღაც ნაკლი მიპოვა და იმაზე ეღიმებოდა. სხვა მხრივ რიგიანი ქალი ჩანდა.

სამსახურის შემდეგ ჩემს ძველ ბუნაგს მივაშურე და ბარგის ჩალაგებას შევუდექი. კაცმა რომ თქვას, ჩასალაგებელი არც არაფერი იყო. მთელი ჩემი ავლადიდება ჩემოდანში ეწყო, ლოგინიღა მჭონდა შესაკრავი. მეც ლოგინის შეკვრას მივყავი ხელი: დავახვიე, დავაგორგოლე და ღვედი გადავუჭირე. მერე ჩვარი ავიღე, დედოფალ ნეფერტიტის სურათს მტვერი გადავწმინდე, ჩამოვსხენი, სუფთა ხალათში გავახვიე და ფრთხილად ჩავდე ჩემოდანში. ჩემოდანი დავკეტე და მივიხედ-მოვიხედე, ხომ არაფერი მავიწყდებაო-მეთქი. არაფერი მავიწყდებოდა. წასასვლელად მზად ვიყავი. ის იყო გავიფიქრე, ბარემ გავალ და სახლის პატრონს გამოვემშვიდობები-მეთქი, რომ ვარდენ მექვაბიშვილი თვითონ შემოვიდა. შემოვიდა დაუკაკუნებლად, წუნარად. კართან შეჩერდა, ოთახი შეათვალიერა და ნაღვლიანი კილოთი მკითხა:

— მიდიხარ უკვე?

— მივდივარ.

— ძალიან კი დამაკლდები თვალში.

— არაფერია. მაგ დანაკლისს სხვა შეგვივსებს. ვინმე წყნარი, წესიერი სტუდენტი გოგო. — მე არც მიცდია დამეფარა, რომ მისი გაუბედავი, თუმცა სრულიად ბუნებრივი და ადამიანური გადაწყვეტილების ნამდვილი აზრი ჩემთვის არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდა.

— კაი ერთი! ასე რატომ მელაპარაკები, შე კაცო?

— ისე, შენს ადგილას რომ ვიყო, ცოლის საფლავზე ხანდახან ყვავილებს მივიტანდი.

— ოჰ, აბა რას ვიზამ!

— მაშინ ყველაფერი რიგზე ყოფილა.

აქ ვარდენ მექვაბიშვილმა იმ ადგილს მიაპყრო თვალები, სადაც დედოფალ ნეფერტიტის სურათი ეკიდა, და მკითხა:

— ის სურათი რა უყავი?

— ჩემოდანში ჩავდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდენ მექვაბიშვილი აწრიალდა, ცხვირსახოცი ამოიღო, ხელისგულები გაიწმინდა, მერე ნერვიულად ჩაახველა და მითხრა:

— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.

— ჰო...

— დამიტოვე, რა იქნება ის სურათი!

მე სახტად დავრჩი და გაოცებულმა შეეხედე. მაშინ მან სასწრაფოდ დაუმატა:

— ვერ შეელევი?

რა ჭქონდა ამ კაცს გუნებაში?

— რად გინდა?

— რა ვიცი... ჩამოვკიდებდი კედელზე და ეკიდებოდა იქ...

მე ჩემი მონოლოგი გამახსენდა და გამეცინა.

სახლის პატრონმა ჩემი სიცილი სხვაგარად ახსნა და ვაჭრობა დამიწყო:

— არა. მუქთად კი არ მინდა. მითხარი, რა ღირს და, თუ ნამეტანი ძვირი არაა, უკან არ დავიხევ.

— ნამეტანი ძვირია, ვარდენ. სახლკარი რომ გაყიდო, მაინც ვერ აუხვალ.

ვარდენმა ეჭვით შემომხედა.

— კაი ერთი!

— კი, კი, ასეა. — მერე ღიმილით დაეუმატე: — რაღა ეს სურათი დამითმია და რაღა ეშშაკისთვის სული მიმიყიდია.

წელან იმას ვარკვევდი, საიდან დაიწყო-მეთქი ეს ამბავი.

რა გარკვევა უნდა!

ცხადია, აქედან დაიწყო.

მექანიკურად წამოვისვრით გაცვეთილ ფრაზებს და, თუ დავისჯებით, არ გვგონია.

სინამდვილეში ყოველ ფრაზას თავდაპირველი მნიშვნელობა აქვს შემორჩენილი.

ჩემი სიტყვები ჰაერის ტალღებს გაყვნენ, მთელ სამყაროში გაიშალნენ, შორეულ ჯურღმულებში ჩასაფრებული ძალები აშალეს და გააღიზიანეს.

წამით თვალთ დამიბნელდა. რაც კი ირგვლივ სახიერი და საჩინო იყო, ყველაფერი გაქრა. და უკიდეგანო სიცარიელეში ერთბაშად ხითხითი გაისმა. ხითხითი შორიდან წამოვიდა, ნელ-ნელა მოახლოვდა, სხეულში აუტანელ ღიტინად შემომიძვრა და ის იყო ვიფიქრე, ამ საშინელ ღიტინს ვერ გაუძლებ-მეთქი, რომ გონს მოვეგე.

ვარდენ მექვაბიშვილს ისევ ისე ღიმილით მივჩერებოდი. მაგრამ ეს ღიმილი ახლა უადგილო ნიღაბს ჰგავდა, კლოუნი რომ არენიდან გავა და საკუთარ ცოლს მეორე კლოუნთან წასწრებს.

სხეულში შხამივით მელვრებოდა ბუნდოვანი წინაგრძნობა, თითქოს რაღაც მომეკითხებოდა და მზად არ ვიქნებოდი.

ვარდენს არაფერი შეუმჩნევია; აღარც ვაჭრობა განუახლებია.

ჩვენ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ, ქუჩაში გამოვედი და ტაქსი დავიჭირე.

ასე დავტოვე ძველი ბუნაგი.

ქალბატონი მარიამის სახლთან ტაქსი გავაჩერე, ფული გადავიხადე და გადმოვედი. ბარგი რომ გადმომქონდა, ჩემი ნათქვამი გამახსენდა და უეცრად ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს თოკზე გამობმული ცხვარი ვიყავი და ვიღაცა დასაკლავად მიმათრევდა.

ტაქსი წავიდა.

მე წამით შევჩერდი ტროტუარზე და სული მოვითქვი. ცალ ხელში ღვედით შეკრული ლოგინი მეჭირა, მეორეში — ჩემოდანი.

უეცრად ჩემი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო.

არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ ჩემს წინ, ქუჩის პირას, ზედ სადარბაზო შესასვლელთან მანქანა იდგა. შავი, ლაპლაპა „ვოლგა“.

ლოგიკა და საღი აზროვნება ყოველგვარ სასწაულს გამორიცხავს, მაგრამ მე მაშინ შემეძლო დამეფიცა (და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც შემიძლია დავიფიცო), რომ, როცა ტაქსიდან გადმოვდიოდი, არავითარი მანქანა იქ არ ყოფილა.

რა ვიცი საიდან გაჩნდა!

მანქანის წინა მარჯვენა კარი ღია იყო.

მანქანაში არავინ იჯდა. სამაგიეროდ მანქანის გვერდით, ჩემკენ ზურგშექცევით იდგა ვიღაც ახალგაზრდა კაცი. მაღალი იყო, ჩამოსხმული. ორივე ხელით ღია კარს ჩამოყრდნობოდა და რაღაცას უყურებდა ზემოთ. ჩემი ვარაუდით მეორე სართულზე იყურებოდა, განაპირა აივნისაკენ. ეს აივანი ქალბატონ მარიამს ეკუთვნოდა.

ვიწრო, პატარა ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. არსად არაფერი მოძრაობდა. ჰაერიც კი სუნთქვაშეკრული და უძრავი ჩანდა. უძრავად იდგა ახალგაზრდა კაციც.

ახალგაზრდა კაცს ყვითელი შარვალი ეცვა, ყვითელი ფეხსაცმელები და ნაცრისფერი ხალათი. თავზე შავი კეპი ეხურა.

სწორედ ამ კეპმა მიიქცია ჩემი ყურადღება. კეპი კეპი იყო და მეტი არაფერი. სამაგიეროდ მისი ფერი არ იყო მხოლოდ ფერი და მეტი არაფერი.

შავი-მეთქი, გითხარით. ერთი შეხედვით მართლა შავი ჩანდა. მაგრამ თვალი ხომ სრულყოფილი ორგანო არ არის. შესაძლებელია ის, რაც მე კეპად მივიღე, სულაც არ ყოფილა კეპი, შესაძლებელია ეს მხოლოდ ფერი იყო, განყენებული, უსაგნო ფერი, ოღონდ იმდენად მკვეთრი, იმდენად მკვრივი, რომ მატერიად მივიღე და ქუდად მომეჩვენა.

იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ასეთი ფერი ბუნებაში არ არსებობს. ყველაფერი ის, რაც ჩვენს წარმოდგენაში შავ ფერს უკავშირდება, ამ კეპთან შედარებით ბაცი, ნათელი და გამშვერაველეც კი გამოჩნდებოდა. იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ ხალათიც შავი ეცვა და ნაცრისფერად მხოლოდ ამ კეპის გამო მომეჩვენა-მეთქი. არა, ასეთი ფერი არ არსებობს.

დავანებოთ ამას თავი. ეს ისეთი საკითხია, რომლის შესახებ კამათი ჯერ-ჯერობით ვითარ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს. მე თვითონაც გულით მინდა მიუდგომელი თვალით შევხედო ყოველივე ამას, მაგრამ, ეტყობა, ეს შეუძლებელია...

უძრავი სცენა ერთ წამს გრძელდებოდა. მე უცნობის მზერას გავაყოლე თვალი და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იგი სწორედ ქალბატონი მარიამის აივანს უყურებდა.

აივანზე არავინ იყო. შესაძლებელია, იყო კიდეც ვინმე და უკვე ოთახში შევიდა. მით უმეტეს, რომ უცნობმა მაშინვე მოაშორა თვალი აივანს და მანქანაში ჩაჯდა.

მაგრამ ეს პროცესიც, მანქანაში ჩაჯდომა, თავის მხრივ, რაღაცნაირი ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოძრაობა იყო და რამდენიმე უძრავი სურათისაგან შედგებოდა.

ახალგაზრდა კაცი დაიხარა და ჯერ გავა შესდო მანქანაში. კი არ შესდო, შეაგდო, როგორც დამოუკიდებელი საგანი, როგორც საზამთრო. მერე თავი შერგო და ბოლოს გრძელი ფეხებიც შეალაგა.

იმავე წამს კარი დაიკეტა და მანქანა დაიძრა.

არც მანქანაში ჩაჯდომა იყო რაღაც უნახავი სანახობა. ჩემი ნაცნობების უმრავლესობა და, ალბათ, თქვენი ნაცნობების უმრავლესობაც სწორედ ასე ჯდება მანქანაში. და, მიუხედავად ამისა, მე ამას ვუყურებდი, როგორც რაღაც უჩვეულოს, უაღრესად საინტერესოსა და შემაძრწუნებლად სასიამოვნოს.

ვიდექი ტროტუარზე, ცალ ხელში ლოგინი მეპირა, მეორეში—ჩემოდანი. თავზე მზე მაჭერდა და სულელური ინტერესით, გაუგებარი მღელვარებით ვუყურებდი, როგორ მისრიალებდა ქუჩის ბოლოსაკენ შავი „ვოლგა“.

წამით გონებაში გაჩნდა ვარდენ მექეანბეშვილი, რომელმაც რაღაც სულელური სიხარულით შეისრუტა ჰაერში გაბნეული სიტყვები: „რაღა ეს სურათი დამითმია და რაღა ეშმაკისთვის სული მიმიყიდია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მანქანამ მოსახვევს მიაღწია, უცნობმა სარკმლიდან თავი გამოყო და, თუმცა უკვე საკმაოდ შორს იყო და გარკვევით არაფერი ჩანდა, მოგვესალმა, თითქოს გაიცინა.

მერე შავი „ვოლგა" მოსახვევს მიეფარა.

მე ქალბატონი მარიამის აივანს შევხედე და უცებ გუნება გამიფუჭდა.

ალბათ გამოგიცდიათ ასეთი რამ, უეცრად რომ გულ-დვიძლი მოგეშხამებათ, სულში რაღაც ძაღე გრძნობა ჩაგისახლდებათ; რაც აქამდე სიხარულის მომნიჭებელი, მტკიცე დასაყრდენი და უტყუარი ამოსავალი წერტილი გეგონათ, ერთბაშად ხელიდან გაგისხლტებათ და ყველაფერი უაზროდ და ფუჭად მოგეჩვენებათ.

ხოლო მეორე წამს მიეხვდი, რომ ის, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მტკიოდა და მეწყოდა, თვალები იყო. მზე მაჭერდა, შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამომდიოდა და პირდაპირ თვალებში მეღვრებოდა.

ჩემოდანი ძირს დავდგი, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და თვალები მოვიწმინდე. მერე ჩემოდანს ისევ დავავლე ხელი და სადარბაზოში შევედი.

სადარბაზოში არავინ იყო. ამან ცოტათი გამაკვირვა. რატომდაც მეგონა ცოცხიანი ქალები ისევ აქ დამხვდებოდნენ. ეტყობა, პირველმა შთაბეჭდილებამ ისინი სადარბაზოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნია.

ჩემს თავზე გამეცინა და გზა განვაგრძე.

ქალბატონმა მარიამმა ღიმილით მიმაცილა ჩემი ოთახის კარამდე.

ყურადღებიან დისასხლისს ოთახი დაესუფთავებინა, იატაკი მოერეცხა, ზედმეტი ხარახურა გაეტანა და მხოლოდ აუცილებელი ნივთები დაეტოვებინა.

ასეთმა დედაშვილურმა მზრუნველობამ გუნება გამომიკეთა, შაკეპეიანი უცნობის უსიამოვნო მოგონება მეხსიერებიდან თანქმის მთლიანად იმოიშალა და მე ხალისით შევუდექი საქმეს. უპირველეს ყოვლისა, დედოფალ ნეფერტიტის სურათისთვის უნდა მიმეხედა. შევარჩიე კედელზე ისეთი ადგილი, სადაც ყველაზე მეტი შუქი სცემდა, მერე ეს ადგილი ჩვრით კარგად გავასუფთავე, ლურსმანი მივაჭედე და სურათი ჩამოვკიდე. ამის შემდეგ ლოგინი გავხსენი და საწოლზე დავალაგე, მაგიდა ფანჯრისკენ მივწიე, ჩემოდანი საწოლქვეშ შევაცურე და, როცა ყველაფერს მოვრჩი და იქაურობა დაკვირვებით მოვათვალიერე, გავიფიქრე, არც ისე ცუდი ოთახი ყოფილა, თავიდან რომ მომეჩვენა-მეთქი.

ქალბატონი მარიამი მთელი ამ ხნის განმავლობაში სამზარეულოში ფუსფუსებდა. იქ ტაფაზე ხორცი შიშხინებდა და კარის ყოველი ჭუჭრუტანიდან გამაღიზიანებელი სუნი შეაღწიოდა. შემწვარი ხორცის სუნი ერთხანს უაზროდ მიღიტინებდა ცხვირში და გაუბედავად უელოდა გარს რაღაც ბუნდოვან მოგონებას. მერე თანდათან ძალა მოიცა. მეხსიერებაში ბურუსი გაარღვია და მე ერთბაშად გამახსენდა, რომ იმ დღეს არ მისადილია. უბრალოდ, გადამავიწყდა სამსახურის შემდეგ ჩემი ფერები მოლიანად ბუნაგის გამოცლით იყო დაკავებული და ჭამა არ მომგონებია. ახლა კი შემწვარი ხორცის სუნმა ჟრუანტელივით დამიარა ტანში და ეგრძენი, რომ ძაღლივით მშიოდა. თუმცა დაღლილი ვიყავი, მაგრამ შიმშილმა დაღლა გადამავიწყა. სასწრაფოდ წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე, თან გონების თვალით ახლომახლო ქუჩებს დავუწყე თვალიერება, იქნებ სადმე სასადილო აღმოვაჩინო და შორს წასვლა არ მომიხდეს-მეთქი.

ამ დროს სამზარეულოდან ქალბატონმა მარიამმა დამიძახა.

— ბატონო! — გავეპასუხე ოთახი-

ჯემალ ჟარჩხაძე
ვდგეური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და გამიკვირდა, საიდან იცის-მეთქი ჩემი სახელი.

რაკი მეტად აღარ დამხმაურებია, კარი გავაღე და სამზარეულოში გავედი. პატარა მაგიდაზე, არ ვიცი, ახალი მუშამბა გადაეფარებინა თუ ძველი გადაეწმინდა საგულდაგულოდ, ყოველ შემთხვევაში, აქაურობა უფრო მყუდრო და ლამაზი მეჩვენა.

მაგიდის შუაგულში, ხის სადგარზე, ტაფა იდო და შემწვარი ხორცი ჯერ კიდევ შხეფებს ისროდა. უჩუმრად გადავყლაპე ნერწყვი და ხორცის გარდა შევნიშნე პური, მწვანილი, ყველი და ერთი ბოთლი ღვინო.

— ცოტა ხორცი შეგიწვი საუცხოოთოდ, — მითხრა ქალბატონმა მარიამმა და გამიღიმა, — მოშიებული იქნები.

შიმშილი შიმშილია, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, ამ ერთი წუთის წინ რომ ვინმე ყოველისშემძლე ჯადოქარი მოფრენილიყო და ეთქვა, ინატრე რაც გინდა და შეგისრულებო, ვეტყოდი, თუ შეგიძლია, სახლიდან ნუ გამიყვან, აქ გამიჩინე რამე საჭმელი-მეთქი.

— დიდი მადლობელი ვარ. სიმართლე გითხრათ, დღეს ფაციფუცში ჭამა სულ გადამავიწყდა. სწორედ ახლა ვაპირებდი სასადილოში წასვლას.

დიასახლისს ესიამოვნა, თავპატიჟი რომ არ გავიდე.

— დაჯექი. გადაიღე და ისე ჭამე, ვითომ საკუთარ სახლში ხარ. ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ. რაცა მაქვს, ღმერთია მოწამე, არ მენანება.

თხოვნა აღარ გავამეორებინე, სუფრას მივუჯექი და ჭამა დავიწყე.

— იფ, რა გემრიელია!

—მოგეწონა? — ღიმილით მკითხა დიასახლისმა.

— ძალიან. შესანიშნავია.

— ჭამე, შვილო. გაამოს.

— ადრე ვინ იდგა ჩემს ოთახში, ქალბატონო მარიამ?

დიასახლისმა ღვინო დამისხა.

— დეიდა მარიამი დამეძახე.

ეს ისეთი კილოთი თქვა, რომ თხოვნას არ ჰგავდა. მართალია, „ეურჩ“ იმას ვიტყვი, განკარგულება იყო-მეთქი, მაგრამ ერთგვარი კატეგორიულობა აშკარად ახლდა.

თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა!

— ბატონი ბრძანდებით, — უყოყმანოდ დავემორჩილე მე და ჭიქა ავიღე, — თქვენ გაგიმარჯოთ, დეიდა მარიამ. თქვენს კედელ-ყურეს გაუმარჯოს.

— იცოცხლე, შვილო!

მე დაუყვედრებელ ლუკმას ვგრძნობდი და მადიანად შევექცეოდი საჭმელს. დეიდა მარიამი ჩემს პირდაპირ იჯდა. ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად უხაროდა, თავი რომ ასე შინაურულად მეჭირა.

უცებ ის შავკეპიანი უცნობი გამახსენდა.

— დეიდა მარიამ, ის აივანი, სულ განაპირას, თქვენია არა?

— კი. ჩემია.

— მდგმური ხომ არ გიდგამთ იმ ოთახში?

— რომელში?

— რომელიც იმ აივანზე გადის.

— არა, შენს მეტი მდგმური არა მყავს.

— აბა, მაშ თქვენთან იყო ის შავკეპიანი კაცი?

დიასახლისმა ბოთლს დაავლო ხელი და ღვინო დამისხა. მერე მკითხა:

— რომელი კაცი?

— აქ რომ მოვედი, სადარბაზოსთან მანქანა იდგა. შავი „ვოლგა“. და ვიღაც ახალგაზრდა კაცი თქვენს აივანს უყურებდა.

— არ ვიცი, — თქვა დეიდა მარიამმა და სუფთა მუშამბას ჩვარი გადაუსვა, — შვილი არა მყავს და ძირი. ჩემთან ვინ უნდა ყოფილიყო?.. იქნებ ჩემს აივანს არ უყურებდა?

— კი, ნამდვილად თქვენს აივანს უყურებდა, — ეს რომ ვთქვი, უცებ ეშვმა გამკრა გულში, — ქურდი ხომ არ იყო?..

დეიდა მარიამმა ჩაიქირქილა.

— ღმერთმა მშვიდობა მისცეს ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ქურდს, ვინც კი ჩემს გასაქურდად მოვა. რა მაქვს და რა უნდა წაიღონ. დალე ღვინო.

ღვინო კი დავლიე, მაგრამ შავკეპიანი უცნობი ისევ შემოძვრა ჩემს გონებაში და მთელი საღამო აღარ მომშორებია.

იმ ღამეს სიზმარი ვნახე.

სიზმარში იყო ცხოვრება, რომელმაც ძილში გვერდი იცვალა და მთავარი საიდუმლო გამოუჩნდა. გარეგნულად როგორი იყო ეს ცხოვრება, ვერ გეტყვიით, რადგან მე იგი არ დამინახავს. სწორედ ამიტომ გითხარით, სიზმარში ცხოვრება „იყო“-მეთქი და არა „დავინახე“-მეთქი. დანახვით არ დამინახავს. უბრალოდ, ეს ყველაფერი ვიცოდი. საიდანღაც, როგორღაც. ვიცოდი, რომ ცხოვრებამ ძილში გვერდი იცვალა და მთავარი საიდუმლო გამოუჩნდა. ვიცოდი, რომ ამ საიდუმლოს, რომელიც არც ერთი მოკვდავის წილხვდომი არაა, მე ერთადერთი დავეუფლე. საგნებმა და მოვლენებმა ძველი ნიღბები ჩამოიხსნეს და ახალი აიფარეს. სინმენე ყველა ჯურღმულიდან ამოიხანა და ყველა ბუნდოვანება მკაფიო ზზრით შეიიმოსა. სიმსუბუქე ფრთებივით გამომესხა. და მე ვიყავი უსხეულო. და ჩემს უსხეულო არსებაში უხვ და უწყვეტ ნაკადად იღვრებოდა საიდუმლო ცოდნის სიამოვნება, ყოვლისმომცველი და გაუგონარი.

როგორც მოგახსენეთ, ეს მე არ მინახავს. ეს მე ვიცოდი. ეს ჩემში იყო, სანამ სიზმარი დაიწყებოდა.

ნახვით კი ვნახე ზღვა. ფართო, უკიდეგანო. მე შუა ზღვაში ვიყავი და ჩემს ირგვლივ ტივტივებდნენ ადამიანები, როგორც მოდრეიფე ყინულები. ადამიანებს უტყვი სახეები ჰქონდათ და ცდილობდნენ არ ჩაძირულიყვნენ. საითაც ტალღა გაგორდებოდა, ისინიც იქით მიგორავდნენ. საბოლოოდ კი მაინც ერთ ადგილას ტივტივებდნენ. რაც შემეხება მე, მე არ ვტივტივებდი. მე მივცურავდი ერთი გარკვეული მიმართულებით, რადგან გზის ბოლოს შუქურა მეგულებოდა. არ ვიცოდი, რად მინდოდა შუქურა, მაგრამ ვიცოდი, რომ მინდოდა. შემხვედრ ტალღას ვებრძოდი, გადამკვეთ ტალღას თავს ვარიდებდი. გულდანდობით მხოლოდ იმ ტალღას მივყვებოდი, რომელიც სავარაუდო შუქურისაკენ მიგორავდა. და მიცურავდი მხნედ და დაუღალავად... სანამ დეიდა მარიამმა ბოთლს არ წამოავლო ხელი და ღვინო არ დამისხა.

სიზმარი დამთავრდა.

სიზმარი დამთავრდა, მაგრამ ძილი ჯერ არ დამთავრებულიყო. და მე ძილშივე ვცდილობდი აღმედგინა ნანახი სიზმარი და გამეხსენებინა, რა იყო ის მთავარი საიდუმლო.

ვერაფრით ვერ გავიხსენე.

ვწვალობდი, ვიტანჯებოდი, ოფლში ვიცურავდი. ყველაფერი ამაო იყო. საიდუმლო ცოდნა დაიკარგა და ძილში ისე დავიღალე, თითქოს მთელი ღამე შეუსვენებლად მერბინოს.

ბოლოს, როგორც იქნა, გამომეღვიძა. თვალი გავახელე და გავიფიქრე:

„ნეტა იმ შავ მანქანას მართლა არ ჰქონდა ნომერი, თუ ჰქონდა და მე ვერ შევნიშნე?“

ეს ფრაზა არაფერთან არ იყო დაკავშირებული. იგი არ დაბადებულა. იგი უბრალოდ, იწვა ტვინში, როგორც თავმოკრეულ ქილაში, თითქოს გუშინ დამჩაჩა იქ და ახლა, რომ გავიღვიძე, ისევ დავინახე. ამავე წამს შავკეპიანი უცნობი გამახსენდა და თვალწინ კინოკადრივით ჩაიქროლა სცენამ: უცნობი მანქანაში ჩაჯდა. ჯერ გავა ბესდო, მერე თავი და ბოლოს ფეხები. და კარი მიიხურა.

„ნუთუ ყველა ასე ჯდება მანქანაში?

— გავიფიქრე და საწოლში წამოვჯექი,

— ნუთუ მეც ასე ვჯდები? არასოდეს დაკვირვებივარ. თუმცა რა არის აქ უცნაური! სავსებით ბუნებრივი მოძრაობებია. ერთი უნდა შევამოწმო. დღეს ტაქსით წავალ სამსახურში.“

ჯემალ ქარჩხაძე
ვდგეური

მერე სიზმარი გამახსენდა.

საწოლიდან გადმოვედი, ფანჯარას მივადექი და ფეხის წვერებზე ავიწიე. ნაგვის ვედროებთან ქალები იდგნენ, მათ შორის დეიდა მარიამი და გუშინდელი ცოცხიანი ქალები. შორს მთები მოჩანდა. მე მთებს დავაკვირდი და გავიფიქრე: „ნეტა იმ შავ მანქანას მართლა არ ჰქონდა ნომერი, თუ ჰქონდა და მე ვერ შევნიშნე?“

ცოტა არ იყოს, შეკშინდი. თავი გადავიქნევ, შუბლი მოვისრისე. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს აბეზარი ფრაზა ტვინიდან ამომეგდო და ისევ სიზმარს დავბრუნებოდი.

ის საოცარი განწყობილება, წყნარი და ნეტარი სიხარული, რომელიც ღამით ცხოვრების საიდუმლომ შემოიტანა ჩემს ახსოვრობაში, უკვე ჩემი აღარ იყო, მაგრამ სადღაც ახლოახლო მეგულებოდა. რამდენჯერმე გონების თვალით დავინახე კიდეც. დავინახე და ისევ დავკარგე. ხოლო რაკი ახლო იყო, ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ დავიჭერი და მერე ვეღარ გამექცეოდა. ოღონდ მალე უნდა დამეჭირა, თორემ ვატყობდი, თანდათან მშორდებოდა და უფრულდებოდა.

შეეცადე სიზმარი დეტალურად აღმედგინა. რამდენჯერმე გავადევნე თვალი თავიდან ბოლომდე. მაგრამ ფიქრის ძაფი მიწყდებოდა. ფიქრის ძაფს შავკეპიანი უცნობის ლაპლაპა მანქანა მიწყვეტდა. როცა მეგონა, სიზმრის ფესვებს მივადექი და საცაა დაკარგულ განწყობილებას დავიჭერ-მეთქი, ერთბაშად, ეპიზოდსა და ეპიზოდს შორის უფსკრულივით ჩამოდგებოდა შავი „ვოლგა“ და იძულებული ვხდებოდი ყველაფერი თავიდან დამეწყო.

ამასობაში ჩემი სიზმრის უცნაური განწყობილება საბოლოოდ გაიფანტა. დარჩა მხოლოდ გარსი, მშრალი ამბავი, უაზრო სიუჟეტი. და დეიდა მარიამი, რომელმაც რაღაც უჩვეულოდ სწრაფი მოძრაობით წამოავლო ბოთლს ხელი...

ისევ შემომეტია ფიქრებმა.

დეიდა მარიამის უჩვეულოდ სწრაფი მოძრაობა...

ამ ქალის დინჯი და მშვიდი მანერების ფონზე ეს ერთგვარი დისონანსი იყო, როგორც წითელი ლაქა გახამებულ საყელოზე. ეჭვი არაა, ეს მოძრაობა რაღაცის პასუხი იყო. დეიდა მარიამი რაღაცამ შეაკრთო და სწორედ იმით გასცა თავი, რითაც ამ შეკრთომის დამალვა სურდა.

რამ შეაკრთო?

ალბათ, ჩემმა საქციელმა, ან ჩემმა ნათქვამმა. სხვა რა შეაკრთობდა!

მაგრამ მე ასეთი რა ჩავიდინე, ან რა ვთქვი ასეთი?

შეეცადე გამეხსენებინა.

ვერ გავიხსენე.

სამაგიეროდ სულში უსიამოდ ჩამეწვეთა ბუნდოვანი ეჭვი, რომ ჩემს ირგვლივ რაღაც ხდებოდა...

... ნასადილევს, სამსახურიდან რომ ბრუნდებოდი, აღმართში ქალიშვილი შეგნიშნე. ხელში სტუდენტური ჩანთა ეჭირა და ჩემს წინ მიდიოდა. თხელი გოგო იყო, საშუალო ტანის. ღია წითელი ფერის გრძელსახელოებიანი ხალათი და ვიწრო ქვედაკაბა ეცვა. ოქროსფერი თმა უკან ყოჩივარდების თაიგულივით ჰქონდა შეკრული. წელში საოცრად გამართული მიაბიჯებდა და სიარულის დროს შოლტივით ტანს ოდნავ მიარხევდა. სახე არ დამინახავს, მაგრამ მაინც გამოვიცანი, როგორი სახე უნდა ჰქონოდა. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ გამოვიცანი. ეს რწმენა ემყარებოდა რომელიღაც დეტალს მის გარეგნობაში, თუმცა ჯერ კიდევ არ მქონდა გააზრებული, რა იყო ეს დეტალი. გზაჯვარედინთან ქალიშვილმა მარცხნივ გაუხვია. ჩემი გზა მარჯვნივ მიდიოდა. სანამ მეც შევუხვევდი, ერთხელაც მივხედე და უცებ მივხვდი: მხრები! მხრები იყო მთავარი მის გარეგნობაში, საოცრად სწორი, საოცრად თხელი, ოთხკუთხა მხრები, ეგვიპტურ ფრესკებზე რომ მინახავს, ისეთი. ამ აღმოჩენით აღფრთოვანებული ერთხანს ვიდექი ასე და ვუყურებდი ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს. ბოლოს ჩემს ქუჩას გავუყვეი და გავიფიქრე: „ნეტა იმ შაგ მანქანას მარილი არ ჰქონდეს ნომერი, თუ ჰქონდა და მე ვერ შეკნაშნე?“

სწრაფი ნაბიჯით ავედი ჩემს ოთახში, „არი მეჩიდრიდ მიეხურე, მაგიდას მიეუჯექი და თავი ხელებში ჩავრგე. დიდხანს ვიჯექი ასე. ეჭვიც კი აღარ მეპარებოდა, რომ ჩემს ირგვლივ რაღაც იდუმალი ამბები ხდებოდა. ტკივნი გუგუნებდა, როგორც ვულკანი, და გავარვარებულ ლავასავით აფრქვევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს. უაზროსა და აზრიანს, არაფრის მთქმელსა და რაღაცის მიმნიშნებელს. ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი და გულდინჯად გამეანალიზებინა ყველაფერი, მაგრამ ყოველ ცდა გავარვარებულ ლავაში იფერფლებოდა.

უცებ ელექტროდენივით დამკრა რაღაცამ.

ეს იყო დაგვიანებული გახსენების ელვა.

ალბათ, თქვენც გამოგიცდიათ ასეთი რამ. ვთქვათ, ზუსტად ხუთ საათზე იყავით მისასვლელი ისეთ ადგილას, სადაც თქვენნი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, და თქვენ ეს ამბავი ექვსის ნახევარზე გაგახსენდათ. ეს გახსენება დაგკრავთ, როგორც ელვა, თითქოს ტკინში მინიატურული ატომური აფეთქება მოხდაო. გრძნობთ, როგორ მიმოიფანტება ყოველ მხარეს ნაპრწყლები. გავარვარებული ნაკვერჩხლები შიშხინით გაიღლის მთელ სხეულში და თქვენ შეძრწუნებული ზეზე წამოვარდებთ.

მე შეძრწუნებული წამოვვარდი ზეზე. გამახსენდა, რომ იმ დღეს დედოფალ ნეფერტიტის სურათზე მტვერი არ გადამიწმენდია.

თითქოს საგანგაშო არაფერია. ბოლოდაბოლოს, მტვერი გამქვარვალე ქაღალდს ედებოდა და არა თვითონ სურათს. მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, ცოტა ცრუმორწმუნე კაცი ვარ და ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ, თუ ყოველ დილით სურათზე მტვერს არ გადავწმენდდი, რაღაც საშინელი უბედურება დამატყდებოდა თავს.

სასწრაფოდ ავიღე ჩვარი და სურათი ფაქიზად გავწმინდე. მაგრამ გუნება უკვე მოშხამული მქონდა. ასე მეგონა, ვიღაცის ნასროლ ბადეში გავიხლართე და უკან გამოსვლა ვეღარ მომეხერხებინა.

და უეცრად კვლავ ვიხილე თოკგამობმული ცხვარი, რომელსაც ვიღაცა მიათრევდა. ოღონდ ამასწინანდელი ხილვისაგან განსხვავებით, ამ ვიღაცას წვრილი, ხვრელებში ღრმად ჩამსხდარი თვალები ჰქონდა და თავზე შავი კეპი ეხურა.

ერთბაშად ხმამაღლა გავიფიქრე:

„არა, უნდა წავიდე აქედან“.

ეს აზრი, ეტყობა, დილიდანვე მწიფდებოდა გონებაში. ახლა იგი ჩამოყალიბებულ და ცნობიერ ფრაზად იქცა.

მაგრამ ამ აზრის საქმედ გადაქცევა არც ისე იოლი იყო. გუშინდელი გადმობარგებული რომ დღეს ხელახლა ავბარგებულიყავი, მტკიცე და საფუძვლიანი მიზეზი უნდა მქონოდა. იმას ხომ ვერ ვეტყოდი დიასახლისს, ჩემი აზრით აქ რაღაც ბნელი ამბები ხდება და ამიტომ მივდივარ-მეთქი. ცუდი და უცხვირპირო ქალი რომ ყოფილიყო, არც ავიტკეიდი თავს მიზეზების ძებნით. მაგრამ დედა მარიამი ისე შემხვდა, როგორც დიდხნის მონატრებული შვილს, ამიტომ მიზეზიც ისეთი უნდა მომეძებნა, წყალი რომ არ გაუვდოდა.

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე. მაშინ გადავწყვიტე, იდუმალების ნიღაბს ავიფარებ-მეთქი. ვითომ ისეთი მიზეზი მაქვს, გამხელა რომ არ შეიძლება. ბოლოსდაბოლოს, ყველაზე დამაჯერებელი საბუთი ხომ ის საბუთია, რომელსაც მალავ.

ამ გადაწყვეტილებით მივადექი დიასახლისის ოთახს და დავაკაკუნე.

— შემოდი, შვილო, შემოდი! — გამომძახა დედა მარიამმა.

შეევდი. ეს ის ოთახი იყო, აივანზე

ჯემალ ქარჩხაძე
ვდგამური

რომ გადიოდა, და მე კვლავ მომაგონდა შავკეპიანი უცნობი და მისი მანქანა.

— რა შეწუხებული სახე გაქვს, ხომ არაფერი გჭირდება? — მკითხა დედა მარიამმა.

მე ერთხელ კიდევ ვინანე, რომ ეს ქალი ასე დედაშვილურად მეპყრობოდა, მერე გამბედაობა მოვიკრიბე და სათქმელი ვუთხარი:

— დედა მარიამ, უნდა გადავიდე თქვენი სახლიდან.

დიასახლისი სწრაფად წამოდგა სკამიდან და მე გუშინდელი ეპიზოდი გამახსენდა, ღვინის ბოთლს რომ წამოავლო ხელი.

— რა მოხდა, დედა? — ამ სიტყვებით თვალი თვალში გამიყარა და, სანამ რამეს ვიტყოდი, თვითონვე განაგრძო, — ვიცი, გეძვირება ოთახი. იმხელა ხელფასი სად გექნება, ოცდახუთი მანეთი იხადო თვეში. ხომ ასეა?

დედა მარიამი გაჩუმდა და ხელები მკერდზე დაიკრიფა. ახლაღა შევნიშნე, რომ ფრჩხილები გრძელი და წვეტიანი ჰქონია.

— ხომ ასეა? —გაიმეორა მერე.

მე წვეტიან ფრჩხილებს თვალი მოვარიდე და უცებ ავწონ-დავწონე ყველაფერი. ეს მართლა კარგი იდეა ჩანდა. ამაზე უკეთესი მიზეზი რა უნდა ყოფილიყო. სად შეუძლია ერთი პატარა ბიუროს საცოდავ ვირთხას თვეში ოცდახუთი მანეთის გადახდა?

— ასეა, დედა მარიამ. დღეს წერილი მომიტანეს სამსახურში. ძველ მისამართზე მისულიყო. სახლში ხომ ახალი მისამართი ჯერ არ იციან. მამაჩემი მწერს, ამ ბოლო დროს ცოტა ხელმოკლედ ვართ და ვეღარ დაგეხმარებიო.

დედა მარიამმა წყნარად გაიცინა.

— თხუთმეტ მანეთს გადაგახდევინებ თვეში.

მე სახტად დავრჩი. ეს სრულიად მოულოდნელი პასუხი იყო. „იდუმალებით მოცული“ მიზეზი კი ახლა უკვე აღარ გამოდგებოდა. პირდაღებული მივჩერებოდი დიასახლისს და ხმას ვერ ვიღებდი.

დედა მარიამმა ჩემი დუმილისგან, როგორც ჩანს, ის აზრი გამოიტანა, რომ თხუთმეტ მანეთზეც ვერ დავყაბულდებოდი, და იმწუთასვე დაუკლო.

— ათი მანეთი იყოს, — ღიმილით მითხრა და ბეჯზე მომითათუნა ხელი. — რა დაგიმალო და, ჩემთვის ფული არცაა მთავარი. პენსია იმდენი მაქვს, ერთ ბებერ ქალს თავისუფლად ეყოფა. მე ხმის გამცემი მინდა. ხმის გამცემიც არ მინდა. ის მინდა, რომ ჩემს გარდა კიდევ იყოს სახლში ვიღაც სულელი. როცა ვიცი, მარტო არა ვარ, გული დამშვიდებული მაქვს.

ქვა ხომ არ ვიყავი! შემეცოდა მოხუცი, მარტოხელა ქალი. ვინ იცის, რა შიშით შეძვრებოდა ყოველ ღამე ლოგინში, როცა ირგვლივ სიბნელე ჩამოწვებოდა და ფანტაზია ათას საშიშსა და შემზარავ სურათს ხატავდა მის დამფრთხალ, გამოფიტულ გონებაში. ვინ იცის, რამდენჯერ გაღვიძებია შემკრთალსა და გულგახეთქილს და მერე გათენებამდე თვალზე რული აღარ მიკარებია.

არა. ახლა ჩემი წასვლა სულმდაბლობა იქნებოდა. მართალია, ჩემთვის არავის დაუვალებია, ამ ქალზე იზრუნო, მაგრამ სინდისი მბორკავდა. მით უმეტეს, რომ ის ვითომდაც „იდუმალი ამბები“, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა და რის გამოც ამ სახლიდან წასვლას ვაპირებდი, სინამდვილეში ხომ ჩემი მოჩმახული იყო! დიდი ამბავი, თუ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რაოდენ შავიც არ უნდა იყოს მისი კეპი, თავის მანქანასთან იდგა და დედა მარიამის აივანს უყურებდა. დიდი ამბავი, ოუ ჩემს სიცხისაგან გათანგულსა და ოფლისაგან ამღვრეულ თვალებს მოეჩვენა, ვითომ ის მანქანა იქ არ იდგა და უეცრად გაჩნდა. დიდი ამბავი, თუ შავკეპიანი უცნობი საოცრად მოხდენილი მოძრაობით ჩაჯდა მანქანაში. დიდი ამბავი, თუ მერე მთელი ჩემი არსება ამან დაიპყრო და ამიტომ დედოფალ ნეფერტიტის სურათზე მტკრის გადაწმენდა დამავიწყდა. ყველაფერი ეს ახლა სისულელედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენებოდა. და მრცხვენოდა, რომ ავადმყოფურ ფანტაზიას ასე იოლად ავყევი და, ღმერთმა იცის, რა არ ვიფიქრე.

გარდა ამისა, აქ უკვე საქმეში გარეული იყო ისეთი მყარი ცნება, როგორიცაა თხუთმეტი მანეთი. თვეში თხუთმეტი მანეთი არ არის ისეთი უმნიშვნელო რამე, რომ გულგრილად აუარო გვერდი და შენი გზით წახვიდე. თხუთმეტი მანეთი არის თხუთმეტი მანეთი. მე კი რა ხანია ვოცნებობდი ეგვიპტეში წასვლაზე. ეგვიპტე ჩემთვის აღთქმული ქვეყანა იყო. ქვეყანა, რომელმაც ნატიფი და ლმობიერი ღიმილით აჩუქა მომავალ საუკუნეებს უჩვეულო სილამაზე, როგორც გამაფრთხილებელი შედარება, როგორც ირონიული ქარაგმა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ტექნიკური პროგრესს ყველაფერი ანაცვალო.

ეგვიპტე — ქვეყნიერების პირამიდა. მე ისე მენატრებოდა ეს ქვეყანა, როგორც დიდი ხნის წინ მიტოვებული სამშობლო მოენატრება კაცს. და ეს თხუთმეტი მანეთი, რომელიც ყოველ თვე შემეძლო გადამენახა, ამ მხრივ ახალ პერსპექტივებს მიშლიდა.

ყველაფერი ერთ წამში ავწონ-დავწონე, დიასახლისს მადლობა გადავუხადე და უკან გამოვბრუნდი.

დეიდა მარიამი ღიმილით მიყურებდა, სანამ არ გამოვედი და კარი არ გამოვიხურე.

ჩემს ოთახში რომ შევედი, უეცრად ერთი აზრი დამებადა. ეს აზრი ისე უცნაურად და უალაგოდ გამიჩნდა, რომ მეგონა რაღაც გარეშე ძალამ შთამაგონა, ვიღაცამ უკითხავად შემომაჭიჭიმეთქი. მე გავიფიქრე: „აქამდე რატომღაც მეგონა, რომ მანქანა რჩეულთა ხვედრია. რჩეულები კი რჩეულები არიან ან თავიანთი სიმდიდრით, ან მამათა სიმდიდრით, ან ბედის ღიმილით. მაგრამ თუ კაცი ამ საკითხს საგანგებოდ დაუფიქრდები, აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში ასე არ არის საქმე. მანქანის შეძენა მდიდარი მემკვიდრეობის გარეშეც შეიძლება. საჭიროა მხოლოდ დრო და ნებისყოფა“.

ამ ფიქრმა თავში ისე გამიარა, უცხო კაცი რომ გაიელის ეზოში. ღმერთმა იცის, საიდან მოდის და საით აპირებს წასვლას.

თუ მზიანი დარი დგას და ეზო მშრალია, კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ნაწვიმარია...

ჩემი ეზო სწორედ ნაწვიმარზე გადაჭრა უცხო კაცმა და თავისი სქელლანჩიანი, უხეში ფეხსაცმელების ღრმა კვალი დატოვა.

უცხო კაცი თავისი გზით წავიდა და იმ დღეს მის კვალს აღარ შეეფწეხებივარ. მგონი გადამავიწყდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, საღამომ წყნარად და უშფოთველად ჩაიარა. თუ იმას არ ჩავთვლით, რომ წიგნის კითხვას გული ვერ დავუდე.

მეორე დილით დედოფალ ნეფერტიტის სურათი ჩვრით გადავწმინდე და სამსახურში წავედი.

სამსახურის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, დიეტურ სასადილოში შევედი და ვისადილე. ოღონდ მეორე თავი კერძი არ მომათხოვია, მარტო ბორშჩი დავხვრიპე. სიმართლე რომ გითხრათ, არც ბორშჩი მინდოდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე, ვიცოდი საღამოს მომშივდებოდა და სახლიდან გამოსვლა დამეზარებოდა.

მერე შინ დავბრუნდი.

მთავარი ქუჩიდან რომ გადავუხვიე და აღმართს შევუდექი, ის ქალიშვილი გამახსენდა, გუშინ რომ შოლტივით ტანს მიარხევდა ჩემს წინ და ოქროსფერი თმა და ეგვიპტური მხრები ჰქონდა. მივიხედ-მოვიხედე. ქუჩა დაკვირვებით მოვათვალიერე. ქალიშვილი, რა თქმა უნდა, არსად ჩანდა. არ ვიცი რისი იმედით, მაგრამ რატომღაც მეგონა, ისევ შევხვდები-მეთქი და, რომ ვერსად დავინახე, იმედგაცრუებული დავრჩი. გზაჯვარედინთან კიდევ მოვტრიალდი

ზურგალ ქარჩხაძე
მდგმური

და დაღმართს თვალი მოვავლე. მერე მარცხნივ გავიხედე, საითაც გუშინ წავიდა, და ჩემდა გასაოცრად და სასიხარულოდ მართლა დავინახე. მშვიდი ნაბიჯით მოდიოდა და შოლტივით ტანს ოდნავ მოარხეული. გზაჯვარედინს რომ მოადგა, ქალიშვილმა თავი აიღო და შემომხედა. ალბათ, ჩემი დაჟინებული მზერა თუ იგრძნო. მეც არ დავაყოვნე და ურცხვად გავუღიმე. მაშინ ქალიშვილს სახეზე სიწითლემ გადაკრა, სწრაფად ამარიდა თვალი და დაღმართს დაუყვა. მე კი ვიდექი და ქარაფშუტა ყმაწვილივით უტიფრად და მოურიდებლად ვუყურებდი მანამ, სანამ თავდაღმართი არ ჩაათავა და თვალს არ მიეფარა. მერე მშვენერი ხასიათზე დავდექი და ღიღინ-ღიღინით გავუდექი გზას შინისაკენ.

მაგრამ ჩემს ოთახში ისევ წავაწყდი სქელლანჩიანი, უხეში ფეხსაცმელების კვალს და ოქროსთმიანი ქალიშვილი წამსვე გადამავიწყდა. გონებაში ისევ ამოტივტივდა გუშინდელი ფიქრი მანქანისა და ბეღის ღიმილის შესახებ. ოღონდ ამჯერად ეს ფიქრი გარედან არ შემოუტანიათ. ჩემივე სხეულის ღრმა ფენებიდან ამოძვრა და ტკივნში მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

და ჩემთვის ნთელი შეიქნა, რომ უცხო კაცის კვალი შავკეპიანი უცნობის კვალი იყო, ხოლო ფიქრი მანქანის შესახებ — მისი ლაპლაპა „ეოლგის“ ანარეკლი. შავკეპიანი უცნობი მოხდენილი მოძრაობით ჩაჯდა მანქანაში. ეს მოხდენილი მოძრაობა, რომელიც უსხეულო სურათად შემოვიდა ჩემს არსებაში, ეტყობა, იქ რაღაც ნერვს წამოეღო, გააღიზიანა და წონასწორობიდან გამოიყვანა.

მე უკვე ვიცოდი, რომ კუკუდამალობანს თამაშს აზრი აღარ ჰქონდა. გადაწყვეტილება მიღებული იყო. ჩემი ქვეცნობიერი არსება, უბრალოდ, ერთბაშად არ მიმხელდა ამას, ნელ-ნელ: მაპარებდა, მაჩვენდა.

და მე ვფიქრობდი: „მანქანით შეგიძლია ისეთ გზაზე იარო, რომელზედაც ფეხით ვერ იარ. მანქანიანი კაცი ფეხიანი კაცისგან რისხობრივად განსხვავდება უმანქანო კაცისაგან. მანქანიანი კაცი სხვა ჯიშის კაცია. როცა მანქანა გაქვს, ფეხითაც კი შეგიძლია ამაყად თავაწეულმა იარო. სხვის მანქანაში ვერ ჩაჯდები ისე მოხდენილად, როგორც შენსაში. მანქანა გაძლევს საკუთარი თავის რწმენის და გათავისუფლებს ყოველგვარი კომპლექსისაგან“.

რაკი არხი იპოვეს, ფიქრები უფრო ლაღად წამოვიდნენ და უფრო დალაგებულად გამწკრივდნენ ჩემს წინ.

„რომელმა იდიოტმა მოიგონა, თითქოს მანქანა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყოს? ალბათ ისეთმა მორცხვმა და უსახურმა იდიოტმა, რომელიც ყველას შიშით უყურებდა, ყველა თავისზე ძლიერი ეგონა და საკუთარი ეილაჯობის გრძნობა მთელი სიცოცხლე მაჯლაჯუნასავით აწვა. არა, ბატონო იდიოტო! მანქანის შეძენა შეუძლია ყველას, ვისაც საკმაო ნებისყოფა და მოთმინება აქვს“.

აქ ფიქრი შევწყვიტე და საკუთარი ნებისყოფისა და მოთმინების კრიტიკულ ანალიზს შევუდექი. კარგა ხანს ვიხრიკე და ვუკერკეტე, გულმოდგინედ ვთვალიერე ყოველი მხრიდან და, ბზარი რომ ვერსად ვუპოვე, კმაყოფილი დავრჩი.

მერე მაგიდას მივუჯექი, კალმისტარი და სუფთა ფურცელი ავიღე და ანგარიში დავიწყე.

ვანგარიშობდი დიდხანს. ვანგარიშობდი რაღაც უცნაური გატაცებითა და აზარტით.

ამოსავალი პუნქტი იყო ასი მანეთი, ჩემი ხელფასი.

მეც დავიდე წინ ეს ასი მანეთი, როგორც ყასაბი დაიდებს ყელგამოღადრეულ ცხვარს, და გულმოდგინედ შევუდექი მის დამუშავებას. მარჯვე და გამოცდილმა ყასაბმა კარგად იცის, რა ნაჭრები შეიძლება აიცალოს ცხვარს ისე, რომ თვითონაც ისარგებლოს და არც მუშტარი დაკარგოს. ეს კია, როცა მუშტარი საკუთარი თავია, თვალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩვეკა ჭირს და ყოველ ტყუილს მტკიცე საბუთებით უნდა გამაგრება.

მეც ვამაგრებდი.

ახლა ყველაფერი ეს ცოტა უცნაური ჩანს, ცოტა სასაცილო და ცოტა შემაძრწუნებელი. მაშინ კი ცხოვრების ერთადერთი მყარი გზა იყო.

და ყასაბი ღიღინით აცლიდა ცხვარს ზედმეტ ნაჭრებს და ფიქრობდა, რომ ლუდი ჯანმრთელობისათვის ფრიად მაგნებელი სასმელია, რომ მუცლის აღორება არ ვარგა და რომ დახუთულ ავტობუსში ჯდომას კაცმა სუფთა ჰაერზე ფეხით სიარული უნდა არჩიოს.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

როცა მეგონა, უკვე ყველაფერი დავიანგარიშე და ახლა შეჯამების დროამოთქი, უცებ პაპაროსი გამახსენდა.

ამან საგონებელში ჩამაგდო. რა თქმა უნდა, თამბაქო გაცილებით უფრო მავნებელია, ვიდრე ლუდი, ვიდრე ბევრი ჭამა და ვიდრე დახუთულ ავტობუსში ჯდომა. ეკონომ მხრივ, თამბაქო არც კატლეტია და არც ერთი ზედმეტი ნატეხი შაქარი, რომ უპარალოდ და მშვიდად თქვა უარი და შემდეგ საკითხზე გადახვიდე.

მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ ეს პრობლემაც გადავეჭერი. ვიფიქრე, თუ საკმაო ნებისყოფა არა მაქვს, ისა სჯობს, ახლავე ავიღო ხელი ამ საქმეზე და ბედს შევუურგიდე. ხოლო თუ საკმაო ნებისყოფა მაქვს, დაე ამის დამამტკიცებელი საბუთი პაპაროსის მიტოვება იყოს-მეთქი.

მერე დანაზოგი კაპიკები შევაჯამე.

გამოირკვა, რომ ერთი სერიოზული, დაკვირვებული ანგარიშით, რასაც სულ რაღაც ორი-სამი საათი სჭირდება, თურმე შეიძლება კაცმა თვეში დაზოგოს ორმოცი მანეთი.

საქმისათვის რომ ხალისი მომეცა, რეკორდი დავაწესე: თუ რომელიმე თვეში ცოტა მეტს დავზოგავდი, ეს თვე სარეკორდოდ გამოცხადდებოდა და მერე მომდევნო თვეებს საშუალება ექნებოდათ ებრძოლათ ამ რეკორდის მოსახსნელად.

ფრიად კმაყოფილი დავრჩი ჩემი ანგარიშით.

თვეში ორმოცი მანეთი, წელიწადში ოთხას ოთხმოცი მანეთია. ათ წელიწადში — ოთხიათას რვაასი მანეთი. თუ იმასაც ვიგულისხმებთ, რომ შვებულეს სოფელში გავატარებ მამაჩემთან და ამგვარად მთელი ხელფასი დამეზოგება...

არა, ეს არ იყო ვლახაკისა და ქილა ერბოს ზღაპარი.

ჩემს გადაწყვეტილებას რეალური ანგარიში ედო საფუძვლად.

მეც გულდაგული შევუდექი საქმეს.

პირველივე თვე სარეკორდო გამოდგა: ორმოცდაოთხი მანეთი და სამოცი კაპიკი დავზოგე და თავსაც ჩინებულად ვგრძნობდი. უშაქრო ჩაი გემრიელი იყო, ფეხით სიარული მაკაჟებდა, ნაკლები ჭამა სულიერ ძალებს მოქმედების ასპარეზს უფართოებდა.

მომდევნო სამ თვეს, მართალია, რეკორდი არ მოხსნილა, მაგრამ გეგმა კი პირნათლად სრულდებოდა.

კრიზისი მეოთხე თვეს დამეწყო.

როგორც გამოირკვა, ჩემი ანგარიში მთლად უნაკლო არ ყოფილა. ჯერ ერთი, ეგრეთწოდებული „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ გაჩნდა: ერთ თანამშრომელს მამა მოუკვდა და ფული შევუგროვეთ, მეორე თანამშრომელი გათხოვდა და იმასაც ფული შევუგროვეთ.

გარდა ამისა, უკვე აღარც უშაქრო ჩაი მრგებდა, აღარც ნაკლები ჭამა და აღარც ფეხით სიარული. თვალდადვთალ ვსუსტდებოდი და ფერს ვკარგავდი.

პაპაროსს შედარებით იოლად გადაეჩვიე. შეიძლება ეს ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ პაპაროსი ჩვევაა, სმა-ჭამა კი მოთხოვნილება. უპაპიროსობა მხოლოდ პირ-

ჯემალ ქარჩხაძე
მწდგეური

ველ თვეს მიჭირდა. პირველ თვეს კი ყველა გასაჭირს ენთუზიაზმი ედებოდა მალამოდ. ხოლო როცა ენთუზიაზმი დაიღალა და მის ზურგს ამოფარებული საგნები თავიანთი ნამდვილი სახით გამოჩნდნენ, პაპიროსს უკვე გადაჩეული ვიყავი. გადაჩვევა ხომ, ისევე როგორც მიჩვევა, მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკის საქმეა. მას შემდეგ ათასში ერთხელ თუ გამკრავდა გულში მოწევის სურვილი, ათასში ერთხელ თუ მომაგონდებოდა, რაოდენი ნეტარებაა, სიგარეტს რომ მოქაჩავ და ბოლს ღრმად შეისუნთქავ. მომაგონდებოდა და იქვე მავიწყდებოდა.

შიმშილი არ მავიწყდებოდა.

შიმშილი მაწვალებდა და მეც მიეხვდი, რომ გაჯიუტებას აზრი არ ჰქონდა. ბოლოსდაბოლოს, რა თავში ვიხლიდი მანქანას, თუკი სული ამომძერებოდა.

ავდექი და ძველი ნაანგარიშევი ხელახლა გადავიანგარიშე. საბოლოოდ დასაზოგი თანხა ოცდაათ მანეთამდე ჩამოვიდა. მართალია, ამით მანქანის შეძენის ვადა რამდენიმე წლით გადაიწევდა, მაგრამ სამაგიეროდ იმ ნანატრ დღეს ჯანმრთელი და საღ-სალამათი შეეხვდებოდი.

ამგვარად, გაიარა პირველმა ენთუზიაზმმა, მომდევნო კრიზისმაც და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩაიგა.

კვირაობით დეიდა მარიამთან ვსადილობდი. გასაოცარი ქალი გამოდგა. პირდაპირ თან მყვებოდა. ჯერ ხომ თხუთმეტი მანეთი დამიკლო ბინის ქირიდან. მერე ეს საკვირაო სადილები შემოიღო. ახლა არ იკითხავთ, რა ტაქტიანად მპატიჟებდა ხოლმე? საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს ჩემის მხრივ დიდი წყალობა იყო, სადილად თუ ვეწვეოდი. მარტო რომ ვსადილობო, მეუბნებოდა, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც დანაშაულს ჩავდიოდე, და ვცდილობ, რაც შეიძლება მალე მოვთავაო. საჭმელი ადამიანს მაშინ შეგერგება, როცა გვერდით ვინმე გიზის და ერთად შეექცევითო.

მე მგონია, მართალიცაა.

თავიდან ხეეწნა-მუდარა და „შენ ეჭირიმე, შენ გენაცვალე“ მეჭიდროდ მერე და მერე ნაკლებ თავპატიჟს ვიდებდი. ბოლოს სულ მთლად მოვშინაურდი. მოვშინაურდი, იმიტომ რომ ვხედავდი, გულით უხაროდა ჩემი მოშინაურება.

ასე მიდიოდა დრო და მეც მტკიცედ და განუხრელად მივპაიჯებდი ჩემი მიზნისაკენ. არც აქეთ ვიხედებოდი, არც იქით. თითქოს მე და ჩემს მიზანს შორის გვირაბი იყო გაჭრილი, მე ამ გვირაბს მივუყვებოდი და სრულებით ვერ ვამჩნევდი, რა ხდებოდა სამყაროში, რომელიც გვირაბს გარეთ დარჩა.

გვირაბს გარეთ დამრჩა ზოგი ძველი ჩვევაც.

იმ ხანებში არც ერთხელ არ წარმომითქვამს უცნაური მონოლოგი, არც ერთხელ არ მიხილავს ოსტატი, რომელიც ნილოსის პირას დედოფლის სახეს ძერწავდა. წიგნებიც იშვიათად მაგონდებოდა. საღამოობით, მარტო რომ დავრჩებოდი შინ, უფრო ხშირად საბურავებზე ვფიქრობდი, მანქანის ფერსა და ნომრებზე, საჭესა და სიჩქარეების კოლოფზე. და ზოგჯერ მოგროვილ ფულს ვითვლიდი.

ერთხელ დეიდა მარიამი ძველი ეგვიპტის ხელოვნებით დაინტერესდა.

კვირა დღე იყო. ორივენი ჩემს ოთახში ვიყავით. მე არაფერს ვაკეთებდი, ის კი სველი ტილოთი იატაკს წმენდდა.

ნახევარი იატაკი რომ მოწმენდა, უცებ შეჩერდა, ჯერ მე შემომხედა, მერე — დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს, და მოულოდნელად მითხრა:

— სად იშოვე?

— ერთი ებრაელისგან ვიყიდე ამ რამდენიმე წლის წინ. მოგწონთ?

— რა უჭირს... — და იატაკის წმენდა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაიმართა, ამჯერად ჯერ პორტრეტს შეხედა, მერე — მე. ისე დაკინებით მიყურებდა, თითქოს რაღაცას ამოწმებსო. ბოლოს მკითხა:

— ხომ არ გაყიდე?

შავ სიცარიელეში ხითხითი გაისმა. ავი, დამცინავი, ნიშნისმომგები. და ახლაც მიკვირს, გონს რომ მოვეგე, რამ გამაცინა.

დედა მარიამმა კოპები შეიკრა.

— რა გაცინებს?! მართლა გეკითხები!

— თქვენ გინდათ, დედა მარიამ?

— მე რა ჭირად მინდა!

— ანა ვის?

— არის ერთი მუშტარი.

მე სერიოზული სახე მივიღე.

— ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება.

დედა მარიამმა თვალი თვალში გამიყარა, ტუჩის კუთხეები ზიზღით ჩამოუშვა და დიდხანს მიყურა ასე, როგორც მასწავლებელი უყურებს წყალწაღებულ მოწაფეს. ბოლოს დამცინავად ჩაიქირქილა.

— მოგონებენ რაღაცას! ქრისტე გაყიდეს და ქაღალდის ნაგლეჯი რა მითქვამს!

— ქრისტე იუდამ გაყიდა. — მშვიდი ღიმილით ვეთხარი მე.

— კაი ფასი შეეძლიათ, არც დანარჩენები დაიხვევდნენ უკან.

მე წამით ვიგრძენი, რომ ღიმილი რაღაც სულიერი გამომეტყველებით შემეცვალა.

— სხვაგან ეძიოს თქვენმა მუშტარმა საქონელი.

— სხვაგანაც ეძებს. — სწრაფად მიპასუხა დედა მარიამმა. მერე წელანდელივით თვალი თვალში გამიყარა. — რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაცხრის.

— ოცდაცხრის... — ისეთი დაფიქრებით გაიმეორა, თითქოს გუნებაში ანგარიშობს, სინამდვილეში რამდენია ეს ოცდაცხრა წელიო. მერე მითხრა: — ოცდაცხრა წლის კაცს ცხოვრება მოწყობილი უნდა ჰქონდეს. შენ რა გაქვს მოწყობილი? სახლი არა გაქვს და კარი. ფული არა გაქვს და ქონება. ერთი კოსტუმი გაცვია. საგარეოც ეგაა და საშინაოც, სათეატროც და საღამოსასწულოც. ცოლი რომ შეირთო, სად გინდა წაიყვანო? თუ ჭკუა გაქვს, შენს სიკეთოს გეუბნები. კაი მუშტარია და კაი ფასს მოგცემს.

— მაინც რამდენს?

— იცინე შენ, იცინე და ის კაცი ცოტა ახირებული კაცია. ნაგავივით ფანტავს ფულს... ოცდაცხრა წელი... — აქ დედა მარიამმა დაავლო თავის ტილოს ხელი, მიმიტოვა სანახევროდ მორეცხილი იატაკი და წავიდა.

მე ღიმილით გავაყოლე თვალი. მერე დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს შევხედე.

მომეჩვენა, თითქოს დედოფალი ნეფერტიტიც ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა.

მაშინ ფულის მოგროვება ახალი დაწყებული მქონდა. კრიზისი რომ გადავიტანე და იძულებული შევიქენი ორმოცი მანეთი ოცდაათი მანეთით შემეცვალა, ეს საუბარი მომაგონდა.

და არ გამღიმებია.

მოგონებას რაღაც გაუცნობიერებელი, მაგრამ აშკარად უსიამოვნო ფიქრი აყვა. ვცდილობდი ეს ფიქრი მანამ მომეშორებია თავიდან, სანამ ცნობიერ აზრად იქცეოდა.

ფიქრი არ მშორდებოდა. მთვრალივით დაბანცალებდა ვონებაში და ხან რას წამოიდებოდა, ხან რას.

ვატყობდი, ეს ამბავი კარგს არაფერს მოასწავებდა.

ერთხელ იმ დროს წავასწარი თავს, როცა საშარეულოში უაზროდ ვტრიალებდი დედა მარიამის ირგვლივ, თითქოს რაღაცას ველოდი.

და მივხვდი.

ველოდი, როდის ჩამომიგდებდა სიტყვას იმ ამბავზე.

ფიქრმა, ბოლოსდაბოლოს, ბილიკს მიაგნო და აზრად იქცა.

ოცდაათ მანეთობით მანქანის ყიდვა შორეული მომავლის საქმეა.

რამდენად ახირებული შეიძლება იყოს კოლექციონერი და რამდენი შე-

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

იძლება დასტყუო ძალიან ახირებულ კოლექციონერს?

— მაინც რამდენს მომცემს, დეიდა მარიამ, ის თქვენი მუშტარი, როგორ ფიქრობთ?

ვითომ პიჯაკის კალთაზე ლაქა ვიპოვე და მთელი გულისყური იქითკენ მქონდა მიპყრობილი.

— გაყიდე? — დეიდა მარიამმა ცივად ამომხედა.

— არა. გაყიდვით არ გავყიდი. ისე მაინტერესებს. — მე „ლაქას“ ჩავკირკიტებდი.

მაინც ვიგრძენი, რომ დეიდა მარიამმა გაიღიმა.

— რა ვიცი. შენ თვითონ კითხე. იქნება ხუთასი მოგცეს. იქნება ათასი. იქნება ორი ათასი. იქნება სულაც აღარ უნდა. რა ვიცი... მოვიყვანო?

— არა.

შეეტრიალდი. ჩემს ოთახში შევედი. დედოფალ ნეფერტიტის სურათს თვალი ავარიდე. გარეგნულად თითქოს არაფერი მემჩნეოდა, მაგრამ ვგრძნობდი რომ შიგნით, სხეულში კანკალებდა რაღაც.

როგორც იქნა, დავიმორჩილე თავი. ჩავიცვი, სახლიდან გავედი და გვიან ღამემდე არ დავბრუნებულვარ.

მომდევნო დღეებში დეიდა მარიამთან შეხვედრას ვერიდებოდი. ახლა უკვე მეშინოდა, ისევ არ ჩამომიგდოს სიტყვა იმ ამბავზე-მეთქი.

მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა.

დეიდა მარიამს სავაჭრო მოლაპარაკება აღარ განუახლებია.

მერე და მერე შიშმა გამიარა და [illegible] ლოდინი დავიწყე.

ისევ წავასწარი თავს იმაზე, თუ როგორ ეტრიალებდი სამზარეულოში დეიდა მარიამის ირგვლივ უსაქმოდ და უაზროდ.

მაგრამ ლოდინიც შიშივით უსაფუძვლო იყო.

დეიდა მარიამი ჯიუტად დუმდა.

ფულის დასტა კი ძალიან ნელა იზრდებოდა.

ხანდახან ფულს რომ გადავითვლიდი, თვალწინ წარმომიდგებოდა მეორე, უფრო სქელი დასტა, რომელიც უკვე მოგროვებულ ერთბაშად ემატებოდა, და სადარბაზოს წინ ჩნდებოდა შავი, ლაპლაპა „ვოლგა“, რომელიც ჩემი იყო. მე წელში გამართული ამაყად ვიჯექი მანქანაში, ცალი ხელით საჭეს ვმართავდი, მეორე დაუდევრად მქონდა ჩამოყრდნობილი ღია სარკმლის ჩარჩოზე. და მივჭროდი ლაღად. და გამვლელები შურითა და აღტაცებით მიყურებდნენ...

დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს შეძლებისდაგვარად თვალს ვარიდებდი...

ოქროსთმიანი ქალიშვილი იმ ზაფხულს მეტად აღარ შემხვედრია.

როგორც მოგახსენეთ, სულ ორჯერ ვნახე. პირველად, ჩემს წინ რომ მიაბიჯებდა აღმართში, და მეორედ, გზაჯვარედინზე რომ სულელურად გაეფლიმე და მერე თვალი აღარ მომიშორებია, სანამ თავადარ ქუჩაზე არ ჩავიდა.

ამის შემდეგ აღარ მინახავს და, სამართლე გითხრათ, აღარც მომგონებია.

ზაფხულში შვებულება ავიღე და სოფელში წავედი.

მ ა კ ა

და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს...

ოქროსთმიანი ქალიშვილი მესამედ შემოდგომაზე ვნახე.

და მაშინვე მივხვდი, რომ თურმე დავიწყებული კი არ მყავდა, უბრალოდ მთელი ამ ხნის განმავლობაში მეხსიერების რომელიღაც ბნელ კუთხეში იდგა, როგორც მსახიობი კულისებში, და თავის ჯერს ელოდა, რომ სცენაზე გამოსულიყო.

ოთხშაბათი დღე იყო. დილის თერთმეტი საათი.

ოთხშაბათობით სამსახურში გვიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდიოდი და ახლა აღარ მახოვს, სად ვიყავი იმ დილით და საიდან ვბრუნდებოდი.

მთავარი ქუჩიდან გადავუხვიე და აღმართს შევუდექი. მივაბიჯებდი ჩემთვის ჩაფიქრებული და არაფრის მოლოდინი არ მქონდა. უცებ გზაჯვარედინთან ოქროსთმიანი ქალიშვილი გამოჩნდა. თავისი ქუჩიდან გადმოუხვია და ქვემოთ წამოვიდა.

გული ამიფანცქალდა, ძარღვები ისე ამითრთოლდა, თითქოს ვიღაც უზარლამა მევიოლინემ ზედ თავისი ხელი გაუსვა-გამოუსვა. მკერდქვეშ ძლიერი გაკვირვება დაიბადა იმის გამო, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მე ეს მხრები და ეს თმა სრულებით არ მომგონებია.

ქალიშვილი ჩემკენ მოდიოდა.

სახე ჰქონდა მშვიდი და კრიალა, როგორც მოწმენდილი ცა. მხრები — თხელი და საოცრად სწორი. მოდიოდა წელში გამართული. მოაბიჯებდა რბილად და იმედიანად.

წითელი ხალათის მაგვრად ახლა სქელი, მაღალყელიანი ჯემპრი ეცვა. ჯემპრის წყალობით სხეულის ხაზები უფრო მკაფიოდ ჩანდა და ამით ფიგურა დიდად იგებდა. მაგრამ მე მაინც ის წითელი ხალათი მერჩიენა, უფრო მეტიც: ჯემპრი საერთოდ არ მომეწონა და ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ამასთან დაკავშირებით რაღაც უნდა მეთქვა ქალიშვილისთვის. მერე რა, რომ არ ვიცნობდი! ერთხელ ხომ გავუღიმე. მართალია, უაზროდ და ბრიყვულად გავუღიმე, მაგრამ ღიმილი მაინც ღიმილია, ადამიანებს შორის რაღაც დამოკიდებულებას ამყარებს.

თუმცა ამ განზრახვიდან არაფერი გამოვიდა. ვერც კი მოვასწარი იმის გაზრება, თუ რატომ არ მომეწონა ეს ჯემპრი და, კერძოდ, რა შენიშვნა უნდა გამომეთქვა ამის გამო.

ოქროსთმიანი ქალიშვილი ამასობაში მომიახლოვდა.

ერთმანეთს რომ გავუსწორდით, თავი აიღო და შემომხედა.

და მე უცებ მივხვდი, რომ ჩემს დაბნეხვაზე რაღაც აზრმა გაუელვა. გამოჩნდა ხელვაზე შევატყე. თვალებში რაღაც უცხო შუქი გაუკრთა. რა შუქი იყო, ვერ გავიგე, რადგან ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ერთი შემომხედა და იმავ წამს გვერდით ჩამიარა.

შევჩერდი და თვალი გავაყოლე.

და ერთბაშად მივხვდი, რატომ არ მომეწონა მისი ჯემპრი.

იმიტომ რომ ყელს უფარავდა.

მშვენიერ, თლილ ყელს. ოდნავ წაბნაგოვანს, ოდნავ არარეალისტურს; და ძალიან ლამაზს.

უეცრად მომინდა უკან დავდევნებოდი, დავწეოდი, დაუფარავად მეთქვა ჩემი კრიტიკული შენიშვნა და კატეგორიულად მომეთხოვა, მეორედ აღარ ვნახო, ეგ ჯემპრი გეცვას-მეთქი.

ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი საქციელი სულელური კი იქნებოდა, მაგრამ ძალიან ბუნებრივი და ადამიანურიც იქნებოდა.

მე კი იმის ნაცვლად, რომ ეს ბუნებრივი ნაბიჯი გადამედგა, მოულოდნელად შემოწოლილ სირცხვილის გრძნობას დავემორჩილე. „დამდგარხარ აქ, შუა ქუჩაში, და შენი უტიფარი მზერის შიშით ხალხს მშვიდად ვეღარ გავუვლია!“

მივტრიალდი და შინისაკენ წავედი.

გზაჯვარედინს რომ მივაღწიე, ერთხელ კიდევ მივიხედე.

ქალიშვილი აღარ ჩანდა.

გულზე ნაღველი შემომაწვა და დაღლილობა ვიგრძენი.

მივიდოდი შინისაკენ. მივაბიჯებდი დუნედ და უსიცოცხლოდ.

მაგრამ, ცოტა გზა რომ გავიარე, ოქროსთმიანი ქალიშვილის სახე დამიწია და მარტოობის ნაღველი გამიფანტა.

თვალწინ დამიდგა წელანდელი შეხვედრის ყოველი დეტალი. ყველაფერს ნათლად და მკაფიოდ ვხედავდი და

ჯუმბალ ჯარჩიძე
მდგმური

ვცდილობდი გამომეცნო, რა გაიფიქრა ჩემს დანახვაზე.

კარგს რას გაიფიქრებდა.

ალბათ, მიცნო.

„ეს ის არ არის, ერთხელ რომ პირი ყურებამდე გაეხა და მერე დიდხანს იდგა ასე, სასაცილო და ქვეყნის მასხარა?“.

კარგს რას გაიფიქრებდა!

მაგრამ, თუ კარგს არაფერს გაიფიქრებდა, რაში მჭირდებოდა! რას მომდევდა, რომ მომდევდა!

ის კი მაინც მომდევდა და წამით არ მშორდებოდა. შეეჩერდებოდი, შეჩერდებოდა. წავიდოდა, წამოვიდოდა. მერე წინ გამიძღვა და ერთთავად ჩემი მხედველობის არეში იყო. ხან მთლიანი ფიგურა მიაბიჯებდა ჩემს წინ და შოლტივით ტანს ოდნავ მიარხევდა, ხან მარტო მხრები ჩანდა, ხან მარტო ყოჩივარდას თაიგულად შეკრული თმა.

სადარბაზოში შევედი და შემომყვა. ჩემს ოთახში შევედი და იქაც შემომყვა. საშველი აღარ იყო. აღელვებულმა დავიწყე ბოლთის ცემა. ისიც ჩემთან ერთად ბოლთას სცემდა. ფანჯარა გავაღე და თითის წვერებზე შემდგარმა ეზოში გადავიხედე. მაინც ვერ მოვიშორე. სათითაოდ გადმოვიღე ყველაზე უფრო საყვარელი წიგნები და კითხვა დავიწყე. არაფერი გამოვიდა. შუა ოთახში დავიდგი სკამი, დავჯექი და დედოფალ ნეფერტიტის სურათს მივაჩერდი. ყველაფერი ამაო იყო.

მაშინ ბოლო კოზირი მოვიშველიე: ჩემოდნიდან ფული ამოვალაგე და თვლას შევუდექი.

თავიდან არც ამან გაჭრა. ოქროსთმიანი ქალიშვილი ხავერდის ფარდასავით ეფარებოდა ზემოდან ათმანეთიანებსა და ოცდახუთმანეთიანებს და ანგარიშს მირევდა. ერთხელ დავიწყე თავიდან, ორჯერ, ხუთჯერ... ბოლოსდაბოლოს, ფულმა მაინც თავისი ქნა. ათმანეთიანები და ოცდახუთმანეთიანები, მკვრივი, გაუმჭვირვალე ასიგნაციები, ნელ-ნელა გამოცურდნენ წინ, თვითონ გადაეფარნენ ზემოდან ხავერდის ფარდას და საქმეც აეწყო. ოქროსთმიანი ქალიშვილის სახე უკან-უკან წავიდა და დამარცხებული შეერია სივრცეს.

ამ დროს ვიღაცამ დააკაკუნა.

ფული სასწრაფოდ მოვხვეტე, ჩემოდანში ჩავყარე და მობრძანდით-მეთქი, გავძახე.

დეიდა მარიამი უცნობს შემოუძღვა.

პატარა კაცი იყო, გამხდარი. ოცდაათი-ოცდათორმეტი წლისა იქნებოდა. დიდი ცხვირი ჰქონდა და წინ წამოვარდნილი ნიკაპი. უცნაური ფორმის ლაბადა ეცვა. გრძელი და შავი. და შავი სათვალე ეკეთა.

მკვეთრი და ცოტა ნერვიული მოძრაობები ჰქონდა.

სწრაფი, მოკლე ნაბიჯებით შემოვიდა. მერე მოწუვეტით შედგა, თავი ოდნავ წინ წამოსწია და მოსაჩერდა. მიყურა, მიყურა და მკვეთრად შეტრიალდა დეიდა მარიამისაკენ. სათვალე სწრაფად წაიძრო და ისევ გაიკეთა. ახლა დეიდა მარიამს უყურა. უცნაური მიმოხრა და უცნაური ექსტიკულაციები ჰქონდა. ერთბაშად ამოძრავდებოდა და ასევე ერთბაშად გაშეშდებოდა, თითქოს ვიღაც უხილავი რთავდა და თიშავდა. დაკინებით დააცქერდა დეიდა მარიამს და თავი გაიქნია. არ ვიცი სინანული გამოხატა ამით, მუქარა თუ სხვა რამე. ეს კია, რომ დეიდა მარიამი აიბუზა, მოიკუნტა, თავი მხრებში ჩაგო და უხმოდ, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

უცნობი ახლა ისევ მე მომიბრუნდა. ფიცხად წამოვიდა ჩემკენ და ისე გამომიწოდა ხელი, თითქოს ჯოხი გადმომიგდოო.

— პატიოსანი ვაჭარი და კოლექციონერი.

ლაპარაკიც ექსტიკულაციასავით ჰქონდა: სწრაფი, მკვეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი. მე სათვალეს ვუყურებდი, მაგრამ თვალებს ვერ ვხედავდი.

— ასე მოგმართოთ? — ღიმილით ვკითხე, რაკი სახელის მაგივრად ტიტული მითხრა.

— მიმართვის ფორმა დროის ფუჭი

ფლანგვა. როგორც გინდათ, ისე მომმართეთ. მე ვაჭარი და კოლექციონერი ვარ.

— პატიოსანი.

სათვალე სწრაფად წაიძრო და გაიკეთა.

— პატიოსანი.

— რას ყიდულობთ? ან რას აგროვებთ?

— ყველაფერს. განსაკუთრებით სიტყვებს.

— სიტყვებს? — გაკვირვებით შეეხედე. — რა სიტყვებს?

— წამოცდენილს, წამოსროლილს, დაუფიქრებელს.

რაღაც ბუნდოვანმა მოგონებამ ელვის უსწრაფესად ჩაიქროლა.

— დიდი მარიამმა გითხრათ, რომ მე წამოცდენილი, წამოსროლილი და დაუფიქრებელი სიტყვები მაქვს?

სწრაფად შეატრიალა თავი კარისკენ და ასევე სწრაფად შემოატრიალა ჩემკენ.

— სული არ არსებობს. — მითხრა მოულოდნელად.

— რა იცით?

— არ მტკიცდება.

— მერე რა?

— რაც არ მტკიცდება, არც არსებობს. ხვალ თუ დამტკიცდა, ხვალ იარსებებს. — სათვალე წაიძრო და გაიკეთა. — მაგრამ სულის დამტკიცება შეუძლებელია. თუ გინდა სული დაამტკიცო, საკუთარი სხეული ფანჯრიდან უნდა გადააგდო და მოკლა. შეგიძლიათ?

— რწმენა?

— რწმენა ონანიზმია. — მკვეთრად შეტრიალდა, დედოფალ ნეფერტიტის სურათს შეხედა, ისევ შემოტრიალდა. ხელი ჯოხივით აისროლა და საჩვენებელი თითი პორტრეტს მიუშვირა. — თორმეტი მაქვს, ეს მეცამეტე იქნება.

მეც შევხედე სურათს.

დედოფალი ნეფერტიტი მაღალი იყო, ზვიადი და სევდიანი.

და მოულოდნელად ოქროსთმიანი ქალიშვილი გაჩნდა.

ოქროსთმიანმა ქალიშვილმა შემომხედა და მიეხედე, რომ ჩემს დანახვაზე თავში რაღაც აზრმა გაუელვა. იმავ წამს გვერდით ჩამიარა და წავიდა. თხელი, საოცრად სწორი მხრები ჰქონდა და ყოჩივარდას თაიგულივით შეკრული თმა. მიდიოდა წელში გამართული, მიაბიჯებდა რბილად, მშვიდად, იმედიანად.

და ჩემი მოკუმული ტუჩები თავისთავად გაიხსნა და ვიღაცამ ხმამაღლა გამოაცხადა:

— აუდიენცია დამთავრებულია.

უცნობმა თავი უკან გადაიგდო და ისე შემომხედა, მერე წინ წამოსწია და ისე შემომხედა. ბოლოს ფიცხად შეტრიალდა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯებით წავიდა კარისაკენ. კარი რომ გამოაღო, ისევ მობრუნდა, უცებ გაშეშდა. მიყურა, მიყურა. სათვალე წაიძრო და გაიკეთა.

— ყველა გზა რომში მიდის, — მომაძახა მერე სხაპასხეპით და გავიდა.

მე დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტს შევხედე, გავუღიმე და უცნობი როგორღაც ერთბაშად ამოვარდა მეხსიერებიდან.

იქნებ ცუდი არაფერი უფიქრია-მეთქი, გავივლე გუნებაში.

ცუდი რატომ უნდა ეფიქრა? მერე რა, თუ გავუღიმე! ღიმილი ხომ იგივე ქათინაურია. და განა ქვეყანაზე მოიძებნება ისეთი ქალი, ქათინაური რომ არ ესიამოვნოს?

„აა! თქვენ ის არა ხართ, ერთხელ რომ გამიღიმეთ? სიტყვერადაც ხომ არაფერს დამატებდით მაშინდელ ღიმილს?“

ცუდი რატომ უნდა ეფიქრა?

მე სარკეში ჩავიხედე, თმა გავისწორე, ჩემს თავს გავუღიმე და, საერთოდ, მთელი საღამო საკმაოდ სულელურად ვიქცეოდი.

იმ ღამეს, რომ დავწექი და მაგიდის ლამფის შუქზე წიგნის კითხვა დავიწყე, ჩემდა გასაოცრად ძველმა ჩვეულე-

---

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ გამიხსენა. ერთხანს ვიკითხე, მერე თვალები დავხუჭე და თითქმის ბუნაში ვიყავი წასული, როდესაც სამყაროდან საგნები გაიკრიფნენ და სივრცე დაიცალა. მერე ეს სივრცე უცხო დეტალებით აივსო. გადაიქმნა ნილოსი, ქვეყნიერების ცისფერი ძარღვი, ამოიმართნენ პირამიდები, გაჩნდნენ ქანდაკებები და ოცნებასავით მოხატული კედლები. ოსტატი ისე შეეხო დედოფლის დაუმთავრებელ ქანდაკებას, თითქოს ნამდვილ დედოფალს შეხებოდეს ...

და ყოველივე ამას ფონად ეღვრებოდა უჩვეულო მუსიკა.

საოცარი ის იყო, რომ მუსიკა კი არ ისმოდა, არამედ ანათებდა. ანათებდა და ცხოველმყოფელობას მატებდა ყველაფერს: ნილოსსაც, პირამიდებსაც, გოგანტურ ქანდაკებებსაც. ოსტატსაც, ცხელ მიწასაც და მცხუნვარე მზესაც.

მე მიკვირდა ეს უჩვეულო, მანათობელი მუსიკა და ძილბურანში ჩაფლული ვცდილობდი გამომეცნო, საიდან შემოვიდა იგი ჩემს ძველ ჩვევაში.

და მივხვდი.

მაშინ მივხვდი, როცა გამახსენდა, რომ საგნები მთლიანად არ გაკრეფილან სამყაროდან და სივრცე მთლიანად არ დაცლილა.

სივრცეში დარჩა ოქროსთმიანი ქალიშვილი, რომელიც უცხო ჰარმონიად შემოვიდა ჩემს ხილვაში და ჯადოსნური მუსიკა შემოიტანა, როგორც ზღაპრული ფონი.

და მე ჩამეძინა.

ღილით სამსახურში მიმავალი, გზაჯვარედინთან შევჩერდი და ქუჩა მოვათვალიერე. ოქროსთმიანი ქალიშვილი არსად ჩანდა. დავდექი და ლოდინი დავუწყე. იმდენ ხანს ვიდექი, რომ სამსახურში დავიგვიანე, ოქროსთმიანი ქალიშვილი კი ვერ ვნახე.

ნასაღილეს, შინ რომ ვბრუნდებოდი, მთავარი ქუჩისა და ჩემი აღმართის გადაკვეთასთან შევჩერდი და ღილანდელივით დავზვერე არემარე. ოქროსთმიანი ქალიშვილი ვერსად აღმოვაჩინე. გზა რომ უნდა განმეგრძო, თავში უცებ ერთი აზრი მომივიდა. კუთხეში ფართლეულის მაღაზია იყო. შესასვლელი მთავარი ქუჩიდან ჰქონდა. სამაგიეროდ აღმართის მხარეს უზარმაზარი ფანჯარა გადიოდა, რომელიც თითქმის მთლიანად ცვლიდა კედელს. ამაზე უკეთეს სათვალთვალო პუნქტს ეშმაკიც ვერ მოიგონებდა. დაუყოვნებლივ შევედი მაღაზიაში, ყასიდად დავიწყე საშარვლებისა და საკოსტუმეების სინჯვა, თან ცალი თვალი ფანჯრისკენ მეჭირა. ათი წუთი გავიდა, ოცი წუთი, ნახევარი საათი. ქალიშვილი არა და არ ჩანდა. სამაგიეროდ ყურპარტყუნა, ქაჩალი გამყიდველი კარგახანია უკვე ეჭვით მიმზერდა და ისეთ შეურაცხმყოფელ ვარაუდებს აფრქვევდა თვალებიდან ჩემი მისამართით, რომ მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

მაღაზიიდან გამოვედი და გულდამძიმებული შევუდექი აღმართს.

მაგრამ იმედი არ გადამიწურავს და მომდევნო დღეებშიც განვაგრძობდი თვალთვალს.

ყოველ საღამოს, იმის მაგივრად, რომ მთავარი ქუჩიდან გადამეხვია და აღმართს შევდგომოდი, ფართლეულის მაღაზიაში შევდიოდი, მოგონილი გულმოდგინებით ვაკვირდებოდი სამარაგლებსა და საკოსტუმეებს და, მგონი, პროფესიონალი ჯაშუშის ჩვევებიც შევიძინე. ყურპარტყუნა გამყიდველი დარწმუნდა, რომ არაფრის მოპარვას არ ვაპირებდი, და თანდათან შეურიგდა ჩემს არსებობას. მართალია, ის კი ვეღარ გაიგო, თუ არაფრის მოპარვას არ ვაპირებდი, მაშ რაღა ჯანდაბად ვყურყუტებდი აქ საათობით და რას ვაკვირდებდი თვალებს ქურდივით, მაგრამ ადამიანი ხომ ყოველგვარ უცნაურობას ეგუება. ყურპარტყუნა გამყიდველიც ბოლოსდაბოლოს შეეგუა იმ აზრს, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს ვიღაც იდიოტი, რომელსაც არაფერი ისე არ სიამოვნებს, როგორც ფართლეულის მაღაზიაში ყოფნა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას. ოქროსთმიანი ქალიშვილი კი არსად ჩანდა. მხოლოდ სიზმარში ვნახე ერთი ორჯერ, ეს იყო და ეს.

თუმცა, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი.

ხან სამსახურიდან გამოვიპარებოდი და ადრიანად მოვაშურებდი სათვალთვალო პუნქტს. ხან განზრახ შევეყოვნდებოდი და შედარებით გვიან დავდგებოდი სადარაჯოზე, ხანაც, განსაკუთრებით დილ-დილაობით, ვზაჯვარედინთან დავყიალობდი უსაქმოდ და თან საკუთარ თავს ვარწმუნებდი, სუფთა პაერზე ვსეირნობ-მეთქი.

საერთოდ, მე ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების ეს მონაკვეთი მხატვრული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ძაძაბული ეტაპი იყო. ერთი მხრივ, ყოველ-ღონეს ვხმარობდი, რომ ოქროსთმიან ქალიშვილს შევხვედროდი, მეორე მხრივ, აშკარად მეშინოდა ამ შეხვედრის. დავდიოდი ფართლეულის მაღაზიაში, ვეძებდი, ვუთვალთვალებდი, ვზვერავდი, „სუფთა ჰაერზე ვსეირნობდი“ და ირგვლივ გამოუცნობი ეშვები მერტყა.

ბოლოსდაბოლოს, ამაგი დამიფასდა და ჩემმა ხანგრძლივმა, დაძაბულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: ერთ მშვენიერ დღეს ოქროსთმიანი ქალიშვილი ისევ ვნახე.

თქვენ იტყვით, რომ ეს შემთხვევით მოხდა და ფართლეულის მაღაზიაში ყურყუტთან არაფერი ჰქონდა საერთო, მაგრამ ღმერთი ხომ ჩვენი მოთმინებისათვის გამიზნულ ჯილდოს ზოგჯერ ფარულად შემოგვაპარებს, რათა თავისი გულჩვილობა დაგვიმალოს და ჩვენს თვალში ზედმეტად მგრძნობიარე არ გამოჩნდეს.

ასეა თუ ისე, ოქროსთმიანი ქალიშვილი, როგორც იქნა, ვნახე.

სამშაბათი იყო.

იმ დღეს ადრე წამოვედი სამსახურიდან.

სანამ ფართლეულის მაღაზიაში შევიდოდი, ჩვეულებისამებრ, არე-მარე მოვათვალიერე.

და ზედ გზაჯვარედინთან დავინახე.

თითქმის სირბილით აეუყევი ალმართს. რა თქმა უნდა, ეს უგუნურობა იყო. მე გაცილებით მეტი მანძილი უნდა გამევლო გზაჯვარედინამდე, ვიდრე მას — სახლამდე. და მართლაც, გზაჯვარედინს რომ მივაღწიე და შარაგზნივ გავიხედე, ქალიშვილი აღარ ჩანდა.

იმ დღეს ერთხელ კიდევ ჩავიკეტე ჩემს ოთახში და ერთხელ კიდევ დადავთვალე მანქანის ფული, რათა შემოსეული ფიქრები გამეფანტა და სული გამენიავებინა.

დედოფალი ნეფერტიტი ნატიფი, მშვიდი და ოდნავ სევდიანი სახით უყურებდა ჩემს საქმიანობას.

თვლას რომ მოვრჩი და ფული ჩემოდანში შევინახე, უცებ ერთ მშვენიერ იდეას მივაგენი. არ ვიცი, როგორ გაჩნდა ეს იდეა. მე მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ ტვინიდან, როგორც ფაბრიკიდან, გამოდიოდა მზამზარეული ფრაზები.

და მე ვკითხულობდი:

„ოთხ საათზე ვნახე. მერე? ვინ დამიმტკიცებს, რომ ეს ამბავი შემთხვევითია? რატომ არ შეიძლება ყოველდღე ოთხ საათზე ბრუნდებოდეს? არა, ოთხ საათზე სხვა დროსაც დავდარაჯებივარ და არ მინახავს. მაგრამ დავდარაჯებივარ კი ოთხ საათზე როდესმე სწორედ საშშაბათ დღეს? იქნებ მხოლოდ საშშაბათობით ბრუნდება ოთხ საათზე? რა არის აქ შეუძლებელი? .. ოთხშაბათსაც რომ ვნახე ერთხელ? მაშინ დილის თერთმეტი საათი იყო. იქნებ ოთხშაბათობით დილის თერთმეტ საათზე მიდის თავის სასწავლებელში, თუ სამსახურში, თუ სადღაც, სადაც არ უნდა დადიოდეს. ხოლო საშშაბათობით ოთხ საათზე ბრუნდება შინ. რა თქმა უნდა, არც ისაა გამორიცხული, რომ იმ ოთხშაბათსაც შემთხვევით წა-

ვიდა თერთმეტ საათზე და დღესაც შემთხვევით დაბრუნდა ოთხ საათზე, მაგრამ შემოწმებას რა უდგას წინ? აუცილებლად უნდა შევამოწმო. ხვალ სწორედ ოთხშაბათია... ღმერთო, რა სისულელეა ეს ყველაფერი! ...“

შესაძლებელია, ეს ყველაფერი მართლა გვარიანი სისულელე იყო, მაგრამ მეორე დღეს ჩემი ვარაუდი მაინც შევამოწმე. თერთმეტს ხუთი წუთი აკლდა, გზაჯვარედინთან რომ დავერეკე. გადაღმა მხარეს დავდექი, ქალიშვილს შესახვევისა და აღმართის კუთხეში.

ზუსტად თერთმეტ საათზე გამოჩნდა.

მე უკან დავიხიე და კუთხეს ამოვეფარე, რომ არ დავენახე. აქ იმდენ ხანს ვიდექი, რამდენი ხანიც ჩემი ვარაუდით დასჭირდებოდა ქალიშვილს იმისათვის, რომ გადასახვევამდე მოეღწია. მერე ნელი ნაბიჯით დავუყევი ქუჩას.

ცოტა ხნის შემდეგ ზურგს უკან ქალიშვილის ნაბიჯები ვიგრძენი. ფეხის ხმა არ გამიგონია, იმიტომ რომ საოცრად რბილი და უხმაურო სიარული იცოდა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ახლო იყო. ერთხანს ასე მივდიოდით და მე იმაზე ვფიქრობდი, მიცნო თუ არა და მიყურებს თუ არა-მეთქი. მერე შევჩერდი. შეჩერებას რომ საეჭვო სუნი არ ასვლოდა, ჯიბეების ჩხრეკა დავიწყე, ეითომ რაღაცას ვეძებდი.

ოქროსთმიანი ქალიშვილი წამომეწია და გვერდით ჩამიარა. ჩემკენ არ გამოუხედავს.

მიცნო თუ არა?

ალბათ, მიცნო.

მაგრამ ყურადღება არ მომაქცია.

რას ნიშნავს ეს?

იქნებ ყურადღება არ მომაქცია ისე, როგორც არ ვიქცევთ ყურადღებას უპატრონო ძაღლს, რომელიც ყოველდღე გზაჯვარედინთან დაწანწალებს და არავითარ გრძნობას არ იწვევს, არც შიშს, არც სიბრალულს, არც ზიზღს.

მაგრამ იქნებ განზრახ არ მომაქცია ყურადღება?

სიტყვა „განზრახ“ ხომ სიტყვა „სიერთოსაც“ გულისხმობს. და რაღაც ეს ეეთოსი სიტყვა „უცხოს“ უპირისპირდება!

მივყვებოდი უკან და თვალს არ ვაცილებდი. თავდადმართში მისი სიარული ისე მოხდენილი არ იყო, როგორც აღმართში. ეს მაშინვე შევნიშნე.

ავტობუსის გაჩერებამდე მივაცილე და უკან გამოვბრუნდი.

ოთხშაბათი გაბოლდებული მქონდა. ახლა სამშაბათი უნდა შემემოწმებინა.

ყველაფერი კარგად ავიხდეთ.

სამშაბათს ოქროსთმიანი ქალიშვილი ოთხ საათზე დაბრუნდა.

მე ყოველი შემთხვევისათვის ცოტა ადრე მოვედი. ოღონდ ფართლეულის მაღაზიაში აღარ შევსულვარ. გაჩერების მახლობლად დავუდგარაჯდი.

ქალიშვილი ავტობუსიდან ჩამოვიდა და აღმართში შეუხვია. მეც დაუყოვნებელივ მივატოვე პოსტი და უკან გავყევი.

აღმართში ისევ ისე რბილად და მოხდენილად მიაბიჯებდა. იმ დღეს ერთი-ანი კაბა ეცვა. წელზე ქამარი ერტყა, მაგრამ ქამარი მეჯიდროდ არ ჰქონდა შემოკრული და ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სიარულის დროს კაბა არ მოძრაობდა. კაბა თავისუფლად იდგა და მხოლოდ სხეული მოძრაობდა კაბის შიგნით. სხეული მიირწეოდა, კაბა კი ამ სხეულს არც კი ეხებოდა და თავისი უძრაობით ამაოდ და გულუბრყვილოდ ცდილობდა სხეულს მოძრაობა დაეფარა.

ქალიშვილი გზაჯვარედინამდე მივაცილე. მერე დავდექი და მანამ ვუყურე, სანამ თავის ეზოში არ შევიდა.

ამგვარად, კვირაში ორი დღე ჩემი დღეები იყო.

ახლა დღის წესრიგში მონაპოვარის შემდგომი განვითარება იდგა.

საქმის ეს მხარე, სიმარილე გითხრათ, დიდად არ მაწუხებდა, რადგან უცნობ ქალიშვილებთან ყოველთვის იოლად ვახერხებდი გამოლაპარაკებას. ყველაფერი ძალდაუტანებლად, ლაღად და ბუნებრივად გამომდიოდა. უბრა-

ლოდ, გავაჩერებდი ქუჩაში და რაღაცას ეკითხვდი. თუ შეკითხვა ცოტა უცნაური ან ცოტა სასაცილო იქნებოდა, კიდევ უკეთესი. თუმცა სათქმელს წინასწარ არასოდეს ვამზადებდი. საჭირო ფრაზა თავისთავად იბადებოდა. ქალიშვილი ან მიპასუხებდა, ან გაიღიმებდა, ან შეეცდებოდა ღიმილი დაეშალა და მორჩა, უკვე ნაცნობები ვიყავით.

მით უფრო საოცარი იყო, რომ ყველაზე მეტი ჯაფა აქ დამადგა.

სად გაქრა ჩემი ძალდაუტანებლობა, ბუნებრიობა და სილაღე! ვინ ჩიოდა უცნაურსა და სასაცილო შეკითხვას, ერთი დამხრჩვალი, უსუსური ფრაზა მაინც ამომეღერღა.

თქვენც არ მომიკვდეთ!

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სულში ბზარი გამიჩნდა და ამ ბზარიდან, როგორც გახვრეტილი ბუშტიდან, უხმოდ და უჩუმრად მიიპარებოდა ჩემი ხასიათის რაღაც არსებითი ნაწილი.

იმედს მაინც არ ვკარგავდი. მორიგ შეხვედრას უფიდან დიდი ქადილით ველოდი და დარწმუნებული ვიყავი, წინა შეხვედრის სამარცხვინო ღუმილს ახლა გამოვასწორებდი. მაგრამ თვალს მოვკრავდი თუ არა ოქროსთმიან ქალიშვილს, მთელი ჩემი ქადილი და რწმენა ისე ლღვებოდა, როგორც მზის გულზე გამოდებული ყინული. ანგინაც ნაშინ შემეყრებოდა, ხველებაც მაშინ ამიტყდებოდა, ყელში რაღაც მიქერდა, რაღაც მგუდავდა და მახრჩობდა. და უგზო-უკვლოდ იკარგებოდა ყველა სიჭირო სიტყვა, რომელიც სხვა დროს თავისთავად მომადგებოდა ხოლმე ენაზე. ჩემს ძალდაუტანებელ, ბუნებრივსა და ლაღ ფრაზებს, თითქოს ლოდები ეწყო ზემოდან, მთელი ჩემი ლექსიკა სულის შორეულ ჯურღმულში იყო ჩაკარული და იქიდან რაიმეს ამოგლეჯა სრულიად უიმედო საქმე ჩანდა.

არადა, ეს მდუმარე დევნა უკვე აუტანელი იყო. ხან უკან მივყვებოდი, ხან წინ გადავუსწრებდი. ხან აღმართის თავში ვუდარაჯებდი, ხან—აღმართის ბოლოში. და ვიტკეპნებოდი და ვიტკეპნებოდი ერთ ადგილას. ისეთი მდგმარეობა შექმნა, ნაწვიმარზე რომ წყალი დაგუბდება. ან სადინარი უნდა იშოვოს წყალმა, ან არადა, დალპება და ჭაობად იქცევა.

საკუთარი თავის ლანძღვა საქმეს ვერ შველოდა, სხვა კი ვერაფერი მომეხერხებინა. იმ ზომამდეც კი მივედი, რომ ერთი-ორი შეხვედრა გამოტოვე. მეშინოდა. ბოლოსდაბოლოს ქალიშვილი ეჭვს აიღებდა. როგორ შეიძლება კვირაში ორჯერ დაბარებულივით ხვდებოდე ადამიანს და თან ირწმუნებოდე, შემთხვევით გხვდებით. ხოლო თუ ქალიშვილი ეჭვს აიღებდა, ალბათ, შესაფერის ნაბიჯსაც გადადგამდა, რათა ამ წესად ქცეული „შემთხვევითობისაგან" თავი დაეღწია.

ჩემს უცნაურ გარდაქმნას ბუნდოვნად ვუკავშირებდი მანქანას, ცხოვრების მიზანს, შუქურასავით რომ კიაფობდა გვირაბის თავში, და უფრო უკეთ და უკეთ მესმოდა ჩემი ამხანაგის, რომელმაც მსგავს გარემოებათა გამო ღიმილი დაკარგა.

ერთ დღეს ოქროსთმიანი ქალიშვილის ეზო მოვინახულე. დიდი იმედი არ მქონდა, მაგრამ ვიფიქრე, მოვსინჯავ. ვინ იცის, იქნებ ამან მაინც შეიტანოს რაიმე ცვლილება ჩემს დამძიმებულ სულში-მეთქი, და ოთხშაბათ დღეს, როდესაც ქალიშვილი ავტობუსის გაჩერებამდე მივაცილე, უკან მობრუნებულმა მის ეზოს ავუარ-ჩავუარე.

ქალაქის ამ განაპირა უბანში მაშინ მრავალად იყო ეზოიანი კერძო სახლები. სწორედ ასეთი გამოდგა ჩემი უცნობი ოქროსთმიანი ქალიშვილის სახლიც. ერთსართულიანი, პატარა, უსახური. სამაგიეროდ, ეზო იყო კარგი: კოინდარი და ყვავილნარი. შუა ეზოში, ორი იასამნის ძირში, მრგვალი მაგიდა და გრძელი სკამი იდგა და მე წარმოვიდგინე, როგორ იჯდა ხოლმე აქ, წიგნს

ჯაფარ ქარჩხაძე
მწგზური

კითხულობდა ან ყვავილებს უყურებდა და სულაც არ ეკითხებოდა, არსებობდა თუ არა ამქვეყნად კაცი, რომელმაც მისი ოქროს თმის, თხელი და სწორი მხრებისა და შოლტივით ტანის გამო, მთელი ქალაქის ფართლეულის მაღაზიები სათვალთვალო კოშკებად აქცია, ხოლო ქუჩები და მოსახვევები — სარბენ ბილიკებად და საჯირითო ასპარეზად.

მაგრამ ეზოს ნახვამ ვერაფერი შემმატა და ვერავითარი გზა ვერ მაჩვენა. აუტანელი დუმილი არ ირღვეოდა, შეკრული კრიჭა არ იხსნებოდა, ნაწვიმარზე დაგუბებული წყალი კიდევბზე ობს იკიდებდა.

მე უკვე იმაზე ვფიქრობდი, იქნებ ჯობდეს საერთოდ მივატოვო ეს დაწყევლილი აღმართი და სხვა გზით ვიარო-მეთქი. თუკი პაპიროსს გადავეჩვევი, რატომ ამ გოგოს ვერ გადავეჩვევიმეთქი.

„ბოლოსდაბოლოს, — ვფიქრობდი მე. — რა არის სწორი, თხელი მხრები ისეთი, რომ ენაგადმოგდებული დავრბივარ აღმა-დაღმა დასიცხული ძაღლივით. ეგვიპტურ ფრესკებს ჰგავს. აუჰ, რა მომხდარა! მერე და ვინა თქვა, რომ ეგვიპტური ფრესკები ადამიანური სილამაზის საზომია? ბოლოსდაბოლოს ათასობით ქალიშვილსა აქვს თხელი და სწორი მხრები, ათასობით ქალიშვილი იკრავს ოქროსფერ თმას ყოჩივარდას თაიგულივით. ათასობით ქალიშვილი მიარხევს შოლტივით ტანს კიდევ უფრო მოხდენილად. ათასობით ქალიშვილს აქვს ოდნავ წახნაგოვანი, ოდნავ არარეალისტური ყელი, კრიალა, ნათელი სახე და მოღიმარე თვალები. გარდა ამისა, მე ხომ საკუთარი ფანტაზიით ვავსებ ყველა მის ნაკლს და საკუთარ ფანტაზიას დავდევ კუდში. სინამდვილეში კი, ვინ იცის, კისერზე ჩამოეკიდოს პირველსავე ბილწსა და ბანჯგვლიან პირუტყეს, რომელიც კი მისი გულისათვის ცოტას გაირჯება და ერთორ გაცვეთილ ქათინაურს მოუყრის თავს? მე ხომ რეალურად არ ვუყურებ საგნებსა და მოვლენებს. მე ხომ ფანტაზიორი და მეოცნებე ვარ. და სინამდვილესთან შეჯახება მაისევ დაამშვიდებს ჩემს საცოდავ ხუხულას. საკმარისია, ერთი უხეში სიტყვა გავიგონო, ერთი ტლანქი ეკესტი შევამჩნიო, რომ ლოკოკინასავით შეევძვრები ჩემს ნიჟარაში, ფაცხაფუცხით მოვუსვამ უკან და ისტორიას შევაფარებ თავს, რადგან ისტორია მკვდარია და ამიტომ სავსებით დაზღვეულია სიტლანქისა და უხეშობისაგან. უმჯობესი არ იქნება, სხვა ქუჩით ვიარო, მოვშორდე აქაურობას? მაშინ ეს ისტორიაც, ოქროსთმიანი ქალიშვილის ისტორია, ნამდვილ ისტორიასავით შორეული, უძრავი და ილუზიური გახდება და დაზღვეული იქნება სიტლანქისა და უხეშობისაგან“.

მაგრამ ასეთი ფიქრები დამშვიდების ნაცვლად კიდევ უფრო მაღიზიანებდა და მაფორიაქებდა.

თავდაპირველად ვცდილობდი ისევ ფულისა და მიზნისთვის შემეფარებინა თავი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს ფუჭი იმედი იყო.

ფულმა დაკარგა მომხიბლაობა.

ჯერ დათვლას მივანებე თავი.

მერე ზიზღი გამიჩნდა. და ეს ზიზღი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა და მწვავდებოდა.

ბოლოს ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემოდანში რაღაც ბილწი და გულისამრევი მედო, და, რამდენჯერაც იქით გავიხედავდი, ყოველთვის ისე გამაზრიალებდა ტანში, როგორც მარილწყალი ლოკოკინას დანახვაზე.

ეტყობა, თანდათან ივსებოდა მოთმინების ფიალა.

და აი, ნავსიც გატყდა.

ერთ დილით, სამსახურში წასვლის წინ, ბევრი ვიფიქრე ჩემს ორჭოფულ და სულელურ მდგომარეობაზე, ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რა ურცხვად დავდევდი უკან ოქროსთმიან ქალიშვილს.

და ნავსი გატყდა.

ერთბაშად ყველაფერი უაზრობად მომეჩვენა: ჩემი მიზანიც, ოქროსთმია-

ნი ქალიშვილიც, საყვარელი წიგნებიც, ეგვიპტეც და საქართველოც. უჩვეულო სიშმაგით, უანგარიშოდ და უაზროდ დავაცხრი ჩემს ნაგროვებ ფულს და ნახევარი იმ დღესვე გავფლანგე.

კოსტიუში ვიყიდე, ხალათები ვიყიდე, ფეხსაცმელები ვიყიდე, ყველაფერი ვიყიდე, რაც მჭირდებოდა და არ მჭირდებოდა, მერე ხელი დავხვიე თანამშრომლებს და რესტორანში წავიყვანე, რამაც ფრიად დიდი ეფექტი და კიდევ უფრო დიდი გოიცება გამოიწვია.

მეორე დღეს ოქროსთმიან ქალიშვილს გამოველაპარაკე.

მართალია, სამშაბათი იყო, მაგრამ შეხვედრას არ ვაპირებდი. ამიტომ სამსახურიდან მხოლოდ მაშინ წამოვედი, როცა სამუშაო საათები დამთავრდა.

ავტობუსიდან გადმოვედი და ნელი ნაბიჯით შევუყევი აღმართს.

მშვენიერ გუნებაზე ვიყავი. გუშინდელს აქეთ სულ მშვენიერ გუნებაზე ვიყავი, თითქოს რადაც მძიმე ტვირთი მომეშორებინოს, და არხეინად მივაბიჯებდი.

შუა აღმართს რომ მივაღწიე, კინაღამ დავეჯახე ოქროსთმიან ქალიშვილს.

წმით შეკვრთი. მერე მხიარულად გავუღიმე და დაუფიქრებლად ვუთხარი:

— თქვენ ხალხს ატყუებთ. ეს მეოცე საუკუნის მხრები არ არის.

ქალიშვილი შედგა და შავი თვალები გაკვირვებით შემომანათა. მაგრამ მე მაინც შევნიშნე, ან შესაძლოა, მომეჩვენა, რომ მოკუმულ ტუჩებზე სწრაფად გადაურბინა თითქმის შეუმჩნეველმა ღიმილმა.

— რა ბრძანეთ?

რა ხანია ველოდი ამ ხმის გაგონებას! როგორ მაინტერესებდა, რანაირი ხმა შეეფერებოდა ამ მხრებს, ამ თმას, ამ ყელს. ვინ იცის, რამდენი ცდა ჩავატარე და რამდენი კომბინაცია მოვსინჯე. იდგა ხოლმე ქალიშვილი ჩემს წარმოდგენაში, როგორც სცენაზე, და მორჩილად ლაპარაკობდა იმ ხმით, რომელსაც მე შევთავაზებდი. მე კი სულ ახალსა და ახალ ვარიანტს ვთავაზობდი, რაც კი ჩემს ცხოვრებაში ქალის ხმა გამეგონა, თითქმის ყველა შევამოწმე, რათა დამედგინა, რომელი უფრო მოუხდებოდა მის გარეგნობას.

სინამდვილეში კი, აი თურმე როგორი ხმა ჰქონია: რბილი, მკერდისმიერი, ოდნავ მოღუღუნე და ოდნავ ბავშვური.

— არაფერი არ მიბრძანებია. ერთი პატარა პარადოქსი გითხარით. კერძოდ, ის, რომ მხრების ფორმა დამოკიდებულია არა ჯიშზე, არამედ ეპოქაზე.

შავ თვალებში შეგუბებული გაკვირვება კიდევ უფრო გაიზარდა. და ეს თვალები მცირე ხანს მშვიდად და ნათლად მიყურებდნენ, თითქოს საკუთარ გაკვირვებას ამოწმებენო. მერე, როცა პაუზას ვადა გაუვიდა, მოკუმულ ტუჩებზე კიდევ ერთხელ გადაირბინა თითქმის შეუმჩნეველმა ღიმილმა და ოქროსთმიანი ქალიშვილი წავიდა.

მე არც მიცდია მისი შეჩერება. რა მეჩქარებოდა. მეორე დღეს ხომ ოთხშაბათი იყო და ჩვენ ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს!

კმაყოფილი ვიყავი საკუთარი თავით. მართალია, ისეთი რამ ვუთხარი, რომ, შესაძლებელია, გიჟადაც კი მიმიღო, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის იყო, რომ ეს ფრაზა წინასწარ არ მომიფიქრებია, თავისთავად, ძალდაუტანებლად დაიბადა. მაშასადამე, ძველი სილაღე და სიმსუბუქე კვლავ დამიბრუნდა, გადაილახა დაბრკოლება, რომელიც გადაულახავი მეგონა.

სიხარულისაგან ტყაში ვერ ვეტეოდი, ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი, მთელი საღამო ვხმაურობდი და ხმაღალა ვღიღინებდი.

უფრო სწორად, ვღიღინებდი მანამ, სანამ დეიდა მარიამმა არ ამიხსნა, რომ ჩემს მიერ გამოცემული ბგერები ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა სიმღერად.

ჯიბალ ჭარჩხაძე
მდგეფრი

საერთოდ, როგორც შევამჩნიე, დიდად არ ეჭაშნაა ჩემი აცუნდრუკება. არ ვიცი, საზოგადოდ ვერ ტანდა მხიარულებას, თუ მხატვრულმა დონემ ვერ დააკმაყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ღიღინს რომ კრიტიკული ანალიზი გაუკეთა და მაინც ვერ დამაშოშმინა, საკმაოდ ცივად მთხოვა, თავი მტკივა და თუ შეიძლება, ცოტა წყნარად იყავიო.

მაგრამ იმ საღამოს დეიდა მარიამი კი არა მამა ღმერთიც ვერ გამიფუჭებდა გუნებას, თუნდაც თავისი ცეცხლოვანი ეტლით საგანგებოდ ჩემს გასაკიცხად ჩამოგრიალებულიყო.

მეორე დღეს ოქროსთმიან ქალიშვილს ისევ შევხვდი, მაგრამ ხმა არ გამიცია. არც მომდევნო სამშაბათს გამიცია ხმა და არც მომდევნო ოთხშაბათს. ეტყობა, სიამოვნებას ვაჭიანურებდი, თუმცა მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი.

რამდენჯერმე ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და მე ამ დროს კვლავ ვტკბებოდი იმ ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, პირველი გამოლაპარაკების დროს რომ ორჯერ გადაურბინა ტუჩებზე.

ბოლოს ხელახალი გამოლაპარაკების ჟამმაც დაჭკრა.

ეს ისევ სამშაბათი დღე იყო.

ქალიშვილი დაფიქრებული მიდიოდა აღმართში. მე ჩუმად წამოვეწიე და გვერდით ამოვუდექი.

ერთხანს ასე ვიარეთ. იმ ადგილს რომ მივაღწიეთ, სადაც პირველად გავიგონე მისი ხმა, ყოველგვარი მისალმებისა და შესავლის გარეშე ვუთხარი:

— ერთი საკითხი მაწუხებს და უნდა გაგიზიაროთ.

ქალიშვილი მოულოდნელობისაგან შეკრთა. მე დამშვიდება ვაცალე და განვაგრძე:

— თქვენც შეგეხებათ.

— რა შემეხება?

მის თვალებში გაკვირვება აღარ იყო. ეტყობა, შეეგება ჩემს უტიფრობას.

— საკითხი, რომელიც მაწუხებს.

— მე შემეხება?

— ნაწილობრივ... საქმე ისაა, რომ სამშაბათობით მე დღის ოთხ საათზე ვბრუნდები შინ, ოთხშაბათობით კი დილის თერმიტ საათზე გავდივარ სახლიდან. როგორც დაკაკვირდი, თქვენც მოძრაობის ანალოგიური გრაფიკი გქონიათ. ხოლო, რაკი ეს აღმართი ორივეს გვეკუთვნის, შეხვედრა გარდაუვალია. სწორედ აქ იჩენს თავს ჩემი გადაუჭრელი საკითხი. კერძოდ, ის, რომ არ ვიცი. მოგებულმოთ თუ არა. ერთი მხრივ, თითქოს ნაცნობები ვართ, რადგან ერთხელ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. სხვათა შორის, მაშინ ქათინაური მინდოდა მეთქვა თქვენი სწორი და თხელი მხრების გამო, მაგრამ, ჩემი თანდაყოლილი სიბრძნის წყალობით, ქათინაურის მაგივრად აფორიზმი გითხარით. ამ შეცდომას როგორმე სხვა დროს გამოვასწორებ... დიახ, იმას ეამბობდი, რომ, ერთი მხრივ, თითქოს ნაცნობები ვართ, რაკი ამ რამდენიმე კვირის წინ ხანმოკლე საუბარი გვქონდა, მეორე მხრივ, ამ ნაცნობობას ოფიციალური სანქცია არა აქვს და ამიტომ კაცმა არ იცის, შეიძლება თუ არა კანონიერად ჩაითვალოს. აი, ასეთი რთული და საჭოჭმანო პრობლემის წინაშე ვდგავარ ყოველ სამშაბათს ნაშუადღევს და ოთხშაბათ დილით. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ეს რამდენიმე დღეა სულ საზოგადოებრივი ქცევისა და ეთიკის კოდექსებში ვიქექები, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვიპოვე, ამ შემთხვევას რომ მიესადაგოს. იქნებ თქვენ მირჩიოთ, რა ვქნა.

ოქროსთმიანი ქალიშვილი წყნარად და მშვიდად მისმენდა. არც ერთხელ არ შეუწყვეტინებია. ლაპარაკი რომ დავამთავრე, ცერად გამომხედა და მითხრა:

— ისე დამიკარით თავი, რომ შეიძლებოდეს ეს მისალმებადაც გაიგოს კაცმა და უნებურ მოძრაობადაც.

— ვთქვათ, ავადმყოფურ თავის კანტურად. ეს ჩინებული იდეაა და ხვალვე გამოვიყენებ. მაგრამ თქვენ როგორღა მოიქცევით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილმა შემხედა და სახეზე თავისებურმა ღიმილმა გადაურბინა. ოღონდ ამჯერად ეს ღიმილი უფრო მკაფიო იყო და, მგონი, ცოტა ეშმაკობაც ერია.

— მე ხომ გირჩიეთ. ახლა თქვენი ჯერია.

— სამწუხაროდ, ბავშვობაში რომ რაქიტი მქონდა, იმის შემდეგ სასარგებლო რჩევას ვეღარ ვიძლევი.

ქალიშვილმა ისევ ცერად გამომხედა.

— მართლა?

— თუ ეს ცერად გამოხედვა ორგანული თვისებაა, გაცილებით უფრო ეშმაკი იქნებით, ვიდრე ჩანხართ. ხოლო თუ უბრალო ჩვევაა, გაცილებით უფრო მაამტი იქნებით, ვიდრე ჩანხართ.

— ბავშვობაში რომ რაქიტი გქონდათ, მას შემდეგ გახდით ასე დაკვირვებული?

ეს რომ მითხრა, თან გაბიღიმა.

— რაქიტი ასუსტებს ერთ ნერვს და აძლიერებს მეორეს. ამას ვერც ერთ სამედიცინო ენციკლოპედიაში ვერ წაიკითხავთ. ალბათ, იმიტომ, რომ მართალი არაა.

ამასობაში გზაჯვარედინს მივადექით და ოქროსთმიანმა ქალიშვილმა მითხრა:

— როგორაც დავაკვირდი, სამშაბათს, ღიის ოთხ საათზე, აქედან მიდიხართ მარჯვნივ და ოთხშაბათს, დილის თერმეტ საათზე, მოდიხართ მარჯვნიდან.

— დიახ. სამწუხაროდ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ავიღებ ჩემს ქუჩას, გავიდებ მხარზე, წამოვიღებ და თქვენ ქუჩის გვერდით დავაგებ.

ამაზე ქალიშვილმა ხმამაღლა გაიცინა.

— მაშ, მე მანამდე სახლში შევრბენ და ვისადილებ.

ამ სიტყვებით შეუხვია და წავიდა.

მიდიოდა რბილი, მშვიდი ნაბიჯით, ოდნავ მიარხევდა შოლტივით ტანს და ოქროსფერი თმა ყოჩივარდას თაიგულივით ჰქონდა შეკრული.

ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს რაღაც წამართვა და თან წაიღო.

დიდხანს ვიდექი ერთ ადგილას და უაზროდ გავაქქეროდი სიერცეს.

გულზე სევდა შემომწვა.

მეორე დილით დეიდა მარიამმა შემაფერხა და დამაგვიანა. სხვა დროს ასეთი რამ არ გაუკეთებია. საერთოდ. წესარი, სიტყვაძუნწი ქალი იყო და საუბარში ინიციატივას არასოდეს იჩენდა. მე თუ გამოველაპარაკებოდი, ისიც გამომელაპარაკებოდა, ისე კი თავისთვის იყო და მხოლოდ იმას ამბობდა, რაც აუცილებლად უნდა ეთქვა. იმ დღეს, არ ვიცი რა დაეტაკა, ჩამიდგა კარებში და გააბა და გააბა. ჯერ მშობლების ამბავი გამომკითხა, მერე ჩემი სოფლის კლიმატური პირობებით დაინტერესდა, ბოლოს გვარის ეტიმოლოგიაზეც კი ჩამომიგდო სიტყვა. რა მექნა? გუნებაში ვლანძღავდი, ხმამაღლა კი თავაზიანად ვპასუხობდი. ერთი ორჯერ საათზე დავიხედე, იქნებ მიხვდეს, რომ მეჩქარება-მეთქი. ვერაფერსაც ვერ მიხვდა. იქაქანა და იქაქანა. ბოლოს, როდესაც აშკარად დავგვიანდი, უცებ შეწუხდა, უი, ჩემი სიკვდილი, ვინ იცის, იქნებ გეჩქარება და მე აქ მუსაიფი გაგიბიო. ესა თქვა და ღიმილით ჩამომეცალა გასასვლელიდან. მე გუნებაში კიდევ ერთხელ შევიგინე, ტყვიასავით გავვარდი სახლიდან და კისრისტეხით გავქანდი გზაჯვარედინისაკენ, თუმცა ცხადი იყო, რომ სირბილი ამაოდ ჩამივლიდა.

ასეც მოხდა. თავდაღმართში რომ დავეშვი, მთავარ ქუჩაზე თვალი მოვკარი ოქროსთმიან ქალიშვილს. ქალიშვილმა ქუჩა გადაჭრა და გაჩერებას მიაშურა. იმავ წუთს ავტობუსი ჩამოდგა და ქალიშვილს ჩამოეფარა.

„ოღონდაც არ ავიდეს! ოღონდაც ეს ერთი ავტობუსი გაუშვას“, — ვნატრობდი და ფეხმარდი ცხენივით მივქროდი თავდაღმართში.

მაგრამ ღმერთმა ჩემი ვედრება არ შეისმინა. ავტობუსი რომ წავიდა, ოქ-

---

ჯემალ ქარჩხაძე
ვეჯგმური

როსთმიანი ქალიშვილი გაჩერებაზე აღარ იდგა.

რა გზა მქონდა! მომავალ სამშაბათს უნდა დავლოდებოდი.

მთელი კვირა დაბოღმილი დავდიოდი. დეიდა მარიამს მძულვარებით ვუყურებდი და სულ აღრენილი ვლაპარაკობდი. ის კი ჩემს ღრენას ინუნშიაც არ აგდებდა და ყოველთვის დათაფლული ღიმილით მხვდებოდა.

ბოლოს სამშაბათიც დადგა.

ოქროსთმიან ქალიშვილს გაჩერებასთან დაველოდე. ოდნავ მოშორებით, ისე რომ უცებ არ შევვმჩნიე.

მალე ისიც გამოჩნდა. ავტობუსიდან ჩამოვიდა და აღმართში შეუხვია. მე სწრაფად წამოვეწიე და მივესალმე:

— გამარჯობათ.

ქალიშვილმა მოიხედა და ძველი ნაცნობივით შემომცინა.

— გამარჯობათ. გასულ ოთხშაბათს, მგონი, გრაფიკიდან ამოვარდით.

— დიახ. მცირე გაუგებრობა მოხდა. პატარა ავარია. დამნაშავე სასტიკად დაისაჯა. აი, ამ ჯემპრს კი თქვენს ადგილას არ ჩავიცვამდი.

ქალიშვილმა თავის ჯემპრს დახედა.

— ცუდია?

— არა. ჯემპრი არ არის ცუდი. ცუდი ის არის, რომ ყელს გიფარავთ.

ქალიშვილმა კითხვის თვალით შემომხედა.

მე ავუხსენი:

— თქვენ უჩვეულო ყელი გაქვთ. ოდნავ წახნაგოვანი და ოდნავ არარეალისტური.

— მერე ეს კარგია თუ ცუდი?

— წახნაგოვანი ყელი, ისე როგორც სწორი მხრები, ეპოქის საერთო სტილიდან ამოვარდნილია.

— უცნაური ქათინაურები გაგვარებით. ეპოქის სტილიდან ამოვარდნა კარგია თუ ცუდი?

— ეპოქის სტილიდან ამოვარდნა აზროვნებას აფხიზლებს. ასეთი ყელი და ასეთი მხრები, თქვენ რომ გაქვთ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო გავრცელებული. არსებობს ჰიპოთეზა, ვითომ ქართველები ეგვიპტელების შთამომავლები არიან. თქვენ ამ ჰიპოთეზის მომხრეებისათვის კარგი დოკუმენტი იქნებიდით. თქვენ მხრებით, თქვენი ყელითა და თქვენი თვალებით.

ქალიშვილმა გაიცინა.

—თქვენ თვითონ რომელ ჰიპოთეზას ემხრობით?

— მე მხოლოდ რწმენას ვემხრობი. ჰიპოთეზა შეიძლება არც გამართლდეს. სად სწავლობთ?

— კონსერვატორიაში.

მე შევდექი და ხმაში შიში შემეპარა:

— ვოკალურზე?

ქალიშვილმა ისევ გაიცინა.

— არა. საფორტეპიანოზე. რა იყო?

— აა! საფორტეპიანოზე... — მე დავმშვიდდი და ორივე ხელით პატარა პანტომიმური ეტიუდი გავაკეთე, რათა მეჩვენებინა, რომ ფორტეპიანო ჩემთვის მთლად უცნობი ინსტრუმენტი არ არის. მერე ვუთხარი: — სამწუხაროდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფორტეპიანოს არ იცნობდნენ.

ქალიშვილმა ცერად გამომხედა.

— თქვენ მუდამ ძველი წელთაღრიცხვით აზროვნებთ?

— არა. ეგ შეუძლებელია. მე ხომ თითქმის ყოველდღე დიეტურ სასადილოში ვსადილობ. რაც შეეხება თქვენს სახეს, ასეთი სახის შექმნა ღმერთისგან უაღრესად დიდ სიფრთხილესა და სიფაქიზეს მოითხოვს. ოდნავი არასიზუსტე კომპოზიციაში ან სიმეტრიაში და სიმახინჯე გარანტირებულია. სამაგიეროდ, თუ სიზუსტე სრული და უნაკლოა, სახეც სრულქმნილი და უნაკლო გამოდის.

— თქვენ ისტორიკოსი ხართ?

— არა. ძველი წელთაღრიცხვით აზროვნება უეჭველად ისტორიკოსობას არ ნიშნავს. ისტორია შეიძლება იყოს მეცნიერულიც და მხატვრულიც. მე მხატვრული ისტორიის მომხრე ვარ.

ქალიშვილს გაეღიმა.

— ეს ალბათ ოდნავ წახნაგოვანი და ოდნავ არარეალისტური აზროვნებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უფრო არარეალისტური, ვიდრე წახნაგოვანი. რომელ კუთხეზე ხართ?

— მეორეზე.

ამასობაში გზაჯვარედინს მივაღწიეთ და მე სინანულით ვთქვი:

— ჩვენი აღმართი ძალიან მოკლეა.

ქალიშვილმა წყნარად გაიცინა. მერე შავი თვალები შემომანათა და მითხრა:

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

მე კარგახანს ვიდექი დაფიქრებული და ვუყურებდი როგორ მიაბიჯებდა, — რბილად, მშვიდად, იმედიანად. მერე ერთბაშად მოეწყდა ადგილს და თავქუდმოგლეჯილი გამოვეთე უკან.

ფეხის ხმაზე ქალიშვილმა მოიხედა და გაკვირვებული შეჩერდა.

— მაპატიეთ, — ვეუთხარი მე, როცა დავეწიე და სული მოვითქვი. — ცოტა ცრუმორწმუნე ვარ და ყოველგვარი ავისმომასწავებელი ნიშნების მჯერა. შავი კატისაც მჯერა, მარცხენა ფეხზე ადგომისაც, ცამეტი რიცხვისაც, ყველაფრის მჯერა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ის არის, რომ მე თვითონ ჩავიფიქრებ ხოლმე ავისმომასწავებელ ნიშნებს და მერე მე თვითონ ვუფრთხი ჩემსავე გამონაგონს. დღე ისე არ გავა, თითო რადაცა არ ჩავიფიქრო. როგორღაც თავისთავად მომდის თავში. აი, ახლაც, სრულიად მოულოდნელად შემიჩნდა აზრი, რომ, თუ ამ საღამოს თქვენი სახელი არ გავიგე, რაღაც უბედურება დატრიალდება.

ქალიშვილის თვალებში გაკვირვება ღიმილმა შეცვალა.

— მაკა.

— მაკა, — გავიმეორე მე. — მაკა. ახლა ყველაფერი რიგზეა. უბედურება აღარ დატრიალდება. ნახვამდის.

— მე კი მეგონა, თქვენც გქონდათ რამე სახელი.

მე გამეცინა და ჩემი სახელი ვუთხარი. მერე ხელახლა დავემშვიდობე:

— ნახვამდის, მაკა.

— ნახვამდის.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც გზაჯვარედინს გამოვცდი და შედარებით დავიმშვიდი, ჩემს საქციელს სხვა თვალით შევხედე და შემრცხვა. რას იტყოდა მაკა, ოქროსთმიანი ქალიშვილი, დაოთხილი რომ მიდევედი უკან. რას იტყოდნენ გამვლელები! მართალია, იმ დროს ქუჩაში არავინ შემიმჩნევია, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ერთი-ორი კაცი მაინც არ შესწრებოდა ამ ამბავს!

გარდა ამისა, ქალიშვილმა არ დამიჯერა. ეგონა, ეს ავისმომასწავებელი ნიშანი ტყუილად მოვიასაბაბე, მისი სახელი რომ გამეგო. ამიტომაც გაეცინა ასე ეშმაკურად.

სინამდვილეში არაფერი არ მომისაბაბებია. მართლა ცრუმორწმუნე ვიყავი და მართლა ვიგონებდი ნაირ-ნაირ ნიშნებს, რომელთაც უბედურების მოტანა შეეძლოთ. ზოგჯერ ისეთი ძალით გამტაცებდა ეს სულელური თამაში, რომ კვირეების განმავლობაში სხვა რამეზე ვეღარ ვფიქრობდი. როდესაც დილით, სახლიდან გამოსული, ფრთხილად მიმოიხედავდა და გულისფანცქალით მოელი, მამაკაცს დაინახავ პირველად, თუ ქალს, აქ განსაკუთრებული არაფერია. ეს ალბათ ყველას გამოუცდია. მაგრამ, თუ გზად მიმავალს უცებ აგვკვიატება აზრი, რომ ტროტუარის ბზარებს ფეხი არ უნდა დაადგა, თუ არ გინდა ფათერაკს გადაეყარო, ეს უკვე მთლად ჩვეულებრივი ამბავი აღარაა. მე კი რამდენჯერ მქონია ასეთი შემთხვევა! ხშირად ამის გამო კენგურუსავით მიხდებოდა ხტუნვა. სხვა მაგალითსაც მოგახსენებთ. ერთხელ ქუჩა უნდა გადამეჭრა ისეთ ადგილს, სადაც გადასვლა არ შეიძლება. მილიციელმა დამისტვინა და უკან დამაბრუნა. მე უცებ გავიფიქრე, თუ სხვაგან გადავედი, მანქანა დამეჯახება-მეთქი, და ხელახლა ვცადე გადასვლა. მილიციელმა ისევ დამაბრუნა. მესამე ცდაზე, სანამ უკან დამაბრუნებდა, სამი მანეთით დამაჯარიმა. მეოთხე ცდაზე გაცოფდა და განყოფილებაში წაყვანა და-

მიპირა. საბედნიეროდ, მისი ყურადღება ვიღაც სოფლელმა ქალმა მიიპყრო, რომელმაც კიევი ატეხა, ფული მომპარესო, და მეხუთე ცდაზე წარმატებით გადავლახე დაბრკოლება. ანდა რამდენჯერ მომსვლია ასეთი რამ: ძალის წინ დავხუჭავ წიგნს, რომელსაც ვკითხულობდი, და ვწვები. უცებ ვგრძნობ, რომ წიგნი იქ კი არ უნდა დამედო, არამედ სხვაგან, ამა და ამ ადგილას. თუ წიგნს ამა და ამ ადგილას არ დავდებ, რაღაც ხიფათს გადავეყრები... ადგომა მეზარება, უკვე ჩავთბი და სადაცაა დამეძინება, მაგრამ სიზარმაცეს შიში ძლევს. მე ვდგები, ვუცვლი წიგნს ადგილს, მერე საწოლთან მობრუნებულს ეჭვი მეპარება, მთლად ისე კი დევს წიგნი, როგორც უნდა იდოს? ხელახლა მივდივარ მაგიდასთან, ვასწორებ წიგნს და მხოლოდ ამის შემდეგ ვიძინებ მშვიდად.

ასე რომ ჩემი ოქოსთმიანი ქალიშვილი მართალი არ იყო, როდესაც ეშმაკურად გაიღიმა.

სხვათა შორის, აქ უნდა შევნიშნო, რომ, თუმცა ქალიშვილის სახელი გავიგე, ჩემს ფიქრებში დიდხანს მაინც „ოქროსთმიან ქალიშვილს“ ვეძახდი. იმიტომ კი არა, თითქოს ეს უფრო მიმწონდა. უბრალოდ, შევეჩვიე და სახელით მოხსენიება როგორღაც ნაძალადევი გამოდიოდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა უშუალო ურთიერთობის დროს ცოტა ენა გავიტეხე, „ოქროსთმიანი ქალიშვილი“ ფიქრებშიც შეცვალა ნამდვილმა სახელმა.

დიახ. იმ დღეს მშვენიერ გუნებაზე დავბრუნდი შინ. დეიდა მარიამსაც კი დიდსულოვნად ვაპატიე ამასწინანდელი შეცოდება და ღრენა შევწყვიტე. ჩემდა გასაოცრად, დეიდა მარიამმა თვითონ დამიწყო ღრენა. საკვირველი ამბავი იყო. სანამ მე ვიღრინებოდი, ის იშაქრებოდა. მე რომ დავიშაქრე, ის აღრინდა. მთელი საღამო წარბი არ გაუხსნია და გულმოსული დუდღუნებდა რაღაცას, თითქოს ჩემს ღორებს მისი ბოსტანი აეოხრებინოს. სასაცილო გულის მოსვლა კი იცოდა: ცივი წყალი მომინდა და სამზარეულოში გავედი. იგი ონკანთან იდგა და ჭურჭელს რეცხავდა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც შეუმჩნევია, რომ ჭიქით ხელში ვიდექი და ველოდი. მანამ არ მიმიშვა ონკანთან, სანამ მთელი ჭურჭელი არ დარეცხა.

მაგრამ მისი ბუტიობისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. გულში სიხარული მედგა და ირგვლივ ყველაფერი ლამაზი მეჩვენებოდა.

დილით ოქროსთმიან ქალიშვილს ზედ გზაჯვარედინზე შევხვდი. შორიდანვე შევნიშნე და, მე რომ აქედან მივადექი გზაჯვარედინს, ის იქიდან მოადგა.

— მაკა. — ვთქვი მე.

— გამარჯობათ, — გამიღიმა მაკამ.

— ჩვენი ქუჩა ისევ ისე უსაშველოდ მოკლეა.

— ჰო, წუხელ სულ არ გაზრდილა.

გუშინდელს აქეთ როგორღაც უცებ დავახლოვდით. ორთავეს ძალიან თავისუფლად გვეჭირა თავი.

— რომ გავწელოთ?

— გაწყდება.

— მაშინ სხვა რამე მოვიფიქროთ. იქნებ ამ დღეებში შთაგონება მეწვიოს. თუ მეწვია, უეჭველად მოვიგონებ რაღაცას. „პრინციპულად ახალი ხერხი მოკლე ქუჩების დასაგრძელებლად“. დღეს ასე გვიან რატომ გეწყენებათ ლექციები?

— რა ვიცი. ასე შეადგინეს ცხრილი. თქვენც ხომ „ასე გვიან“ გეწყენებათ სამსახური?

— არა. მე კიდევ უფრო გვიან მეწყება.

— კიდევ უფრო გვიან?

— ორ საათზე.

— მაშ, ახლა სად მიდიხართ?

— არსად. სუფთა ჰაერზე გამოვედი სასეირნოდ.

— ააა!.. ჰო, ჩვენს გზაჯვარედინთან იდეალური ჰაერია.

— განსაკუთრებით ოთხშაბათობით. ჯემპრი, მე რომ არ მომეწონა, იმიტომ გამოიცვალეთ?

მაკამ ცერად გამომხედა და გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა. სხვა რა მიზეზი უნდა მქონოდა!

— დღეს რომელ საათზე გიმთავრდებათ ლექციები?

— შვიდის ნახევარზე.

— ყვავილნარს თქვენ თვითონ უვლით?

— რომელ ყვავილნარს?

— თქვენს ყვავილნარს, ეზოში.

მაკამ თავი აიღო და შემომხედა.

— თქვენ საიდან იცით, რომ ეზოში ყვავილნარი მაქვს?

— არსაიდან. უცებ გავიფიქრე, არ შეიძლება ყვავილნარი არ ჰქონდეს-მეთქი.

მაკამ წყნარად გაიცინა.

— ალბათ, შთაგონება გეწვიათ, ყვავილნარს მამაჩემი უვლის, ხანდახან მეც ვეხმარები.

— დედათქვენი არ უვლის?

— დედაჩემი ადრე უვლიდა. სანამ ცოცხალი იყო.

მე რაღაც წავიზმუკუნე ისე, რომ არც კი ვიცი, რისი თქმა მინდოდა. ჩემდა უნებურად უხერხულ თემას წამოვედე და ახლა აღარ ვიცოდი, როგორ აღმედგინა გაწყვეტილი საუბარი. საბედნიეროდ, მაკამ თვითონ დაარღვია დუმილი:

— ჩვენი დაღმართი თავდება.

უხერხულობა წამსვე გაიფანტა.

— მართლაც. ძალიან მოკლე ქუჩაა, მუხლის გამართვას ვერ მოასწრებ კაცი. გიყვართ ფეხით სიარული?

— კი. განსაკუთრებით საღამო ხანს. აგერ, ჩემი ავტობუსიც მოდის.

მაკა წავიდა.

ერთი კი გავიფიქრე, ნეტა გავყოლოდი-მეთქი, მაგრამ კარგად რომ დავუკვირდი, მივხვდი, გაყოლა არ ღირდა. ავტობუსში ადამიანური ლაპარაკი შეუძლებელია. ირგვლივ ათასი დაცქვეტილი ყურია და ძალაუნებურად დაძაბული ხარ.

იმ დღეს სამსახურიდან შინ არ წავსულვარ. შვიდის ნახევარზე, რუსთაველის პროსპექტზე გავედი და ისეთ ადგილას დავეცი კარავი, სადაც, ჩემი ვარაუდით, ლექციებიდან მომავალ მაკას უეჭველად უნდა გამოვევლო.

მალე მართლაც გამოჩნდა. გვერდით ვიღაც სქელლაბადა, ზონზროხა გოგო მოყვებოდა. პროსპექტზე რომ შემოუხვიეს, უჩუმრად ავედევნე უკან. გამვლელებს ვეფარებოდი და დისტანციას ვიცავდი. ცოტა ხნის შემდეგ ზონზროხა გოგო მაკას გამოეთხოვა და გადალმა მხარეს გადავიდა, რითაც მყისვე მოიგო ჩემი გული.

ახლა მაკა მარტო მიდიოდა. მიდიოდა მისთვის ჩვეული და ჩემთვის კარგად ნაცნობი რბილი, იმედიანი ნაბიჯით. მე ისევ უჩუმრად მივყვებოდი უკან და მისი ცქერით ვტკბებოდი.

მალე შევნიშნე, რომ ამ საქმეში მარტო არ ვიყავი. მრავალმა დარბაისელმა და არადარბაისელმა მოქალაქემ სახელდახელოდ შეცვალა მოძრაობის ტემპი და იმ სიჩქარეზე გადაერთო, რომლითაც მაკა მიდიოდა. მე ამ ჩემს კოლეგებსა და მიმბაძველებს აღშფოთებით მოვავლე თვალი. და ერთბაშად ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ვიღაც ავისმქნელებს თავიანთ ბნელსა და ბინძურ საქმეში ჩავეთრიე. სასწრაფოდ ავუჩქარე ნაბიჯს, მაკას წამოვეწიე და ვუთხარი.

— რა მოულოდნელი შეხვედრაა!

მაკა შეკრთა და მოწყვეტით შეჩერდა. მერე გაკვირვება, ღიმილი და საყვედური ერთად გამოეხატა სახეზე.

— როგორ შემაშინეთ!

— ის ზონზროხა გოგო რომ დროზე არ მოგშორებოდათ, ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებოდა.

— ვინ ზონზროხა გოგო?

— აი, იქ რომ გამოგემშვიდობათ. კუთხეში. სქელლაბადა.

აქ მაკას ხმაში წყრომა გამოკრთა. მაგრამ ეს წყრომაც ისეთივე რბილი და მშვიდი იყო, როგორც მისი სიარული.

— ის გოგო ჩემი მეგობარია და

ჯემალ ჭარჩიძე
მდგეური

„ზონზროხა“ და „სქელღაბაბა“ კი არა, ნინელი ჰქვია.

— ნინელი?

მე ჩემი ძველი დიასახლისი გამახსენდა და გავიფიქრე: „ნეტა თუ დაყენა ჩემს ოთახში ვარდენმა „ვინმე წყნარი, წესიერი სტუდენტი გოგო“? ყვავილები, ალბათ, არ მიაქვს ცოლის საფლავზე, ტყუილად შემპირდა.“

როგორც ჩანს, დიდხანს ვდუმდი.

— რა მოგივიდათ? — მკითხა მაკამ. — არ შეიძლება ადამიანი „ზონზროხა“ იყოს და თან ნინელი ერქვას?

— როგორ არ შეიძლება, — გამეღიმა მე და ამ დროს ისევ ვარდენ მექვაბიშვილზე ვფიქრობდი. — ჩემი ყოფილი დიასახლისი გამახსენდა. იმასაც ნინელი ერქვა.

— მოგენატრათ?

— მოკვდა.

მაკა შეკრთა და სერიოზული თვალები შემომანათა.

მე განვაგრძე:

— მოკვდა. და მისმა ქმარმა სახლიდან დამითხოვა, ქალი მირჩევნია დავაყენო მდგმურადო.

— ცუდი კაცია? — ნეიტრალური კილოთი მკითხა მაკამ.

— რა ვიცი. შეიძლება არცაა ცუდი, ადამიანის გამტყუნება ძნელია, მით უმეტეს, თუ შენ თვითონაც ადამიანი ხარ.

— თქვენ დროდადრო სერიოზულიც ყოფილხართ.

—მე ყოველთვის სერიოზული ვარ. ზედმეტად სერიოზულიც.

— როგორდაც არ შემიმჩნევია.

— ვმალავ. ჭარბი სერიოზულობა სხვის თვალში ხშირად კომიკური ჩანს. არასერიოზულობა კი უფრო ეფექტური და მომგებიანია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ურთიერთობა გიხდება ლამაზ გოგოსთან და არა საქმიან ჩინოვნიკებთან. მართლა, დღეს შთაგონება მეწვია. მოკლე ქუჩის გადიდების ყველაზე საიმედო საშუალება ისაა, რომ ბოლოში მეორე ქუჩა მიაბა.

— რა მარტივი ყოფილა!

— ყველა გენიალური აღმოჩენა მარტივია. — მე ფიქრებმა გამიტაცა. ერთხანს ხმა არ ამომიღია. მივდიოდი ჩუმად და ყურს ვუგდებდი ჩვენი ნაბიჯების ხმას. კი ვიცი, ვარდენ მექვაბიშვილის გახსენებამ იმოქმედა ასე, თუ სხვა რამე მიზეზი იყო, მართლა ძალიან დავსერიოზულდი. ყოველ შემთხვევაში, სიტყვები აღარ მოდიოდნენ ძველებურად თავისუფლად და ძალდაუტანებლად.

— რაზე ფიქრობთ? — მკითხა მაკამ.

— არაფერზე. შესაძლებელია ადამიანის დანიშნულება ის არის, რომ დამოუკიდებელ მოვლენებს შორის კავშირი იპოვოს.

— რა და რა მოვლენას შორის იპოვეთ კავშირი?

მე მაკას შევხედე და, თუმცა გულმოდგინედ ვცდილობდი უბრალოდ და ბუნებრივად მეთქვა, მაინც მოგუდული ხმით გამომივიდა:

— თქვენსა და ეგვიპტეს შორის. — მერე, რაკი ეს ვთქვი, თითქოს ღრუბლები გადამეყარა, უფრო ლაღად და თავისუფლად განვაგრძე. — ხვალიდან „შენობით“ დაგელაპარაკებით. ძალიანაც რომ გამიბრაზდეთ, ხვალიდან მაინც „შენობით“ დაგელაპარაკებით.

მაკამ გაიცინა.

— ხვალ რომ განსხვავებული გრაფიკი გვაქვს?

— გრაფიკი გადახალისდება. გრაფიკი გადამუშავდება. მოიძებნება გრაფიკის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. იცით, პირველად რითი მიიქციეთ ჩემი ყურადღება? მხრებით. მოგისმენიათ ვინმესგან ქათინაური თქვენი მხრების გამო?

— არა. თქვენგან უნდა მომესმინა ერთხელ, მაგრამ თანდაყოლილმა სიბრძნემ გადაგძლიათ და ქათინაურის მაგიერ აფორიზმი მითხარით.

— საოცარი მეხსიერება გქონიათ. ჩემზე უფრო პატივმოყვარე კაცმა შეიძლება აქედან საშინლად პატივმოყვარული დასკვნები გააკეთოს. მე უამრა-

ვი ნაკლი მაქვს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწავე და შემაწუხებელი ის არის, რომ საკუთარ თავს ვერასოდეს ბოლომდე ვერ ვენდობი. ახლაც ამ მემართება. თავგამოდებით გიმტკიცებთ, მხრების გამო მიიქციეთ-მეთქი ჩემი ყურადღება, თან გულში ვფიქრობ, ეს მხრები რომ სხვისი ყოფილიყო, მივაქცევდი კია ამ „სხვას“ ყურადღებას? ალბათ, არა. მაშ, რა მოხდა? ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ სხვისთვის ეს მხრები შემთხვევითი დეტალი იქნებოდა და ამიტომ შეუმჩნეველი დარჩებოდა, თქვენთვის კი იგი არსებითია, რაღაც შინაგანის გამომხატველი, რაღაც შორეულის დამადასტურებელი. თქვენ ძველი ეგვიპტელი ხართ, მაკა. უბრალოდ, დროის კანონს ზურგი შეაქციეთ, ეპოქას მოწყდით და მეოცე საუკუნეში დაეშვით. ეტყობა, მეც ეგვიპტის სიყვარულმა მომიყვანა თქვენთან აუცილებლობის გზით. ამიტომ დამითხოვა ვარდენ მექვაბიშვილმა, როცა ქამმა დაჭკო. ამიტომ არ გამიშვა დედა მარიამმა, როცა წასვლა დავაპირე. რა თქმა უნდა, ამაშიც შეიძლება ეჭვის შეტანა. და მე ამ წუთას ასეც ვიქცევი. სხვას რომ ასეთი მხრები ჰქონოდა, ალბათ, არ მივაქცევდი ყურადღებას. მაგრამ თქვენ რომ არ გქონოდათ ასეთი მხრები? ახლა ჩვენს უკან მოაბიჯებს ოფლიანი მოქალაქეების მთელი ბრბო. მათ წარმოდგენა არა აქვთ ეგვიპტეზე. ისინი ვერ ამჩნევენ თქვენს მხრებს, მაგრამ მაინც თვალებით გეჭამენ, იმიტომ რომ ლამაზი გოგო ხართ.

მაკა შეკრთა და წამით მისმა ნაბიჯებმა სირბილე და იმედიანობა დაკარგა.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას. მათ გადაუდებელი საქმეები ჰქონდათ და გადადეს. სადღაც ეჩქარებოდათ და ნაბიჯი შეანელეს. მათთვის მხრებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... მაგრამ მე რას ვიზამდი, თქვენ რომ ასეთი მხრები არ გქონოდათ? თუმცა ეს სისულელეა. მაშინ არც ასეთი სახე გექნებოდათ. მაშინ თქვენი ჰარმონია დარღვეული იქნებოდა. მაშინ თქვენ არ იარსებებდით. — მე უცებ შევწყვიტე ლაპარაკი და მცირე პაუზის შემდეგ სიცილით დავძინე,—რას იტყვით, გამომივიდა რაიმე ქათინაური?

—არა მგონია, — სწრაფად გამომეპასუხა მაკა, თუმცა აშკარად ჩანდა, ფიქრებში იყო გართული. — ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ყველაფერი ეს ძალიან ბუნდოვანია, — აქ იგი საბოლოოდ გამოერკვა ფიქრებიდან და გაიცინა, — მე მარტივ აზროვნებასა ვარ მიჩვეული. ჩემთვის ყველაზე ნათელი და გასაგები მუსიკაა.

— მუსიკა?! — მე შევეცადე კომიკური შეძრწუნებით მეთქვა ეს სიტყვა, — თანაც კლასიკური მუსიკა, არა?

— ჰო.

— ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება კლასიკური მუსიკის გაგება.

— თქვენ არ გესმით?

— რა თქმა უნდა, არა.

მაკამ მხრები აიჩეჩა.

მხრები ოდნავ აიწია მაღლა და კაბაც აიყოლა. მერე ჩამოიწია და კაბაც დაეშვა.

— ალბათ, ხშირად არ მოგისმენიათ. მოსმენას უნდა მიეჩვიოთ. მუსიკის გაგებას რა უნდა.

— აუცილებლად ვცდი უახლოეს წლებში.

— უახლოეს დღეებში სცადეთ. ოღონდ უნდა შეარჩიოთ. რაც ხელში მოგხვდებათ, ისით თუ დაიწყეთ, შეიძლება დაფრთხეთ.

— მირჩიეთ, რითი დავიწყო.

— რა თქმა უნდა. ყველაფერი მე უნდა გირჩიოთ. თქვენი რჩევა თუ დამჭირდა, მაშინვე რაქიტს მოიმიზეზებთ. — მე გამეცინა, მაკამ განაგრძო, — თუ მართლა გაინტერესებთ, მოცარტს მოგასმენინებთ, რამდენიმე სხვადასხვა ჩანაწერს, როგორ მოგეწონებათ.

ჯემალ ქარჩხაძე
მდგმური

— თქვენი შესრულებით მომასმენინეთ.

მაკას გაეღიმა.

— იქნებ რიხტერის შესრულებით ჯობდეს?

— არა მგონია.

— მაშინ წასულია თქვენი საქმე.

ამ დროს ჩვენ პროსპექტის რომელიღაც შენაკადი ქუჩა უნდა გადავეჭრა. ბოლო ფრაზაზე მაკამ თავისებურად გამომხედა: ცერად, ქვეშქვეშად, ეშმაკურად. ამიტომ ზემოდან მომავალი საბარგო მანქანა არ შეუშჩნევია და დამშვიდებით განავრძო გზა. მე სწრაფად წავატანე მაჯაში ხელი და უკან გამოვწიე. იმავ წუთს საბარგო მანქანამ წინ ჩაგვიქროლა, პროსპექტზე შეუხვია და დანარჩენ მანქანებს შეერია. მე ღიმილით მივუბრუნდი მაკას:

— დაიხსომეთ, რომ სიკვდილს გადაგარჩინეთ.

ეს სიტყვები როგორღაც მექანიკურად გაჩჩდნენ, უეზროდ, თავისთავად გამოცვივდნენ გარეთ, როგორც უყუოადღებოდ მიტოვებული ბავშვები. მე მათთან არაფერი მესაქმებოდა. მე მათთვის არ მეცალა, რადგან ხელში ოქროსთმიანი ქალიშვილის მაჯა მეჭირა.

— გმადლობთ. ვეცდები დაგიბრუნოთ ვალი, როგორც კი საამისო შემთხვევა მომეცემა.

მაკას პასუხიც მექანიკურად აღვიქვი, ისე რომ აზრი ვერ მივატანე. თითქოს ეს ფრაზა გარედან კი შემეხო, მაგრამ ტვინში ვერ შეაღწია. ვერც შეაღწევდა, რადგან მთელი ჩემი შინაგანი არსება სხვა რაღაცით იყო სავსე. ოქროსთმიანი ქალიშვილის მაჯა ხელში უკვე აღარ მეჭირა, მაგრამ ამას აღარც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ჩემს სხეულში უძლიერესი ელექტროდენი შემოიჭრა და ყველაფერი ააფორიაქა. მერე ვიგრძენი, როგორ დაიბადა სიხარული, რომელიც სინათლეს ჰგავდა. მძლავრი, დაუოკებელი, ყოელისმომცველი ტალღა. ეს სინათლისფერი სიხარული დაიძრა, წამოვიდა, გაიზარდა და ყოველი კუთხე-კუნჭული ამოავსო.

მე მივაბიჯებდი პროსპექტზე და ისევითი გრძნობა მქონდა, თითქოს გაფრენილი მიაბიჯებდა. და მიკვირდა, რომ ჩემს ფეხქვეშ ქვაფენილი ტკიცილისაგან არ კვნესოდა.

ფეხით გავიარეთ მთელი გზა.

რაზე ესაუბრობდით, არ მახსოვს.

ჩემი ლაპარაკი არ მახსოვს, იმიტომ რომ ეს მე არ ვიყავი. ეს ვიღაც უცხო იყო, ჩემი მექანიკური ორეული, რომელიც სცენაზე იდგა და ჩემს როლს ასრულებდა.

მაკას ლაპარაკი არ მახსოვს, იმიტომ რომ მაკაც სცენაზე იდგა და მე კი არ მელაპარაკებოდა, არამედ ვიღაც სხვას, ჩემს მექანიკურ ორეულს, რომელიც ჩემს როლს ასრულებდა.

გზაჯვარედინთან ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. მაგრამ მე შინ არ წავსულვარ. თვალებით გავაცილე მაკა სახლამდე, მერე მოვბრუნდი, უკანვე დავუყევი დაღმართს და მთავარ ქუჩაზე გავედი.

იმ ღამეს, საერთოდ, არ დავბრუნებულვარ შინ. იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ ეს ყოველისმომცველი სიხარული ჩემს სამარისმაგვარ ოთახში შემეტანა და დეიდა მარიამის საკირკიტო გამეხადა.

მივდიოდი ალაბნედზე. მივაბიჯებდი უცნობ ქუჩებში და ასე მეგონა, უცნობი სახლები ღია ფანჯრებიდან ღიმილს მაყრიდნენ. ქვეყნიერება სავსე და ძლიერი იყო. ირგვლივ ყველაფერს ნათელი და მყარი აზრი ჰქონდა.

სამყარო იცინოდა.

მე დავდიოდი უცხო და მახლობელ ქუჩებში და ქალაქის ხალისიან ხმაურს ვუსმენდი. ხმაური ჩემი სხეულის რომელიღაც ფენაში იფიტრებოდა და სულში შემოდიოდა დაწმენდილი და კრიალა მუსიკა, საოცარი მუსიკა: ტკბილი, მძლავრი და ერუანტელისმომგვრელი. შესაძლებელია, ეს მოცარტი იყო. და მე ვხედავდი ჩამოქნილ თითებს, რომლებიც როიალის კლავიშებზე დაქროდნენ.

მე დავდიოდი სინათლით სავსე ულა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზეს ქუჩებში და მიკვირდა, რომ ამ-ქვეყნად არსებობდა ვიღაც, ვინც მო-ეგონა გამოთქმა „ამაოებათა ამაოება“.

და იქმნა მწუხრი. და იქმნა შუადღე. და ქალაქი მიწყანდა. ქალაქმა და-ძინა. ქალაქმა დაიძინა მშვიდი, უდრტვინველი, იმედიანი ძილით. ხვალ ისევ გათენდება!

მე დავდიოდი მძინარე ქუჩებში და ჩემს თვალს რული არ ეკიდებოდა. მე ვიყავი ერთადერთი ფხიზელი თვალი და ქალაქში მხოლოდ ჩემი ფეხის ხმა ისმოდა.

მე დავდიოდი, როგორც მეუფე და გოლათი. მშვიდი სიამაყით დავაბიჯებდი ქუჩიდან ქუჩაში და მეჩვენებოდა, რომ ეს ჩემი იმედით ეძინა ქალაქს ასე ტკბილად და უშფოთველად.

მე ვდარაჯობდი ქალაქის ძილს. მე დავაბიჯებდი ჩამუქებულ სივრცეში. დავდიოდი მიწაზე და ვირწეოდი ჰაერში, სახურავებს ზემოთ, როგორც ჰარმონია, როგორც მძინარე ქალაქის ტკბილი სიზმარი.

ხოლო სადღაც, ყვავილნარში ჩაფლულ პატარა, ერთსართულიან სახლში, რბილ, ფუმფულა ლოგინში იწვა ოქროსთმიანი ქალიშვილი. შიშველი მკლავები ზემოდან ეწყო საბანზე.

ქალიშვილს ეძინა და ძილში იღიმებოდა.

ბოლოს ხანგრძლივი ხეტიალით დაღლილი, ერთ პატარა ბაღში შევედი და მერხზე ჩამოვჯექი. თავი მერხის ზურგს მივაყრდნე, თვალები ვარსკვლავებით მოჩუქურთმებულ ცას მივაპყარი.

სამყაროო უსასრულოაო, ერთხმად ამტკიცებენ მეცნიერები და, ეტყობა, მართლა ასეა, თუმცა ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია. მაგრამ უსასრულო შეიძლება იყოს სივრცე, დრო და რიცხვი. უსასრულო მრავალფეროვნება კი შეუძლებელია. ეს ღმერთის ფანტაზიასაც აღემატება. სამყაროს რომელიღაც წერტილში ალბათ მეორდება ყველა ის შემთხვევა, ყველა ის მოძრაობა, ყველა ის წიტყვა და ყველა ის განცდა, რომელთაც დედამიწაზე ვხვდებით. დედამიწა მეორდება. მზის სისტემა მეორდება. და მე ვგრძნობდი, რომ სადღაც, სამყაროს რომელიღაც სისტემაში, რომელი მზის სისტემის ასლია, ზის პატარა ბაღში ვიღაც კაცი, შეჰყურებს მოოქრულ ცას და ფიქრობს იმაზე, რომ სადღაც, სამყაროს რომელიღაც წერტილში ასევე ზის ვიღაც კაცი პატარა ბაღში და მასავით შეჰყურებს მოოქრულ ცას.

გამთენიისას, როდესაც ქალაქი შეაშუშუნა და თვალი გაახილა, მე ჩამეძინა. ჩამეძინა ღრმა და მშვიდი ძილით და სიზმარში ისევ მეჭირა ოქროსთმიანი ქალიშვილის მაჯა ხელში. სიზმარში ხელახლა გადამხდა თავს ყველაფერი ის, რაც ცხადში გადამხდა. მე და მაკა მივდიოდით. ზემოდან საბარგო მანქანა გამოჩნდა. მე მაკას ხელი წავავლე მაჯაში და უკან გამოვწიე. და სიზმარში ხელახლა განვიცადე ყველაფერი ის, რაც ცხადში განვიცადე.

როდესაც გამომეღვიძა, ქალაქში უკვე მზე ენთო. ქუჩებიდან ადამიანების ჟრიამული და მანქანების ხმაური შემოდიოდა. ჩემს ზემოთ, ხის კენწეროში, რომელიღაც გულუბრყვილო ჩიტი ჭიკჭიკებდა. რა ჩიტი იყო, არ ვიცი, ფოთლებში იყო მიმალული და ვერ დავიხახე. მხოლოდ ჭიკჭიკი ისმოდა. ჭიკჭიკებდა და ჭიკჭიკებდა გაუთავებლად. ჩიტები, პატონებო, ჯერ კიდევ წარმართები არიან და მზეს სცემენ თაყვანს.

საათს დავხედე. ხუთის ნახევარს უჩვენებდა. გამიკვირდა და ყურზე მივიდე. გაჩერებულიყო.

ნეტა რა დროა-მეთქი, გავიფიქრე და ზეზე წამოვვარდი.

„დღეს რომელ საათზე ეწყება მაკას ლექციები? თითქოს უნდა მეკითხა... შეიძლება ვკითხე კიდეც და აღარ მახსოვს... ნეტა რომელი საათია?“

სწრაფი ნაბიჯით გამოვედი ბაღიდან

ჯემალ ჟარჩაძე
ვაჯვეური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქუჩაში პირველსავე შემხვედრს ვკითხე, რომელი საათია-მეთქი.

შემხვედრი ახალგაზრდა ქალი იყო და სანამ მიპასუხებდა, კარგად დამაკვირდა. მგონი იმაზე ფიქრობდა, გაველანძღე თუ ეპასუხა. ბოლოს მითხრა.

რვის ნახევარიაო და თან, ყოველ შემთხვევისთვის შემომიბღვირა.

ვერ წარმოიდგენთ, რა გულკეთილი და სომპათიური ქალი იყო.

რვის ნახევარი.

„ცხრა საათამდე ლექციები არსად არ იწყება. მაშ, ყველაფერი რიგზე ყოფილა“.

ჩემი საათი გავასწორე და წავედი.

რვა საათი იყო, ჩვენს გზაჯვარედინს რომ მივაღწიე.

არავითარი გადაწყვეტილება არ მიმიღია, არავითარი განზრახვა არ მქონია, არაფერზე არ ვფიქრობდი. მექანიკურად გადავედი მარცხენა მხარეს, სადაც მაკას მოსახვევი იწყებოდა, და პირდაპირ ტროტუარზე ჩამოვჯექი. ზურგით ქვემოთ, მთავარი ქუჩისაკენ, და პირით ზემოთ.

გზაჯვარედინიდან აღმართი გაცილებით უფრო ციცაბო იყო და ზედ კლდის ძირში თავდებოდა. მე შევცქეროდი ამ ციცაბო აღმართს და ვფიქრობდი, ნეტა ზამთარში, ქუჩა რომ მოიყინება, როგორ დადიან-მეთქი. განსაკუთრებით, ალბათ, ქალებსა და ბავშვებს გაუჭირდებათ. თუმცა არა, ბავშვებს არ გაუჭირდებათ. მე უცებ წარმოვიდგინე მოყინული ქუჩა და ბავშვები, რომლებიც არხეინად და უშიშრად, მხიარული ყიჟინით ჩამოცურდებიან თავდაღმართში. ბავშვები ისე არ უფრთხილდებიან თავს, როგორც მოზრდილები, იმიტომ რომ სიკვდილის შიში არ იციან. ისინი ჯანსაღი და ოპტიმისტური უჯრედებისაგან შედგებიან. არა. ბავშვებს არ გაუჭირდებათ. დიდები სხვა საქმეა. დიდებს მეტი ჭკუა აქვთ. ჭკუა კი პესიმიზმის ამოუწურავი საბადოა. დიდები შეგნებულად თუ შეუგნებლად სულ სიკვდილზე ფიქრობენ. მუდამდღე შიშში არიან და ეჩვენებათ, რომ სხეულში რომელიღაც მოუურჩენელი სენი შეუძვრათ. თავი ეცოდებათ, ფრთხილობენ და ყველაფერს ითვალისწინებენ. ითვალისწინებენ, რომ მოყინულ ქუჩაზე ოდნავი ფეხის დაცურება შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. დაცემა, თუნდაც უმტკივნეულო, სხეულის რომელიმე უჯრედს დააზიანებს, დაზიანებული უჯრედი გადაგვარდება და კიბო განვითარდება. დიდები თავიანთი ცოდნის ტყვეები არიან და მოყინულ თავდაღმართში ძალიან ფრთხილად დადიან. ფეხს რომ ასწევენ, დაკვირვებით მოთვალიერებენ ნიადაგს, ყველაფერს გულდასმით აწონ-დაწონიან და მხოლოდ ამის შემდეგ გაბედავენ ხელახლა დადგმას.

მე ჩემმა წარმოდგენამ გამიტაცა. ვხედავდი, რა ლაღად და უშიშრად დაქროდნენ მოყინულ ქუჩაში პატარა ბავშვები. მერე ბავშვები იზრდებოდნენ და, რაც უფრო იზრდებოდნენ, მით უფრო ნაკლები დაუდევრობითა და ნაკლები სიჩქარით დაცურავდნენ. ბოლოს ბავშვები დავაკაცდნენ, მოქალაქეებად იქცნენ, დაწყებითი სამედიცინო ცოდნა შეიძინეს და მოყინულ ქუჩაში ისე დადიოდნენ, როგორც შენელებულ კინოკადრში.

ეს ხილვები და წარმოდგენები სრულიადაც არ მიშლიდნენ ხელს უმთავრეს საქმეში. მთელი ჩემი შინაგანი არსება დაძაბული იყო, როგორც ჩასაფრებული ნადირი, რომელიც გატრუნული და სუნთქვაშეკრული ელოდება მსხვერპლს. არც ერთხელ არ მიმიხედავს მარცხნივ, სადაც მაკას სახლი იდგა. ვიცოდი, რომ მაკას გამოჩენას ისედაც ვიგრძნობდი. დროდადრო ჩემს ცნობიერებაში შემოდიოდა გამელილთა სილუეტები, ან ტროტუარიდან არეკლილი ფეხის ხმა. ირგვლივ ადამიანები დადიოდნენ. ადამიანები სამსახურში მიიჩქაროდნენ.

და აი, მოყინული ქუჩა, სავსე მხიარული, ხმაურიანი, ლოყებდატკბილული ბავშვებით, ერთბაშად გაქრა. გულმა ბაგაბუგს უმატა, მკერდქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვავე და სასიამოვნო ღიტინი ვიგრძენი. მერე რბილი, ნაცნობი ნაბიჯების ხმა მომესმა. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მომეჩვენა, თითქოს უფრო სწრაფად ახლოვდებოდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. იქნება ჩემს დანახვაზე მაკას ფეხს აუჩქარა? გაუკვირდა, რომ ტროტუარზე ვიჯექი და სადღაც, ზემოთ ვიყურებოდი.

ჩემს თვალწინ ავიისმომასწავებელი და კარგისმომასწავებელი ნიშნების ქარავანმა ჩაიქროლა.

„თუ წითელი ხალათი აცვია, კარგი ნიშანია, — აზრმიუტანებლად ჩავუთქვი მე, — თუ მაღალყელიანი ჯემპრი აცვია, ცუდი ნიშანია“.

ამასობაში ფეხის ხმა სულ ახლო მოვიდა და შეწყდა.

მაკა ჩემს ზურგსუკან იდგა.

მე ველოდი.

— ასე ხომ მთელ სუფთა ჰაერს მარტო თქვენ შეისუნთქავთ და სხვას აღარაფერს დაუტოვებთ.

მე უკან არ მიმიხედავს, კლდეს მივჩერებოდი აღმართის ბოლოში.

— მაკა, — ვუთხარი მცირე პაუზის შემდეგ, ისე რომ კლდისათვის თვალი არ მომიშორებია. — მე თქვენ მიყვარხართ და ეს იქნება ბოლო ფრაზა, რომელსაც „თქვენობით“ გეუბნებით.

ეს სიტყვები ძალიან მშვიდად ვთქვი. მე თვითონ ვიგრძენი, რა მსუბუქად ამოვიდნენ, რა უმტკივნეულოდ გაკვეთეს ჰაერი და რა ნელ-ნელა, რა თანაბარი შრიალით გაქრნენ.

მაგრამ მე ისიც ვიგრძენი, რომ ეს სიმშვიდე საშიში სიმშვიდე იყო.

მერე დუმილი ჩამოვარდა. უსაშველო, გაუთავებელი დუმილი.

მე გულში ვითვლიდი: ერთი, ორი, სამი... ათს რომ მივალწიე, უცებ შევშინდი, ხომ არ წავიდა-მეთქი. იქნებ მისი რბილი ნაბიჯების ხმა ჩემმა მღელვარებამ ჩაახშო და ისე წავიდა, ვერაფერი გავიგე.

— მაკა!

— ბატონო.

„არ წასულა“, — გავიფიქრე და დავშვიდდი. და როცა დავშვიდდი, მაშინღა ვიგრძენი, რომ ყველა ნერვი დაწყვეტამდე მქონია დაჭიმული.

მაკას ხმა შეეცლილი მეჩვენა.

ნელა წამოვდექი და შემოვტრიალდი.

ჩემმა მარჩიელობამ კრახი განიცადა. მაკას არც წითელი ხალათი ეცვა და არც მაღალყელიანი ჯემპრი. ერთიანი ღია ცისფერი კაბა ეცვა, წელზე ლაღად, თავისუფლად შემოკრული ქამარი ეკეთა.

წინასწარმეტყველება ჩაიფუშა. ჩემი მომავალი დარჩა გაურკვეველი და ბუნდოვანი.

მაკა იდგა, ჩანთა ორივე ხელით ჩაებღუჯა. თავი ოდნავ ჩაექინდრა და მიწას დასცქეროდა. ტუჩები ისე ჰქონდა მოკუმული, როგორც სატირლად გამზადებულ ბავშვს.

შემეშინდა, რამე არ თქვას-მეთქი. შემეშინდა, რადგან არ ვიცოდი, რას იტყოდა. და რომ ლაპარაკის საშუალება არ მომეცა, მე თვითონ აკლაპარაკდი. სწრაფად, მხურვალედ, უპაუზოდ:

— არაფერი მითხრა, მაკა. არ მითხრა, რომ ეს სისულელეა, არ მითხრა, რომ სხვა გიყვარს. არ მითხრა, რომ ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა. წუხელ მე სამყაროს ძილს ვდარაჯობდი და, დარაჯობის ვადა რომ გამივიდა, პირდაპირ აქეთ გამოვეშურე. მას შემდეგ ტროტუარზე ვზიარ. რამდენ ხანს ვიჯექი, არ ვიცი. ალბათ, ოცდაცამეტი ან ოცდათოთხმეტი საუკუნე. უცხოეთიდან ტურისტები ჩამოდიოდნენ და მეგზურებს ისინი პირველ რიგში ჩვენს გზაჯვარედინთან მოყავდათ. სიამაყით უთითებდნენ ჩემზე, როგორც რაღაც უცნაურ ღირსშესანიშნაობაზე, და აღელვებული ხმით ეუბნებოდნენ: შეხედეთ ამ კაცს, ბატონო უცხოელებო. იგი სიყვარულით გათანგული გდია ქუჩაში. კარგად დაკვირდით, ბატონო უცხოელებო. იმიტომ, რომ თქვენს უცხოურ ქვეყნებში

ასეთ რამეს ვერ ნახავთ. ეს აღმოსავლური კოლორიტია. მე კი ვიჯექი და გელოდი. შენ საუკუნეების სიღრმიდან მოდიოდი. პარალელური ხაზები არ არსებობს. რაოდენ პარალელურიც არ უნდა იყვნენ ისინი, უსასრულობის რომელიღაც წერტილში მაინც შეხვდებიან ერთმანეთს. მე წუხელ მთელი ღამე უცნობსა და შორეულ სივრცეში დავხეტიალობდი და შენს ძიღს ვდარჯობდი. შენ მშვიდად და უშფოთველად გეძინა. მკლავები ზემოდან გეწყო საბანზე და ძიღში იღიმებოდი. გუშინ ტყუილი გითხარი. მეგონა, სიმართლეს გეუბნებოდი, მაგრამ ტყუილი მითქვამს. ეგვიპტის სიყვარულს არ მოვუყვანივარ შენთან. შენმა სიყვარულმა მიმიყვანა ეგვიპტესთან. შენ იმთავითვე არსებობდი ჩემში. როდესაც შენ დაიბადე, შენ დაიბადე ჩემს სულში. და ამის შემდეგ ჩემი სიცოცხლე შენი ძებნა იყო. მე ვგრძნობდი, რომ შენ ჩემში იყავი და მე გეძებდი შენ. და მე ვიპოვე ეგვიპტე და ეგვიპტე შეიყვარა ჩემმა სულმა, რადგან მე გეძებდი შენ. რადგან ეგვიპტე მავონებდა რაღაცას, რაც ჩემში იყო და რასაც გამუდმებით ვეძებდი. ეგვიპტე ჰგავდა ჩემს ვენახს, რომელსაც ვერ მივაგენი, და მე ვცდილობდი თავის მოტყუებას და მე ვეუბნებოდი ჩემს თავს: ეგვიპტე არის შენი ვენახი. შენ წამოხვედი ოცდაცამეტი საუკუნის წინ. შენ მოარღვევდი დროს და მოდიოდი ჩემკენ. მე კი ვიჯექი ტროტუარზე გზაჯვარედინთან და მოთმინებით გელოდი. არაფერი მითხრა, მაკა. გეხვეწები. არც ერთი სიტყვა. წადი ლექციებზე. დღეს გაჩერებამდე არ მიგაცილებ. აქ დავრჩები და აქედან გიყურებ. არაფერი მითხრა, მაკა. ახლა არაფერი მითხრა. სხვა დროს, რაც გინდა, ის მითხარი. ახლა არა. წადი ლექციებზე. მე აქ დავრჩები. წადი.

მაკა წავიდა.

სანამ წავიდოდა, თავი ასწია და შემომხედა. მშვიდი, ნათელი, ძალიან სერიოზული თვალებით.

მერე წავიდა.

მისი რბილი ნაბიჯების საოცარ ნაბეჭდ შვიდეში ამჯერად რაღაც უცნო ნოტი შეიჭრა. ოდნავი, ძლივს შესამჩნევი დისონანსი.

მე ვიდექი და ვუყურებდი.

თავდადმართი რომ ჩაათავა, მთავარი ქუჩა სირბილით გადაჭრა, რადგან გაჩერებაზე უკვე იდგა ავტობუსი.

მე კარგახანს გავცქეროდი გზას.

იქ ახლა მაკას კვალიღა იყო.

ბოლოს მოვტრიალდი და შინისაკენ წავედი.

დედა მარიამი გაფოფრილი დამხვდა.

ეგლა გვაკლიაო, მითხრა, ღამით გარე-გარე იწანწალო და შინ არ დაბრუნდეო. წესიერ ხალხს სახლში სძინავსო. მეზობლებმა რომ მკითხონ, სად იყო წუხელ შენი მდგმური, რა პასუხი გავცეო, მე შენ შვილივით მიყვარხარ და შენ კი ასე მანერვიულებო.

მერე კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა, შვილივით მიყვარხარო.

მე დაბნეული და გაკვირვებული ვუსმენდი. ვერაფრით ვერ მივმხვდარიყავი, რა აწიწმატებდა, რაში ეკითხებოდა, სად გავათევდი ღამეს და სად არა. მით უმეტეს მეზობლებს რაში ეკითხებოდათ? ანდა საიდან უნდა გაეგოთ? ნუთუ სხვა არაფერი საქმე ჰქონდათ და სულ მე მიდარაჯებდნენ, აბა, ერთი თუ დაბრუნდება ამაღამ სახლშიო?

თან მაოცებდა დედა მარიამის სიბრაზე და თან სასაცილო მეჩვენებოდა ეს არამკითხე პატრონობა.

ის კი იფოფრებოდა და იფოფრებოდა. თითქოს ვიღაცამ ჩართო და გამოთიშვა დაავიწყდაო.

ბოლოს აზრად მმივიდა, ბინის ქირა რომ დამიკლო, ალბათ იმას ნანობს და პირდაპირ ვერ მეუბნება-მეთქი.

არც ვაცივ, არც ვაცხელე, ავდექი და ვკითხე.

ამაზე მთლად გადაირია და სულ უმადური და უსინდისო შეძახა. ბოლოს დაღლილ-დაქანცული სკამზე და-

ეშვა და თვალებიდან ორი წვეთი ცრემლი გადმოღვარა.

აქ კი შემეცოდა. მივედი, მხარზე ხელი მოვხვიე და, თუმცა არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობდი, მაინც შევეცადე დამნაშავე და მონანიე კილოთი მეთქვა, ნუღარ ვიჩხუბებთ, დიდი მარიამ, შევრიგდეთ-მეთქი. დედა მარიამმა ცივად მოიშორა ჩემი ხელი და წამოდგა. მე ჩხუბი დამთავრებული მეგონა, სკამზე დაჯდომა და ორი წვეთი ცრემლი ფინალად ჩავთვალე. თურმე ჯერ სადა ხარ! ის, რაც მე ფინალი მეგონა, სინამდვილეში პატარა შესავლენება ყოფილა ახალი აბობოქრების წინ.

მაშინ ვეღარ მოვითმინე და ცივად და ოფიციალურად გამოვუცხადე: თუკი ყოველ წვრილმანზე ასე ინერვიულებთ, ჩემი აქ ცხოვრება შეუძლებელია. დღესვე მოვძებნი სხვა ოთახს და გადავალ-მეთქი.

ეს არც მუქარა იყო და არც შემონახული კოზირი. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რაც გულში მქონდა.

ჩემდა გასაოცრად ამ განცხადებამ უცნაური ნაყოფი გამოიღო. დედა მარიამმა ჩხუბი ერთბაშად წუწუნით შეცვალა. მერე მოფერება დამიწყო, თავს მაცოდებდა და ყოველნაირად ცდილობდა, სხვაგან გადასვლა გადაეთქმევინებინა.

რამდენადაც გაუგებარი იყო წელანდელი ჩხუბი და გაწიწმატება, იმდენადვე გაუგებარი იყო ახლა ეს ფარისევლობა.

მე ზიზღი ვიგრძენი. ეს ზიზღი რომ დამემალა, საქმე მოვიმიზეზე და ჩემს ოთახში შევედი.

იმ საღამოს მაკა არ მინახავს. ცხრილის კითხვა ისევ დამავიწყდა და სულ ტყუილად ვიდექი მთელი ორი საათი ავტობუსის გაჩერებასთან.

ვერც მეორე დღითი ვნახე. ეს პარასკევი დილა იყო.

პარასკევ საღამოს, როგორც იქნა, ვნახე.

მე გაჩერებასთან ველოდი და ველოდი. არ ვიცოდი, როგორ შევხვდებოდით ერთმანეთს ამ მონოლოგის შემდეგ. წინადღით რომ წარმოვთქვი. ის მონოლოგი დაუძლეველ სიმძიმედ მაწვა და თითქოს ყელში მიჭერდა. გუშინ უცნაური და გაუგებარი სიტყვების კორიანტელი დავაყენე. დღეს ისეთი სიტყვები აღარ მქონდა, სხვა კი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

ყოველგვარი ეჭვი მაკამ გამიფანტა. დამინახა თუ არა, შორიდანვე შემომცინა და ჩემკენ წამოვიდა.

ღრუბლები ერთბაშად გადაიყარა, სიმძიმე უკვალოდ გაქრა და ჩვენ ისე შევხვდით ერთმანეთს, თითქოს წინა დღეს არაფერი მომხდარიყოს.

— გამარჯობა, — მომესალმა მაკა და საოცრად უბრალოდ და ძალდაუტანებლად ამოაგდო „თ„ სიტყვის ბოლოში.

— გუშინ სად იყავი?

— მელოდი?

— ორი საათი და რვა წუთი.

— გუშინ ნინელისთან წავედი ლექციებიდან.

— ისევ ნინელი!

მაკამ ღიმილით შემომხედა და თავი დამიქნია.

— ისევ ნინელი.

— მაგ შენს ნინელის მე ხმალში გამოვწვევ.

მაკამ გაიცინა.

— არ გამოიწვევ. ნინელიმ ხომ არ იცოდა, თუ მელოდი.

— არ იცოდა! არ იცოდა!—ავბუზღუნდი მე და უცებ დეიდა მარიამი მომაგონდა. მერე, ლაპარაკი რომ განვაგრძე, თან იმას ვცდილობდი, ეს დაუპატიჟებელი მოგონება თავიდან მომეშორებია. — ზამთარი რომ ყოფილიყო? ორმოცგრადუსიანი ყინვა რომ ყოფილიყო? ხომ გადავიქცეოდი ყინულის ლოლად!

ჯემალ ქარჩხაძე
ვლგმური

— ზამთარი არ იყო. ორმოცგრადუსიანი ყინვა არ იყო. თბილისში, საერთოდ, არ იცის ისეთი ყინვა, რომ, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვით აზროვნებენ, ყინულის ლოლუებად აქცეს.

და მაკამ ხელი მკლავში გამომდო.

ეს როგორღაც უცბად გაკეთა. ძალიან სწრაფი და, ცოტა არ იყოს, მოუქნელი მოძრაობით. არ ვიცი, რისი ბრალი იყო. შესაძლებელია იმისი. რომ თვითონაც არ მოელოდა ამას და შეუცნობლად ემორჩილებოდა რაღაც შინაგან იმპულსს. შესაძლებელია იმისი, რომ თავიდანვე ემზადებოდა ამისათვის. წინასწარ მომზადებული საქციელი კი, მოგებსენებთ, არასოდეს ბუნებრივი არაა.

მაშინ, რა თქმა უნდა, ამაზე არ მიფიქრია. მაშინ გაბრუებული ვიყავი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვდუმდი. არც ის ვიცი, როცა ბოლოსდაბოლოს ხმა ამოვიღე, რატომ წამოვროშე ისეთი რამ, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ჩვენს საუბართან და არც ჩემს განცდებთან.

— მე კი დეიდა მარიამს შვილივით ვუყვარვარ.

— ვინ არის დეიდა მარიამი?

— ჩემი დიასახლისი.

მაკა შეჩერდა და შემომხედა.

— მართლა, ამას წინათაც მინდოდა მეკითხა და დამავიწყდა. აქ ვისთან ცხოვრობ?

— აკი გითხარი: დეიდა მარიამთან.

— დეიდა მარიამი... მე აქ გავიზარდე ღა...

მე სწრაფად შევაწყვეტინე:

— წარმომიდგენია, როგორ დატანტალებდა ქუჩაში პატარა, ფეხშიშველა ეგვიპტელი.

— მოიცა. ამ უბანში თითქმის ყველას ვიცნობ, მაგრამ დეიდა მარიამი არ ვიცი... ეგ რომელი სახლია?

— კუთხის სახლი, მოსახვევთან. დეიდა მარიამი მეორე სართულზე ცხოვრობს.

მაკამ გაკვირვებული ღიმილით ამაჩერა მხრები.

— არ ვიცი.

მერე, გზა რომ განვაგრძეთ, ისევ მკითხა:

— მოხუცია?

— ვინ? დეიდა მარიამი? როგორ გითხრა... ასე რვაასი წლის იქნება. თუმცა, ღმერთმა იცის, შეიძლება შვიდასზე მეტის არ იყოს.

— როგორი ქალია?

— განსაცვიფრებელი.

— მართლა, მართლა. გარეგნულად როგორია?

— გარეგნულად? ახლავე გეტყვი. ცოტა დავფიქრდე, არა, ეგვიპტელი აშკარად არაა. პატარა, გამხდარი ქალია. ცხვირი აქვს გრძელი და წვეტიანი, თვალები—წვრილი და ისე ღრმად ჩამსხდარი, გარედან რომ შეხედავ, ხვრელების მეტს ვერაფერს დაინახავ. მერე: ორად ორი კბილი აქვს შემორჩენილი. წინა ორი კბილი, ქვედა მხარეს. გრძელი, წვეტიანი კბილები... კიდევ რა...

— კუდიანი ხომ არაა?

მაკას რბილ, მკერდისმიერ ხმას ეს სიტყვები როგორღაც არ შეეფერებოდა. მე შევკრთი და უნებურად შევჩერდი. მერე გამეცინა.

— არ ვიცი. კუდი არ შემიმჩნევია.

— რას შეამჩნევდი. ალბათ, ერთი თოთხმეტი კაბა მაინც აცვია.

— კი, დაახლოებით თოთხმეტი კაბა აცვია.

— კუდიანი იქნება. — დაჯერებული კილოთი თქვა მაკამ და ამ დაჯერებულ კილოში ხუმრობა ისეთი მცირე დოზით ერია, რომ კაცს მართლა დაგაეჭვებდა.

— ვკითხავ, თუ გაინტერესებს.

— არა მგონია, სასიამოვნოდ დაურჩეს ასეთი შეკითხვა.

— ისე, ფრჩხილებიც გრძელი და წვეტიანი აქვს.

— აბა რა ექნება!

— მაგრამ კუდიანის კვალობაზე მეტისმეტად გულკეთილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ არაფერს არ ნიშნავს. კუდიანები ყოველთვის იმას ცდილობენ. გულკეთილად მოაჩვენონ ხალხს თავი.

— გამოჩენილი კუდიანოლოგი ყოფილხარ. დღეის შემდეგ განსაკუთრებულ მეთვალყურეობას დავუწესებ. სხვათა შორის, ცოცხია აქვს. ოღონდ ეს კია, რომ ძირითადად სახლის დასაველად ხმარობს. ყოველ შემთხვევაში, ზედ გადამჯდარი არასოდეს მინახავს.

— ცოცხზე მაშინ ჯდება, როცა შენ ძინავს.

— არ გინდა გაგაცნო?

მაკას მართლა გაეხარდა.

— როგორ არ მინდა! ცოცხალი კუდიანი ჩემს დღეში არ მინახავს.

— მკვდარი?

— არც მკვდარი.

— აუცილებლად გაგაცნობ. ოღონდ ახლა არა. ახლა განრისხებულია და მეეჭვება, კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს შენზე.

— რამ განარისხა?

— იმაზე შემომწყრა, გუშინწინ ღამე რომ სახლში არ მივედი.

მაკა შეჩერდა.

— მართლა არ ყოფილხარ სახლში?

— მართლა.

ჩვენ თვალებში ვუყურებდით ერთმანეთს, მე — ღიმილით, მაკა — სერიოზულად.

— ცოტა დამაბნიე, — მითხრა მაკამ, ისე რომ თვალი არ მოუშორებია. — მე მეგონა, მაშინ ისე მითხარი... რაღაც უცნაური ხარ.

— კუდიანი არა ვარ.

— ჰო. კუდიანი არ უნდა იყო.

გზაჯვარედინთან, ერთმანეთს რომ გამოვეთხოვეთ, უცებ ცხრილი გამახსენდა.

— ცხრილი! ლექციების ცხრილი.

მაკა მოტრიალდა, ჩანთა ცალი ხელით გულზე მიიხუტა და მეორე ხელით გახსნა. მე განვაგრძე:

— კიდევ კარგი, გამახსენდა. თორემ ავტობუსის გაჩერებასთან ერთი მილიონელი საეჭვო თვალით მიყურებს. ნამდვილად ჯაშუში გგონივარ.

— აჰა!

რამდენიმე თვე გავიდა მას აქეთ, მე რომ მაკას ბოლო ფრაზა ვუთხარი თქვენობით.

მერე იმ თემას აღარ შევხებივართ. ჩემს მაშინდელ მონოლოგს ტაბუ დაედო. ირგვლივ ვუვლიდით, როგორც ორბიტაზე მყოფი პლანეტები, მაგრამ შეხებით არ ვეხებოდით.

ეტყობა, შეუცნობელი შიში გვქონდა: სიტყვას მუსიკა ხმაურად არ ექცია და ფერი — ლაქად.

სიტყვა სახიფათო იარაღია; შეუძლია ავი ინი გვიყოს.

სიტყვა აზრის თარგმანია, თარგმანი კი ტლანქად ნათქვამი ორიგინალია.

მე რომ ახლა იმის აღწერა დავიწყო, რას განვიცდიდი, როცა მაკა ჩემს გვერდით იყო, ან როცა მაკა ჩემს გვერდით არ იყო, შეიძლება ტომები დავწერო და მერე ეს ტომები ცეცხლს მივცე, როგორც ფუჭი და არაფრისმთქმელი ნახელავი.

მე ვერ ვიტყვი, რა იყო მაკა ჩემთვის, რადგან ადამიანის ერთადერთი საზომი საკუთარი თავია. ჩემი „საკუთარი თავი“ კი, აბა, რა საზომი შეიძლება იყოს, როცა საქმე მაკას ეხება.

ზამთარი ყოველთვის მეჯავრებოდა. ჩემი საყვარელი დრო იყო გაგანია ზაფხული, როცა მზე ძალიან დიდია და ძალიან ცხელი.

მზე იყო ჩემი გუნება-განწყობილების მთავარი წყაროც და მთავარი საზომიც.

დილით რომ გავიღვიძებდი და ოთახში ფარდასა და ფარდას შუა შემოპარულ, ლარივით გაჭიმულ მზის სხივს დავინახავდი, რომელშიც მტვრის ნაწილაკები ფუთფუთებდნენ, სულში მარად აუხსნელი სიხარული ჩამეღვრებოდა და ეს სიხარული ყველა დარღს ერთბაშად აქარვებდა, ყველა სიცივეს ითბობდა,

---

ჯემალ ქარჩხაძე
მდგეური

ყველა მუქ ფერს შლიდა, ყველა სიმძიმეს ამსუბუქებდა; მე, ჩიტივით ლაღი და თავისუფალი, გადმოვხტებოდი საწოლიდან და არ არსებობდა არაფერი, რასაც ჩემი შინაგანი ჰარმონიის დარღვევა შეეძლო.

ხოლო თუ ღამის ძილიდან გამოფხიზლებულს დილით მოღრუბლული ცა და მოჟამული ამინდი დამხვდებოდა, მეც მთელი დღე მოღრუბლული და მოჟამული ვიყავი.

და აი, ეს უცნაური დამოკიდებულება ჩემსა და ამინდს შორის დაირღვა.

მზემ. წყაროსა და საზომის მოვალეობა მაკას გადასცა.

ახლა, გავიღვიძებდი თუ არა, როგორც დეპეშის ლენტი, გონებაში გაივლიდა ფიქრი: „დღეს მაკას ვნახავ“ და მოღრუბლულსა და მოჟამულ ამინდს ისე ვხვდებოდი, როგორც გაგანიზაფხულის დილას, როცა მზე ძალიან დიდია და ძალიან ცხელი.

მაკა...

ნუთუ მართლა იყო ჩემი ცხოვრების გზაზე ასეთი მონაკვეთი, თუ ყოველივე ეს სიზმრად ვნახე?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჭეიშვილი

კუპე

სამსახურის შემდეგ ლუდის დარბაზ „შატილში“ ჩემს მაკას უნდა შევხვედროდი. „შატილი“ არც კი მომგონებია, ვფიქრობდი, სადმე წუნარ ადგილას გვევახშმა — „ინტურისტის“ ბალში ან რესტორან „დერეჯანში“, მაგრამ დილით მაკამ მთხოვა, „შატილში“ ჯერ არ ვყოფილვარ და მაინტერესებს, თანაც ამ გაგანია სიცხეში კათხა ცივ ლუდს რა შეედრებაო... ლუდი კი მართლაც დიდებული აქვთ „შატილში“, მთელი ქალაქი რომ დაიაროთ, მსგავსს ვერსად დაილევთ. მშვენიერი სამსართულიანი შენობა ქარხანაზეა მიდგმული, ლუდი მილებით მოდის, იქეკი და სვი, რამდენიც გინდა.

დღეს გართობის განწყობა არ მქონდა, მაგრამ თუ ტკივილის გაძლების თავი არა გაქვს, აღარც უნდა ცხოვრობდე... შესვენების შემდეგ ისე წვიდა საქმე, ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ოთხ საათამდე მაინც შევყოვნდი სამსახურში რედაქტორთან უსარგებლო კამათის გამო. სისულელე იყო, მეგრამ ისე ვიყავი გამწარებული, მგონი ოთხკერ მაინც გავუმეორე ერთიდაიგივე, ასე კი არა, ასე და ასე იყო-მეთქი... ბოლოს ავდექი და დემონსტრაციულად დავტოვე მისი კაბინეტი. ერთხანს დერეფანში მიმოვდიოდი დაბოღმილი, მერე ქუჩაში გამოვედი, ტაქსი გავაჩერე და გიგა გურგენიძის საძებნელად წავედი. ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ მეპოყა, ნამდვილად მოვახრჩობდი იმ არამზადას, რა დავუშავე, რისთვის ჩაბაგდო ამ დღეში!.. ვინ იცის, ახლა, არხეინად მიაბიჯებს შინისაკენ ან ძმაბიჭებში ერთობა და წარბსაც კი არ უტოკავს იმ დღის მოგონება; რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსდის, რომ მე სამი დღეა ენაგდმოგდებული დავძერწო ივლისის მზით გახურებულ თბილისის ქუჩებში და მის ყველს დავეიენ...

ცხადია, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, უმიზეზოდ ადამიანი არც ქურდი ხდება, არც მკვლელი და არც ეჩოკები. ზოგი ზოგს ბაძავს, ზოგი, ალბათ, ასეთად იბადება... და მიდის ცხოვრება, მიგორავს უზარმაზარი ცისფერი ბურთი ცოდვებითა და ტანჯვით დამძიმებული...

ნეტა რას ვბოდავ! როცა ალრენილი ვარ, ასე ვიცი, უსიამოვნო წარმოსახვებს ავყვები ხოლმე...

„შატილში“ დაგვიანებით მოვედი. მძღოლს რომ ტაქსი კიბესთან გავაჩერებინე, შვიდი სრულდებოდა, დაკეტვამდე ერთი საათიღა რჩებოდა. მთელი დღე ღია, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ კი კეტავენ, ამ ხალხს ვერაფერს გაუგებ!

მანქანების სადგომს თვალი მოვავლე, ჩვენი „ეიგული“ არ ჩანდა. მაკა, რა თქმა უნდა, შინ დატოვებდა მანქანას, გავიფიქრე, კიბე ავიბინე და დარბაზის კარი შევედე. მზე სამხრეთიდან მოსდგომოდა და იქაურობა „ოპეზის“ ნათურებით გაჩახჩახებულს მგავდა. ბუფეტში ოთხი ბუღასავით ბიჭი ტრიალებდა, ორი ლუდს ასხამდა, ორიც — სოსხოს, პურს და ხინკალს აწყდიდა რიგში მდგარ ხალხს. როცა კი შემოვდივარ აქ, ყოველთვის ბუფეტს იქით, კედელთან მიდგმული მაგიდასთან ვჯდები ხოლმე, ამაზე მოხერხებული ადგილი დარბაზში არ მეგულება. არც ორკარი მაწუხებს, არც ლუდით გამობრუფულთა აქეთ-იქით წრიალი, ზოგკერ რომ სკამს ფეხს წაკრავენ და მხრებზე დაგვაწვებიან ხინკალითა და თევზით მოხცრილი თითებით... მაგიდასთან თოჭინების თეატრის მსახიობები ისხდნენ. ერთ მათგანს, შავგვრემან, ტუჩმოკლე ახალგაზრდას სალმით ვიცნობდი, ზურგშექცევით იჯდა და არ შეეუმჩნევივარ. გამოვბრუნდი და გასასვლელისაკენ გავემართე.

მესამე სართულზე ღია, უსახურავო ივანეთ, სადაც ტილოს ქოლგებიანი მაღალი მაგიდები დგას, ახე ვთქვათ, დროით შეზღუდულთათვისაა განკუთვნილი, სახელდახელოდ რომ წაიხემსებენ, კათხა ლუდს დაიყოლეინ და მიდიან.

მაკა არც აქ აღმოჩნდა. ახლე ვიცოდი, მაგ-

რამ იქნება შეეშალა ან დასთვალიერებლად ამოვიდა-მეთქი, ვფიქრობდი. იყო და წავიდა? არა, არ მოსულა, თორემ ნახევარ საათს როგორ არ დამიცდიდა.

მაკა ტელეტაფიდიაში მუშაობდა რედაქტორად. მანქანა, რომლითაც ამ დილით რუსთავში უნდა წასულიყვნენ გადალებაზე, გაფუქდა და მაკამ ჩვენი „ეიგორი“ წაიყვანა... რამე ხომ არ შეემთხვა? გამაკრთალა... ღმერთმა დაიფაროს! ალბათ გადალება გაეინაურდა, დავასკვენი და იხვე ქვემოთ ჩავედი. მსახლობები წასულიყვნენ. დამლაგებელი ქალი მაგიდას ასუფთავებდა. ორი სკამი დავიკავე, ერთზე სიგარეტი დავდე, მეორეზე — ასანთი და ბუფეტისკენ წავედი. ორი კათხა ლუდი მოვიტანე, ხოსიანი და პური. პირველი კათხა სულმოუთქმელად დავცალე, ხოსისი და პური დავაყოლე. დილის მერე ლუკმა არ ჩამედო პირში და მაინც ნელა შევეძეკეოდი, მაკასთან ერთადაც რომ მეუპატა რამე. თვალი კარისკენ მეჭირა, მისი მოსვლა არ გამომეპაროს-მეთქი. ძალიან მინდოდა. კარი შემოღო და შემოსულიყო თავის აქეთ-იქით ნენეთი, როგორც იცოდა ხოლმე ჩემი დანახვით გახარებულმა. კარი წარამარა იღებოდა, მაგრამ სხვები გადიოდნენ, სხვები შემოდიოდნენ და თანდათან მეწუხებოდა მისი მოსვლის იმედი. მეორე კათხა ავიღე და ლუდის წრუპვა დავიწყე. კათხას, გაგრძელი ქოფის შემდეგ, ორი თითის დადება აკლდა, გაბოვცალე, ავდექი და ბუფეტთან მივედი.

— ისე ძალიან ნუდარ გამივსებთ, როგორც წელან, — დამცინავად ვუთხარი გამყიდველს (ჩემს უკან ვიღაცეები ჩადგნენ რიგში). გამყიდველმა ისე შემომხედა, ვეთოფმე აქ არაფერიაო, კათხა აიღო და დასხმა დაიწყო. მერე ონკანი დაკეტა და ბაგეზე მიწებებულ სიგარეტს ამოლესდა, ვიდრე ქაფი არ ჩაიწა. მერე ისევ მოუშვა ონკანი, კათხაში ლუდი ჩაამატა და გადმომიდგა. ფული გადავიხადე, კათხა ავიღე და ბუფეტს გავეცალე...

„ეს რა მიყვეს!.. ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, ზოგჯერ ეშვიც მეპარება, მართალი მოხდა თუ არა-მეთქი, თავი სიზმარში მგონია... ჯარიმის აქტმა ხომ მოლალ მოხატა ყველაფერი! სამი დღეა დავბრუნდი მივლინებიდან და უკან დამადგენს ეს მორალური „სიგელი“, რომელშიც „მშვენივრად“ იყო აღწერილი ჩემს მიერ ვაგონში ატეხილი ხმაური, გამცილებლის და მგზავრების უმაყოფილება, რის გამოც მატარებლიდან ჩამომსვეს და დამაჯარიმეს. ეს კიდევ არაფერი, რკინიგზის მილიციელი, სადაც დილამდე მაყურყუტეს, მოითხოვდა, რომ ადმინისტრაციულად დავეხაჯე და ბრძანების ასლი მათთვის გადაეგზავნათ. სამსახურიდან არავის მოვუხსნივარ, მაგრამ დრიფნით რომ კორექტორად დამაქვეითეს, ისე გავეცეტლდი, ავდექი და განცხადება. დავწერე, გამათავისუფლე-მეთქი. ჩემი ასოკრატება რედაქტორი, რაღა თქმა უნდა, ხელს მაშინვე მოაწერდა — მეორე წელი პირდაპირ ადარ მიყურებს... ეს შარშანწინ მოხდა: ერთი არც თუ ახალგაზრდა კაცის წერილის დაბეჭდვაზე ამ ზუთხს უარი არ უთქვამს, მაგრამ რად გინდა მერე! — დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ ძახილში თითქმის ერთი წელი გავიდა... დაპირება! — აი, თავიდან მოეცილების დიდებული ხერხი — მოკბეზრდება და ხელს ჩაიქნევ. ის კაცი კი, თვეში ორჯელ მაინც მოდიოდა. დისერტაციისათვის სპეციალიზაციაზე ამ წერილის დაბეჭდვა, ისე ვერ დაიცავდა, თუ არ დაბეჭდავდნენ, ერთი თამაში მაინც უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული. რედაქტორის კაბინეტიდან გამოსულს რომ დავინახავდი, ვბრაზდებოდი: ვერ ხედავს, რომ არ უბეჭდავს, ადეკეს და სხვაგან წაიღოს-მეთქი... ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მოვიდა ის კაცი, ჩემი თანდასწრებით კარგა ლამაზად გამოლანძღა რედაქტორი, მასხარა უწოდა, ეს კიდევ არაფერი, შენნისთანა სადისტს აქ რა უნდაო, ფოლოს ბოლოს, წერილი აიღო და წავიდა. გამეხარდა, უენონ არ ყოფილიან-მეთქი და ხარხარი ამიტეხა. რედაქტორი ისევდაც აღელვებული იყო და ამან მთლად გაამწარა, ატა-დატა და მას მერე თვალს ადარ მისწორებს...“

მაგიდასთან ისევ მარტო ვიჯექი, სადაცაა ლუდის დარბაზს დაკეტავენ, მაკა კი არ ჩანს. როგორ მინდოდა ახლა მასთან საუბარი დღევანდელ ამბებზე (არც ჩემი დაქვეითებაზე და არც განცხადების შესახებ იცოდა რაიმე), მისი სასიამოვნო ხმის გაგონება, თაფლისფერ, ნათელ თვალებში ცქერა, საოცარი სითბოთი და ძალით რომ მავსებდა ხოლმე... მასავით ახლოველი ადარავინ მყავდა. ამას კი არ ვამბობ, მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე დავქორწინებოდით, ამოწურვებელი ვიყავი-მეთქი, იყვნენ ამხანაგები, ნაცნობები, მაგრამ ადამიანები, რომელთათვისაც თამამად შემეძლო ჭირის თუ ლხინის გაზიარება ეს იყო მაკა და ოთარ კალანდაძე. ოთარი ამ გაზაფხულზე თვეზსაჭერ გემზე წავიდა სამუშაოდ და, როგორც თქვა, სექტემბრამდე არ დაბრუნდებოდა. ჭკვიანი, გონებაგახსნილი ბიჭია, არცთუ ურიგო მოთხრობებს წერს და ბეჭდავს კიდეც.

დარბაზი თითქმის დაიცალა. ავდექი და მოძმარული გამოვედი გარეთ. მოღრუბლულიყო. გადავწყვიტე, საბაგირო გზით საბურთალოში ავსულიყავი, მაგრამ მაკა შინ როგორ მივიდა, როცა იცოდა, აქ ველოდებოდი.

გამზირი გადავეკვეთი და სადგურისკენ წავედი, თან სტადიონის შენებლობას გავყურებდი. სახურავის საყრდენების გამართვა ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ტრიბუნებზედაც დაეწყოთ. თითო საყრდენს ერთ თვეზე მეტს ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დომებენ და ალბათ მარტო ამ საქმეს ორი წელი მაინც დასჭირდება... კუთხის შეულესავ, უშნო სახლთან, რომელშიც მგონი კულტ-საგანმანათლებელი სასწავლებელი იყო მოთავსებული, შევჩერდი და მშენებლობას ერთხელ კიდევ შევავლე თვალი... ჩემს გვერდით ვიღაცამ ღვარძლიანად ჩაიცინა. მივიხედე: დაბალი, ჭმუნი კაცი იყო, ერთიანად გაკაღარავებული.

— ამ, არ ადგება საშველი, ხომ? — თქვა კაცმა და სტადიონის გაბედან. ხმა ამოიღო თუ არა არცის სუნი მეცა. — ხუთ წელიწადში ჭალალებს აშენებენ, ეს კი, რა გაბედა ბოლოსდაბოლოს, „რაზუნანის“ მშენებლობაზ შვიდ თვეში არ დაამთავრეს?

— მგონი.

კაცმა რაღაც ჩაიბუზღუნა და გადაადგურთხა. მერე უცებ — ტაკსით! — შესძახა და შეჩერებული მანქანისა�ისე გაიკაკა, გეგონებოდათ, უკან მისდევენო.

ფეხის თრევით მივდიოდი. ნაღებისფერი „ეიგულების“ დანახვაზე ეზერდებოდი, მაკა ხომ არ მოდის-მეთქი. სადგურის მოედანზე რომ გავედი, წვრილად გაწვიმდა. წვეთები ნემსებივით ესობოდნენ გახურებულ ასფალტს. წვიმამ სწრაფად იმატა და მეტროს შესასვლელს მივაშენე, მაგრამ ისე იყო ხალხით გაკედილი, დასადგომს ვერ იშოვიდი... ტროლეიბუსის გაჩერებისაკენ დავაპირე გაქცევა, რომ მუხტუშვილის ღერეილთან ერთად ჩემი სახელი მომეხმა:

— თამაზ! — მაკა მანქანის ფანჯრიდან ხელს მიქნევდა. მივირბინე, კარი გამოვაღე და გვერდით მივუჯექი. ლუდის დარბაზში რომ არ მივედ, მეგონა, ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავდი.

— მაპატიე, ჩემო კარგო, — თქვა მაკამ და მაკოცა. — გადადება გაპიანურდა, ხომ ვერ მიგატანეთ.

— მეც ასე ვიფიქრე. — ცხვირსახოცით სახეზე წვიმის წვეთები შევიშშრალეს.

— კარგ დროს მოგიხსწარი, გაწუწავ გადარჩი.

— მორჩით გადადებას?

— მოვრჩით. „შატილში“ ვიყავი.

— როდის?

— ისედან მოვდივარ. გული მიგრძნობდა, ვნახავ-მეთქი. — ბერკეტს ფეხი დაჭირა და დავიძარით. კოკისპირულად წვიმდა, ასფალტზე ღვარი მიდიოდა.

— მაკა, — სიგარეტს მოვუკიდე და გავაბოლე, — დღეს განცხადება დავწერე და რედაქტორს გადავეცი. ეს „ზზიური“ მთლად გააფუჭეს, ალარ მოიწევა.

— ვიცი.

— რა?

— გადადება რომ გაპიანურდა, სამსახურში დაგირეკე და ყველაფერი მითხრეს. განცხადება არ უნდა დაგეწერა... ჩემიმ კი არ გეუბნები, რომ მეშინია, უსამსახუროდ არ დარჩე. ამბავი რა გამოვიდა ახლა? თვითონ დაეუბარე, თავის გამარჯვების საშფალება მიეცი: არ უნდოდა ამ მუშაობა და წვიდოო.

— ჰო, მაგრამ, მუდამდელ დაძაბულ ურთიერთობას ასე ვარჩევ.

— საყვედური გამოეცხადებინა, დაქვეითება რაღა იყო!

— იმ ბრიყვმა მიზეზი იშოვა და დამინდობდა?

—ჩვენ შეგვიძლია ვუჩივლოთ, უფლება არ ჰქონდა.

— დამაცალე, ჩემო ძვირფასო, ჯერ იმათ ქვაღს მივაგენო და მერე ვუჩივლებ კი არა, მეტსაც ვუზამ.

— ჰო, მართლა! — თქვა მაკამ, სავარძლის ნაინთიან ბალიშად გაკეცილი გაზეთი ამოიღო და გამოიწოდა, — არ წაგიკითხავს?

— არა. რაო, რას წერენ? — გაზეთი გამოვართვი და მის მიერ მითითებულ მეოთხე გვერდს დავხედე, დისერტაციების შესახებ განცხადებები რომ იყო დაბეჭდილი:

— მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დალი ალექსანდრეს ასული სიამაშვილი დაიცავს დისერტაციის თემაზე...

მატარებლის დახუთული კუპე დამიდგა თვალწინ. ნუთუ მივაგენი?

— სახელი და გვარი ემთხვევა, მაგრამ...

— რა მაგრამ, დისერტაციის გამო მოსკოვში მიემგზავრებოდა! — წამოვიძახე გახარებულმა და მაკას მოვეხვიე...

— მოიცა, ნუ გაგიჟდი, ავარია არ მომახდენინო.

...კუპეში სამნი ვიყავით...

— იცი ვისი ცოლია? — თქვა მაკამ ,— გია გურაბანინის, კარდეოლოგი რომ არის, ახლომხედველი, მელოტი... ამ გაზაფხულზე, გრიბოთან დაკავშირებით, ტელევიზიითაც გამოვიდა.

— ვიცი, ვიცი, ერთ დროს ვიცნობდი კიდეც, — მაკას ნათქვამმა ცივი წყალი გადამასხა, სიგარეტი საფერფლეში ჩავასრისე და უფალსოდ განვაკრძე: — ჩემთან ერთად რომ მგზავრობდა იმ დალის ქმარი ხომ გიგა გურგენიძეა... დღეს მქონდა ბედნიერება სამი მაგალი შორიდან მეხილა.

— მერე? რატომ აქამდე არაფერი თქვი?

— პატიოსანი ხალხია. რამდენიმეს მისამართი კიდევ მაქვს... მეოთხე — პენსიონერია, მეხუთე — პედაგოგი, სკოლაში მუშაობს, მეექვსე — მშენებლობაზე, ინჟინერად... არ გინა? „დერეჯანში“ შევიდეთ და ვივახშმოთ.

ბმირთა მოედანს შემოვუარეთ და მარცხნივ ავუხვიეთ... საკონცერტო დარბაზი უზარმაზარ სოკოს ჰგავდა, მის წინ კვარცხლბეკზე მდგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზა კი, საყვარულის სიმღერებს თხზავდა და თხზავდა... ჭუჭა დაცარიელებული იყო, ხალხი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებსა და მაღაზიებში შეუფუფულიყო. ცოტა ხანი კარგი იყო წვიმა, სიგრილე თითქოს სულშიაც შემოიტარა, მაგრამ საგულდაგულოდ რომ მოიხსნა ცამპარი, ისედაც ხომ დიდებულ გუნებაზე ვიყავი და მთლად მომითავა ხაქმე. როგორ მეთქვა მაკასთვის, თორემ ალარც კი მინდოდა რესტორანში შესვლა.

დარბაზში ხალვათობა იყო. მხოლოდ სამ მაგიდას შემოსხდომოდნენ შექეიფიანებული მამაკაცები. კიდევ კარგი, უცნობები იყვნენ, მთათან ლაპარაკს თავი არ მქონდა. კარიდან მარცხნივ, კედელთან მდგარ მაგიჯასთან მივედით, დავსხედით და მოშტანი ქალიც მაშინვე იქ გაჩნდა. რჩეული არ დამწყენია, ქათმის ჩახოხბილი — მაკას საყვარელი ხაქმელი, პამიდვრისა და კიტრის ძმარმოსხურებული სალათა და ორი ყავა შეკუფაკეთე. მომშტანი გაბრუნდა. უხმოდ ვისხედით. მე სიგარეტს ვბოლავდი, მაკა კი, ისეთი გამომტყველება ჰქონდა, თითქოს კედლებმა ჩამოკიდებულმა ჩვეულებრივმა ნახატებმა მიიზიდაო, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს... დიდებული გოგოა! ზოგიერთ ენაკარტალა ქალს არა ბაკეს, ზედმეტი ყურადღებით რომ ყელში ამოგიყვანს. უბრალოდ, იცის, როდის ილაპარაკოს და როდის არა. ეს კარგი, მაგრამ, შენ რა, ბაიყუშივით რომ ზიხარ, ხმა ამოიღე,— ვუსაყვედურე საყთარს თავს, — რესტორანში გასართობად შემოხვედი, თუ ცხვრის ჩამოსახშვებად?

— მაკა, ოდეგონს აკაურობა?

— სიწყნარეა, — თქვა მან, — თუმცა, ორკესტრიც ყოფილა...

მოპირდაპირე კარიდან მუსიკოსები გამოვიდნენ და დარბაზის კუთხეში პატარა ესტრადაზე ადგილები დაიკავეს.

მომშტანი მოვიდა და სუფრა გაგვიწყო... მუსიკოსებმა დასცხეს. ხო-ხო რას უბრალუნებდა მედოლე! მეც და მაკასაც ერთდროულად შეგვეჭმუნნა შუბლი. არა, დიდებული ორკესტრია! რომელიმე მათგანს რომ კეთხოთო, ვისთვის უკრავთ, ხალხს გასართობად, თუ შესაწუხებლადო, ნაწყენი დაგრჩებაო...

ქალი ბლერდა. ხმას თითქოს არა უშავდა, მაგრამ მის უზარმაზარ მკერდს და ახალვე ზარმაცს თეძოებს რომ შეეხედე, შემებრალა. ვინ იცის, ახალგაზრდობაში ტანკენარი გოგო იყო...

რესტორნიდან რომ გამოვედით, ალარ წვიმდა. ხამხრეთისაკენ დაძრული ღრუბლების შორის ლურჯი ცის ვარსკვლავებით მოჩითული მონაკვეთები მოჩანდა. ვარსკვლავები თითქოს თვალს უკრავდნენ გაწუწუულ ქალას.

მანქანა სადარბაზოს წინ გავაჩერე. მაკა გადმოვიდა.

— მანქანას გარაჟში შევიყვანთ. — ვუთხარი.— მუშრუკებსაც გავასწორებ და ამოვალ.

— კარგი.

გარაჟები ეზოს სიღრმეში იყო ძოთავსებული, პატარა სკვერს იქით. მანქანა გავაჩერე და გადმოვედი. გარაჟის კარი გავაღე და მანქანისკენ გამოვბრუნდი... მეზობელი ქალი ვიღაც აკლაუდიას ბოცალა. ძისი სილუეტი მეცნაურა, მგონი წინათ კალათბურთის თამაშობდა... ქალი საშუალო ტანისა იყო (მხრებამდე ძლივს სწვდებოდა კალათბურთელს), სავსე, ფაშფაშა და წაბმულმეზობელი. ძის წამწყმედს ახლა, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავდი, მაგრამ როცა კი შემუხედრია, ყოველთვის შეეტბილი ჰქონდა; ძისი ქმარი როძელიღაც სამინისტროში მუშაობდა რევიზორად და ხშირად მივლინებაში იყო... ისინი სკვერის კუთხესთან იდგნენ და ჩურჩულებდნენ. მერე ქალი მიბრუნდა, ეზო გადაკვა და მეორე სადარბაზოში შეედო. კალათბურთელს ფეხი არ მოუცვლია. სიგარეტის შუქზე რამდენჯერმე დახედა საათს. ცოტა ხანი კიდევ იდგა და მერე ისიც ისევე მოიქცა, ეზო გადაკვა და იმ სადარბაზოში შეიძურწა, წეღან რომ ქალი შეედო. მზეენერი ეოსნპრაცდაა, რა ერქი, რაკი მეზობლების ერიდეს, მთლად ხელიდან წასული არ ყოფილა...

„იქნებ სწორედ ის დალია, კუჭაში რომ იყო?" — გამეიელვა უცებ და ავფორიაქდი, უნდა გავარკვიო, ახლავე უნდა გავარკვიო!"

გარაჟის კარი დავკეტე და მანქანაში ჩავჯექი. გია გურგანაძიე სპურთალლში, მხატვრების უბანში ცხოვრობდა. ორსართულიანი სახლი ჰქონდა, პატარა, სხვადასხვა ფერის ქვებით ტერასებად დაყოფილი ეზოთი.

ტუსელად მივდოდი! რას ვერჩიოდი იმ კაცს, რამდენიმე წლის წინათ ისე პატიოსნად რომ მომეკცა?.. ფეხბურთის მატჩის ტელეკვიზიით ვადღოცემის შემდეგ, ჩვენები რომ დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, ბიძაჩემს გულის ინფარქტი მოუვდა... სასწრაფო დახმარების ხასლგაზრდა ექიმმა რაღაც ნემსები გაუკეთა, მერე მითხრა: ახლავე ანაზეთ კარდიოლოგსო, და გია გურგანაძე დამისახელა, კარგი ექიმიაო. ალმათ, მეგობრები იყვნენ. არ გამკვირვებია, რამდენიც გინდათ იმდენ ვინმეს დაგიხასელებენ, ახე რომ იქმნიან ავტორიტეტს, ერთმანეთის ქნებით.

გურგანაძიეს გასინჯა ბიძაჩემი, გამიხმო და მითხრა: წელს ქვეშთ გაცივებულია, ალარაფერი ეშველებაო. შეძლეთან ფუფლზე კატეგორიაუ ეარი თქვა. მეხიბოვნენ, პატიოსნები კაცი ყოფილა-მეთქი, ზოგიერთი მის ადგილას რას არ ჩაიტანდაო! ამ ქირურგმა, ბიძას რომ ოპერაცია გაუკეთა, ისი მანქანი წინასწარ გამოაროვა დედაჩემს, ხაწყალს კიბო ალმოაჩნია და მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესვე გათავდა კაცი, მაგრამ ფულის დაბრუნებაზე ყურიც არ გაუპარტყუნებია.

ექიმი გუთანბანიძე მაშინ ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა ცოლი, თუ არ ცოცხალა, ალბათ, მერე შეირთო...

იმ კაცივით მივდიოდი, ცნობისმოყვარეობის გამო უკან მობრუნებას რომ ვერ ახერხებს, წინსვლა კი უხერხულობას ბგერის და მიღის, მიდის გაორებული...

პეკინის ქუჩა... ავალოვის დასაწყისი... ვაჟაფშაველას გამზირი... სამი წელია, მეტროს მშენებლობის გამო, გადათხრილი იყო. გული დამწყდა, არა, იმის გამო კი არ დამწყვეტია გული, გადათხრილი რომ იყო, ყველაზე სწორი ღა გრძელი გამზირია დედაქალაქში და შენობა არ მოგეწონება ერთი-ორის გამოკლებით. ჩემთვის რომ ეკითხო, სულ ოცსართულიან, მარმარილოთი მოპირკეთებულ სასახლეებს წამოვეკიბავდი, ნახავდა კაცი და გული გაუნათდებოდა. წინათ, როცა კი ვყოფილვარ მოსკოვში, დღე არ გამომატოვებია კალინინის გამზირზე გაუვლელად... დიდებული გამზირია, უკეთესი მე არ მინახავს. შეიძლება ამას გამი იყო, რომ იმ გამზირისათვის ქუთს ვკარგავდი, მას ხომ პირველად სწორედ იქ შევხვდი შარშან, უკვე დიდ მაკას (ბავშვობისას რომ მოსწავლეთა სპარტაკიადებზე მინახავს წყალში სახტომი კოშკიდან მერცხალივით დაშვებული) რეფერორან „პრაღის" სარკეებიან დარბაზში... ტელევიზორის გადმღები ჭაღები ქართული პოეზიის სალამოს ფირზე ლამაზებედად იყო ჩამოსული და მეორე დღეს ისინიც, მაკასთან ერთად ბანკეტზე იუნენს მოწვეულნი...

ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი, საყვარელი პიროვნების გამო ჩრიო�იც კი ედების ბაღად მოგეჩვენოს და განუყრელ, ლამაზ წარმოსახვად ეკქცეს, მაგრამ იმ ცდაზენიდულ შენობებს რას უშვები. გაზზრის ორთავ მხრიც რომ წამომარცოულან, იმ მშვენიერ გაზონებიან ტროტუარებს?..

ისევ ის წყეული ღღე გამახსენდა (თუმცა, როდის არ მახსოვდა), ამ ორი კვირის წინათ მოსკოვში რომ მივემგზავრებოდი: მატარებლის ვაგონს რამდენიმე წუთი აკლდა, სადგურში რომ მივედი, ვაგონთან მივირბინე და გამცილებელს ბილეთი გავუწოდე.

— მეშვიდე ადგილია.

— აბა, — გამცილებელმა ბილეთი ტკაცის ჩანთის იმ პატარა ჯიბეში მოათავსა, ზემოდან რომ კუპეს ნომერი — ორი ეწერა. მერე ქალალდზე ჩამოწერილ ჯვარდასვულ ნომრებს ერთი ჯვარი კიდევ მიუმატა, შემოიხედა და მითხრა: სხვა კუპეში რომ მოთავსდეთ?

რომელიმე მგზავრს, ალბათ, ადგილის გაცვლა უნდა-მეთქი, გავიფიქრე და მივუგე:

— კი ბატონო, რომელი კუპეა?

— ჯერ არა, აი, ვნახოთ მერე...

გამცილებელი შეა ხნის, დაბალი კაცი იყო. შავი, წვრილი თვალები, მოკლე, ბრტყელი წარბები და წამოწეული ყურიმალები ჰქონდა. ქართულად კი ლაპარაკობდა, მაგრამ ჩვენებურს არ ჰგავდა და თუ კი ქართული გვარი ჰქონდა, ალბათ, დედა ეყოლებოდა შუაზეიელი.

ვაგონის ფანჯრები ღია იყო, მაგრამ მაინც ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა. კუპეში ორნი დამზდგნენ — ახალგაზრდა ქალი და კაცი. ქალს მოსანიავებლად წიგნი ეჭირა ხელში, კაცს — ოთხად გაკეცილი გაზეთი...

— გამარჯობათ, — ვთქვი და ჩემიდანი საბარგოში ჩავდე, დავჯექი.

ზონზრობა, ფარფოსანი ახალგაზრდა კაცი, ქერა, შეთხელებული თმა შუბლზე რომ ჩამოშლოდა და საქმიანი, პრეტენზიული პიროვნებას შთაბეჭდილებას სტოვებდა, თავის დაკერით მომესალმა, ქალს მიებარნდა და ჩემი შემოსვლის გამო შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო...

ქალს სავსე თეძოებსა და ბარძაყებზე შემოტკეცილი ტიღოს მოკარდისფერო შარვალი ეცვა, ზურგით ფანჯრის გასწვრივ ეკდილს მოერნინობოდა, ფეხები საწოლზე მოეკეცა, წიგნით ჯერს ინიავებდა და კაცს ყვერდზე თავგადაბრილი უსმენდა. მსხვილი, ენერგიანი ტუჩები ჰქონდა, ოქროსფერად შეღებილი თმა მხრებზე ეფინა.

მატარებელი რომ დაიძრა, ვაგონში ერთბაშად ავრილდა, გამცილებელი მცეფთამდე არ გამოჩენილა, არც მერე უთქვამს რაფე ადგილის გაცვლის გამო, რევიზორთან ერთად რომ ჩამოიარა. ეტყობა, იმ მგზავრმა გადმოსული გადაიფიქრა-მეთქი, და თუ ჰკამდე ნემსებზე ვიჯექი, ახლა უცემ დავმშვიდდი...

— სად მიბრძანდებით? — მკითხა კაცმა და სიგარეტს მოუკიდა.

— მოსკოვში. თქვენ?

— მეც და ჩემი მეუღლეც, — ხაზგასმით თქვა კაცმა და პირიდან ბოლის რგოლები გამოუშვა.

მგონი გამაფრთხილა: წეღანდელივით თვალებს ნუღარ მიაშტერებო.

— კარგია ახლა მოსკოვი, — ვთქვი მე, — ზამთარში არც თბილისი მომწონს. გაქუცული ხეებისა და გაბოხუნებული მთების ხილვას ვერ ვიტან.

არე ერთს არ ამოუღია ხმა. ქალს წიგნი გაეშალა და კითხულობდა, კაცმა ბოროტების ბოთლი გამოსცალა, მერე მზის სათვალე გაიკეთა და ფანჯრისკენ მიაბრუნა თავი... ჩემთან საუბრის გუნებაზე არ იყენენ და მეც გავჩუმდი. ავდექი და დერეფანში გავედი. სიგარეტს მოვუკიდე და ერთხანს ფანჯარასთან ვიდექი,

ვგრილდებოდი. მომშიოდა. საათს დავხედე, შვიდი სრულდებოდა. რესტორანს გაადგებნენ-მეთქი, და წავედი. წვიდი კი არა, წვიმანცალები, ვაგონი აკვანივით ირწეოდა... .

რესტორანში შევედი, თავისუფალი მაგიდა შევნიშნე და დავჯექი. იმ ცოლ-ქმრმა გუნება გამიფუჭა. მოსკოვამდე ბაიეუშვივით ხომ არ ვიჯდებოდი კუპეში! საკმელთან ერთად, მოდი, რამდენიმე ბოთლ ლუდს შევუკვეთავ მომტანს, ნელ-ნელა ვწრუპავ და ამასობაში დაწოლის დროც მოვა-მეთქი.

მაგიდას ვიღაც მოუახლოვდა, მომტანია-მეთქი, გავიფიქრე, „მენიუს" მოვეშვი და თავაწეულმა გურამ მიქელაძე დავინახე — ჩემი თანაკურსელი. თუმცა, ეუფნალისტიკის ფაკულტეტი ერთად არ დაგვმთავრებია, მეორე კურსზე ვიყავით თეატრალურ ინსტიტუტში რომ გადავედი, მაგრამ ისეთი სათნო, კეთილი ბიჭი იყო მაშინ და ახლაც არ დაუკარგავს ეს თვისებები, მსიამოვნებს ხოლმე მასთან შეხვედრა. ავდექი და გადავეხვიე.

— ჭირიმე შენი! — გურამი ნასვამი იყო. კინოში რამდენიმე წარმატებით შესრულებული როლის შემდეგ, ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა და ვისაც რით შეეძლო, ისე სცემდა პატივს.

— როგორა ხარ?

— დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ.

— მიხარია.

— კარგი, მაგრამ უფიშად რომ გიკოორწილნია, რა ღმერთი გაგიწყრა?

— თბილისში არ იყავი, ძმაო, რაც ორბიტაზე გახვედი, ჭირს შენი მოხელთება.

— ოოო, — გაეცინა და დაჯდა. მეც დავჯექი. — თუმცა, არც უმაგისობაა. ზეგ ბალტიის-პირეთში მივემგზავრებით, ზესტაფონიდან მამა-პაპაური არაყი მინდა წვიფლი... ოჰ, მაკა ბრწყინვალე გოგოა, ბედნიერებას გელოცავ!

სატელევიზოო სპექტაკლებსა და ლიტერატურულ გადაცემებში ზხრიად იწვევდნენ ხოლმე და მაკას იქოდან იცნობდა.

— გმადლობთ, გურამ.

მომტანი მოვიდა და თავაზიანად დაგვიკრა თავი. ახალგაზრდა კაცი იყო, მაღალი, ხმელ-ხმელი, სიმპათიური სახე ჰქონდა, გულუბრყვილო თვალები. გურამმა არ დამაცალა, ოთხი ბოთლი შამპანური ით ა საკმელი შეუკვეთა. მომტანს, შეეკუე, ესიამოვნა, ამდენ შანმპანურს, ალბათ, არც თუ ისე ზხრიად უკვეთავენ ვაგონ-რესტორანში. ხუთ წუთს არ გაუვლია, რაც შევუკვეთეთ, მოგვიტანა. შამპანურის ბოთლები ყინულიან ვედროში ჩაეწყო... ერთი იქვე გაგვიხსნა და წავიდა...

ცივი შამპანური გვსიამოვნებდა. ვსვამდით და ვსაუბრობდით ახლახან დამთავრებულ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, თეატრზე, კინოზე, ერთი სიტყვით, ათას რამეზე, რაც მოგვწონდა და არ მოგვწონდა...

გურამი ადგა და მითხრა: ტუალეტში ვხარ-გამოსასვლელზეო. ტრადიციის ერთგული დავრჩები, ქეიფის დამთავრებამდე ფეხს არ მოვიცლი-მეთქი, სიცილით მივუგე. ახა შენ იცი — და გავიდა.

მეზობელ მაგიდაზე ხარხარი ატყდა. ქალაქური-სანი, ჭრელალალფალიანი მამაკაცი თანმესეფურებს ერთი აფერისტის ამბავს უყვებოდა, იაკუტიაში მოსწავლეებს ფრანგულის მაგივრ მეგრულს რომ ასწავლიდაო.

ვეუფურებ მათ და გული მეწურება, რა ქმაყოფილი სახეები აქვთ, დაბრნენი პირები, სიცილისაგან აცრემლებული თვალები... დიდებული სანახაობაა! შენ ეკბილებში ოფლი გამოგდის, ესენი კი, ლამისაა სკამებიდან გადმოცვივდნენ... თუმცა რა, ხალხმა საკუთარ თავზე სიცილიც ისწავლა.

გურამი შემოვიდა, ხელ ხელებს სახეზე ისვამდა, გაგვრილდიო, თქვა და დაჯდა...

მატარებელი კარგა ხანია გასცდა წიფის გვირაბს. მოსახვევები, გაუთავებელი მოსახვევები... ვაგონის ბორბლები ღრეჭიალებენ... ძალაუნებურად ვისმენ მათ ღრეჭილს და გული მიწურილდება... მერე უბრის ძვლებისა და კბილების ღრეჭილი მესმის, უთვალეგი უბისა და კბილის... საზიზღარი წარმოსახვაა, ეტყობა, დავიღალე.

გურამის ჩასვლის დრო ახლოვდებოდა. მომტანს ვთხოვეთ, ანგარიში მოეტანა. მზად ჭკნნია, ხალათის ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დაგვიდო... ოოო, ეს კი, სიურპრიზსა ჰგავს! მომტანს ავეხედე და ვეუთხარი:

— ორმოცდაერავა მანეთი და სამოცდათვრამეტი კაპიკი?

— დიახ, — თქვა მომტანმა, ხელეტმლშვებული იდგა, მიამტკი გამომეტყველება არ შორდებოდა სახიდან.

— რა ამბავია, ძვირფასო?! სინდისი აღარ არის?

მომტანი აიღიწა.

— რომელ სინდისზე ელაპარაკები ამათ, — თქვა გურამმა, ანგარიშის ქვითარი გაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და დამცინავად ახედა მომტანს, — თუ არ შეწუხდებით, ხელახალი ანგარიში გვიბოძეთ.

მომტანი დიდემის წინაშე აღმოჩნდა, აღარ იცოდა, რა ექნა, ყოყმანის შემდეგ ფეხთათრეული ბუფეტისაკენ გაბრუნდა... ცოტა ხნის მერე მოვიდა და თქვა:

— შეცდეი... ოცდარვა მანეთია.

— აჰ, შეცდით! ამგვარი შეცდომების გამო იყო, ოცი წელი რომ გვატყუვებდნენ... შეცდა! — ოცდარვა მანეთი მაგიდაზე დაუყარა, ავდექით და წამოვედით. მომტანი აგვედევნა.

— მომწყდი თავიდან!.

ტამბურში რომ გამოვედით, ჩემი ვაგონის წვრილთვალა, მოყლეფწრაბა გამცილებელი შემოგვეფეთა და გვეუბნოვა: ახალგაზრდა კაცია, გამოოცდილი და ნუ დაღლუავთო, მაგრამ ჩვენ ქვა ავაგდეთ და თავი შევუშვირეთ... მაგ თავ-ბედს მოსკოვში ვანახებ სერის-მეთქი, ვუთხარი ბოლოს და გავეცალეთ.

ზენტაფონი... ჩასვლისას გურამმა მითხრა: იმ ბითურს დღეგანღელი შიში, ალბათ, არასოდეს დაავიწყებეა, ხვალ რომ შეხვალ კაპიკ-კაპიკ გიანგარიშებსო.

ეს იყო და ეს... მერე, როგორც ვთქვი, მატარებლის მომდევნო გაჩერებაზე ჩამომსვეს და დამაჯარიმეს. რის გამო? ესს რა თავის მტვრევა სჭირდაა! — გამცილებელმა მომტანი დაიცვა, დამასწრო... თუმცა, მე არც მიფიქრია აქბის შედგენა ან მოსკოვში მისთვის სერის ჩვენება, ეს ისე ვუთხარი, შესაფუცხუნებლად... საინტერესო ამ ადგილზე აქბა, ჩემი თავშეუკავებლობის, ხმაურის, ყვირილის და მეზავრთა უკმაყოფილების შესახებ, რატომ მოაწერა ხელი მაინცდამაინც იმ ცოლ-ქმარმა, ჩემთან ერთად რომ იყო კუპეში — დალი სიამაზელი და გიგა ბერგენიძე... ხომ იცოდნენ, რომ ტაუღალი იყო, რა უნდოდათ, რისთვის მოიქცნენ ასე?.. იმის გამო, რომ მარტო დარჩენილიყვნენ?.. ასეთი სულ მდგალლობა?! იმის გახსენებაზე, ბანდიტივით გაკაჩო�d რომ მიმარბენინებდნენ, ახლაც მიხურს ქეფა, მთელი ვაგონი მე მიცქეროდა, ალბურს ქეფა, მთელი ვაგონი მე მიცქეროდა, ალბათ, მთელი მატარებელი... წამომბრძანდითო რომ მითხრა, ორი მილიციელიდან ერთ-ერთმა— ზორება, წითფრმა კაცმა და მკლავზე ხელი მომკიდა, ალვშფოთდა... არსადაც არ წამოვალ-ეკიდა, ალვშფოთდა... არსადაც არ წამოვალ-მეთქი! ლაი-ლაისთვის არ გვცალიაო, თქვა ისევ წითფრმა, ილლიმენი ხელეები ამომდეს და წამიყვანეს... იქნებ, ოდესღაც ვაწყენინენე იმ კაცს, ოფიცრობდი თანაკუბელ ზონზრობაზე. ფეღლტფოლი ნდა ეგეწერე ეს შესახებ ან კრიტიკული წერილი ნდა ეგეწერე ეს. ეს ბოლოს ამ ადგილ-ადგილ მოეზდა დაბოლმილი იყო, უნდოდა სამაგიერო მოეზღო და აი, ისიც... ბაგრამ ამ ბვარის კაცზე ჩემ ღლეში არაფერი დამიწერია, არც არასოდეს შემხვედრია სადმე, იმ დღეს პირველად ვნახე... იქნებ, უბრალოდ, ადგენენ და მოაწერეს ხელი, რა გვენაღვლებაო... იქნებ, ცოლ-ქმარი არც იყო და... ეშმაკმა იცის!..

●

ნუცუბაძის ქუჩით მიმყავდა მანქანა. ამასაც ქუჩა ჰქვია რაღა!.. ვიწრო, უტროტუარო, დამსაღარი ასფალტი, ალაგ-ალაგ ორმოები... ამდენ ჯანჭღლაში კაცს გული აგერევა! მარჯვნივ, კიდევ უფრო ვიწრო ქუჩაზე ავუხვიე და გადავერჩი — ორმოებიდან ალარ იყო, სადღაც აქ ცხოვრობს ვია ბერგანანიდე... მგონი ის უნდა იყოს მისი სახელი. ორსართულიანი, შეულესავი აგურის შენობა... ჰო, ეს ყოფილა! რკინის ბიშკარზე წარწერაა: კარდეოლოგი გ. ა. გურაბანიძე.

მანქანა მოზორებით გავაჩერე, სიგარეტს მოვეკიდე და მანქანიდან გადმოვედი, ვითომდაც საბურავების შესამოწმებლად... ქუჩაში არავინ ჩანდა. რა წყენარი უბანია! სოფლური იდილია... ეპრიენენის ხმა... აჯა-იქ ძალლების წამოყეფება... ღორის ან ცხოვრება...

ექიმის სახლს ჩავუარე. პირველი სართული განათებული იყო. რა დროა? საათს დავხედე, თორმეტის ნახევარი სრულდებოდა. უკან დავბრუნდი, ფერადი ქვების ღობესთან, ზემოდან მავთულწნული რომ ჰქონდა გაყოლებული, შევჩერდი და მივიხედ-მოვიხედე... ჩემთვის არავის ეცალა. მავთულწნულის სამაგრ რკინებს მოვეკიდე, ავიწიე და სახლს გავხედე: გრძელი, ფანრთო დარბაზი დიდი ჭაღით იყო გაჩაჩხებული... ექიმი! ...იგი მაგიდასთან ზის იღლიებში ხელდამოდებული, ტელევიზორს უცქერის და ხარხარებს, ცოლს ეძახის: ჩქარა, დალი!.. მოპირდაპირე ოთახის კარი გაიღო და... ღმერთო ჩემო!.. ოკრიოსფერი, მხრებზე დაფენილი თმა, მსხვილი, ვნებიანი ბაგე... ის არის! — კინალამ შეეყვირე. ტროტუარზე დავდგები და ერთხანს საკუთარი ეფექტის ბაგალუგს ვუსმენდი. მერე ღობეს მოვშორდი და დასამშვიდებლად ეზოს წინ ნიარელს მოვუვეი... ექიმი უპატიოსნო კაცი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი მსმენია და გული მომეწურა, შემბრალა, რადგან უეცრად ვიგრძენი, იგი აქ უცხო იყო...

შინ რომ მივედი, მაკას ეძინა. ალბათ, მელოდა, მელოდა და ჩაეძინა. ადარ გავადვიძე. სიგარეტს მოვუკიდე და აივანზე გავედი. თავი მისკედობოდა. ეს ორი კვირაა ისეთ დღეში ვარ, ისე მაწყდება ნერვები, უცაბ გამიკვირდა, სისხლი როგორ არ ჩამექცა ტვინში ან ინფარქტი როგორ არ მომივიდა-მეთქი!.. ტკივილი ტვინს მიბურღავს... წამალი რომ დავლიო? გულს ამირევს... კინაღამ დავლიე! ოთახში შევედი, კარადიდან ფრთხილად გამოვიღე „ვარკიხის“ ბოთლი, სამზარეულოში გავედი, დავიხსნი და გადავკარი... კონიაკი თოფის პირდაპირ ტვინში ავარდა, დამეცხლა... მერე სახიათმოვნიდ გამბარბუკა... ჰო, ტკივილმა საგრძნობლად მოკლა... მეორე ჭიქა, მეორე ჭიქა მთლად მომპარჩენს!.. დავიხსნი და დავლიე, ესეც ახე! თავი უკვე ადარ მტკიოდა. ალბათ სისხლის წნევა მქონდა დაცემული და კონიაკმა ამიწია... რეკლამა: სვით ძვირფასი კონიაკი! ნურაფერს იტყვით, სიცოცხლე უფრო ძვირფასია!

კონიაკის ბოთლი კარადაში შევინახე, გავიხადე და დავწექი. ერთხანს მესმოდა ქუჩიდან შემოსული მანქანების ხმაური, მერე ეს ხმა

თანდათან მინელდა და ბოლოს სულ მიწყდა — ჩამეძინა... ასეთი სიზმარი ენახე: თვითმფრინავში ვიჯექი (არ ვიცი, სადან ხად მივფრინავდი) და ილუმინატორზე შუბლმიბჯენილი ფიქრობდი მიწას სხვადასხვა ზომის კვადრატებად რომ იყო დაყოფილი... უეცრად, თვითმფრინავიც გაქრა, კვადრატებიც და მატარებლის კუპესსელი ოთახების ლაბირინთში აღმოვჩნდი, კარ-ფანჯრებდაგმანულ, დახუთული ოთახების ლაბირინთში. აღარც ცი ჩანდა, აღარც მიწა და აღარაფერი გარდა იმ ოთახების თუ კუპეების, რომლებშიც ტუკიისფერსახიანი ადამიანები ისხდნენ (ალბათ ნიღბები ეკეთათ), ვუყურებდი და მათ მაგიერ მე მეხუთეობდა სული, მეკვირა: როგორ ძლებენ ამ დახუთულ კუპეებში-მეთქი!.. ისინი კი, თითქოს აქ არაფერიაო, არხეინად გრძნობდნენ თავს...

...რაღაო ნიგნალები მომესმა: SOS!.. SOS!.. რაღაც უბედურებაა! — ვამბობ და ლაბირინთის კედლებს ვაწყდები...

ჩემს გვერდით ახალგაზრდა ქალი ეცემა გულშეღონებული... გზიდან გადავიყვანოთო, მეუბნება ნიღბიანი მამაკაცი, ქალი აკენიეთ და კუპის კედელთან მივაწვინეთ. ნიღბიანი მამაკაცი უეცრად გაქრა... მივიხედ-მოვიხედე, იქნებ წყალი გამოიტანოს ვინმემ-მეთქი, მაგრამ კუპეების ფანჯრებთან მხოლოდ გულგრილი სახეები დავინახე...

— ქალი ყოფილა! — თქვა ერთმა.

— რა მოხდა, ქალი ხომ არ არის: — თქვა მეორემ.

— კაცი ყოფილა! — თქვა მესამემ.

— რა მოხდა, ქალი ხომ არ არის! — თქვა მეოთხემ.

ქალისკენ მივბრუნდი, იქ აღარ იწვა, გამქრალიყო... ნუთუ ყველაფერი მომეჩვენა? — ვფიქრობ... და ისევ — SOS! SOS! — ისმის და გუგუნების ცა, როგორც ფუჩარმაზარი ეკლესიის გუმბათია... მე კვლავ ლაბირინთში დავბორიალებდ, რადაცას დავეძებ. აღარ ვიცი, რას, სისხლი თვალებში მაწვება, ყურები მიწივის, ვიგუდები...

— აააა! — სიმწრისაგან შევკვირე და გამოღვიძა... მაკას გადავხედე, ისევ ეძინა. მართლა რომ მეკვირა, მეზობლებიც ფეხზე იქნებოდნენ-მეთქი! — და დავშშვიდდი, მაგრამ მერე ძილი აღარ მომეკარა...

●

მშენებლობაზე გახურებული მუშაობა იყო. ეზოში შევედი. მუშას, რომელსაც კირით დაფარული შლაპა ჩამოეფხაკა თავზე მზისაგან დასაფარავად და ამწის ბაკანზე აგურებს აწყობდა, ვკითხე:

— ინჟინერი აქ არის?

— აგერ, იქ, საწყობში ზის.

ეზოში დახორაკებულ სინკარებსა და აგურებს გვერდით ჩავუარე და შეუფერხებ ადგილზე დახეული ნაგეს მოგრძო, ერთსართულიან შენობასთან მივედი. კარი შეკაზე, შევედი და კედლის ჭუჭრუტანებიდან შემოსულმა მზის სხივებმა თვალები ამიჭრელა. ვიდა გვერდზე გავწიე და მაგიდასთან ზონზზრობა, ფართოსახიანი ახალგაზრდა კაცი დავინახე, იქდა და რაღაცას ანგარიშობდა. ისე იყო გართული, თავი არც კი აუწევია, თანამშრომელი თუ ვეგონე.

„ბედლობა ღმერთს, კიდევ დიდხანს წასწავლე არ დამშერდა!.. მეექვსე სვლა იღლიანი აღმოჩნდა...“

ალბათ იგრძნო, დაინებით რომ ვუყურე, თავი ასწია, რა თქმა უნდა, მიცნო და გაფაფრიალები წამოდგა...

მერე, აღარ მახსოვს, მე რა ვუთხარი (კარგს რას ვეტყოდი!), ისან — რა, უცებ დატრიალდა ყველაფერი: თავში რაღაც მძიმე საგანი მომხვდა, ალბათ აგური, კართან კი მიგბარბაცდი, გავაღე და თვალთ დამიბნელდა.

●

— როგორ არის, ეკიმო?

ძილში მაკას ხმა ჩამეხსა... წუხელ, შინ რომ აღარ მოვედი, მეძება და აი, მომაგნო კიდეც. კარგი სანახავი კი მიპოვა, თავგატეხილი, ფოლმანდმეშოხეული.

— მოელი ღამე ბორკავდა, ახლა არა უშავს... დაიპირეს ხომ ის მხეცი?

— დიახ. შემოვშვით, გეხვეწებით, ქალბატონო.

— ნუ შეიწუხებთ. ძლივს ჩაეძინა.

— შემოუშვით, ეკიმო...

ჩემი ხმა რომ გაიგონა, პასუხს აღარ დაელოდა, შემოვარდა და საწოლთან მუხლებზე დაეცა, ხელები დამიკოცნა.

— როგორ ხარ, შენი ჭირიმე?

— გადასარევად, ისე როგორც არასოდეს.

— ხუთრობს კიდეც? — ადგა და საწოლზე ჩამოჯდა.

— რაო, გეგონა მისავითებული ვიქნებოდი? — არ მინდოდა შეშინებოდა, თორემ ისე მქონდა ქუთუთოები დამძიმებული, თვალების გახელაც კი მიჭირდა, — რა ბრილი ხელები გაქვს...

— სიცხე გაქვს, ჩემო კარგო.

— არაფერია... წყალ რაო, რას გეუბნებოდა ეკიმი... დაიპირესო?.. რა ამბავ უნდა... ყველაფერი კარგად იქნება... უნდა იყოს...

ისევ ჩამეძინა, მაგრამ ისე კი არა, მკვდარივითო, რომ ამბობენ, ვგრძნობდი, როგორ ფრთხილად მისვამდა მაკა ხელებზე თავის ნაზ თითებს; ყველაფერი მესმოდა: დერეფანში მიმავალი ეკიმების ფეხის ხმა, ლია ფანჯრის იქით, ხეებზე შემოსმსდარი ჩიტუნების ჭიკჭიკი და ჩემი ოღნაც აჩქარებული სუნთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მინდორი

ბიჭი მანქანის უკანა სავარძელში იჯდა ფანჯრის რაფის მარცხენა მხრით მოყრდნობილი და მზის სხივებისაგან თვალებმოჭუტული მთის პატარა მდინარით ახმაურებულ გრიგმის გასცქეროდა. მანქანა რომ მინერალური წყლის ჩამომსმელ ქარხანას გასცდა და კლდოვან ბორცვს შემოვარა, ვიწრო ხეობაში ფერდობებზე შეფენილი სანანკორიუმები და კოტეჯები, მდინარის პირას და მოედანზე აღმართული მოზაიკური პანოები და თეთრი, მოგრძო შენობებით გადაბურული წყარობები, ბიჭის წარმოსახვით რომ მეტროს მინიატურულ სადგურებს ჰგავდა, თვალს მიეფარა.

ბიჭს მშვენივრად ახსოვდა ეს გზა, კარგადხანს ფიქვის და წაბლის ხეებით დაბურული ტყეების გარეთ, ვერაფერს დაინახავდა და შემობრუნდა, სავარძელში გასწორდა.

ბიჭმა სულ ორი კვირა დაყო ამ კურორტზე მამასთან ერთად, ახლა რომ საკეს უჯდა — მაღალი, ჯალაშარეული ახალგაზრდა კაცი და მანქანას მიაქროლებდა, მაგრამ ეს დრო უქმად არ დაუკარგავს—ზურგჩანთა ნახატებით და ესკიზებით ჰქონდა სავსე, კიდევ ბევრის დახატვის ფიქრობდა და ვერ მოასწრო... ამის მიუხედავად, აქედან მიმავალს გული არ წყდებოდა, პირიქით, გახარებული იყო, რადგან გუშინ და დღეს ამ ვიწრო ხეობაში როგორღაც უხერხულად, ჩაკეტილად იგრძნო თავი და სივრცე მოენატრა, გაშლილი, თვალგაუწვდენელი სივრცე მზის სხივებით შეფერადებული მორიზონტით. სიხარულს, რაღა თქმა უნდა, ის უძლეურებდა, ახლა რომ ზღვისკენ მიდიოდნენ (ზვეულების ნახეგარი მამას ზღვაზე უნდოდა გაეტარებინა), და კიდევ ისიც, რომ იქ თბილისიდან ჩამოსული დედა დახვდებოდა...

მიხვეულ-მოხვეული გზას სწრაფად იტოვებდა უკან მათი ცისფერი „ეიგული". ხეობა თანდათან გაფართოვდა, გაიშალა და მაღალი, წმენინ მოები თითქოს დაპატარავდნენ. აქა-იქ ფერდობებზე სახლები, ეზოები, ვენახ-ბაღები და სიმინდის ყანები გამოჩნდა, უფრო ზევით კი, ხეებსშუა მოჭაცული ოთხკუთხედი მინდვრები.

ბიჭმა სავარძლიდან წამოიწია, ისევ შებრუნდა და მხრით ფანჯრის რაფას მიეყრდნო... მამამ იგრძნო ბიჭის მოძრაობა, სარკედან გამოხედა და გაუღიმა. ბიჭს გუშინდელი მგზავრობა და მასთან დაკავშირებული ეპიზოდები უტრიალებდა თვალწინ და მამის ღიმილი არ შეუშინებია...

ბიჭი მთელი ღამე მოუსვენრად იყო. იმიტომ კი არა, თითქოს ეშინოდა, დილით მამამისი უმისოდ არ დასდგომოდა დიდმაღალას უღელტეხილისაკენ მიმავალ გზას, იგი რაღაც საოცარის ხილვის მოლოდინით იყო აფორიაქებული. რაღაც საოცარი... მამის თანამგზავრმელმა, ძია სანდრომაც, ისიც მამასავით ღვიძლს უჩიოდა და სამკურნალო წყლის სასმელად იყო ეს ჩამოსული, ამ ორი დღის წინათ, საუზმის შემდეგ, ბიჭზე რომ შეხვდა, დაახლოებით ასე უთხრა... თუმცა, სანდროს, ამ მელოტ, საშუალო ტანის ჩასუქებულ, მაგრამ საოცრად მოძრავ, ხეტიალის მოყვარულ კაცს, რომელს მოთავეობითაც ბიჭმა და მამამისმა ზეკარის უღელტეხილი, სამკურნალო ანანოები და მეფუტკრეობის ფერმა ინახულეს, საოცარიაო არ უხსენებია, მაგრამ იქ სადღაც, ღიდმაღალას უღელტეხილთან ახლოს თურმე წითელი მინდორი ყოფილაო რომ თქვა, ბიჭისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

— წითელი მინდორი?! — გაკვირვებით წამოიძახა ბიჭმა.

— აბა, — თქვა ძია სანდრომ, — საინტერესოა, არა?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ბიჭმა. — აქამდე როგორ არ ვიცოდი ამ პინდვრის არსებობა!

— საინტერესოს და საოცარს რა გამოლევს ამქვეყნად, — თქვა სანდრომ და თავი გააქნია, — ძალ, ყალ...

— რაო, რა მოხდა? — იკითხა ბიჭის მამამ, რომელიც ვიღაც ნაცნობს ელაპარაკებოდა და გვიან ჩაერთო მათ საუბარში.

— წავიდეთ რა, მამა!

— სად?

— წითელი მინდვრის სანახავად.

— წითელი მინდვრის? — თქვა მამამ და გაეღიმა. — მერედა სად არის ასეთი მინდორი... აბ, გასაგებია, ყაყაჩოების გამო შეარქმევდნენ.

— იმ სიმაღლეზე ყაყაჩოებს რა უნდა! — თქვა სანდრომ. — უღელტეხილთან ახლოს ყოფილა, ორიათას ორასი მეტრის სიმაღლეზე.

— აააა. სანატერესოა.

— წავიდეთ რა, მამა!

— კი ბატონო, წავიდეთ.

გახარებული ბიჭი კისერზე ჩამოეკიდა და აკოცა.

— როგორც ყოველთვის, — თქვა მამამ. — ინიციატორი ახლაც სანდროა.

— მდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდებოდა, ხვალ გამგზავრებულიყოო, ბაგრამ მერე დასაკვნა: ალბათ დილით სამსახურში უნდა გამოცხადდეს და ამიტომ წავიდა.

ძალგატეხილი ბიჭი იწვა ლოგინში და წითელ მინდორზე ფიქრი არ შორდებოდა... უნახავს მწვანე მინდვრები, ყვითელი მინდვრები, მაგრამ წითელი მინდორიც თუ არსებობდა, ჰქამდე ეერც კი წარმოედგინა და აფორიაქებული იყო... „მაინც როგორია ეს წითელი მინდორი?" — ფიქრობდა იგი, — როგორი უნდა იყოს, რაკი ძია სანდროს უთხრეს, წითელაო, წითელი იქნებაო...“

ბიჭი ახლა მხოლოდ წითელ ფერებს ხედავდა. წითლად მოხასხასე ბალახს, წითელ ყვავილებს, წითელ პეპლებს ზემოდან რომ დაფრფატებდნენ წითელ მინდორს, წითელებშებულიან ჩიტებს ცვრიან წითელ ბალახში რომ დაჯღლუტტულებდნენ... ახლომახლო ყველაფერს წითელი ელფერი ედო — ბუჩქებს, ხეებს და მინდვრის თავზე მაღრე წითლად ლივლივებდა... რა სილამაზე იყო, რა მშვენიერებაა და ამ საოცრების მნახველი ხომ პირველად თვალოონ იქნებოდა, ყველას გააოცებდა, მეგობრებს, ნაცნობებს... ბიჭს სინანული იპყრობდა, თითქმის ორი კვირაა ამ ვარ და რაღომ აქამდე არაფერი ვიცოდი ამ მინდვრის შესახებო... „რამდენი რამ დავხატე. — ფიქრობდა, — „ხიდი მდინარეზე", „ხილამაზის წყარო", — დილით რომ გოგორები ნელსაცხებელივით ნაზად ისვამენ სახეზე მის წყალს. ჭეონიათ, მართლა გაალამაზებთ... კიდევ, „ტყის პეიზაჟი", „ცისფერი კოტეჯი მდინარის პირას"... ეს რომ ადრე მეცოდნოდა... მაგრამ, არა უშავს, ახლა დავხატავ, ახლა დავხატავ წითელ მინდორს...“

ბიჭმა მაშინვე დაიჭირა საამისო თაბაშირი: ოთხკუთხედ ჩარჩოზე ტილო გადაეჭიმა და მეორე მხრიდან წინასწარ წარწერაც გაუკეთა — „წითელი მინდორი“ — ამაზე უკეთესი სხვა რა უნდა დაერქმია. მერე საღებავებიც შეარჩია: მუქი წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, ცისფერი და შავი საღებავიც არ დავიწყებია, კონტრასტისთვის დამპირდებაო, და ეს ყველაფერი—ჩარჩოზე გადაჭიმული ტილო, საღებავებიანი ქილები და ფუნჯები ზურგჩანთაში ჩაალაგა... ბიჭი მალე თექვსმეტის შესრულდებოდა და კარგად ესმოდა ფერების მნიშვნელობა, ისიც იცოდა, რომ ბევრი გამოჩენილი მხატვრის ნახატი ფერთა ოსტატური შერჩევის და შეხამების წყალობით შემორჩა ისტორიას და ახლაც დიდ ყურადღებას იქცევდა. მაგრამ ახლა ამაზე როდი ფიქრობდა, სხვების ყურადღება და ქება დაემსახურებინა, აქედ, ხელ რაღაც ოცოდე კილმტერრით იყო მოშორებული ეს საოცარი მინდორი და მისი უპირველესი სურვილი მხოლოდ ის იყო, რაც შეიძლება ჩქარა ენახა იგი, განეცადა აღფრთოვანების სიხარული, მერე კიდევ ბატა და თავის საკუთრებად ეკქცია...

ღამე ნელა, ნელი ილეოდა. ბიჭი ხან თვალებდახუჭული იწვა, ხან ქუთუთოებს ასწევდა და სანატორიუმის შენობის წინ წამომართული მთის იმ მონაკვეთს გახედავდა, ქალის კაბის ამოვრილ გულისპირის რომ ჰგავდა, სიიდანაც დილის ოერიადეს ხედავდა ხოლმე... მთა და ბრილი ახლა ერთფერად ჩანდა, თითქოს ფარდა ჩამოეფარებინოთ.

ბიჭს კარგახანს არ გაუხელია თვალები. იწვა ღა ითვლიდა. ოთხასამდე დათვალა, მერე უკან ჩამოპყვა ციფრებს და ბოლოს ერთიო, თავისთვის რომ თქვა, ნელა, როგორღაც შიშით ასწია ქუთუთოები, ვაითუ, ისევ ბნელია, და გაბარებული ლოგინში წამოჯდა — ბრილში მზის შორიეული შუქით განათებული ცის მონაკვეთი მოჩანდა...

ერთი საათის შემდეგ, მამა და ბიჭი მანქანაში ისხდნენ და მიხვეულ-მოხვეულო, ოღრო-ჩოღრო გზას, რომელიც ომის დროს გაეკვანძათ და მას მერე, ალბათ, ხელიც არავის ეხლო, ულეღტეხილისკენ მიპყვებოდნენ. მარილალია, ბიჭს სულ წითელი მინდორი უტრიალებდა თვალწინ, მაგრამ არც მწვანეში ჩაფლული გარემოს ტოვებდა უყურადღებოდ და არც ამჭეფებუმუ. ხმაურიან ქალაქს. მას არც ის გამორჩენია, რომ ქვემოთ შერეული ტყეები იყო — ფიჭვი, წაბალი, ურთხელი და წიფელი, მერე კი, რაც უფრო ზევით მიიწევდა გზა, თანდათან ალეთ მხოლოდ ფიჭვის ხეებს ხედავდა...

მთებს შორის მოტრტალეულიო, კლდოვანი მწვერვალი გამოჩნდა. „დიდმალალა ალბათ ისაა! წითელი მინდორიც იქვეა ალლოს. — გადაფიქრა აღელვებულმა ბიჭმა და კილომეტრების აღმრიცხველს შეხედა. „ორი კილომეტრიც და მივალთ კიდეც!“

მანქანამ უკანასკნელი აღმართი აიარა და გაიკვალა. გზიდან მარცხენა ფერდობზე ფერმის გრძელი, ერთსართულიანი შენობა იდგა, მარჯვნივ ფიქვნარის შუა, ოთხკუთხედი მინდორი იყო გადაშლილი...

— აქ ვიკითხოთ, — თქვა მამამ და მანქანა გაჩერა. გზის პირას, ტოტებგაშლილი მაღალი ფიჭვის ქვეშ შავვარემანი, წვერგაუპარსავი კაცი შენიშნეს, ხის კასრები და ბრეზენტის ტომრები ედგა წინ.

მანქანიდან გადმოვიდნენ და იმ კაცს მიუახლოვდნენ.

— გამარჯობათ, — თქვა მამამ.

— გაგიმარჯოთ, — მიუგო კაცმა და სიგარეტს მოუკიდა.

— აქაური ხართ? — მკითხა მამამ.

— ფერმაში ვმუშაობ, თქვენ?

— ქვემოთ ვისვენებთ, — მიუგო მამამ და იმანაც სიგარეტს მოუკიდა, — წითელი მინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორი გვინდოდა გვენახა, გვითხრეს, სადღაც აქ ყოფილა.

— აგერ, ისიც.

— სად? — მოუთმენლად წამოიძახა ბიუმმ.

კაცმა გზის მარჯვენა მხარეს რომ მინდორი იყო, იქითკენ გაიშვირა ხელი.

— ეს ხომ ჩვეულებრივი მინდორია! — თქვა ბიუმმ, — ჩვენ წითელი მინდვრის ნახვა გვინდა, ძია!

— წითელ მინდორს ამას ეძახიან.

ბიუმმ უნდობლად შესცქიერა კაცს.

— ეს როგორ იქნება!

კაცს გაეცინა.

— ესაა და, რა ვქნა, მე ხომ ვერ გადავკეთებ.

„მოსახვევიდან სატვირთო მანქანა გამოვიდა და შეჩერდა. მწყემსმა და მძღოლმა კასრები და ბრეზენტის ტომრები ძარაზე დალაგეს. კარგად ბრძანდებოდეთო, თქვა მწყემსმა და მძღოლს გვერდით მიუჯდა.

— მოიცათ, ძია, — დაბნეულმა ბიუმმ მანქანასთან მიირბინა, — მართლა ეს არის წითელი მინდორი?

— ესაა, ბიძიკო, — მწყემსის ნაცვლად მძღოლმა უპასუხა, — შენ გეგონა, მართლა წითელი იყო? ვიღაცამ მოიგონა...

— ვინ მოიგონა, რა სისულელეა! — თქვა მამამ.

— ეჰ, ათას რაღაცას იგონებენ... კარგად გნახეთ! — თქვა მძღოლმა და მანქანა დალმართზე დაუშვა.

— რა სისულელეა! — თქვა ისევ მამამ და ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა. ბიუს არაფერი უთქვამს, ძლივს გადაყლაპა ნერწყვი და გამობრუნდა.

— ულელტეხილზე ავიდეთ, არ გინდა? — ჰკითხა მამამ მანქანაში რომ სხდებოდნენ. ბიუმა თავი გააქნია, არ მინდაო. ფანჯრისკენ ჩაიწია, შეჩვეულ ადგილას, სადაც ყოველთვის ჯდებოდა ხოლმე. ჩარჩოზე გაკრული ტილო, სავარძელზე რომ იდო, აიღო და ზურგჩანთაში ჩადო. ერთხანს გარინდებული იჯდა. მერე ზურგჩანთიდან ისევ ამოიღო ტილო. მუხლებზე დაიდო და ჩვეულებრივი ფანქრით წაიწერა: არ არსებობს...

— გიგი!

ბიუს მამის ხმა ოოესმა და გამოერკვა.

— რა იყო, მამა?

— ამ ორ კვირაში რამდენი სურათი დახატე?

— ოთხი, — მიუგო ბიუმმა და შუბლზე ჩამოშლილი თმა ხელით გვერდზე გადაიწია.

— ოთხი სურათი! კარგია, ყოჩაღ! — თქვა მამამ და სარკედან გაუღიმა, — ზღვაზე ჩავალთ და იქ უფრო ბევრს დახატავ.

ბიუსაც გაეღიმა. იგი ახლა წინ იცქირებოდა, აღარც მთები ჩანდა, აღარც ხეობა, მანქანა მზედაცხუნებულ დაბლობზე მიქროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ოსტატები

ჰომეროსი

რომან მიმინოშვილმა ქართულად თარგმნა ჰომეროსის „ილიადა“, რომელსაც წიგნად სცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. მკითხველს ვთავაზობთ ერთ თავს „ილიადადან“.

ი ლ ი ა დ ა

ჭეგა მესამე

სპათა საბრძოლო წყობა მოჰყვა მამაც ბელადებს
და გამოიჭრნენ ტროელები მძლავრი ყიჟინით.
ასე ყივიან წერობი ცის კაბადონზე,
ზამთრის ქარბუქს და თავსხმას როცა თავს დააღწევენ.
5 გუნდი და გუნდი გადაუფრენს ჭავლს ოკეანის
და ქონდრისკაცებს ემუქრება საზარ სიკვდილით,
გამძვინვარებით დააცხრება ცის წიაღიდან..
უხმოდ დაიძრნენ აქაველნი, რომ ერთსულოვნად
მტერსაც შებმოდნენ და ერთმანეთს მიშველებოდნენ.

10 თითქოს მთის თხემზე ნოტოსს ნისლი დაუფენია,
მწყემსთათვის მტრული, ღამესავით ქურდოთათვის ტკბილი,
ქვა რომ ისროლო, ნისლში მანძილს თვალს ვერ გააწვდენ...
ასე ავარდა ტერფებიდან კორიანტელი,
სწრაფად მიმავალთ ბული მტვრისა უკან რჩებოდათ.

15 როცა მიადგნენ ერთურთს სპანი შესარკინებლად,
ტროელთ ღმრთეებრი გამოეყო ალექსანდროსი,
ვეფხისტყაოსანს მორკალული მშვილდი ბეჭებზე,
ხოლო თეძოზე ხმალი სცემდა, სპილენძის ოროლს
იგი ამაყად იღერებდა, ყველა არგიველს
20 შესარკინებლად მოუხმობდა და ორთაბრძოლად.

მენელაოსმა თვალი მოჰკრა, ღმერთს არესის
რჩეულმა გმირმა, როცა მოყმე სპას გამოეყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე იხარა, როგორც ხარობს მშიერი ლომი,
ქორბუდა ირემს, ველურ ქურციკს რომ წაეწყდება.
25 გამძვინვარებით ბრდღვინავს, თუნდაც თვითონ იმავ დროს
ფეხმარდ მწევართა, მეძებართა ალყა გარს ერტყას.
ასე იხარა მოყმემ, როცა ალექსანდროსი
თვალნათლივ ნახა, შურისგება მყის განიზრახა,
ეტლი დათმო და ძირს გადმოსტა აბჯარასხმული.

30 მაგრამ ტროელმა, ღვთის სადარმა, როცა შენიშნა,
როგორ ბრწყინავდა მეწინავე, გული შეუკრთა,
ბალხს მიეფარა და ანაზდად გაექცა სიკვდილს.
თითქოს ურჩხული ხეობაში იხილა მგზავრმა,
უკუმიიქცა და სახსრები აუცახცახდა
35 ანაზდეულად ლტოლვილსა და ღაწვგაფითრებულს.
ამაყ ტროელთა მწკრივში ასე ჩაკარგულიყო
შეძრწუნებული ღვთის სადარი ალექსანდროსი.

როს თვალი ჰკიდა, შეარცხვინა მოყმე ჰექტორმა;
„ლამაზო პარის, მექალთანე, მაცდუნებელო!
40 არ შობილიყავ, ან უცოლოდ დახშობილიყავ, —
ნე ვინატრიდი! განა ბევრად არ აჯობებდა,
ვიდრე სირცხვილი, სიძულვილი საყოველთაო!
ხედავ, ხარხარებს თმახუჭუჭა სპა აქაველთა,
შენ რომ ეგონეთ გმირი, შენი მშვენების გამო.
45 ლამაზი კი ხარ, მაგრამ მხდალი, სულით უძლური.
მაინც გაბედე ბობოქარი ზღვა დაგეძლია,
ერთგული ხალხი შეგეკრიბა და შეგეღწია
უცხო ტომებთან, მოგეტაცა ღირსება ქალის, —
დაი და რძალი თოროსანი ვაჟკაცებისა,
50 საუბედუროდ მამაშენის, ქალაქის, ხალხის,
მტერთა საამოდ, შენდა ბედად და სამარცხვინოდ.
რად არ შემოხვდი მენელაოსს, არესის რჩეულს?
ნახავდი, რა ყრმის ათქვირებულ ცოლს დაეუფლე!
შენ რომ კითარა, აფროდიტეს მადლი არ გეცხოს —
55 ლამაზი თმები და იერი, მტვრად იქცეოდი!
მხდალნი ყოფილან ტროელები, თორემ ქვის ქიტონს
შემოგავლებდნენ, ესოდენი ჭირის მიზეზო!“

ნყისვე მიუგო ღვთაებრივმა ალექსანდროსმა:
„ჰექტორ, სწორი ხარ და ნებაც გაქვს ჩემი ყვედრების.
60 მკერდში შენ გიცემს გული მტკიცე, როგორც სეკირა —
ნის მჭრელის ხელით ხეს რომ აპობს და როცა გემის
ძელებს გამოთლის, ძალას აძლევს მოწადინებას...
ასევე ურყევ სულს ფლობ, მაგრამ ნუ დაამცირებ
სასიყვარულო მადლს ოქროვან აფროდიტესი.
65 ღვთაების ჯილდო არასოდეს დაიწუნება,
რადგან თვით გვაძლევს, ჩვენი ნებით ვერ მოვიპოვებთ!
შენ გინდა ბრძოლად გამოვიდე, მტერს შევეკინო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძანე ტროელთ და აქაველთ — დაწყნარღეს ყველა,
შუაში გავალთ მე და გმირი მენელაოსი,
70 ელენესათვის შევებმებით სპათა წინაშე.
ვინც გაიმარჯვებს ჩვენ ორს შორის, ყველა საუნჯეს
გაითავისებს და დიაცსაც სახლში წაიყვანს.
თქვენ კი, ფიცის და მეგობრობის ერთგულნო, დარჩით
ტროაში! წავალეს აქაველნი გემებით არგოსს,
75 ლამაზ ქალებით დამშვენებულ აქაიაში".
ასე ბრძანა და გულს მოეშვა ღვთაებრივ ჰექტორს,
შუაში ჩადგა, ჩაარიგა ტროელთ ფალანგნი.
ხელთ ეპყრა შუბი, დაშოშმინდა მაშინ ლაშქარიც...
მაგრამ მოზიდეს მშვილდნი გმირმა აქაველებმა,
80 მრავალს ოროლის და შურდულის ტყორცნა ეწადა.
ხმამაღლივ ლაშქარს მოუწოდა აგამემნონმა:
„არგოსის მკვიდრნო, აქაველნო. იყუჩეთ, ყრმანო!
ზუმმოელვარე ჰექტორს სიტყვა უნებებია!"

ასე უბრძანა, დააოკა ბრძოლის წყურვილი.
85 ლაშქარს მიმართა ღვთაებრივმა გმირმა ჰექტორმა:
„ყური მომაპყართ, ტროელნო და მხნე აქაველნო,
აი, რა უნდა ალექსანდროსს — ამ ბრძოლის მიზეზს:
ტროელთ მოუხმობს და აქაველთ, აბჯრით შემოსილთ
უხვნაყოფიან ველზე დადონ შუბ-ფარ-შიმშერი.
90 თვითონ შეხვდება მენელაოსს, არესის რჩეულს
და ელენესთვის მას საჯაროდ შეერკინება.
ვინც გაიმარჯვებს იმ ორს შორის, ყველა საუნჯეს
დაეუფლება და დიაცსაც სახლში წაიყვანს.
ჩვენ კი ძმობა ვთქვათ და შევიკრათ ღვთაებრივ ფიციით!"

95 ასე ამბობდა, სპა უსმენდა სულგანაბული.
მენელაოსმა კი ასე თქვა კეთილშობილმა:
„მეც მომისმინეთ! დარდი სერავს ჩემს გულს საზარი,
დიდიხანია ამას ვფიქრობ: დროა, შერიგდნენ
ტროელები და არგიველნი. ბევრი გხვდათ ჭირი
100 ალექსანდროსის და ატრიდის ქიშპობის გამო.
ვისაც ჩვენს შორის უწერია სიკვდილი ბედად,
ნურც გადარჩება, თქვენ კი ახლავ უნდა შერიგდეთ.
მსხვერპლად შევწიროთ თეთრი კრავი და შავი ცხვარი
მზესა და მიწას, სხვა ზვარაკი — დიად კრონიონს.
105 უხმეთ პრიამოსს და თვითონვე თქვას ზენაარი,
რაკი მის შვილთა სიტყვას კაცი ვეღარ ენდობა.
დე, ვერვინ შეძლოს ღმრთის წინაშე ფიცის გატეხა.
ვერ დაენდობი ჭაბუკის გულს, ფუქსავატ ნათქვამს
ხოლო მოხუცი მუდამ განსჯის წინდახედულად.
110 ორსავე მხარეს იგი მხოლოდ კუთვნილს მიუზღავს".

აქაველთ ჯარმა და ტროელთა სპამ გაიხარა,
იგრძნეს, რომ ბოლო ეღებოდა ომის სატანჯველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენნი დააცხრეს, ეტლ‌ებს ახსნეს მოსართავები,
განიარაღდნენ, საჭურველი ახლოს დაიდვეს.
115 მებრძოლთა შორის მსოფლიო ვიწრო მინდორი დარჩა,
ჰექტორმა ორი მალემსრბოლი გაგზავნა ტროას,
კრავნი მოასხით და პრიამოსს თხოვეთო მოსვლა.
იგივე უთხრა ტალთიბიოსს აგამემნონმა —
ზვარაკად კრავნი მოეყვანათ ხომალდებიდან.
120 დაემორჩილა მალემსრბოლი ატრიდის ნებას.

ირისს უნდოდა თეთრხელება ელენესათვის
სიტყვა ეთქვა და ძვირფას მულის სახე მიიღო,
როშელს ქმრად ჰყავდა ჰელიკაონ ანტენორიდი.
ღმერთი ემსგავსა პრიამოსის ქალს ლაოდიკეს,
125 ჩარდახს შევიდა, სად ელენე ქსოდა მშვენიერ,
ორხაულ ფარდაგს. ავსახა ზედ შერკინება
ტროელ მხედართა და აბჯროსან აქაველების,
ბრძოლა, არესის მკაცრი ხელით ტანჯვის მომგვრელი
ასე მიმართა ქალს ფეხმარდმა მაცნე ირისმა:
130 „ძვირფასო ნიმფავ, ნახე საქმე გასაკვირველი
ტროელთ მხედართა და აბჯროსან აქაველების!
ჭირთა მომგვრელი არესის ხმით ანთებულ ლაშქარს,
ველზე რომ იდგა, სისხლისმღვრელი ომი სწყეროდა.
მაგრამ დაწყნარდა, ბრძოლა შეწყდა და მეომარნი
135 ფარს დაყრდნობიან, ჩაურჭვიათ შუბი მიწაში.
მხოლოდ გმირ პარისს, მენელაოსს — არესის რჩეულს
სწადიათ ერთურთს შეერკინონ რვალის შუბებით,
რომ შენ სანუკვარ მეუღლედ გცნოს გამარჯვებულმა“.

უთხრა და სულში ჩაუღვარა გრძნობა უტკბესი —
140 ფიქრი ქალაქზე, პირველ ქმარზე, ნათესავებზე.
ადგა ელენე, სხივმოსილი სპეტკ ქსოვილით,
სანთიობოდან გამოვიდა, მდუღარე ცრემლი
თვალზე მოადგა. მოახლენი მიჰყვნენ: აითრე—
პიტთეუსის ქალი და კლიმენე თვალებლიმციმა.
145 მალე მიადგნენ სკაიას ბჭეს, მაღლა აღმართულს.
იქ იყვნენ: მეფე პრიამოსი და თიმოიტე,
პანთოს, ლამპოსი, კლიტიოსი, ჰიკეტაონი,
უკალეგონ და ანტენორი. ბრძენი მოხუცნი
ისხდნენ სკაიას კარიბჭესთან მაღალ გოდოლში.
150 მხცოვანთ აწ ბრძოლა არ შეეძლოთ, მაგრამ ბჭობის დროს
მძლეობდნენ სიტყვით, ვით ჭალებში—ჭიჭინობელა,
ხეთა შტოებში დამალული და მოჭახჭახე.
ერთად მოგროვდა კოშკში ტროელ მოხუცთა დასი.
თვალი რომ მოპკრეს მათთან მოსულ ლამაზ ელენეს,
155 ერთურთს მიმართეს დარბაისელთ ფრთიანი სიტყვით:
„ვერ გაამტყუნებ, რომ ტროელნი და აქაველნი
ასეთ ქალისთვის ომს და ხანგრძლივ ტანჯვას ითმენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც რომ ქალღმერთს შეედრება იგი მშვენებით!..
მაგრამ სჯობს, ქალი მშვენიერი დროზე მოგვშორდეს,
160 ვემს დაუბრუნდეს დამღუპველი სანუკვარ ყრმათა!"
ხოლო მოხუცმა პრიამოსმა ქალს დაუყვავა:
„ნომიასლოვდი, საყვარელო ასულო ჩემო!
<ქედან ნახავ პირველ ქმარსაც და ასლობლებსაკ.
ზენ უბრალო ხარ, ბრალი ღმერთებს მიუძღვით მხოლოდ:
165 შემოგვისიეს აქაველნი, ცრემლის მომტანნი.
ჩამოჯეკ, მითხარ მე სახელი დიდებულ კაცის —
ვინ არის ის ყრმა ასოვანი? აქაველთ შორის
მასზე მაღალი მეომარი სხვაც შეიმჩნევა,
მაგრამ ასეთი მშვენიერი თვალს არ უხილავს,
170 და არც ასეთი სვიანი ყრმა: მეფეს ჰგავს იგი!"

მოხუცს მიუგო მშვენიერმა ქალმა, ქალთამზემ:
„უნდა მიყვარდე, მამამთილო, თან შიშიც მქონდეს!
ნეტავ, სიკვდილი მდირსებოდა, როცა გამოვყევ
შენს შვილს, დავტოვე საქორწინო, ტკბილი საწოლი,
175 ძმები, ასული საყვარელი და მეგობრები.
ასე არ მოხდა და ამიტომ ცრემლად ვიღვრები!..
შენს შეკითხვაზე გიპასუხებ, დიდო მეფეო:
ეს კაცი გახლავს ატრეუსის ძე აგამემნონი,
სვიანი მეფე და მებრძოლი ძალგულოვანი.
180 მაზლი ერქვა და, ვაგლახ-უღირს, მყოლოდა მაზლად!"

გაოცდა მეფე, აღტაცებით წამოიძახა:
„ქუდბედიანო და ნეტარო ატრეუსის ძეო,
რამდენ აქაველს წინამძღოლობ, აბჯრით შემოსილს!
ოდესღაც ვაზით სახელგანთქმულ ფრიგიას ვიყავ,
185 შეეხვდი ფრიგიელთ, მარდ რაშებზე ამხედრებულებს,
ოტრეუსისა და ღვთის სადარი მიგდონის ლაშქარს.
ბრძოლად იწევდნენ სანგართოსის სანაპიროსთან,
მათს მხედრობაში მოკავშირედ მეც ვითვლებოდი.
ამაზონები ჩვენ გვებრძოდნენ კაცთმოძულენი,
190 აქაველებთან თუმც სიმრავლით რას მოვიდოდნენ!"

როცა იხილა ოდისევსი, მოხუცმა ჰკითხა:
„მითხარი, შვილო საყვარელო, ეს ვინღა არის?
ერთი თავით რომ დაბალია აგამემნონზე,
მაგრამ, მგონია, არის უფრო მხარბეჭიანი.
195 გმირს საბურველი ნაყოფიერ მიწაზე უდევს,
ვერძივით დადის მეომართა ფალანგებს შორის.
მე ვერძს მაგონებს, ამაყად რომ ვერცხლისფერ მატყლით
დახუჭუჭებულ ცხვრების ფარას მიუძღვის ხოლმე".

უთხრა ელენემ მშვენიერმა, ზევსის შობილმა:
200 „ეს ლაერტიდი, ჭკუაუხვი ოდისევსია,
ითაყის ხალხის და კლდოვანი მიწის აღზრდილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალთ მრავალი სრიკითა და სიბრძნით აღსავსე".

მყის ანტენორმა ჩამოართვა სიტყვა ელენეს:
„ჭეშმარიტია შენი აზრი, სვიანო ქალო!
205 ოდესღაც ჩვენთან მოციქულად იყო ოდისევს,
შენს გამო. ახლდა მენელაოსს არესის რჩეულს.
მე მივიწვიე, მეგობრულად გავუმასპინძლდი.
ორივე გმირის სასიათი, სიბრძნე გავიგე.
ტროელთა დასში თუკი ერთად გამოჩნდებოდნენ,
210 ფართო მხარბეჭით მოძმეს სჯობდა მენელაოსი,
თუ დასხდებოდნენ, ასოვანი ჩანდა ოდისევს.
როცა კრებაზე გმირებს ჰქონდათ რამე სათქმელი,
მენელაოსი სიტყვას მალე იტყოდა ხოლმე.
ბევრს არ ამბობდა, როდი იყო ენაწყლიანი
215 და მჭერმეტყველი. შედარებით მასზე უმცროსი
ჭკუამასხვილი ოდისევსიც წამოდგებოდა,
დინჯად ძირს მიწას დასცქეროდა თვალებდახრილი,
კვერთხს არ არხევდა, მარჯვენაში მტკიცედ ეჭირა,
ჩვეულებრივი მეომარი გეგონებოდა.
220 აგავდა ან უგნურს, ან რამეზე განაწყენებულს,
მაგრამ როგორც კი მძლავრ ხორხიდან ბგერას დაძრავდა,
ოოვლის ბუქივით ბაგეთაგან ბორგავდა სიტყვა!
ვინ გამდგავდა ვაჭკაცისთვის სიტყვა მოეჭრა?
კარგად ეიცნობდით ტროელები მაშინ ოდისევსს."

225 შემდეგ აიანტს რომ შეხედა, ჰკითხა მოხუცმა:
„ეს აქაველი ვინღა არის ესოდენ მძლავრი,
სხვებზე მაღალიც და ყველაზე მხარბეჭიანი?"

მეფეს მიუგო ღვთაებრივმა ქალმა ელენემ:
„ტელამონის ძე აიანტი—აქაველთ ბურჯი!
230 ხოლო კრეტელთა სპას მოუძღვის იდომენეუსი,
ერთად შეყრილან წინამძღოლნი კრეტელთა ლაშქრის.
მას ხშირად ძმურად მასპინძლობდა მენელაოსი,
როცა კრეტიდან გვეწვეოდა სვიანი გმირი.
სხვასაც ბევრს ვხედავ აქ თვალმახვილ აქაველ მოყმეს,
235 ყველას კარგად ვცნობ, შემიძლია ჩამოგითვალო.
ორი არა ჩანს მხოლოდ ლაშქრის დამწყობთა შორის:
კასტორ-მხედარი, პოლიდევკოს — მხნე მეომარი,
ჩემთან ერთად რომ შვა ამ ქვეყნად ძვირფასმა დედამ.
იქნებ არ დათმეს მხიარული ლაკედემონი,
240 იქნებ გემეზიც მოაყენეს აქ საზღვაოსნო,
მაგრამ არა სურთ ჩაერიონ ქმრების დავაში,
ჩემი მტანჯველი, მწველ სირცხვილით შეწუხებულნი!"

ასე ამბობდა, მაგრამ ამ დროს გმირებს ფარავდა
ლაკედემონში მშობლიური წიაღი მიწის.
245 ილიონიდან მოციქულებს ცხვარი მოპყავდათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველთა ზვარაკად. ღვინო-გულის დამატკბობელი
ესსა თხიერში, თან მიჰქონდა მალემსრბოლ იდეესს
ოქროს თასებიც და ფიალა შუქმოელვარე.
ეახლა მოსუც პრიამოსს და ასე მიმართა:
„ლამედონტის ძეო, მობრძანდი, გთხოვენ ბელადნი
მხედარ ტროელთა, რვალიით მოსილ აქაველების!
ხური ბრძოლის ველზე მათ ეწვნო, რომ ფიცი დასდონ.
ალექსანდროს და მენელაოს, არესის გმირი,
შუბებით გავლენ ქალის გამო შესაკინებლად.
ვინც სძლევს, ქალსაც და საგანძურსაც დაეუფლება.
ჩვენ ძმობას ვიტყვით, ღვთაებრივ ფიცს, ტროას დავიცავთ,
ხოლო ცხენმრავალ არგოსს წავლენ არგაველები,
ქალმშვენიერი აქაიაც აქაველთ ელის“.

ასე თქვა. მოსუცს ელდა ეცა. მხლებლებს უბრძანა.
ეტლში შეებათ ბედაურნი. შვებით დათანხმდნენ.
კოფოზე დადგა პრიამოსი, აღვირს მოსწია,
გვერდს უმშვენებდა ანტენორი. სკაიას ბეჭიდან
ველზე გავიდნენ, გააქროლეს მარდი ცხენები.
როს მიაღწიეს ტროელთა და აქაველთ ლაშქარს,
ჩამოხდნენ ცოცხალ არსებათა გამზრდელ მიწაზე
და ტროელთა და აქაველთა პირისპირ დადგნენ.
ათ შეეგებნენ კაცთ მეუფე აგამემნონი
და ჭკუაუხვი ოდისევსი. უკვე მზად ჰყავდათ
ზვარაკი წმიდა ფიცისათვის, ერთ ფიალაში
არიეს ღვინო, მეფეთ წყალი ასხურეს ხელზე,
აგამემნონმა ორლესული დიდ ქარქაშიდან
ეშიშვლა მაშინ მძლავრ მარჯვენით, ხუჭუჭა მატყლი
წაჭრა ბატკნებს საზვარაკოს, ორმა შიკრიკმა
რჩეულ ტროელთ და აქაველებს გაუნაწილა.

მეფე ატრიდმა ლოცვით ხელნი მაღლა აღაპყრო:
„იდას თხემიდან მბრძანებელო მამაო ზეგსო!
ყოვლის მხედველო, ყოვლის მსმენო მზეო-ჰელიოს!
წყალნო და მიწავ, ღმერთნო, სულთა სასუფეველში
დამსჯელნო კაცთა, ვინც ცრუ ფიცის დადება სცადა!
მოწმედ გვეყავით, შეგვინახეთ ფიცი გულწრფელი:
თუ ალექსანდროს დაამარცხებს გმირ მენელაოსს,
შეინარჩუნებს ელენეს და ყველა საგანძურს,
ჩვენ კი გავცურავთ ზღვადმავალი გემებით მაშინ.
თუ ალექსანდროსს სძლევს ატრიდი ნათელთმიანი,
ტროელთ ელენე დაგვიბრუნონ და საგანძური,
ხარკი მიუზღონ არგაველებს შესაფერისი,
რომ ეს ამბავი გადაეცეს შთამომავლობას.
თუ უარს ჰყოფენ პრიამოსი და ძენი მისნი,
პარისის ცოდვა ხარკით მაინც გამოისყიდონ,
კვლავ ავმხედრდებით, სანამ კუთვნილ საზღაურს ვპოვებთ,
კვლავ ჟ დავრჩებით, სანამ ვნახავთ ბრძოლის დასასრულს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა და ცხვრებს ყელი გადაუჭრა სასტიკ სპილენძით,
ორივე დასცა სულთმობრძავი, ათრთოლებული·
ბასრმა მახვილმა გააცალა სიცოცხლის ძალა.
295 აიღეს მბზინავ კრატერიდან თასებით ღვინო,
ზვარაკს ასხურეს, უკვდავ ღმერთებს ლოცვით მიმართეს,
ასე ღაღადყო ტროელთა და აქაველთ ჯარმა:
„ზევსო დიადო, და ღმერთებო, მარად უკვდავნო!
ვინც კი პირველი შეეცდება ფიცის დარღვევას,
300 ტვინი დასთხიოს, ვით თასიდან იღვრება ღვინო
და ვერაგის ცოლს ეხვეოდეს უცხოტომელი!“

ასე ევედრნენ, მაგრამ ზევსმა არ შეუსრულა...
ლაშქარს მიმართა პრიამოსმა, ტროელთა მეფემ:
„ვესმათ, ტროელნო, აქაველნო აბჯარასხმულნო!
305 გშორდებით, ტროას ვუბრუნდები მაღალბორცვიანს.
ძალა არ მყოფნის, რომ ჩემივე თვალით ვიხილო
საყვარელ შვილის შერკინება მენელაოსთან.
ზევსმა უწყის და სხვა უკვდავმა ღმერთებმა მხოლოდ
ვის ელის ბოლო სასიკვდილო მებრძოლთა შორის.“

310 ასე თქვა, ეტლში ჩასვა ვერძი ქველმა მოხუცმა,
კოფოზე დადგა და მოზიდა სადავეები,
გვერდს უმშვენებდა ანტენორი. ბრწყინვალე ეტლი
შემოაბრუნეს, გააქროლეს ილიონისკენ.

მაშინ ჰექტორმა პრიამეს ძემ და ოდისევსმა
315 გაზომეს ბრძოლის ასპარეზი, შემდეგ ჩაყარეს
წილი სპილენძის მუზარადში, რომ გაერკვიათ,
ვის ერგებოდა შუბის ტყორცნა თავდაპირველად.
ირგვლივ ლაშქარი ლოცულობდა ხელაპყრობილი.
ბევრი ტროელი ღაღადებდა და აქაველი:
320 „იდას თხემიდან მბრძანებელო მამაო ზევსო!
ვინც მიზეზია დამღუპველი შუღლის და ომის,
დამარცხებული დაანარცხე ჰადესის მღვიმეს,
ჩვენ კი ფიცი და მეგობრობა კვლავ განგვიმტკიცე!“

ჰექტორნა თვალი მოარიდა, ისე უყარა
325 ჩაჩქანში წილი, პარისს ერგო პირველი ტყორცნა.
დასხდნენ მებრძოლნი, მიატოვეს მარდი ცხენები
და ათასფერი საომარი აკაზმულობა.
ოორნ-მუზარადით აღიჭურვა ღვთიური გმირი
ალექსანდროსი, ლამაზთმიან ელენეს ქმარი.
330 ჯერ თეთრ ფეხებზე დაიმაგრა საბარკულები,
მჭიდროდ შეკრული, ვერცხლის სალტით შემოსალტულნი.
წვივი დაიცვა, მორგებული თორნი ჩაიცვა,
სახელოვანი საჭურველი ლიკაონის ძის,
ბეჭზემოთ ხმალი გადაიგდო, ვერცხლის სამსჭვალი
335 დარეალის პირი რომ შვენოდა, ფარი ხელთ იპყრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყმეს ჩაჩქანი მოკაშკაშე ეხურა თავზე,
ზეწრზე მრისხანედ ქანაობდა ძუა მერანის.
მძიმე შუბს დაწვდა, ხელთ რომელიც პირველად მოხვდა.
იმავდროულად აღიჭურვა მენელაოსიც.
340 როცა აისხეს იარაღი თავ-თავის რაზმში,
ორივე ჩადგა ტროელთა და აქაველთ შუა.
თვალნი მრისხანედ უელავდათ, შიშის ზარს სცემდნენ
ლამაზაბჯროსან აქაველებს და მხედარ ტროელთ.
მიუახლოვდნენ ერთურთს გმირნი დათქმულ ადგილზე,
345 შუბი შემართეს მძვინვარებით. ალექსანდროსმა
პირველმა სტყორცნა მტერს ოროლი გრძელჩრდილიანი.
ატრიდს მრგვალ ფარზე მეელეწა შუბი, სპილენძმა
ვერ გააღწია, გაიღუნა მყისვე ბუნიკი.
მომხვდურს სპილენძი მოუღერა მენელაოსმა,
350 მამაზეციერ ზევსს მიმართა მხურვალე ლოცვით:
„შენ შემეწიე, რომ ოჯახის შემგინებელი
ალექსანდროსი ჩემი ხელით დასაკდეს მიწას.
რომ მოერიდოს შორეული შთამომავლობაც
კეთილი სტუმარ-მასპინძლობის ბოროტად ზღვევას“.

355 ასე თქვა. მძლავრად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი,
პარისს მრგვალ ფარში ჩაეჭედა მძიმე ოროლი,
მყის გაარღვია თეთრი ფენა მძლავრმა სპილენძმა,
აბჯარი გაჭრა მოოქვილი, შიგ გაატანა
და საზარდულთან დაუფხრიწა ნაზი ქიტონი.

360 შავ სიკვდილს უკან გადახტომით გაექცა მოყმე.
იშიშვლა მეფემ ხმალი ვერცხლის სამსჭვალიანი,
მუზარადს დასცა, მაგრამ რვალი ჩაჩქნის კიდეზე
სამ-ოთხ ნაგებად გადაემსხვრა და გაუვარდა.
ზეცას შეხედა და შეჰყვირა მენელაოსმა:
365 „ზეესო! ღვთაება არ მეგულვის შენზე ბოროტი!
იმედი მქონდა დამესაჯა ალექსანდროსი
და ხელში ხმალი შემომემსხვრა, ამაოდ ვტყორცნე
თუმმე ოროლიც: მე არ ძალმიძს მისი განგმირვა!“

მტერს ოავს დაესხა, ხელი სტაცა ზურის ფაფარზე
370 და დაითრია აქაველთა მხედრობისაკენ.
ნაზ ყელთან მტკიცედ ჩაეჭიდა ღვედს მჭიდროდ დაწნეულს,
ნიკაპის ქვემოთ რომ შეეკრა მძიმე ჩაჩქანი.
მიჰგვრიდა ლაშქარს, დიდ სახელსაც მოიპოვებდა;
რომ აფროდიტეს არ ენახა თვისი რჩეული
375 და ხარის ტყავი დაჭიმული არ გაეწყვეტა,
ნხოლოდ ჩაჩქანი მენელაოსს შერჩა ამაოდ.

ბრაზით ჰაერში გაიქნია, ლამაზ აბჯრიან
აქაველთაკენ მოისროლა, მათ შეინახეს.
კვლავ შეიქაცა რვალის შუბით, ბრძოლა სწყუროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

380 მაგრამ ქალღმერთმა აფროდიტემ თვალს მოაშორა
სქელი ბურუსი შემოავლო, თვისი რჩეული
მალე დატოვა სურნელოვან სანთიობში.
სწრაფად წავიდა ელენესთან, მაღალ ქონგურზე
ნახა ტროელი დიაცებით გარშემორტყმული
385 და ფრთხილად კეთილსურნელოვან კაბას შეეხო.
ქალღმერთი მოხუც ქალს ემსგავსა, ხნიერ მოახლეს,
ლაკედემონის ქალაქში რომ კაბას უქსოვდა,
გულით და სულით რომ უყვარდა მეფის ასული.
ასე მიმართა აფროდიტემ მშვენიერ დიაცს:
390 „შინ დაბრუნდი, ალექსანდრე გიხმობსო, ქალო,
სანთიობში გელოდება ყრმა სხივნათელი,
ვეღარც კი იტყვი, რომ მეუღლე ებრძოდა ახლა
მამაც მეომარს: თითქოს ჩაბმა უნდა ფერხულში,
ან ძილი, სოლო როკვა თითქოს ახლა შეწყვიტა.“

395 ასე უთხრა და ააღლვა ელენეს სული...
მაგრამ როგორც კი შეამჩნია ქალმა ქალღმერთის
მკერდი ქათქათა, ელვარება ვნებიან თვალთა,
ასე მიმართა აფროდიტეს ელდაცემულმა:
„ოი, სასტიკო! კვლავ შეცდენა გწადია ჩემი?
400 ან გსურს ხალხმრავალ, რომელიმე შორეულ ქალაქს,
ფრიგიისა და მეონიის ციხეს წამგვარო?
ვინმე საქმარო იქაც ხომ არ შეგირჩევია?
მენელაოსმა დღეს პარისი რაკიღა სძლია,
სურს კვლავ ოჯახში დამბრუნოს უღირსი ქალი...
405 რად მომეკლინე ჩემთვის ისევ ავის მზრახველად?
შენ თვითონ წადი შენს რჩეულთან, ღმერთებს განუდექ,
ნაზი ტერფებით აწ ოლიმპოს აღარ შეეხო,
ვნებით ეწამე, უალერსე, სანამ მოკვდავი
გიწოდებს მხევალს ან მეუღლეს! მასთან არ წავალ,
410 ომის ველიდან გაქცეულთან. სამარცხვინოა
მისი სარეცლის დაშვენება. ტროელი ქალი
ყველა დამცინებს. ჩემს გულს ტანჯვა უკვე ეყოფა!“

რისხვით მიუგო აფროდიტემ, ზეგსის ასულმა:
„ხმა გაიკმინდე, უბედურო! თორემ მე ძალმიძს
415 ისე უზომოდ შეგიძულო, როგორც მიყვარდი!
ორივე ხალხის მტვინავრებას შენკენ მოვმართავ
და არ აგცდება საშინელი სიკვდილი ხვედრად!“

ასე თქვა. შიშით მოერია ელენეს თრთოლვა,
ვერცხლებრ მბზინავი მოსასხამი წამოიხურა,
420 ქალთაგან ჩუმად გაჰყვა ქალღმერთს სასახლისაკენ.
მალე მიადგნენ სანთიობის ალექსანდროსის.
ორი მხევალი მყის შეუდგა შინაურ საქმეს.
ჩუმად შევიდა კოშკში ქალი, მომჯადოებლად
მას უღიმოდა აფროდიტე. თვითონ აიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

425 საკარძელი და ქმრის წინაშე დაუდგა დიაცს.
დაჯდა ელენე, ფაროსანი ზევსის შობილი,
მეუღლეს თვალი მოარიდა და ასე უთხრა:
„ბრძოლიდან მოხვედ? ნეტავ მოსვლა არ გღირსებოდა,
მძლავრი მოყმისგან მოკლულს, ჩემი ყოფილი ქმრისგან!
430 ხომ ტრაბახობდი, მენელაოსს, არესის რჩეულს,
ორთაბრძოლაში დავჯაბნინო ძალით და შუბით?
აბა წადი და კვლავ ბრძოლაში გამოიწვიე!
თუმცა, არ გირჩევ, გიჯობს სახლში მშვიდად იძინო
და არ შეება მენელაოსს, ნათელთმეტიანს.
435 ასე უგნურად შერკინება აღარ გაბედო,
ძრწოდე, ოროლმა არ დაგძლიოს ვინძლო გმირისა!“
პასუხად უთხრა მას პარისმა ფრთიანი სიტყვა:
„ნუ დამიღონებ, მეუღლეო, გულს საყვედურით.
დღეს ათენასთან ერთად მძლია მენელაოსმა.
440 მეც მელის ძლევა; ჩვენცა გვყვანან მფარველნი ღმერთნი!
ახლა კი დავწვეთ, ერთმანეთის ტრფიალით დავტკბეთ.
მკერდში არასდროს აღმეზნებია ასეთი აღი,
არც იმ ბედნიერ დღეს, როდესაც გამოგიტაცე
ლაკედემონის ქალაქიდან სწრაფი ხომალდით
445 და კრანაეში შეგიერთდი ტკბილი ტრფიალით...
ახლაც შენით ვარ ანთებული, წადილით სავსე!“
თქვა და წავიდა საწოლისკენ, თან მიჰყვა ცოლი
და ერთად მდიდრულ სარეცელზე დაწვა ორივე

ატრეუსის ძე კი ამ დროს ველზე, როგორც ნადირი
450 ისე დაძრწოდა, ალექსანდროს ვნახოო იქნებ.
მაგრამ ტროელებს, სახელოვან მოკავშირეებს
როდი შეეძლოთ ალექსანდროს ეჩვენებინათ,
თუმცა არ სურდათ დაემალათ მეგობრულ გრძნობით,
მათაც კი ძულდათ, ვით სიკვდილი აუცდენელი.

455 მაშინ ხმამაღლა განაცხადა აგამემნონმა:
„მისმინეთ, სპანო ტროელთა და მოკავშირეთა!
ყველამ იხილა გამარჯვება მენელაოსის.
მაშ, დაგვიბრუნეთ ელენე და მიტაცებული
ყოველი განძი და ახლავე ხარკი გაიღეთ,
460 რომ ხსოვნა გაწვდეს ჩვენს შორეულ თაობამავლობას!“

აქაველებმა მოწონების ყიჟინა დასცეს.

თარგმნა **რომან მიმინოშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲘᲕᲐᲠᲐᲫᲔ

„ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐ“

ᲬᲐᲑᲣᲐ ᲐᲛᲘᲠᲯᲘᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ „ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐ“ ᲬᲘᲜ ᲣᲫᲔᲗᲔᲡᲘ ᲬᲠᲘᲚᲘ ᲔᲞᲘᲗᲐᲤᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ: „ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ“. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲠᲘᲒ ᲬᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲚᲘᲚᲘ ᲛᲘᲗᲮᲔᲑᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲓᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲔᲗᲮᲑᲔᲚᲘ, ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲑ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲛᲘᲖᲖᲘᲓᲠᲐ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲐᲯᲐᲚᲑᲘᲡ, — ᲛᲝᲛᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲫᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲔᲗᲮᲑᲔᲚᲘ, ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲑ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ.

ᲮᲝᲚᲛ ᲐᲛᲐᲕᲘ ᲐᲛᲓᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲚᲐᲒᲘ: ᲝᲓᲔᲡᲛᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲬᲘᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲫᲚᲔᲚᲐᲓ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ ᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲘᲯᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲔᲗᲮᲑᲔᲚᲘ, ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲑ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲛᲘᲖᲖᲘᲓᲠᲐ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲑᲘᲡ, — ᲛᲝᲛᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲫᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲨᲔᲗᲮᲑᲔᲚᲘ, ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲑ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ.

ᲮᲝᲚᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲔᲓᲘᲗ, ᲔᲡᲐᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲗᲘ: „ᲓᲐᲗᲐ ᲗᲣᲗᲐᲨᲘᲐᲛᲘ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲠᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲦᲠᲐᲜ, ᲡᲐᲮᲛᲐᲒᲔᲓᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲘᲜᲯᲐᲜᲨᲘ ᲘᲛᲜᲐᲠᲘ ᲐᲦᲠᲩᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲦᲬᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲓᲒᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲝᲜᲐᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲗᲝᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲕᲝᲜᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲗᲝᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲯᲣᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲕᲝᲜᲐᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘᲐᲜᲐᲓ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც საკუთარ მანკიერებათა სამხილებელ ნიჭად უნდა მიიჩნდეს, მეგობარი — სულგრძელობას საზომად და ასე შემდეგ.

როცა ერი ამგვარად სულდგმულობს, მისი შინაგანი, სულიერი ცხოვრებაც პარმონიულია, სიკეთისა და სიყვარულის მაღლით შექმნილია: „ჰყავდა ერსა განმგებელად და მორიგად ქეეყნიერთა სამქმეთა თვისთა ეპბეკი პირშეენიერი და რაინდი კეთილაღნაგი — თუთაშა. **არა იყო იგი სულდგმული ერთი დაძე ხორცეული, არამედ სული კრებითი, არსი, მეფოი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი...** ჰხედოდა ერი მას თუთაშხას განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თავისა ტაძარსა დიდებულსა შინა უფლად სიყვარულისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, ვითა წესსა ერთნებაობითა რჩეულსა ხორციელისა პაპისა...“

თუთაშხა შეგრული მითოსიდან მოხმობილი სიტყვაა, მეფრის დღეს ნიშნავს (ქართველ წარმპარფულ პანთეონში მთვრეს უპირველესსა ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული). რომანის დათა თუთაშხია ეპიერაფის თუთაშხას განსხეულებული ხატია, ხოლო, რაკი თუთაშხა არის „სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“, ცხადი ხდება, რომ ავტორს იგი ნაგულისხმევი ჰყავს ადამიანის სულის ის საწყისად, რომელიც არის მატარებელი ზემოთ რამდენჯერმე ხსენებული ზნეობრივი პრინციპებისა. მითოსური ელემენტების მოხმობა ავტორს თავისი უმთავრესი სათქმელის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად დასჭირდა.

თუკი ეს ინტერპრეტაცია მართებულად მიეჩნევთ, მაშინ უმალვე აღიძვრის აზრი, რომ „დათა თუთაშია“ იმგვარად ჩაფიქრებული ნაწარმოებია, რომ სათანადო სიღრმით წვდომისას მასში თავს რეგს ორი პლანი — ეპიერიული და სულიერი, რომლებნი ორგანულად შერწყმულია ურთიერთს. ეპიერიულ პლანზე გათამაშებული ტრაგედია შესაძლოა წაეთხულ იქნეს ავრეთვე, როგორც კაცთა მოდგმის თუ ყოველი ცალკეული ადამიანის სულში აღძრული ბრძოლა მისი შინაგანი საწყისებისა, როგორც კაცთა მოდგმის თუ სუბიექტის არსებაში, მის წიაღში გათამაშებული ტრაგედია. ამ შემთხვევაში დათა თუთაშხისა და მეშინი ზარანდიას დაპირისპირება და ბრძოლა შესაძლოა გავიგოთ ავრეთვე, როგორც ყოველი ადამიანის სულში მიმდინარე ბრძოლა სიკეთის და ბოროტებისა. გულდასმით დაკვნის შემდეგ რომანი „დათა თუთაშხია“ უეჭველად გვიმშნის საამისო საფუძველს.

მსგავს ნაწარმოებთა ერთი მომხიბვლელობა ისიცაა, რომ, მიუხედავად ხსენებული ორი პლანის ურთიერთშერწყმულობისა, მკითხველს შეუძლია უმტკივნეულოდ უგულებელყოს ერთი მათგანი და მხოლოდ მეორეზე დაკვირვებულ-გონება (ამიტომ არის, რომ ამგვარ ნაწარმოებებს, ზემოთქმულის არ იყოს, ყოველი დონის მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს). კერძოდ, „დათა თუთაშხაში“ ის მეორე, სულიერი პლანი სულაც რომ არ ეიეარაუდოთ, რომანი უიმპლიციტოდ ინტერესით წაიკითხება და მის ერთ უმთავრეს სათქმელად კაცად სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა გამოიკვეთება (ოღონდ მაშინ ძალზე გაკარდება ნაწარმოების სიღრმისეული წვდომა).

დიახ, რა ასპექტითაც უნდა შეეხედოთ, რომაწმინი საქმე გვექნება კაცთა ცხოვრების ქვეკუთხედებთან (სიკეთე და პოროტება, სინდისი, ძალა, მეგობარი, ერი, ქვეყნიერება...), იმ ძველთაუძველეს და მარადიულ კეშმარიტებებთან, რომელთა გარეშე კაცთა მოდგმის არსებობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს იმთავითვე უფსკრულზე გადებულ ბეწვის ხიდზე გასავლელად გაუწყრავს თავისთავი. როგორც პიროვნებასაც და როგორც შემოქმედსაც. ამ ასპარეზზე მრავალნი დამაშვრალან ამაოდ და ზმაოდ უმცირესნი გასულან ხოლმე სამშიდროთოს. „დათა თუთაშხა“ ათ წელიწადს იწერებოდა, ათ წელიწადს ეჩიენებოდა ჭაბუა ამირეჯიბი საკუთარ თავსაც, ქართულ სტეკვასაც, ზარდამცემ იდეებსა და ჭეშმარიტებებსაც, საზარელ უფსკრულთა წიაღ მარტვილობა წერას ატანილი, პირგამეხებული, ვიდრე თვითონაც არ გადალახა და მკითხველიც შშვიდობიანად არ გაიყვანა იმ ბეწვის ხიდზე. თუმცა სჯობს ნუ გაეფსწრებთ მოვლენებს.

ზემოხსენებული ეპიერაფის მეშვეობით შეეყავართ ავტორს თავისი ოთხკარიანი რომანის წიაღში. როგორც ითქვა, ოთხსავე კარს თავთავისი ეპიერაფი აქვს წამძღვარებული პირველი ეპიერაფის ტექსტის გაგრძელებად. ხუთივე ეპიერაფი ერთად მომხიბვლელ მითოსურ ნოველას ქმნის. ეს ნოველა კი ორგანულად არის შერწყმული ვეეტა, ორმოც საკუთრო თაპანზზე დიდი მოკუღლობის რომანის არქიტექტონიკას, რომელიც, თავის მხრივ, აგრეთვე ნოველებისგან არის შეთხზული. საკუთრივ ავტორი მთხრობელად „წინათქმაში“ გვეკლინება მხოლოდ, შემდეგ სიტყვას აძლევს უმთავრეს მთხრობელს — ბერად სეგდიის, რომლის ნაუბარი რომანის ღერძს წარმოადგენს და რომელზეც არის ასხმული ოცდაორი სხვადასხვა პირის მიერ მოყოლილი ამბები — ოცდათამეფე ნოველა. ცნება „ნოველას“ პირობითად ეხმარების, რამდენადაც საქმე რომანთან გვაქვს და არა ნოველუბის კრებულთან (ვთქვათ, „დეკამერონთან“), სადაც ცალკეულ მონათხრობ ამბებს ოდენ იდეურ-თემატური ძაფი აერთიანებს და არა კომპოზიციური. ამ მხრივაც ერთობ საგულისხმო ნაწარმოებია „დათა თუთაშ-

ხია". ცალ-ცალკე აღებული, იმ ოცდაორი სხვადასხვა პირის მიერ მოთხრობილი ამბები მართლაც ნოველებია თითქოს, თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე, მიმზიდველი საკითხვები. მაგრამ, ჯერ კიდევ, ყოველი ნოველა კომპოზიციურად წინასა გადაძღვლებას წარმოადგენს და, ამდენად, სიუჟეტის განვითარების მოუკვეთელ ჯაჭვშია ჩართული, მეორეც, ყოველი ნოველა ძირითადად მიჰყვება მხოლოდ და მხოლოდ ორი პერსონაჟის — დათა თუთაშხიას ან მუშნი ზარანდიას თავგადასავალს. ასე რომ ამ ნოველების კითხვა დამოუკიდებლად კი შეიძლება (ეს ავტორის დიდ ოსტატობას მეტყველებს), მაგრამ ყოველი მათგანის ეპეშმარტი მნიშვნელობა და დანიშნულება ოდენ რომანთან კავშირით ხდება შესაცნობი. ჩვენს წინაშეა არა ცალკეულ მონათხრობთა, ამბავთა, ნოველათა ჯამი, არამედ ერთი დიდი და უაღრესად რთული ორგანული მთლიანობა, რომელიც თავისი სიღრმისეული მნიშვნელობით წინ უსწრებს შემადგენელ ნაწილებს, ამ მთლიანობის წევრთა გარეშე ცალკეულ ნაწილთა მნიშვნელობაც ნახვევნდა. მთელნა და ნაწილებს შორის აქ მართალი დიდებული დიალექტიკური კავშირია. ყოველივე მჭაფრად მოძრაობს, ყოველივე უმჭიდროესად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან და, ამავე დროს, ყოველივე ერთად მთელის მიერ არის განმაობებული და დასაზღვრული. გინდაც საკვირველ პოლიფონიურ საგალობელ ვისმენდეთ.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია, შემდეგ — მათი შშობლები, დათას დი ელე, დათას ძმაკაცი გოგი წულაძე, საატრფო ბეჩენი, ვაჟი ბუღდანა, „თავისი ერისა და დროის ერთერთი უგანთლებულესი კაცი" სანდრო ყარიძე, ბუდარა და ბუდარიხა, ჩერქეზი მაჰმუდი, პოლოვნეკი სახნავი, ბეკაზე კაკა ბულავა, პარანოიკი სეთური, არაკაცი ჭონია თავისი ავფსონგებითურთ, მედუქნე დურე ძიგუა და მისი ეფიშვილი ძობა, ყაჩაღები — რაკა სარჩიმელი, ბოდღო ყვალოკა, ყურუ ქარდაკი თუ კაზა ჩხეტია, მოურავი ზალიბაშვილი, დასტურიძე, ყანდური, დოროთე თოდუა და მისი ოჯახი, დედათა მინასტრის წინამძღვარი ეფემია, სვედაშვარი და დამთხეეული კოსმოინ კვიმსაე, ფაფაროკების მაძიგეები ბიკენტი იალქანაძე ... ეხლა მთხრობელნი თავის ხმრივ: გრაფი სეკვიდი, პოროტიკი ანდრიეესკი, თაყვა ძაძეკი, ალეკო სნეკიანი, ბოსე ზაპთარაძე, ქუჩი თარია, გიგო ტატიშვილი, ირაკლი ხურციძე, ნიკანდოო ქილია, დიმიტრი კოდაშვილი, თიკო ორბელიანი, ვანო ნათოფრიშვილი, ვასო გოდერძიშვილი ... ზოგი ანდარაია, ზოგი მუშა, რეფოლუციონერი, ყაჩაღი, ექიმი, ინჟინერი, ეფემერი, პოლიციმეისტერი, მიდველი, ბასწავლებელი, დარაჯი, ხელოსანი ... მოთხრობაში მათს თაგადასავალსაც ვგებულობთ და, რაც უმთავრესია, მათი სულიერი პორტრეტებიც ჭაფფიოდ ინატვნა მოთხრობილ ამბებთან მათ-მათი დამოკიდებულებისდა კვალობაზე. მთხრობელნი დათა თუთაშხიას ან მუშნი ზარანდიას ახასიათებენ ეგ ამის მეოხებით თვითონაც ხასიათდებიან ნებაყენებერად.

ასე რომ მრავალი ათეული ადამიანის თავგადასავალია გადმოცემული რომაწში. გადმოცემული უაღრესად მიმზიდველად, დამაინტერესლოად (თავად ამბავია ცხოვრებისეული და საინტერესო). ამასთან, ღრმა ფსიქოლოგიური ჭვდოთით და უკიდურესად ძუნწი შტიხებით (ასე რომ არა, ნაწარმოების მოკლეობა უსასრულოდ გაიზრდებოდა, წერტილის დასმა ვეღარსად მოხერხდებოდა პრაქტიკულად). და ამ უთვალავ ამბავს და ათრასეულ პერსონაჟს მშიდროდ კრავს და ერთიანებს ორი პიროვნება — დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია. ისიც ნიშანდობლეკია, რომ პერსონაჟთა დიდი უმრავლესობა მხოლოდ თითოჯერ ეარმოდგება ჩვენს წინაშე; ნოველიდან ნოველაში მცირედნი თუ გადადიან, ხოლო მეკი რომანის სარბიელზე სულ რამდენიმე კაცი რჩება. მაგრამ ის თითოჯერ მოვლენილი პერსონაჟებიც კი იმდენად ცოცხლად, კოლორიტულად არიან დახატულნი, იმ ზომამდე ორგანულია მათი კავშირი დათა თუთაშხიას ან მუშნი ზარანდიას თავგადასავალის თუ სულიერი ძერგების გადმომცემ ამბებთან, რომ თითქმის არც ერთი მათგანი არ გვავიწყდება. უმთავრეს პერსონაჟებთან ერთად ისინიც შემოიკრებიან ჩვენს ფსიქიკაში და დიდი ხნით მკვიდრდებიან იქ.

ამას ის ამბავიც უწყობს ხელ!. რომ პერსონაჟთა ამ კალეიდოსკოპში თითქმის არც ერთი არ არის დარჩენილი ისე, საკუთარი ხასიათი, საკუთარი სიბრძნე და ცხოვრების წესი რომ არ ქმნნდეს. გავიხსენთ, მაგალითად, ვასო გოდერძიშვილი — თბილისელი ხელოსანი, მოვლენილთ მის მსჯელობას: „ჩარეკუმბა, ჯორავ-ჭრეშმა ფული იშოვნეს, ბეზმენები და არშნენები ვადაყარეს, ეითთმ კაცები გახდნენ. თავის ლეკვებს გუფერნანტები და ბონები დაუქირავეს. აქეთ — სწავლა, იქეთ — პიანინო! ადამიანობა ვიღან ასწავლოს — ბონამ, დედ-მამამ? ჯერ ერთი, არც ესმით, რომ კაცობა ცალკე სასწავლებელია. მეორე — იმ დედ-მამას ადამიანური თავისთვის რა აქვს, შვილს რა უნდა შესძინოს?"

ასეა ყოველი მთხრობელი, ყოველი პერსონაჟი. თავისი ენით მეტყველებს და თავის სიბრძნეს მისდგეს. მეორე მაგალითი — პოლიციმეისტერი ნიკანდო ქილია: „ადამიანი დიდი კაცის ბრძანებით რომ შეცდეს — სამსახური

უნდა დაკარგოს და ოჯახი მშიერ-მწყურვალი დაერჩესე? არ გამოდის ცხოვრება ასე. აბა რა ქნას პატარა კაცმა? რა ქნას და ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ, თუ წაიბორძიკა, არ დაეცეს და, დაცემა თუ, ადგომაში თვითონ ის უდა დაეხმაროს, სარმა ვინც გამოდო. როგორ უნდა გააკეთოს პატარა კაცმა ეს?.. როგორ და — უფროსის პატივისცემა უნდა იცოდე, უფროსისთვის კარგი კაცი უნდა იყო ყოველთვის. მარა მარტო ეს არ კმარა — პატარა უნდა ეშინოდეს შენი უფროსისგან. ისეთი რამე უნდა იცოდე უფროსის, რომ გიჟში შიში ქონდეს — არ გამოქცეს და არ დამლუბოსო!"

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ატერი ზედმეწყვნილი ფლობს ქართულ ენას და ყოველ მთხრობელს თუ პერსონაჟს. როგორც მოტანილი ციტატებითაც დავინახავდით, თავთავის კილოს უმარჯვებს, თავთავისი ენით ამეტყველებს. ოღონდ დიალექტიზმების უსიამო მოჭარბების ხარჯზე როდი ხდება ეს ამბავი, ამგვარ ბაცვეთილ ხერხს ორ-სამჯერ თუ მიმართავს რომანის ატერი (მაგალითად, დათა თუთაშხია და ხაპლანის სამტრედიიდან თბილისამდე მგზავრობისას, მატარებელში). პერსონაჟთა თავთავის კილოზე მეტ-ელენის სპეციფიკა უმრავლეს შემთხვევებში გამოხატულია სინტაქსის, სტილის და არა ლექსიკური დიალექტიზმების მეშვეობით. ეს უალრესად ამოდსასმენს ხდის ნაუბარს, განუმეორებელ კოლორიტს ანიშნებს და დედაქართულის სიწმინდე და მთელიანობაც აღარ იმღალება.

2.

წიგნის პირველი კარის ეპიგრაფი გვამცნობს: „უწყალო კაცთა სულში ჩაუდებული იყო ზნე მისი არსი — მონება მამრისა. გაღვიძდა იგი, ცდუნების თესლად იქცა და აღმოცენდა ხორცის დამაკმაპოდელი და სულის დამორგუნველი, თუმცაღა სახილველად საამო ყვავილი. შემზერადა იმ ყვავილს ერი და ხარობდა, „რამეთუ იყო უბრალელ მიმართ არსისა და უმეცარ მიმართ შეიდგინა". გაიღო კაცთა გონების ერთი კარი, მანამდე უმტკიცესად დაფმანული, და აღძრა ხვეული სურეული, შური, სიხარბე. „გათითოოკაცთა ერთი მოგუბად საქონლისა და განიბნა წუნვედად უმეტესის ფუფუნებისა". შეება თუთაშხა ქვეყნიერ სატკივართ — მრავალ გასაპრაში მყოფს დაეხმარა, ზოგს სხვისი ოფლით მოპოვებული ქონება გაუცუდა, ეშმაკობით აღზევებულთ სამართალი მიაგო, მიმქალურებით დამდაბლებულთა სახსნელადაც იღვაწა, მტრად აშლილებს შშვიდობა ჩაუდგი გულში და ბოროტება განზრახვებში გაუეცდა ზოგს. მაგრამ იმატა: გამეცმლობამ, მრუშობამ, უმადურობამ, ამპარტავნობამ, ლიქნამ, მზაკვრობამ, სიმდიდრის წყურვილმა, აღზევების ნდომამ, სიცრუემ. თუთაშხა ვერ გაერკვა, რა ხდებოდა ქვეყნიერებაზე, ვერ განჭვრიტა ყოველივე ამის ‹მიზეზები, ძალი გაუეცდად და თქვა: არ ვიცი, ეს ‹ეთილს ეიქმ თუ ბოროტს, უმჯობესია ‹ქალაქში დაეკიანდა და ‹ეემი ძალა უმოქმედოდ დაეტოვო. „განდგა თუთაშხა ‹ეეკანისაგან თვისსა, დაინთქა ‹ეერტედ და არდა ‹ეულისმა ყო სადარდებელი ერისა, რამეთუ ‹ემრთი არა იყო თუთაშხა".

ამ ეპიგრაფს შეესაბამებოდა პირველი კარის შინაარსი. სეგედის ჩანაწერების გარდა აქ არის პორტრეტი ანდრიეევსკის დღიურები და მისი დაკითხვის ოქმი, ვინმე შვანგირაძის პატაჯი (დათა თუთაშხის პირველი დახასიათება, მის მიერ ჩადენილი უნებური ბავშვლობა, გაბარიგება), თოყვა ძაძეას მონათხრობი (დათას მეშობა ტყისმჭრელად, ბუდარების ოჯახის ამბავი) რეკოლუციონერ ალექსი სნეგირის მონათხრობი (ეუბანი, სტანიცის ამბები, დათას ბრძოლა უსამართლობასთან და მომხვეჭელ ხალხთან), ანარქისტ ნიკიფორე ბუბუტეიშვილის მონათხრობი (ბეგაზენ ‹ეაკა ბულეავასთვის, ფულის წართმევა), აბრაგ ‹ეოსე ზამთარაძის, მონათხრობი (საირმე, სეთერის მიერ დამონებული ‹ეალი ‹ალის გონს მოყვანის (ცდა) და ‹ექმ, ‹ეეკი თორიას მონათხრობი (ფოთის გარეუბნის ‹ეაზარეთ და ‹ეაკიაშია ეირთაგვების ამბავი).

ეს მონათხრობები, სეგედის ჩანაწერებით სათითოოდ გათიშული, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოსდევს ერთიმორეს და გვაცნობს დათა თუთაშხიას სულიერი ეეოლუციის პირველ ეტაპს. ძალმომრეობის, უსამართლობის, მზაკვრობის, მომხვეჭელობის წინააღმდეგ ამხედრებული და მებრძოლი აბრაგი წიგნის პირველი კარის დასასრულს საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ „არავინ არაა ღირსი" მის უბედურებაში ჩარეული და დამხმარებისა. უფრო კონკრეტულად: „მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, ყველა ‹ეაკი ‹ეისე ცხოვრობს და ‹ეისე ‹ექცევა, როგორც თვითონ მოსწონს, და სხეა ‹ეაკი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალოს ხელი... ფიცი დამიდვა, აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში..."

თავის მხრივ, ცხოვრების მდინარებაც თითქოს იმისთვის არის აღძრული, რომ ეს შეხედულება განუმტკიცოს დათა თუთაშხიას. ბუდარების ოჯახის საქმეებში ჩარეკას სიკვთე არ მოუტანია — ცოლ-ქმარმა დათას შეშფოთებით ქონება კი შეიძინა, მაგრამ, ჯერ ერთი, ადამიანური ღირსებები დაკარგა, გულხარბ, უსულგული, ძუნწ წყვილად იქცა, და, მეორეც, მთელი სოფელი მტრად გადაეკიდა; ყუბანის სტანიცაში ხალხის მეკლეფელთა და თაღლითთა წინააღმდეგ მიმართულ აქციებსაც არ მოჰყოლია ხეირი; მეკახეს ‹ეაკა ბულეავასთვის წართმეულ ფულთან, ‹ეაკმა არ იცის, ხელი ვინ მოითმო

გაკირვებულ ხალხს არაფერი მოხმარება; საირმეში სეთერის მოწვის ამხდრების, მათთვის ადამიანური ღირსების დაბრუნების ცდას ის შედეგი მოჰყვა, რომ დათა თუთაშხია და მისი მეგობარი მოსე ზამთარაძე ცემით მიასვენეს ციხეში.

მაგრამ, ვიდრე ხსენებული სულიერი ევოლუციის ამბავს ბოლომდე გაეყვანოდეთ, ჩვენ ვემართებს გავიხსენოთ — ვინ იყო, რა კაცი იყო დათა თუთაშხია, რას მიესწრაფოდა, რატომ აუმხედრდა ქვეყნიერებას.

პორფჩრიკი სერგი ანდრიევსკი (დათა თუთაშხიას ფილ — ეული მიჯნური, ვისი უნებური მკვლელობაც გაზდა დათას გაპარაგების მიზეზი): „საშუალაზე მაღალია, მძლავრი აღნაგობისაა. შესახედავად — წარმოსადეგი. აქვს შავი თვალები, მოკაუბებული ცხვირი, ოდნავ მოღუნული, მხედრის წვიგები. კოხტად, მოხდენილად იცვამს. უყვარს შავი ფერის ქართული ჩოხები და ხანჯალი იცვლის ერთმეორეზე უკეთეს ცხენებს. ერთი სიტყვით, მის არისტოკრატ თანამემამულეთთაგან თითქმის არაფრით განსხვავდება... სასწავლებლში არ უსწავლია. მაგრამ საკმაოდ განათლებული კაცია... კარგად ფლობს რუსულ სალაპარაკო ენას... ჭკვიანცლი, სული გონება აქვს. უალრესად პატიოსანი, სამართლიანობის მოყვარული ახალგაზრდა კაცია" (წიგნი პირველი, გვ. 24-25).

ამგვარია ცხრამეტი წლის დათა თუთაშხია.

მეუმნი ზარანდია: „... მას ყველაფერთან ერთად დიდი ნებისყოფაც აქვს, ჩემზე მეტი" (გვ. 292). „ჯერ თანდაყოლილი ღირსებები და შემდეგ სწორი აღზრდით ჩაწოყალებებული ზნეობა. მე ვიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან" (გვ. 313.)

ამგვარია სახელმოხვეული ბარაგი დათა თუთაშხია.

ირაკლი ხურციძე: „ეს კაცი საგანგებო, მხოლოდ მისთვის არსებული კანონ-წესებით მარცთვდა თავის ცხოვრებას და სწყეროდა მხოლოდ ერთი რამ: მოქმედება" (გვ. 464).

ამგვარია არსებობის ბრალ ბაბიებელი დათა თუთაშხია.

ბეგლარ ბეგალია: „დათა თუთაშხია დაბადებით ისეთი კაცი იყო, მას რომ ეცქოდა, იმ სიმართლის ეულისთვის ხიფათს არ დაერიდებოდა და თავს არ დაზოგავდა. მიტომ იყო, ხალხს რომ უყვარდა. მაგრამ ერთ დღეს შეუქცია ზუფრი ყველაფერს: გული მოეკვეა — ყველა ძეხორციელი ნეშისთანა და ჩემზე უკეთესი რატომ არ არიან! მისი გამზრდელი მაგალი ზარანდია და თვითონ დათა თუთაშხია რომ იყვნენ, ყველა კაცი ისეთი თუ იქნა, რა უჭირს მაშინ მაოდა ღმერთს და ძირს ერსს! არ გამოდის ასე" (გვ. 494-495).

შალვა ზარანდია: „ერთობ რთული, გაუგებარი და თითქმის შეუსაბამო საქციელის კაცი ყოფილიყო" (წიგნი მეორე, გვ. 185).

მაგალი ზარანდია: „არც მამა-პაპა ჰყოლია მაგას, გარეშეთას რომ ეურჩებოდოა, ისეთი, და არც ჩვენ გაგვიზრდია ეს კაცი დაშმშინებული და მშვიდი ცხოვრებისთვის" (გვ. 196).

ამგვარია დათა თუთაშხია ნაცნობთა და ახლობელთა წარმოდგენით.

ეხლა ისიც გავიხსენოთ, საკუთარ თავს როგორ ახასიათებს დათა თუთაშხია: „ეჭვიანი ვარ მეტისმეტად. ხშირად ისეთი არ მჯერა, დაასკერიც რომ არის და სიმართლეც. ცხოვრებამ მიქნა ეს, თვარა ადრე მიმნდობი ვიყავი და ის არ მჯეროდა, ეშმაკობა და სიცრუე თუ იყო ქვეყანაზე" (წიგნი პირველი, გვ. 457) „თავმოყვარეობით, ქედმაღლობით და ამაყი ხასიათით ვიარე ჩემი მოწიფული ცხოვრების პირველი ნაწილი. ამან მიმიყვანა გაპარაგებამდე... რაშდენი მეტი გავიდა ღრო, იმდენი დაუნდობლად და განუკითხავად ჩავმა ცხოვრებამ, მაგრამ არ იყო ეს მარტო ამაყი ხასიათის და ქედმაღლობის ბრალი: ერთი კაცისგან მეორე კაცის დაჩაგვრა მძულდა ბავშვობიდანვე, კვი ვიღაცნენი ამას. გასაჭირში და განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი მეგზალეობდა, ხელის გაწოდებას და მიხმარებას მოვალეობად ვუთვლიდ ჩემს თავს, ამისთვისაც იყო, რომ მხედველობდა. ამასობაში ასაკმა მიმატა. ადრე ჩემი ღირსების შელახვას რომ ვერ ვიმეტებდი, მერე და მერე თითქმის მიმავიწყდა საკუთარი თავი. ახლა სხვისი ღირსების შელახვას ეკლერ ვეგუებუნდი ვერაფერთ. დაედოდით ამ ქვეყანაზე და, სიმართლეს ვამბობ, სიცოცხლის ფასად რომ მეძირებოდა, მაინც ვეგებქოდი უსამართლობით და ძალმომრეობით ლულოს გამტან კაცებს... არც მეკოს მოდგმის ვარ, რომ საუმლის ზოვნისთვის ვიცხოვრო მხოლოდ, და არც ეკერო ხარი, რომ ბალახი და ძროხები შეჭირებდეს მარტო ერის შეილი ვარ მე. ფიქრი სჭირია და საზრუნაი! არ შემიძლია მკლავებდაკრეფილი ვიდგე და მშვიდად ვუყურო ჩემს ქვეყანას" (გვ. 460-462). „ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლომახლოს ადრეც და ბოლო ხანებშიც, რომ ვერ გამოვიტანე აზრი, რა ექნა და როგორ ვიყო მერე. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემიძლია სხვაფრად" (გვ. 326). „არისტოტელ არაფერი არ მდომია ადამიანისგან, კეთილი და სამართლიანი რომ იყოს, ამის მეტი. გაწამებელს და გატანჯულს ნახავ ვინმეს, უნდა იღონონ რამე, რომ შეშველის ის კაცს, — ადამიანი თუ ხარ. ამას ეკეთებდ, მე" (წიგნი მეორე, გვ. 411).

თითქმის ეს არის და ეს. ორმოცთაბანიანი

რევაზ თევრაძე

„დათა თუთაშხია"

რომანის ფურცლებზე დათა თუთაშხიას პირდაპირი დახასიათება თითქმის არც გვხვდება ამის მეტად. დანარჩენი მოქმედებითაა თქმული (ერთი იმდენივ მკითხველის ფანტაზიამ უნდა შეავსოს). ამგვარი ძენწი შტრიხებით წარმოგვიდგენს ავტორი თავის ეგზემიუწყდნელ გმირს. ოღონდ, რომანი წაკითხულიც რომ არ გვქონდეს, დამეთანხმებით ალბათ, რომ ჩვენს წარმოსახვაში ამ მოტანილი ამონაწერებითაც ბორცს შეიახსმდა «შვიათი ფიზიკური და სულიერი მომხიბვლელობის პიროვნება», იმდაგვარი ადამიანი, წინასწარვე მოკრძალებით და პატივისცემით რომ განგვაწყობენ ხოლმე (თუმცა ეს „ხოლმე" ვგონებ ზედმეტიც არის ამ, რამეთუ მსგავსი ადამიანები ასე მრავლობით რიცხვში არ გვეკონებიან ჩვენი ცხოვრების ძანძიოზეს).

დიახ, დათა თუთაშხია რჩეულთა შორის ურჩეულესი პიროვნებაა. ამას რომანის პიროვნითვე ვვერდებიდან ვხედებით და იქვე აღგვაღრის უნებური ეჭვი: ვაი თუ ცოცხალი გმირის ნაცვლად გარკვეული იდეების მატარებელ სქემასთან მოგვიხდეს საქმის დაჭერა! და იქნებ არც ისა უსაფუძვლოა ეს ეჭვი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს? თავად განსაჯეთ: ნაწარმოების დასაწყისშივე ჩვენს წინაშე წარმოდგება სულიერად და ხორცეულად ლამის სრულქმნილი პიროვნება — უბადლო ვაჟკაცი, მკლავმაკარი და თვალწუნები, ძლეული მბრძოლთა ძალეული, ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული. ამასთან, გამჭრიახი, მაძიებელი გონების, უზაფო პატიოსნების, უმწიკვლო სინდისის მქონე და სიმართლისთვის თავგადადებული. მეტი რაღა უნდა ინატროს კა

და ნაკურთხი, ეინაიდან „საკუთარი თავისთვის ჯობნინ“ უკეთეს ასპარეზს მწერალი ვერც ინარტებს და ამ ასპარეზზე თუნდაც დამარცხება გამარჯვების ტოლფასია. ეს დამარცხება დიდად განსხვავდება იმისგან, ზოგიერთი დასავლელი მწერლის თუ მათი ქართველი მიმბაძველების გამოლანდნილი პერსონაჟები რომ უმზადებენ ხოლმე თავიანთ შემოქმედ ავტორებს.

დაბოლოს ერთი კიდევ: რომანის ავტორის ჩანაფიქრით, დათა თუთაშხია გარკვეულ იდეათა და პრობლემათა მატარებელი პერსონაჟია, მომნუსხველი ცხოვრებისეული გმირიც და, ამასთან, „სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ეითა წახნაგთაგანნი მათი უსრულელსნ“. და ამ „კრებითი სულის“ განსხეულებას თუ წარმოვიდგენდით, დათა თუთაშხიას უმჯობესი მოდელის შექმნა ალბათ ძნელი იქნებოდა.

მაგრამ მაინც რა იყო საჭირო საომისოდ, რათა ეს სრულქმნილების იდეალს მიახლოებული ეგრრი ან სწვედა არ ქცეულიყო, ან კიდევ ლამაზქნელი რაინდის თუ თავად მაშკინის ბედი არ გაეზიარებინა?

სქემატურობის წმაალი ცხოვრებისეულობაა. ეს ითქვა ზემოთაც. ცხოვრებისეულობა იმ ზომამდე, რომ ეგრრი ზოგჯერ კომეკიერ თუ საჩოთირო სიტუაციებშიც ექცეცა (გაიკეტალი ბაეშვების ალაპში მომწყვდეული დათა თუთაშხია და მოსე ზამთარაძე სარიმეში, მათი კეტებით ცემა იქვე, კაჯა ბუღაკას ქოხის სცენა, ჭონიას თვალთვალი საფარდან, დათას ბერობაზეა ნაყანდრო ჭილიას რეზიდენციაში, დოროთეა თოდეას ეიეკების მიერ დათას გალახვა, ციხის ეპიზოდები... ამ დიდი სიფრთხილე, ალბო, ტაქტი და ზომიერების გრძნობა იყო საჭირო, რათა ავტორი მეორე უკიდურესობაში არ მოქცეულიყო და ზარაკანდდიდან არ გაწყვეტილეი დათა თუთაშხია. ჩემის აზრით, ციხის ერთს ან ორ ეპიზოდს თე არ მივათვლიდ, მან ამ ამოცანასაც ჩინებულად გაართვა თავი).

მეორე უმთავრესი პირობა გახლავთ სანქმ. საქმის ალსრულება — „არა ეიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“ დათა თუთაშხია თავისი შინაკაინი ბუნებიანი სრულყოფილების იდეალს იმითაც არის მიახლოებული, რომ მისი ცხოვრებისეული კრედო პირველქმნილი სიმარტივისაა: „ოასადროს არაფერი არ მდომია ადამიანისგან, კეთილი და სამართლიანი რომ იყოს, ამის მეტი“. ეგრე ავტორს რომანისას და ეგრე მის კეთილშობილ ამრაკეს ეერაკენ დაწმენდს, რომ ძირის-ძირამდე არ ჰქონდეთ გათავლილნენებული, თუ რა საზარელი სირთულე და სილრმე ახლაეს ამ სიმარტივეს; ეერც იმის აღიარებს, რომ, ამსადა მოუხდაკად, ეაკაზ მოდგმას ერთადერთი გამოსაეალი აქეს — მიკლეეკა მსგავსადვე მარტივი, თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებისა, რომელიც გამოწვეულიეი გაჩხრეკილას აგრეთვე საზარელი სირთულისა და სილრმის შემცველი იქნება და არა იოლად მოსაპოვებელი წოლადობილი. ხოლო ამგვარ ჭეშმარიტებას — ღვთაებრივად მარტივს, თავისთავად ცხადს, ნათელს და, ამასთან ერთად, უღრმესი და ურთულესი აზრის შემცველს — ხსოლოდ და ხსოლოდ დაეკადებული ქმედებით შეიძლება მისწვდეს ძეხოროცელი. კაპიტენტსა და სალონგმენი გამომწყვდეული მთელეკმარე ყოფა იმ ჭეშმარიტების ეედობის ეიუდი საწინდარია (ძველ საქართველოში ამ აზრს შემდეგნირად გამოხატავდნენ: „ეის არ ერეკის ოული, იგი არს კაცი სრული“). ამიტომაც დასჭირდა რომანის ავტორს უერცესი ცხოვრებისეული ასპარეზი გადაეშალა თავისი გმირის წინაშე — უამრავ სიტუაციასა და აურაცხელ ხალხთან შეკავხების შედეგად გამოკეეეთა მისი იდეალი. ხოლო ამგვარ ასპარეზზე დაუცხრომელ კეეეკებას თუთაშხიასნაირი მონოლითური პიროვნება თუ გაეძლებდა — ცხადი მიზნის, ეტეხი ნებელობის, ფიზიკურად და სულიერად ყოველმხრივ ჯარმონიული და ლიბიდოეუბზარაკი ადამიანი. ამიტომაც არის ძაენნი შტრიხებით ჩიხაზული დათა თუთაშხია — მის უმთავრეს დახასიათებას მისივე ქმედება იძლევა და არა ესა თუ ის რეპარეკა.

ნიშშნდობლე

ცხოვრების ორომტრიალში ჩართული (როდესაც პირველი კარის ეპიგრაფში ავტორი ამბობს: „განდგა თუთაშხა ქვეყანისაგან თვისისა, დაინთქა ეროტად და არცა გულისხმა ყო სადარდებელი ერისა“,— ცხოვრებისეულ ფიზიკურ განდგომასა კი არ გულისხმობს, არამედ სულიერს, — დათა თუთაშხია კვლავ ხალხში ტრიალეს, მაგრამ თავის საფიქრალს არის მიცემული, და მის გულს ადარ ეკარება ქვეყნად მომხდარი ამბები). სწორედ მის ამ ცხოვრებას შეიძლება ეუწოდოთ ჰეშმარიტი ასკეტიზმი. რამეთუ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს ეს კაცი მხოლოდ იმ ზომამდე იკმაყოფილებს, არსებობის შენარჩუნება რომ შეძლოს, აბრაგობით ნაშოვნი ქონება მას გასაკეთად ესაჭიროება და არა თავისთვის დასანარჩუნებლად; გარდა ამისა, ეფრავეთარი ცხოვრებისეული ჭეშეი ვერ ეკარება მის სპეტაკ სინდისს და უმწიკვლო პატიოსნებას: შემდეგ: ცხოვრების ამ ორომტრიალსა და ქაოსშიც მისი გონება, მისი აზრი წამისწამ ცვლებად ღინებებს კი არ მისდევს, არამედ იმ ერთადერთ საკითხს, ერთადერთ საფიქრალს მისეეებია განეშორებლად, იმ ერთადერთ ჭეშმარიტების საწყვდიადო იღეშის, მასზე არის დაუნჯებული: დასასრულ, უმთავრესი: დათა თუთაშხასანარ დასაბინებსო, ამბობს რომანის ერთი პერსონაჟი, „ბრძოლის ღირსად ერთადერთი ციხესიმაგრე მიეჩნეეიათ — საკუთარი არსება! ესენი დაუნდობლად, უკომპრომისოდ, სამკედრო-სასიცოცხლოდ ებრძეინან თავის თავს... დათა თუთაშხიანი თქვი რამ ვიცი, ყველაფერა მხოლოდდა იმას მეტყველებს, რომ ამ ადამიანს ერთადერთი რამ მიეჩნეეია ბრძოლისა და დაძლეევის საგნად — საკუთარი არსება! განა რა უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეეცვალოს!.. ყველაზე კეთილშობილი, ხანგრძლივ და ულმობელ ომს გაუმარჯოს — ომს საკუთარ თავთან“ (გვ. 455). სხვათა შორის, მხოლოდ ამ უკანასკნელი მომენტის გათვალისწინების შემდეგ ხდება ბოლომდე შესაცნობი დათა თუთაშხიას მიერ ნათქვამი: „თავისუფლება თვითონ უნდა მისცეს ადამიანმა თავისთავს“ (წიგნი მეორე, გვ. 308).

●

მივსდიოთ მეორე კარის ეპიგრაფს. ზნეობა რომ დაკნინდა, სინდისი მოძველებულ და სალანძღავ ცნებად იქცა, ბალ — საკუთარ სულში სათნოების დათრგუნვისა და მოყვასის მიმძლავრების იარაღად, სიკეთე — ავი განზრახვისა და ავი საქმის ნიღაბად, დედაკაცი — მეძავობისა და ბერწობის გამართლებად, მეგობარი — ცხოვრების მსწავლულურმავლობის წინაშე შუშის მალამოდ და ფარულ ანგარებათა მოზარეად, ერი — ნივთთა მოხვეეების ასპარეზად და სიცოცხე მიმოთესეის ხნულად, ქვეყნიერება — შურის მიგებისა და სიძულვილის ფერფლის ხორცსა და სულში ადამიანეს სიძულვილი გაუჯდომ და ერმა გამბეგებელად და ქვეყნიურ საქმეთა მორიგედ ალიარა კაცთა სულისა და ხორცის შთანთმეველი საზარელი ურჩხული. რომელიც „არა იყო არსება ერთი და ნაფერი ხორციელი, არამედ სული ერებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგან, მისი ერთი, განძლიერებული აწ“. ხედავდა ერი ეანსხეულებულ ურჩხულს და ემორჩილებოდა, თუმცა ერისავე ხორცსა და სულს ნთქავდა: ურჩხეული. „ადიღო შუბი თუთაშხამან, ამხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დაირაკუნვა ბოროტისა ძალითა თვისითა, რაზმეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა“.

რთანის სეერთო ეპიგრაფის მიმოხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ ავტორი, მოსათხრობის ნამყო დროში გადმოცემის მიუხედავად, ზორსულის იდილიურ სურათს კი არ წარმოგვიდგენდა, არამედ მიგვანიშნებდა კაცობრიელი არსებობის იდეალურ ვითარებას, როდესაც კაცს სინდისნი საკუთარ მანეიერებათა სამხილებელ ნიკაფ მიაჩნია, მეგობარი — სულგრძელობის საზომად და ასე შემდეგ. ამჯერადაც იგივე ითქმის. ურჩხეული აღზეევება, სინდისის სალანძღავ ცნებად ქცევა, მეგობრის დასახვა ფარულ ანგარებათა მოზარიდ და მისთანანი ისტორიული დროის რომელსამე მონაკვეთში მომხდარი ავტ ეი არაა ეპიგრაფის მიხედვით, არამედ კაცთა მოდგმის არსებისა და ყოველი ცალკეული პიროვნების ფსიქიკაში გათამაშებული მარადიული ტრაგედია. ასე ხდება მუდამ, როცა კი პიროვნა საწყისი იმარჯვების ადამიანის სულში („ბოროტი საწყისი“ მთლად მარჯვე გამოთქმა ვერ არის, რამეთუ ბოროტებას საწყისი არც აქვს, უძირო და უფარეთ. ამგვარია ჩემი შეხედულება და იქნება რომანის ავტორის შეხედულებაც. მაკრამ ამჯერად მსგავს საკითხებს ვერ ჩაფუფრავდებით და ვერც გაშეკვდებენებით).

რაღა თქმა უნდა, „დათა თუთაშხია“ შეიძლებოდა განგვეხილა როგორც სოციალური რომანი — ამის საშუალებასაც იძლევა ეს მრავალპლანური, ავტარება ჰპლასტის შემცველი ნაწარმოები. მაშინ აუცილებელი იქნებოდა მოკლენთა დროისმიერი ლოკალიზაცია, ისტორიული ვითარების დაკონკრეტება. საამისო ქრონოლოგიური ორიენტირებიც მოიძებნებოდა (მართალია, არცთუ უბრიველად): დათა თუთაშხია 1866 წელს დაბადებული ჩანს, 1885 წელს გაამბოგდა, 1889 წელს ყუბანში გადავიდა რამდენიმე წლით, 1907 წელს ციხიდან გაიქცა და 1910 წელს დაიღუპა. სხვა პერსონაჟთა შესახებაც ვიცით ამ მხრივ ცოტა რამ. მუშნი ზარანდია ჟანდარმერიის სამსახურში 1890 წელს ჩადგა, 1907 წლიდან იმპერიის ჟანდარმთა შეფის საიდუმლო მოადგილედ იყო, 1913 წელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა; გრაფი სეგედი 1850 წლის ახლო ნახნ არის დაბადებული, ყანდარმერიაში სამსახური 1874 წელს დაიწყო და 1904 წელს გადადგა უკვე (მის მომდევნო თავგადასავალს რომანის **სიეტეტური** ხაზის განვითარებისთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს). ასე რომ ნაწარმოების უმთავრესი ქრონოლოგიური ჩარჩო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მეოცის დამდეგს, უფრო ზუსტად —1885-1910 წლებს მოიცავს. ამაზე მეტ დროისმიერ ლოკალიზაციას აეტორი ყველგან ერიდება. ესეც იმიტომ სჭირდება მხოლოდ, მკითხველს სულ რომ არ დაეკარგოს ქრონოლოგიური ორიენტირები და ამით ემპირიულ პლანზე მონაფიზრობამ ამბებმაც არ დაკარგონ კონკრეტულობა და რეალობის ნიშნები.

დიახ, ამ ასპექტით თუ განვიხილავთ „დათა თუთაშხის“, „მაშინ ზნეობის დაკნინებისა და ურჩხულის აღზევების ეპოქის ლოკალიზაციაც არ იქნება ძნელი (გაგიხარიათ, უხვად მოგვცემდა საამისო მასალას მსოფლიოს ერთი უსაზზღრესი იმპერიის ხალთა ცხოვრების ვითარება — ჩვენთვის ცნობილიც და რომანში ასახულიც). ოღონდ, რამდენადაც წიგნის ავტორს, მიუხედავად მისი ქმნილების მრავალფეროვანი სოციალური შინაარსისა, ეთიკური და ფილოსოფიური პრობლემატიკა უფრო აწუხებს, მიეტ(ივ)ებული შეცდომა იქნებოდა არ შეგვენიშნა შემდეგი: ზნეობის დაკნინება და ურჩხულის აღზევება, უკვე რომანის მიხედვით, ეროში ლოკალიზებულ მოვლენადაც შეგვეძლია დავსახოთ და ზედრეულადაც. ან იქნება სჯობდა გვეთქვა — მარადიულ მოვლენად, მარადიულ აწმყოდ, როდესაც ერის თუ ცალკეული პიროვნების სულში თამაშდება ხოლმე ხსენებული ტრაგედია.

რამდენადაც ამ წერილის მიზანია „დათა თუთაშხის“ სოციალური ასპექტით კი არა, ეთიკურ-ფილოსოფიური ასპექტით განხილვაა, მოხლიდან გავეცეთ ამ ხაზს.

მკითხველი შენიშნავდა: რომანის საერთო ეპიგრაფში თუთაშხას გამო იოქმის — ერთი სულდგმული კი არ იყოო, არამედ „სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა...“ ხოლო მეორე კარის ეპიგრაფის მიხედვით, საზარელი ურჩხულიც „არა იყო არსება ერთი და ნადირი ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა...“ ოღონდ თუთაშხა იყო „არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“, ხოლო ურჩხული — „არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მისი ერთი, განძღიერებული აწ“.

ის გარემოება, რომ, თუთაშხას მსგავსად, საზარელი ურჩხულიც ყოფილი „სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა“, უეჭველად აფასტრეტებს უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „დათა თუთაშხია“ შეიძლება ემპირიულ პლანშიც იქნეს წაკითხული და სულიერ პლანშიც (როგორც შინაგანი ბრძოლა სიკეთის და ბოროტებისა): თუთაშხა ებრძვის ურჩხულს — კრებითი სული ებრძვის კრებითს სულს. ამ ტრაგედიის ასპარეზი კაცთა მოდგმის თუ ცალკეული პიროვნების შინაგანი არსებაცაა (სულიერ პლანში) და ქვეყნერებაც (ემპირიულ პლანში). მითოსურისა და რეალურის ეს ორგანული შერწყმაც ანიშებს რომანს განუმეორებელ მიმბიეზელობას.

ამასთანავე ერთ თავსატეხ საკითხს მივაღწევთ. თუთაშხას მიწიერი განსხეულება რომ დათა თუთაშხიაა, ამის მიხეედრას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. მითოსურ პლანში თუთაშხა ურჩხულს უპირისპირდება, მაგრამ ემპირიულ პლანში დათა თუთაშხია ვის უპირისპირდება, ვინ უნდა მივიჩნიოთ ურჩხულის განსხეულებად? ამგვარი განსხეულება რომ უეჭველად უნდა არსებობდეს, ამას რომანის მთელი შინაგანი ლოგიკა განაპირობებს (კონკრეტული დათა თუთაშხია ზოგადსა და განყენებულ ბოროტებას ვერ დაუპირისპირდება). მაგრამ თავსატეხი-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ საზარელი ურჩხულის — ბოროტების სიმბოლოს — მიწიერ განსხეულებად მუშნი ზარანდიას ხელოვნებით გამოცხადება არც ისე იოლი საქმეა (არადა სხვა კანდიდატი არ არსებობს: გრაფი სეგედი, ყოველსაკე დანარჩენს თავი რომ დავანებეთ, იმიტომაც ვერ მიიჩნევა ასეთ ვინმედ, რომ დათას ბრძოლი ბორბტებასთან სეგედის გადადგომის შემდეგაც ეკრა ხანს გრძელდება).

მაშასადამე, ითის გახსენებაც გვმართებს, ვინ იყო მუშნი ზარანდია.

უწინარეს ყოვლისა, ის გაგვახსენდება ალბათ, რომ დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია გარეგნობით იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, თითქმის შეეძლებელია მათი გამორჩევა (დათას მაშა და მუშნის დედა ტყუპისცალი და-მაინი იყვნენ). უკვე ეს გარემოება ქმნის ითის წინაპირობასს, რომ რაღაცნაირად სიმპატიურად გაგვეწყოთ მუშნის მიმართ, თითქოს მასზეც განვიერცოთ დათა თუთაშხას დამაბრმავებელი შარავანდედი. ასეა თუ ისე, ძალზე ძნელია დათა თუთაშხის აეტაში მიხეედრილი მუშნი ზარანდიას მიჩნეკა ხორცქმნილ ბოროტებად.

მერე ნელ-ნელა (უმთავრესად სეგედის მიერ მონათხრობი ამბებით და მისივე რემარკებით) ვეცნობით მუშნი ზარანდიას შინაგან ბუნებასაც.

რომანის პირველსავე გვერდებზე გადმოცე-

რევაზ თარაძე
„ზათა თუთაშხია“

მეული ამგვარი ეპიზოდი: მუშნი ზარანდიას, ჯერაც უჩინარსა და უპოვარ კაცს, ეიღაც წვრილფეხა მრეწველი იქრიას თუშნიანს შეაპრგხს ქრთამდა. მუშნი მიხედება თუ არა, ეისია ფული, სასწრაფოდ უბრეწებს პატრონს. უფროსი ეუბნება — რატომ დაუბრუნეთ ის ფული, მთხოვდელ ჯამგარის ილებთ და ხომ არ გაოფენიოო. მუშნის პასუხი: „ისეთი ჯამგარი არ არსებობს, კაცს რომ ეყოს. კაცი უნდა ეყოს ჯამგარის. რაც მეტს მოგცემენ, მით მეტი მოგინდება. ჯამგარი კი არ არის დიდი და პატარა, მადაა დიდი და პატარა“.

როგორ მოიქცეოდა ამ სიტუაციაში დათა თუთაშხია? ზუსტად ასევე, ამას არ სჭირდება დიდი ბჭობა, მე ადარ ჩამოვთვლი ყველა იმ შემთხვევას, როცა მუშნი ზარანდიას იოლი გამდიდრების შესაძლებლობა ეძლევა და მეოდამ მტკიცე უარს ამბობს ამ შესაძლებლობაზე; რომანის მიხედვით მუშნი ზარანდია, დათა თუთაშხიას მსგავსად, აბსოლუტურად უანგარო კაცია. არადა ეს მოვლენი არ არის მცირედი მნიშვნელობის მკონე — მამონის მონება ერთი პიროვნლთაგანია იმ საცდურთაგან, რომელთა მეოხებითაც ბორტაბის მსახური ხდება კაცი (ისიც გავითვალისწინოთ: მთხრობელი ეპიზოდი უმნიშვნელოვანესად რომ არ მიეჩნევა, ავტორი მისით არ დაიწყებდა მუშნი ზარანდიას პიროვნების დახასიათებას).

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ჩამოვთვალოთ ის მანკიერებანი, რომელნიც ზნეობის დაკნინებასა და ურჩხულის აღზევებას მოაკვნენ ნრომანის პირველი და მეორე კარის ეპიზოდების მიხედვით: ხვეული სურეული, სიხარბე, ენნეანის სიბძოგეე, შური, გამეცმლობა, მრეშობა, უმადურობა. ამპარტავნება, ლიქნა, აღზევებისკენ სწრაფვა, სიცრუე, მზაკვრობა, სიძულვილი.

მუშნი ზარანდიას ქმედების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისთვის სრულიად უცხოა ყველა ეს მანკიერება, გარდა უკანასკნელი სამისა (სიცრუე, მზაკვრობა, სიძულვილი). ამ სამი მანკიერების გამო (ოღონდ ქვემოთ განვაგრძოთ საუბარი, ამჯერად კი გავიხსენოთ, უანგარობის გარდა კიდევ რა დადებითის თვისებებს ავლენს მუშნი ზარანდია: გონიერი, მოსაზრებული, გამჭრიახი, დიდი ნებელობის მქონე, მონოლითური პიროვნება, ხერხიანი, ენერგიული, დაუზარელი, ბეჯითი, საქმის ერთგული, ოჯახური ტრადიციების მტკიცედ მიმდევარი, სამშობლოს ბედის გამო დაფიქრებული... ამ ნუსხის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აღარც არის საჭირო.

ქმედების დროსაც ირაციონალურ ორი წვეთი წყალივით ჰგავან ერთმანეთს დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია.

ზემოხსენებულ სამ მანკიერებას რაც შეეხება, ამითაც ორს — სიცრუესა და მზაკვრობას — ოდენ სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას ავლენს მუშნი ზარანდია (ვიმეორებ, ეს ეპიზოდი ამ ადგილას ბოლოკონიკ სახნოვთან ურთიერთობის შემთხვევაშია). ასეთ ვითარებაში სხვაგვარად მოქცევა მას არც შეუძლია, ეანდარმერიაში მსახურობს და ანა ქველმოქმედ დაწესებულებაში, და, გვსურს ეს თუ არა, ამ თვალსაზრისით ცოდველად კი არ მიეჩნევთ ხოლმე, მის გულშმატკივრებადაც კი ვიქცევთ არაერთხელ, გვაბარებს კიდევ მისი გამარჯვება (ვიქცევთ, იმავე პოლკოვნიკ სახნოვთან). ხოლო სიძულვილით სძულს თუ არა ვინმე. მუშნი ზარანდიას, ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით რეალური ვითარების მიხედვით. აქვე ზემოთ მე განზრახ არ დავასახელე სიძულვილი იმ მანკიერებათა ჯერის, რომლებიც მუშნისთვის უცხოდ მიეჩნიე. ეს, ასე ვფიქვათ, სრული ობიექტურობისთვის. თორემ დაბეჯითებით იმის თქმა, რომ მუშნის მარილაც ახასიათებს ეს მანკიერება, ჯერჯერობით არასაზრო არ იქნება.

რაღა გამოდის? დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია თითქმის სრული ასლები ყოფილან ერთიმეორისა. რაგინდ გულდასმითაც უნდა ვნახიროთო, ვერავითარ ისეთ მანკიერებას ვერ ეუბნოვნთ მუშნი ზარანდიას, ბორტაბების, საზარელი ურჩხულის განსხეულებად მისი მიჩნევა შესაძლებელი რომ გახადოს.

იქნებ ის ამბავი მიგვეჩნია უდიდეს ბოროტებად. ეანდარმერიაში რომ მსახურობს დ. დათა თუთაშხია რომ სდევნის მუშნი ზარანდია? მაგრამ ეს მისი მსოფლმხედველობის, საკმაოდ დასრულებული და ჩამონაკეთული მსოფლმხედველობის გამოვლენებაა (ვინც გულდასმით წაიკითხავს პირველი წიგნის 54-56-ე გვერდებს, უეჭველად დარწმუნდება, იმთავითვე რა მტკიცედ დაადგა მუშნი ზარანდია ერთხელ არჩეულ ცხოვრებისეულ გზას). ამ მსოფლხედველობის მიმდევარს კი „სხვაგვარად არ ძალუძს“ მოქცევა. გზა რაკი მოინიშნა, უნდა მიპყვეს კიდევ. სხვა საკითხია, რომ ეს მსოფლმხედველობა უსწორო წანამძღვრებს ემყარება და უკუღმართ დასკვნებს შეიცავს. ამ შემთხვევაში უნებური შეცდომასთან გვაქვს საქმე და ამგვარი აზრისმიერი შეცდომის გამო კაცის შებრალება უფრო გემპრეზეს, ვიდრე ბორტაბების განსხეულებად მისი გამოცხადება...

პირველ სიგნალს ის კაცი გვაძლევს, ვინც მრავალი წლის მანძილზე ალტაცებული, მოხიბლული ან გაოგნებული შეჰყურებდა მუშნი ზარანდიას. გრაფი სეგედი გახლავთ ეს კაცი. იმ შემთხვევებს არ ვგულისხმობ, მუშნი ზარანდიას სავიმძიმეზო, სადაზვერვო თუ სხვა საქმიანობის აღწერისას მას სატანას რომ უწოდებს ხოლმე გრაფი სეგედი (მსგავს შემთხვევებში „სატანა“ კომპლიმენტად, ლამის საალერსო სიტყვად ეღერს, მუშნის გამჭრიახობის, მოსაზრებულობისა და სიმარჯვის დახასიათებად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სიგნალი მაშინ გისმის, როდესაც მუშნი ზარანდია გრაფ სეგედის მიართმევს პოლოკუნაკ სახნოვის მაკმპრომგტირებელ სასუთთა პაკეტს. გრაფი სეგედი: „მუშნი ზარანდიას გადაეხედე. წამით მომეჩვენა, რომ ეს ტანზეული კაცი სკამზე გორგალივით იდო, კისერი ჩქნდა მოღერებული“ (წიგნი მეორე, გვ. 241). მსგავსი ჩვენება ერთხელ კიდევ ეწვევა უკვე სამსახურიდან გადამდგარ სეგედის, როდესაც იაზრებს, რომ მასთან ვიზიტით მისულ მუშნი ზარანდიას რაღაც ჯოჯოხეთური ხაფანგები აქვს დაგებული დათა თუთაშხილოვისს: „როგორც ერთხელ, ოთხი-ხუთი წლის წინ, ისევ მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდია სავარძელში გორგალივით იდო და ყელი ჩქნდა მოღერებული“ (გვ. 540).

მუშნი ზარანდია გველის სახით წარმოუდგა გრაფ სეგედის, ხოლო გველი რომ სატანის ალეგორიული სახეა, ამ ამბავს ალბათ არ სჭირდება განმარტება. თუმცა, რომც სჭირდებოდეს, სეგედისავე სიტყვები მოგვახვედრებდა ორიოდე გვერდის შემდეგ: „ჩემი გამოზრდილი ლუკეი ხარ, მეკე მოგიველ-მეთქი, ბატონ სატანავ!“ (აქ „სატანა“ უკვე პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი).

ოღონდ ვეღარ მოუარა გრაფმა სეგედმა თავისსავე გამოზრდილის, რამეთუ მუშნი ზარანდია მასზე ბევრად ძლიერი გახლდათ — სატანა იყო თავად. გრაფი სეგედი, ისე რომ ეთქვათ, მხოლოდ ეარშიყებოდა სატანის ანრდილს. ეანდარმერიაში ოცდათ წელიწადს სამსახური ამის საშუალებას საკმაოდ ხშირად აძლევდა და, როგორც კარგად აღზრდილ ინტელიგენტს შეეფერება, ყოველი სატანური ვამოვლინება მაცდუნებელ ეროანტელს ჰგვრიდა და თავმოთნეობასაც უკმაყოფილებდა იმ ზომით, რომ არ შელახვოდა საკუთარ თავზე დადებითი შეხედულება. სწორედ იმან შეაძრწუნა გრაფი სეგედი, სამსახურიდან გადადგომაც იმან გადაწყვეტინა, რომ ხორცშესხმული სატანა მოეკლინა მუშნი ზარანდიას სახით, ხოლო ამდენის გაძლება მის სათუთ სულს აღარ შეეძლო. თქვენმა მტერმა უმზიარა პირისპირ სატანას!

ეს ყოველივე ჩინებულია, მაგრამ ბოლომდე გასაგები მაინც არ არის, რატომ გადწერეთ ასეროგად მუშნი ზარანდია და რატომ მიეჩნიეთ სატანის ანუ ბოროტების (ურჩხულის) განსახეულებად. ოღონ სეგედისეული დახასიათების გამო? ნუთუ ზემით მოტანილი ორიოდე ფრაზა წყვეტს ასე მარტივად იმ თავსატეხ საკითხს?

არა, რაღა თქმა უნდა.

სეგედისეული რეპლიკები სიგნალებია მხოლოდ. მათი დანიშნულებაა ჩვენი ყურადღება გამახვილონ და უფრო ღრმად გამოგვაძიებინონ მუშნი ზარანდიას პიროვნება. ბოროტების ამოცნობა აგრე იოლი რომ იყოს, მამინ მასთან ბრძოლაც არ გაძნელდებოდა მაინც.

სიკეთისა და ბოროტების მიმნიშნებელ თვისებათა ნუსხა, რომანის ეპიგრაფებში მოცემული, შეგვიძლია დიდად გავზარდოთ და მაინც სათანადო სისრულით ვერ გამოკეკეთოთ სიკეთისა და ბოროტების ცნებები. რადგან ეს თვისებები სწორედ რომ მიგვანიშნებენ (სიკეთე: მოუვასისთვის სასარგებლო საქმის ქმნა, სინდისის მოხმარება საკუთარ მანკიერებათა სამხილებლად, ძალისა — სულის ხარვეზთა დასაძლევად, მეგობრისა — სულთარძლობის ხაზმაფ... ბოროტება: მამონის მონება, სიხარბე, შური, ვამეცემლობა, მრუშობა, უმადურობა...), ხოლო არსებას ვერ გამოხატავენ. მრავალი თვისებით არსება ვერც გამოიხატება, საამისოდ ერთი უპირველესი ნიშნის მიკვლევაა საჭირო.

ამგვარი უპირველესი ნიშნაი სიკეთისა არის სიყვარული. ამას ავტორი შემდეგნაირად მიგვანიშნებს ეპიგრაფებში: „და იქმნა კაცთათვის... სოფელი — სივრცედ მოგვბისათვის სიყვარულისა, რომელი იყო ღმერთი... რწმენა და ზნე ესეეთარი იყო ვინმედან სიყვარულად ყოველსა ასოსა შიგან და სიღრმეთა სულისასა კაცთა... ახდგიდა ერი მას თუთაშხას განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსაჯლიელს თვისსა ძაძარსა დიდებულსა შინა უფლად სიყვარულისა...“ (საერთო ეპიგრაფე). ამგვარი იყო ვითარება, ვიდრე ზნეობა დაკნინდებოდა და ურჩხული აღზეკდებოდა, ხოლო ამის შემდეგ: „დარნა წოდსა შინა კაცთასა სიყვარული იგი, ვითა ბოლქვი უმწეო ნიადაგსა ზედა მწრისა და უმოსავლოსა...“. მაშინ პრქვა თუთაშხამან: შეიმუსრა სიყვარული, რამეთუ არა აქვნდა მას სტეკენრი მძლეველი“ (მეორე კარის ეპიგრაფე).

მუშნი ზარანდიამ სიყვარული არ იცის. დათა თუთაშხისადგვარი თითქმის ყველა სიქველე და სათნოება აქვს მას ბოძებული (ასე გვეჩვენება იმის დამეწყობლებს, რომ ყოველნარი სიქველისა და სათნოების იმიტაცია ძალუძს სატანურ სულს), გარდა სიყვარულისა. ეს არის ის ღვთაებრივი სფერო, სადაც უმალ ელინდება ჭეშმარიტება, სადაც სიცრუე ძალას კარგავს და ვეღარაფის აცდუნებს, რამეთუ ჭეშმარიტ სიყვარულს ქმედებაე შესატყვისი ახლავს მუდამ. ბოროტებას ამ მიჯნამდე შესწევს ქმედების უნარი, ხოლო აქ იძალებულია თავისი ნამდვილი სახე გამოავლინოს. მთელი რომანის მანძილზე სოცკიდაა შენიღნული მუშნი ზარანდია (აქ კვლავ უნდა ეახსენოთ ავტორის დიდი ოსტატობა), იმ ზომამდე, რომ ეშვიც კი გვიყოროს — ხომ არ შეეცოდავთ. ბოროტების განსხეულებად რომ მივიჩნიოთ? რომანის კითხვას რომ დავამთავრებთ და უკვე

რევაზ თევრაძე
„დათა თუთაშხია“

შორიდან მოვაცლებთ მზერას მოთხრობილ ამბებს, მაშინლა ვწვდებით საქმის არსებას.

მაშინდა ვგხვდებით, რა იყო ის უცნაური სენი, მუშნი ზარანდიას რომ ბოლო მოუღო დათა თუთაშხის საკეთილის შემდეგ ცოტა ხანში. ექიმებმა ამ სნეულებას ვერაფერი გაუგეს. მელანქოლიად მონათლეს. სინამდვილეში სამსახურებრივი კარიერის მწვერვალზე აღზევებული მუშნი ზარანდია (იმპერიის ყანდარმთა შეფის საიდუმლო მრჩეველი, ოფით იმპერატორის მიერ „ყანდარმერიის მაკედონელად“ წოდებული) იმან შეიწირა, რომ სასტიკად დაბარცხდა უბრალო ამბავის სახით მოვლენილ სიკეთესთან ბრძოლაში.

მთელი სიცოცხლე ეტოკეშოდა და ებრძოდა დათა თუთაშხის მუშნი ზარანდია (ხან შეფარულად, ხანაც აშკარად). ამასობაში ბორტაების წინააღმდეგ ამხედრებულმა დათა თუთაშხიამ სულიერი ეკოლუციის ვრცელი გზა განვლო. თავდაპირველად ყველა შემთხვევაში ცდილობდა სიმართლის დამცველი ყოფილიყო; შემდგომ ამისა შინაგანად განუდგა კაცთა მოდგმას. პასიური პოზიცია არჩია, დაასკვნა, არ ჩარეულიყო არავის საქმეში; მერე გადაწყვეტა ბორტაები თავისი ძალით დაეთრგუნა (როგორც გვახსოვს, „აღიღო შუბი თუთაშხამან...“), მაგრამ ამას უარესი შედეგები მოპყვა. მერე წვიანის პირველი კარის ეპიგრაფი გვაუწყებს: „მოუხდა თუთაშხა მას ურჩხელსა... მოჰკვეთა თავი... განნა ფენრესებრ აღდგა ურჩხელსა და მოიბა ერთისა მოკვეთილისა თავისა წილ თავ შვიდი“. ესენიც მოჰკვეთა თუთაშხამ, „ხოლო ურჩხულმან ყოველთანა მოკვეთილისა თავისა წილ ამოიყარა შვიდი და ამოდენჯერვე განმრავლდა ბორტაება ერსა შორის“. მთელი ამ ხნის განმავლობაში მუშნი ზარანდია სჯობნიდა და სძლევდა დათა თუთაშხიას, ეს უკანასკნელი გამდღეშებით ხდებოდა — ჩემზე უფრო ძლიერი მტერი მყავსო. მუშნი ზარანდიას უფსკრულისკენ დაჰანება მაშინ დაიწყო, როცა დათა თუთაშხიამ იაზრა, რომ ბორტაების დართგუნვა ძალით არ შეიძლება, არამედ: ბორტაებასთან მებრძოლი იმას უნდა ცდილობდეს, სიკეთედ გარდაქმნას ბორტაება, ამის უნარი კი იმას მიემადლება მხოლოდ, ვისაც მსხვერპლად მისცა ძალუძს, მომზეთათვის თავის დადება. სწორედ ეს არ შეეძლო მუშნი ზარანდიას, რადგან მსხვერპლად მისცა, თავის დადება სიყვარულის გარეშე შეეძლებელია, ხოლო მუშნი ზარანდიამ სიყვარული არ იცოდა; ყველა სხვა შემთხვევაში ძალედგა მას, თუ არ ეკოპნა, გატოლებოდა მაინც დათა თუთაშხიას, მაგრამ მოძეთათვის მსხვერპლად მისვლის ნიშს ვერასოდეს მოიხვეჭდა. ამას რა მიხდა, ზარა მაშინ დაეცა, მაშინ გაუცუდდა ძალა. ეს გახლდა მისი გამოუცნობი სნეულებისა და დაღუპვის მიზეზი.

●

სიყვარულის მიერ მსხვერპლად მისვლის უნარი და ბორტაების სიკეთედ გარდაქმნის ნიჭი არის სწორედ ის თავისთავად ცხადი, მარტივი და, ამავე დროს, ურთულესი და უღრმესი აზრის შემცველი ჭეშმარიტება, ზემოთ რომ ვახსენეთ, იქ, სადაც ითქვა, რომ დათა თუთაშხიას ცხოვრებისეული იდეალი („არასდროს არაფერი არ მდომია ადამიანისგან, კეთილი და სამართლიანი რომ იყოს, ამის მეტი“) უმარტივესი და ურთულესი, უღრმესი რამ არის ერთსა და იმავე დროს. ამ უნარის, ამ ნიჭის მოპოვების გზა იყო დათა თუთაშხიას სულიერი ეკოლუციის ანუ სრულქმნის გზა. ეს გზა ტანჯვის გზაც იყო ამავე დროს, რამეთუ ჭეშმარიტი სრულქმნა ტანჯვით სავალი გზებისა და უფსკრულთა მოხილვის გარეშე არ ეგების (ამიტომ იწყება რომანი სიტყვა „სინდისით“, რომელიც არის, ან უნდა იყოს, საკუთარ მანკიერებათა მხილების ნიჭი — იგულისხმება მუდმივი, დაუცდენელი ბრძოლა საკუთარ თავთან, რაც სულიერ პლანში საკუთარ არსებაში მიმალული და შენიღბული საცსანერის გამოვლინებასა და დაძლევას ნიშნავს). დათა თუთაშხიამ მართლაც მოწამის, მარტვილის ცხოვრება განელო და იქნებ არც ისე შორს აღმოეჩნდეთ ჭეშმარიტებისგან, თუ ვიტყვით, რომ ციხის ჯურღმულებში მისი ნებაყოფლობითი შესვლა იმ მითოსური მოდელების ანარეკლია, რომლებიც სრულქმნის ძნელ გზაზე მავალ კაცთა მოდგმის უკეთეს შეილებს სწორედ შეშზარავ უფსკრულებს, ეკრძოდ კი ჰადესს მოახლოვინებდნენ ხოლმე. ამიტომ ჩაესმის უკანასკნელ ეპიგრაფში თუთაშხას: „სრულქმნისთვის ღვაწლი არს ჯეჯარატი დანშნულთა კაცისა და დაგესმის ნიჭი გარდაქცევასთანს სიკეთედ ბორტაებისს!“ რადგან ჰადესს ჩასვლა თვითმიზანი და თვითგვეშა კი არაა, არამედ სწორედ ცად ამაღლების საწინდარი. და კვლავ მითოსურ პლანში: „დაუტეევ სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღეკვლინა ცადა... და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“. სწორედ ამით მთავრდება ეპიგრაფების ტექსტი, რაც გვიდასტურებს, რომ თუთაშხას მიწიერი განსხეულება — დათა თუთაშხია თვალშეუდგამ სიმაღლეზე ასულ პიროვნებად მიაჩნია რომანის ავტორს.

ცხადია, ასეევა. ოღონდ არა მარტო ყოველივე იმის გამო, რაც ზემოთ ითქვა. არის კიდევ ერთი ასპექტი, რომლის გაუთვალისწინებლობაც ალბათ ბევრს დააკლებდა დათა თუთაშხიას პიროვნების ასე თუ ისე სრულად გარეშემოწერას.

მკირე ხნით დავეხსნათ მითოსურ-სულიერ პლანსაც, ეთიკურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკასაც. ძნელი წარმოსადგენი იქნება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც წარმოვიდგინოთ, რომ უამპლანოდ განხორციელდა რომანი „დათა თუთაშხია". ამ შემთხვევაში დათა თუთაშხიას პიროვნებას ჩამოსცილდება ტანჯვის ზეგანი ეშმაკობების თავგადაკლული ძიება, დაუცხრომელი ყვეთება საკუთარ არსებასთან, შეუფალ ზნეობრივ პრინციპთა გუშაგობა, ერთი სიტყვით, მისი დამამშვენებელი შარავანდედისგან ბევრი აღარაფერი შეგვრჩება ხელთ. მაგრამ რაც შეგრჩება, ისიც იკმარებს სამისოდ, ერთი მოთხიბლელი პიროვნება რომ გამოიკვეთოს ჩვენს წინაშე. სხვათა შორის, დათას აშბაეთი მთხრობელი მეტწილად სწორედ ამგვარს აღიქვამენ თუთაშხიას — მისი შინაგანი ბუნება, მისი ფსიქიკის სიღრმეები უმრავლესობისთვის სრულიად უცხოა და მიუწვდომელი. მაგრამ დათა თუთაშხიას ნამოქმედარს რომ გადმოგვეცემენ, ლტაცება თუ არა, რაღაცნაირი მოკრძალება და განცვიფრება მაინც მოისმის მათს კილოში (მეგალითისთვის გაეიხსენთ დათას მიმართ მტრულად განწყობილი მეეფლის ლიმერი კოდაშვილის ნაამბობი).

მე იმის თქმა მინდა, რომ დათა თუთაშხია თავისი უღრმესი ბუნების გამოუელინებლობაც არასოდეს დაგვიწყებთ თავისთავს. არც გარეგნობა დაგვიწყდებათ მისი, არც კაცური კაცობა, ღირსეული თავდაჭერა, კეთილშობილება, სიდარბაისეო, ვაჟკაცობა, ოინებობა, შესაგანი სიტყვა-პასუხი, ცქაფი და კისკასი, ჯიშის საცნაურმყოფელი ქცევა, გულოვნება, შემართება, ალალმართლობა, სიხალისე, გულჩვილობა, მიმნდობელობა, სიფხეკი, ლხინში მთელი არსებით მოხეხვის უნარი, იუმორის დახვეწილი გრძნობა...

ეს ის თვისებებია, თანდაყოლილად რომ მოსდგამს ჯიშდაუკარგავ ქართველ კაცს, აგრეროგად რომ გამოარჩევს ჩვენი მწერლობის უკეთეს გმირებს, ცხოვრებაშიც საკმაოდ რომ გეხვდება ჯერ კიდევ...

მე იმის თქმა მინდა, რომ, როდესაც ამგვარი რაინდის არსებას, ყოველივე ამასთან ერთად, შეერწყმის ზნეობრივი უკომპრომისობა, საკუთარ თავთან ბრძოლისა და ეშმაკობრიტების თავგადაკლული ძიების უნარი, მაშინ მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც ჩვენს წინაშე გამობრწყინნდება ხოლმე გონებისწამებები პირონვნება.

არც ისე იშვიათად შეეხვედრივართ ამგვარ რაინდებს ჩვენი სიცოცხლის მანძილზე. ბავშვობიდანვე ეხიბლებენ შეემზერთ და მუდამ რაღაც სასწაულს მოველით მათგან ძმის დამვიწყებელნი, რომ თავისთავადაც სასწაულია მათი არსებობა. გული ვეტკივრე ხოლმე, იმნაირად რომ გალეკენ წუთისოფელს, თვის აქ ყოფნის თვალსაჩინო კვალს ვერ დაიჩნევენ მიწყივ ბრძანვნ საწუთროს: ვული ვვიკვდება იმის მაცქერალთ, როგორ ჭკნება მათი ყვავილოვნება, მათს სიტყვას ძალა ეკარგება, ქცევას — სიკისკასე, სიხალისე ფუნდება, რაინდობა და შემართება ჩაყუნდება, სიცოცხლისმიერი საწყისები მინნელება და ბოლოს — „მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი". იმიტომ რომ, როგორც „დათა თუთაშხიას" ერთი პერსონაჟი იტყვის, „ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ მაღალი ზნეობა მარადისი". და ამ „მაღალი ზნეობის" დასამკვიდრებლად სწორეფ ის არის საჭირო, ის დაუცხრომელი და პირგამეხებული ბრძოლა საკუთარ არსებასთან და ეშმაკობრიტების თავგადაკლული ძიება. მხოლოდ მაშინ ხერხდება „ორისაგ იყოს მხლებელი" ესა თუ ის პიროვნება — წარმავალისაც და წარუფალისაც.

და ერთია კიდევ: თავის უსაზრნოეს ქმნილებებში ქართული მწერლობა მუდამ ახერხებდა თავისი მზიური რაინდებისთვის იმგვარად მიეკვლევინებინა უღრმესი სულიერი საწყისები, რომ ან დაეხლინა ამ რაინდთა ფსიქიკა, იმგვარად მოელახვინებინა მათთვის არსებობის უფსკრულები, რომ ამ რაინდებს საბოლოოდ მაინც არ მოშლოდათ წარმავალისა და წარუფალის მშვენიერი ჰარმონია. ქართული მწერლობის ამ ტრადიციას აგრძელებს რომანი „დათა თუთაშხია".

ცხადია, ამ ნაწარმოების ამომწურავი ანალიზი, საბოლოო შეფასება, მისთვის შესაფერისი ადგილის მიკუთვნება საფიქრალი თუ სახალიო საქმე ვერ იქნება ვერასგზით — ერთთან რთული და ღრმა ნაწარმოებით წარმოდგა მკითხველთა წინაშე ჭაბუკი ამირეჯიბი. ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, ორიენტირებია მხოლოდ, ამ რომანთან მისასვლელად ერთ-ერთი შესაძლო ჭრის დამსახავი ორიენტირები. ოღონდ ამთავითვე შეგვიძლია „დათა თუთაშხიასთან" და მის ავტორთან დაკავშირებით გავიხსენოთ დიდი ამერიკელი მწერლის უილიამ ფოლკნერის სიტყვები: „მწერალმა ყოველივე უნდა განაძოს თავისი სახელოსნოდან, გარდა გულის სიმართლისა, გარდა იმ ძველთაძველი მარადიული ჭეშმარიტებებისა, რომელთა სახელია პატიოსნება და სიყვარული, სიამაყე და ღმობიერება, თანაგრძნობა და მსხვერპლად მისვლა, და ეროვნებისამდეც ყოველი ნაწარმოები მალეკე გასაკრობლად განწირული წილადობილია. მწერალს მოძებნელი აქვს უდიდესი უფლება — შეეწიოს უკადრეების ძნელ ჭეზაზე მავალ ადამიანს იმით, რომ სული აუმაღლოს, გულოვნება და ღირსება შეახსენოს ხოლმე, იმედი და სიამაყე, თანაგრძნობა, ღმობიერება და მსხვერპლად მისვლა, — ის ყოველივე, რაც ადამიანის ოფლიდენ დიდება იყო. მისი ხმა მარტოოდენ ეკმოდ არ უნდა გაისმოდეს. მას შეუძლია ერთ იმ ბუტკუნად, იმ ნალაკვარად იქცეს, ადამიანს გადარჩენასა და გამარჯვებაში რომ შეეწევა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსეპ პავლიაშვილი

მკითხველის თვალით

ცნობილი მწერლის ელიზბარ ზედგენიძის უკანასკნელი წიგნი „უბატონო ქვეყანა“ დიდი ინტერესით წავიკითხე. კარგი წიგნის შემატება ყველას სიხარულია, მით უმეტეს, შენს კუთხეზე, შენს სოფელზე დაწერილი, მისახვედრია რა სასიხარულო იქნება. წიგნი გამოცდილი ოსტატის ხელით არის დაწერილი. იომა და იდეა ისეთი დიდია, რომ წიგნისადმი ინტერესს უფრო ზრდის. წიგნის გამოსვლა სიღნაღის რაიონელმა გაზეთმა „კოლმეურნეს“ და 1975 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „სოფლის ოსტატმა“ ქება-დიდებით აღნიშნა. ელიზბარ ზედგენიძეს მეც მსურს მადლობა მოვახსენო თანასოფლელთა სახელით ამ დიდი საქმის შეჭიდებისა და სძარცველის ჩაყრისათვის. კარგი თვისთავადია. ე. ზედგენიძე იმ დამსახურების და ასაკის მწერალია, ნაღლოვანებებზე მითითება ვერც შეაკრთობს და ვერც გულს გაუტეხს. ჩვენი სურვილი კი სრულიად გულწრფელია, რომ ეს დიდი საქმე დიდებულად წარიმართოს და დიდებულად დასრულდეს. ამიტომ ყურადღებას უფრო ვამახვილებთ შენიშნულ ნაკლოვანებებზე.

ანოტაციის მსგავს ათ სტრიქონიან წინათქმაში მწერალი გვაუწყებს: „ვცდილობ რომანში გადავშალო წინაპრების ცხოვრება: როგორ წრომოადგენენ და იბრძოდნენ ადამიანურ უფლებებისათვის... რომანი ასახავს ჩვენი გლეხკაცის უახლოესი წარსული გარდასულ ყოფას“.

გმირთა სამოქმედო ასპარეზად მწერალს აღებული აქვს ყოფილი სიღნაღის მაზრის ტერიტორია, ანუ ქიზიყი. ძირითადად კი ამ მაზრის სოფელი ბოდბისხევი. მოქმედება იშლება და ვითარდება 1905 წლის წინა პერიოდში. რომანი იწყება ბოდბისხეველი წვრილშვილი გლეხის გიგა გელაშვილის ცხოვრების ჩვენებით. მოქმედების არე: მინდვრები, ტყეები და სოფლები რეალურად არსებულნი არიან. მოქმედი პირნი ზოგი ცნობილი ისტორიული პირია, ზოგი ბოდბისხევის მკვიდრია, რომლებსაც უფროსი თაობის ხალხი პირადად იცნობს.

დიდ რევოლუციონერ პოეტ ირიდიონ ევდოშვილზე, მხატვარ ნიკო ფირმასმანიშვილზე, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი მაჩხანელზე (ნადირაშვილზე), ყაჩაღ მიხა ჭუკუნაშვილზე (მწვერლიშვილზე) და ალეს პოეტ ისაკო მირიანაშვილზე ცალკე რომანების დაწერა შეიძლება. („მიხას ლექსი“ ერცელი ხალხური პოემა რამდენჯერმეა გამოცემული). აქედან გამომდინარე, „უბატონო ქვეყანა“ დოკუმენტური რომანია. ამდენად მწერალი სიძნელეების წინაშე დგას. თითქოს ამ სიძნელეებს კიდევაც ძლევს: დასახელებულ პირთა ხალხის ქომაგობის ჩვენებით, მაგრამ საბოლოოდ ეს გმირები სქემატურ, ეპიზოდურ გმირებად რჩებიან, რომანის ინტერესით კითხვას ხელს უშლიან ჩვენ ერის ამ სახელოვან მოღვაწეთა ავტორიტეტები. ისიც იგრძნობა, რომ ხსენებულ პირთა ცხოვრების ეპიზოდების ჩვენება ჩრდილში აქცევს მთავარი გმირების გიგას და ილას სახეებს. (მოსალოდნელია ეს მწერლის ხერხია, ალბათ შემდეგ წიგნში ასეთი მიდგომა გამართლებული იქნება).

ერთი კი თავიდანვე ცხადია: ე. ზედგენიძე ქიზიყის გეოგრაფიულ მდებარეობას კარგად არ იცნობს, ხშირად ცდება სოფლის მეურნეობის საკითხებში და ტომრნიშების დასახელებანი საქმეს ვერ შველის. საერთოდ, ვინც მოისურვებს ქიზიყზე ლაპარაკს, მან აუცილებლად უნდა შეისწავლოს ე. წ. „წინამბრო“ და „უკანამბრო“. წინამბარი, გომბორის მთავრეხილის ჩრდილოეთ კალთებიდან ალაზნის ველისაკენ მიემართება, უკანამბარი კი თვით გომბორის ქედი და მისი სამხრეთი დაქანებაა ივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ხეობისაკენ. სოფელი ბოდბისხევი გომბორის ჩრდილოეთ კალთებზეა გაშენებული რამოდენიმე ხეობაში. — ეგნში აღწერილ დროს სოფლის ბოლო იყო „ზარიწყლის“ მიდამო.

„აქედან ყველაფერი კარგად მოჩანდა. დაბლა გიჰმდგადი, მთელი ქვეყნიერება თვალწინ გადაგეშლებოდა — ალაზნის ველი, ყანები, ჯალები, მინდერები, წნორი, ტიბაანი, ზემო მაჩხაანი, ქვემო მაჩხაანი, მაღალ ანხედადი — მთები, გზები, ბილიკები, თოვლიანი მწვერვალები“ (გვ. 27) ცხადად ჩანს, რომ ბოდბისხევის მიდამო „მოღუთიდან“ მწვრალი ალაზნის ველისაკენ იქცერება. საკვირველი კი ის არის, წინამბრძოლაკენ როგორ მოჩანდა ზემო მაჩხაანი და ქვემო მაჩხაანი? პირველი გომბორის ზეგანზეა გაშენებული, მეორე კი მთებია ჩამკდარი. წინამბრძოლაკენ მაცქერალი ვერასგზით ვერ დინახავდა ზურგსუკან მთებს იქით მდებარე სოფლებს. მწვრალი იმაშიც ცდება, რომ იმ დროს წნორს ახსენებს. მაშინ წნორი არ არსებობდა. დღეკანდელ ლაგოდეხის ბაზის დასაწყისთან იდგა წნორის ხე, რომლის ძირში წყარო ამოდიოდა. ამის გამო ამ ადგილს „წნორის წყალს“ ეძახდნენ. 1914 წელს, როცა ვიზიყში რკინიგზა გაიყვანეს, ბაზ წნორის წყალმდე უნდა მისულიყო, მაგრამ საკმაოდ მოშორებით დაამონტაჟეს ბოლო სადგური, რომელსაც პროექტის ეიზედვით სახელი „წნორის წყალი“ შერჩა. შემდგომ სადგურის მიდამოებში მოხდა ერთიანთა ფსახლება, რაც თანდათან იზრდებოდა. ამგვარად 1905 წლის წინა პერიოდში წნორი არ არსებობდა და მას ვერც ბოდბისხევიდან, ვერც სიღნაღიდან ვერავინ დაინახავდა.

— „ეს ის დრო იყო, როდესაც ყარაღაჯი კახეთის დედაქალაქად ითვლებოდა“ (გვ. 32) ყარაღაჯი კახეთის დედაქალაქი არ ყოფილა. ხორნაბუჯის თქმა უნდა ჭწერალ. ამ ადგილზე მართლაც არის ძველი ქალაქის ნანგრევები, ვარაუდია, რომ ეს არის ქალაქ ჭოფის ნანგრევები, ყარაღაჯი ამ ადგილს დარქმეკი შაჰაბაზის მიერ კახეთის აყრისა და გადაწვის გამო. რაც, როგორც განმარტავენ გადაწერა, შავ ბიწას და დანახშირებულ ხეებს ნიშნავს თათრულად.

33, 34 და 35 გვერდებზე აღწერილია პატარა ილას მიერ ბოდბისხევიდან ნახირის გარეკა საძოვარზე თამარის ციხის მიდამოებში, „თამარგოხეთის ალმართზე“. ბუნების წაიალსული სურათები მიმზიდველია, მაგრამ ბოდბისხევიდან ასე შორს პატარა ბიჭის მიერ ნახირის გარეკვა დაუჯერებელია, რადგან იქ ჩასვლა, უკან დაბრუნებას დაკონდებოდა მთელი დღე. როდისღა მოამოვებდა? აღწერილ სურათებში ძროხებს ხბორები გვერდში ყავთ, რაც არ შეიძლება — ძროხას საძოვარზე ხბოს არ აყოლებენ, რადგან მოწოვს. ხბორები ყოველთვის ცალკე დაუფიათ და საღამოს მოწველის დროს ახეფერებენ დედებს.

„— ილა შინაკიდან მოდიოდა. ის უკვე კარგა მოზზრდილი ყმაწვილი იყო. თხუთმეტ წელს აღარაფერი აკლდა“.... ასე იწყება მეთერთმეტე თავი (გვ. 73) და ვითარება შემდეგი ამბავი: შინაკიდან ბოდბისხევამდე ფეხით სასიარულო ბილის გაგლას ლამის მთელი დღე ჭირდება. ილამ წამოსვლის დროს, „მარტო ღოლოს წვენი შეჭიბინა“.. თან საგზალი არ წამოიღია. გზაში მოშიდა. ყარაღაჯის ტყეს ჯერ მოუახლოვდა, ფფერა გარეული ხილით დანაყრებულიყო. „მართალია ტყის ნაპირები შეთხელებული იყო, მაგრამ მაინც ტყე იყო, სადაც პანტაც მოიძებნებოდა, ზღმარტლიც და მეფუნაც“. (გვ. 74) იქი ხილი დაპურდა. გამობრუნდა წამოსასვლელად. იქვე თვალი მოჰკრა დათვის ბუნაგს. გადაწყვეტა, ბელი გამოეყვანა და სახლში გაეზარდა. მარჯვენაში ხანჯალი დაიჭირა, მარცხენა, ბუნაგში შეყო. „მისი ხელი რადაც თბილსა და რბილს მოჰკიდა. ილს ბედმა უმეზოლა... ფდადა დათვი შიგ იყო... ილამ უმალვე უკან წამოიღო ხელი, მაგრამ დათვმა მაინც მოასწრო, ცალ მხარში ბრეყალები ჩაეჭიდა“. (გვ. 74) დათვი ცდილობს უცხო სტუმარი ბუნაგში შეითრიოს. ილა გარეთ იწევდა. მწვრალის თქმით: „იმიტომ კი არა, რომ მისი გარეთ ვამოორეკა უნდოდა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ღონე ეგრძნობინებინა“ (იქვე). ორთაბრძოლა გრძელდება. „ბეღზე ილს იმდენად ფართო მხარბეჭი აღმოაჩნდა, რომ ხვრელში ვერ შეეტია, თორემ ნადირი უსათუოდ შიგ შეითრევდა“. (იქვე)

საერთოდ, იმ ადგილში დათვის არსებობა იქაური მკვიდრთ არ გვახსოვს. დავუშვათ, „შეთხელებულ“ ნაპირებიან ტყეში დათვი ბინადრობდა; საქართველოს ტერიტორიაზე და არც სხვაგან, ჯუჯა დათვის არსებობა ჯერ არავის გაუგონია, ამისთანანი, რომლის ბუნაგის ხვრელი ისეთი ეიწრო იყო, თხუთმეტ წელს მიტანებული ბიჭი კი ისეთი გოლაითი, რომ მისი მხარბეჭი დათვის ბუნაგში ვერ შეეტია!

ილა ხანჯალს არ ხმარობს შიშით, ეაი თუ დავეჭია და საქმე უფრო წაბღესო. როგორც იქნა თავი დაიღწია. „დათვმა ცალი მხარი ტანსაცმლიან-ხორციანად ჩამოაფხაჭნა“ (გვ. 75). ილა გარბის. გზასთან თვალს მოკრავს გოგონას, რომელსაც თმებში ყვავილები უკეთია და ხელში კალათი უჭირავს. მართალია, ბავშვი იყო, მაგრამ ადამიანი ხომ იყო, ხმას გასცემდა, დახმარების ხელს გამოუწვდიდა.

— მიშველე, გოგო, დათვმა დამტორა!..

იოსეფ პავლიაშვილი
მკითხველის თვალით

ილა იქვე ბალახებში მიეგდო და უგონოდ გადაუვარდა თავი“ (გვ. 76).

პატარა გოგონამ, რომელიც სოოს მოსაკრეფად გამოსულიყო, კოკურით წყალი მოპარბენინა. (სად ექნებოდა კოკური!) მობანა ჭრილობა. მუხის ფოთლები დაადო და სახელური ნახევრით შეუტარა. ილა ცნობას მოეგება. ალარ იცის მადლობა როგორ გადაუხადოს ფეჩიას, რომელიც არც სახელს ეუბნება, არც სადაურობას და მიდის. ილას კი გულში ჩაუვარდა პატარა ფეჩიას სიყვარული.

სურათი მიმზიდველად არის აღწერილი, მაგრამ მეკობელს მაინც არ სჯერა. განა შეიძლებოდა, ისეთ დაბერებულ ტყეში სადაც დათვები ბინადრობდნენ, ბავშვი, გოგონა მარტოდმარტო წასულიყო სოოს საკრეფად? ისიც ქალმა მაჩხანიდან ათეული კილომეტრებით დაშორებით? ან, დედა დათმა მომხდეფარ მტერი ასე მშვიდობით გაუშვა — რახან ასეთი გოლიათი ილა ხარ, ხანგალი გიჭირავს და იმ სიგანე მხარ-ბეჭი გაქვს ჩემს ბუნაგში ვერ შეგიფარივ, გეკმარის ბრეკყალებით მხრის ჩამოფლეთა, კბილიც არ მოეხმარე, მშვიდობით წადი, ალარ გამოგეკიდებიო? ან, შორაქიდან ბოდბისხეველაკენ მომავალი გზით ყარაღაჯის ტყეში როგორ გამოიელდა, ის ხომ ალაზნის ველზეა, გზა კი გომბორის კალთებთან მოიკლაკნებოდ..

მკთბველი ეკრძნობს (განსაკუთრებით ქიზიყელი) ამ ეპიზოდის „ყურით მოთრევას“, რომ ილას და ეთერის სიყვარულის ეპიზოდს შეკერა ხელოვნური და უადგილოა. მხატვრული სინამდვილისაგან შორს არის. მწერლის უპირველესი ვალი ისიც არის, ყოველი სურათის დახატვა დრო-ს ეფარდებოდეს. შორაქიდან წამოსულ ილას „უხსენებელთან“ შეხვედრა, ტყეში პანტაო, ზღმარტლით და მეაუნით დანაყრება ზაფხულზე მიგვანიშნებს (თუმცა ზღმარტლი გვიან შემოდგომით მწიფდება, მეაუნა კი ადრე გაზაფხულით იცის). ამ დროს სოოს სად იქნებოდა, ის გაზაფხულით ამოდის, მაშ ეთერი ზაფხულის ცხელ ამინდში როგორ მოკრეფდა სოოს!? მეათე თაებში ნოემბრის ცივი დღეებია აღწერილი. გიგა სიღნაღში მიდის „შაბიამანს ხა ნერგებს ვიშოვიო“, რად სჭირდებოდა ნოემბერში შაბიამანი და ნერგები! იმ დროს ვაზს რჩინ ამოაცლებენ. ნერგები არ იყო.

„ისაკო გვარად მირიანაშვილი იყო, ბოდბისხეველი საწყალი გლეხი“ (გვ. 121). ისაკო მირიანაშვილი ცნობილი პირია. ყველამ კარგად იცის, რომ ის სინამდვილეში ანაგელია და არა ბოდბისხეველი.

„მიხამ ღიმილით შეავლო თვალი საშუალო ტანის კაცს, რომელიც მიხასავით შავი, სქელი ულვაშით და შავი, ხშირი თმით, თოფმეს წაადგა მას.

— მიხავ, ეს ისაკო მირიანაშვილია“ (გვ. 122).

როცა ალაზნის ბორანთან მიხას და ისაკოს შეხვედრა ხდება, ისაკო წარმოდგენილია ჯარმაგ კაცად შავი, სქელი და ხშირი თმა-ულვაშით. ის მიხასთან ცხოვრების ფილოსოფიაზე მსჯელობს და ღვინის სვამს, მაშინ როცა თანამედროვეთა გადმოცემით (მეკ პირადად ვიცნობდი) ისაკო მირიანაშვილი იმ დროს სულ დიდი ათი-თორმეტი წლის ბავშვი ყოფილა. მას სოფლიდან 15-20 კილომეტრის დაცილებით, ალაზნის პირას სინიფლის კანა ვერ ექნებოდა. იქნებ ეინმემ თქვას; — რა მოხდა, მწერალს თუ სჭირდება, შეუძლია დრო და ადგილი სასთაც უნდა იქით გადასწიოსო. — ეს დასაშვებია პროტოტიპებთან, ისტორიულ პირებთან კი ეს ხერხი არ გამოდგება.

„ურემს შორის მიედინებოდა უამრავი შეწყრილი საკლავი (სკობია იყოს შესაწირი.) ძროხები, ბუღა ხარები, ცხვრები და თხები... ფეხით მიმავლეს ხელში ეკრიათ ქამები და ბატები, რომ ეკლესიის კარზე ეზოში აეფრინათ“... (გვ. 134).

საეროდან საქართველოს ეკლესიაში და კერძოდ, ანაგის მთავარანგელოზში, შესაწირ საკლავად არავითარ შემთხვევაში ძროხები, თხები და ბატები არ მიჰყავდათ. ეს ჩვენი წინაპრების ზნე-ჩვეულების სრული უცოდინარობაა. თხას ეშმაკს მიაწერდნენ და ეკლესიის როგორ შეწირავდნენ! სწირავდნენ: მოზვერებს, ეშდილებს და მამლებს.

„ისიც იცნო, ისიც ბოდბისხეველი იყო, თავისი სეხნია. მაგრამ მას ილას არ ეძახდნენ, ილიას უწოდებდნენ... ეს ილია ხიზანიშვილი იყო“. (გვ. 135).

ილია ხიზანიშვილი ბოდბისხეველი არ არის. ის ანაგელია. მას, როგორც რევოლუციონერს, მეორე სახელს „იშხანას“ ეძახდნენ.

ანაგაში, მთავარანგელოზობაზე აღწერილი მიხას რაზმის და „ტყის ძმების“ რაზმელთა შეხვედრა საინტერესოა, მით უმეტეს რომანის მომავალი გმირი პატარა ილა რევოლუციურ მოძრაობაში პირველ ნაბიჯს დგამს, ვიმეორებ საინტერესოა, მაგრამ დამაჯერებლობა აკლია. ილია გუგულიეთ ზის ასკლოს ბუჩქში (რაღა ეკლის ბუჩქში ჩაჯდა, რეცხილს ჯაგში ჩამჯდარიყო). ცხენოსანმა ცხვარი და ხურჯინით ხორაგი მოიტანა, უცნობმა ხანგალი იშიშვლა. ცხვარს ერთი მოკლეეთ თავი წაადგენინა.

„აი, უცნობმა გაბუსვებულ ცხვარს შიგნეულობა გამოაცალა და გადაყარა. ხორცი ნაჭრებად აქნა, მარილსასველებელი წუოსვა და თავისავე ტყავში ჩაიყვა. საყაურმე ორმო იქვე იყო. (საკვირველია, ვინ მოამზადა!) ნაჭრებად ქცეული ტყავში შეხვეული ცხვარი იმ ორმოში ჩადო, ზედ მიწა დააყარა და ნაშალ მიწაზე ცეცხლი დაანთო“ (გვ. 140).

ეჭვის აღმძვრელია ის ამბავი, ყაჩაღებს ჭერნდათ შესაძლებლობა და იმდენი დრო, ამ ადგილზე ცეცხლი დაენთოთ და ჩობან ყაურმის ბოეშზადებინათ? ხოლო ჩობან ყაურმის მოამზადება „ტყეში შეხვეული“ არ ხდება. ბალთელელს არც სჯერა. მას ახსოვს ფიდი რომანისტ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ჩობან ყაურმის დამზადების სრულყოფილი აღწერა.

ქიზიყელ რევოლუციონერთაგან ცნობილია გიორგი მირიანაშვილი, რომელიც მიეხედველად ხანდაზმულობისა ახლაც მზნედ გამოიყურება. ის მწერალთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება, მას მოგონებებში და თავის დაუბეჭდავ ბოემაში, მთავარანგელოზში მიხას მისვლა და ქეიფი კარგად აქვს აღწერილი. გიორგი ამ სურათს გაგონილის მიხედვით კი არ გვაწვდის, თავისი თვალით ნახულ სინამდვილეს გვთავაზობს და კარგი იქნებოდა მისი გაცნობა, რაც მწერალს ამ სურათის დახატვაში სწორ ორიენტაციას მისცემდა.

მეთვრამეტე თავში მწერალს აღწერილი აქვს შიროქის ნათთის მაშინდელი მდგომარეობა. ზაფხულია. ბაბანაქება სიცხე.

„იმ დღესაც გრუხენებდნენ ნათთის ქარხნები“ (გვ. 147).

იმ დროს სად იყო ქარხნები!

შიროქში, ამ „ეუროს ბეღელში“ მკა და ლეწვაა გარბაღები. „უკანამხრის და წინამხრის სოფლები უკლებლივ შესვეთან ყანებს, ყველგან ოქროსფერი ბზნინავს.

„სადაც ნათთის ქარხნები გახლდთ, მოულოდნელად ცეცხლის ალი ავარდა, ეს ცეცხლი კარგა ხანს იქნე ტრიალებდა და დასაკარი ხარიეთი ბუღრაობდა. (გვ. 147, 148).

ცეცხლი გამქვინარდა. ყველფერს ნოქავს ოთხი დღის განმავლობაში, ყანებს, ქოხებს, ძნისა და თივის ზვინებს, ხრიბლის ორმოებსაც კი. ცოდვის ტრიალი ქიზიყლთათვის დაუმარცხებელ უბედურებად იქცა. ამაოდ იძლეოვინ განკარგულებებს მაზრის უფროსი და სხვა მოხელენი:—„ჩაკვრეთ, ჩაკვრეთ!“ ყველა უძლურია. ეერავის რა მოუფექრებია, „საწყალი ქიზიყელები“ გაოგნებულნი შეპყურებენ სტიქიას.

„ღამით კვამლისა და წითლად ავარდნილი ბუღისაგან არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები... ახლა ბინებს ელოდა საფრთხე. როცა სარკვლობა დაინახეს, რომ ცეცხლი ბინებისაკენ მიიწევდა, გადახსნეს (!) ფარეხები და დაიწყვდეულ მსხვილფეხა საქონელი გარეთ გაუშვეს. ასობით პირტყვი ერთად დაიძრა და ბღაველით გაიშალა კვამლით დაბურულ მინდორზე... მთელი ღამე გაისმოდა საქონლის შეშინაგავი ზმეილი, ცხვარ-ბატანის ბღაველი“ (გვ. 150).

აბა რომელი ქიზიყელი, თუ სხვა, საქმეში ჩახედული კაცი დაიჯერებს, რომ ზაფხულში, ბაბანაქება სიცხეში შიროქში გამწვეი საქონელი, გარდა სხვა საქონელი იქნებოდა, ისიც ფარეხებში, ან ბინებში ცხვარ-ბატანი!

სინამდვილე ასე იყო: გაზაფხულით ცხვარ-ბატანის ფარები, მიეფიფოდთ თრიალეთის, ან კოკეასიონის ალაადებზე. ნახირი კი ჩაპყავდათ ალაბანზე, ან ირონზე. ბინებს საგულდაგულოდ წმენდდნენ. კარებზე ძეძვის თალმებს მიაწყობდნენ ხოლმე ფეხზე მდგომა, რომ შიგ არაფერი შესულიყო, ხოლო ირგვლივ ოთხ-ხუთ ადამ ხნელს შემოაკლებდნენ, რომ დაბრუნებამდე ბალახი არ გაზრდილიყო, არ გამმარიყო და რომე შემოხეულიეთ ცეცხლი არ გაჩენილიყო. ახალ ხნელში ამოსული ბალახი კი ბზოლად სილუეტივე მიაღწევდა და შემოხეულის დროს ცეცხლისაგან დაიცავდა ბინას.

ჩვენ კი რას ვხედავთ? კალობის დროს შიროქი სავსეა ცხენითა და საქონლით. „საწყალი ქიზიყელები“ შეპყურებენ როგორ ნადგურდება ქვეყნის სიმდიდრე. ნებაზე მოუშვიათ ცეცხლი...

ალი თქვე მართლა უბატონოდ დარჩენილო „საწყალო ქიზიყელებო“, თქვენს ანაბარად მეფეები როგორ ტოვებდნენ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს, ასეთი უგულებრები როგორ ხვდებოდით პირველნი მტერს და როგორ ასროლინებდით კედიდ ქვას!

საცოდავ ბრბოს გამოსაფხიზლებლად გამოჩნდა თვალეკი. „ეს ზაქარია იყო, დიდი პაპა“. (გვ. 150). მისი თვალეკობა უსუსურობით გამოიხატა, წერაქვით დაიწყო მიწის ჩიჩქნა... მაშინ როცა მთელი ქიზიყის გამწვეი ძალა და გუთნეული იყო...

ამ ფაქტით მწერალს სურვილია გვიჩვენოს რუსეთის თვითმპყრობელობის მოხელეთა უძლურება. პირიქით კი გამოდის, უბატონო ქვეყნის — ქიზიყელი ხალხი, უძლური და უფონო გამოიყვანა.

გადაბიჯება შორაქი. გიგა ცარიელი ურმებით დაბრუნდა შინ. მეორე დღესვე ქოცოს მოხდის და სალოცავად მიდის.

გიგას სადაც სურდა იქ ელოცნა, რა ჩვენი საქმეა, მაგრამ ე. წ. „მაღლა საყდარში“ წმინდა ნიკოლოზში (მთის ძირში „დაბლა საყდარია“ მარიამობა იმართებოდა, ნიკოლოზისა კი მთის წვერზეა). როცა ავიდა გიგა სანოვაგით დატვირთული ეარიან, ძმისა და თავისი ჯალაბით, მწერალს ისინი ეკლესიის გალავანში შეჰყავს.

„მაღლა საყდარს“ ჩრდილოეთის მხრიდან ედგა გრძელი ქვითკირის სახლი, რომელშიც ეკლესიის მსახურნი და მლოცველები დგებოდნენ. აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის მხრივ კი გაშენებული იყო აკაკების დი-

იოსეფ პაპალიაშვილი
მცხეთელის თავლეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ხეები. მათ ქვეშ მლოცველები სუფრებს შლიდნენ. აჰ ეკლესიის გალავანი არასოდეს ქჩონია. აკაკის ხეივანი მეტად ლამაზი შესახედაობით აშშვენებდა ეკლესიას, რომელმაც სამამელო ომამდე ხელუხლებლად მიაღწია. ომის დროს კი ეს სილამაზე ამოძირკვა ველაანთ უბნის მცხოვრებმა, მეორე სახელით ცნობილმა გოქმა „კაკუზამ“, სხვა ამ სილამაზეს რომელი ჯაუთმყოფელი ამლებდა ხელს!

მკითხველი ვერ მიმხვდარა, დღეობა არ იყო და გიგა რა მიზნით წავიდა სალოცავში, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ძმასთან ესაუბრნა და ხატ'ანათვის ეკითხა — „რად დაგვწეი“ შორაქეო!

მწერალი ცდილობს რაც შეიძლება გიგას ცხოვრება ძლიერ გაპრიგებულად მოგვაჩვენოს. პირიქით ხდება. გიგას ორი ურემი უბია ცალი უღლით კი არა, თვითეულში მყევარი. ჰყავს ძროხები და საკიდარი, აქვს ვენახი. ასეთი ცხოვრების პატრონის სიღარიბე მკითხველს ვერ დაუჯერებია. ვერც ის დაუჯერებია, რომ აქვს „ფარღალალი ეზო და ქოხი“. მაშ გიგა უგვარგილო, მცონარა ყოფილა. საერთოდ ქიზიყის იმ დროის სოფლები, განსაკუთრებით ქვემო მაჩხანი და ბოდბისხეები ქვიშიერის ორსართულიანი, და ერთსართულიანი სარეზინანი სახლებით ხასიათდებოდა. აჯა-ია ახლად დასახლებული კაცის ფიცრული სახლი შეიღლებოდა ყოფილიყო, სოფელში ქოხები არ იდგა. ქოხს ნახავდა კაცი ვენახებში, ან კალოებზე. ქიზიყი ღონერი კუთხე იყო და ბეწერალი დიდად მოიგებდა წინა ხაზზე სხვა სოციალური უთანასწორობის ნამდვილი სურათები წამოიწია, რაც სულს უხუთავდა „უბატონო კუთხეს“, რადგან ის შედარებით თავისუფალ ცხოვრებას იყო შეჩვეული.

გიგას „სიღატაკის“ გამომწვევი მიზეზი მკითხველს არ სჯერა: რადგან წარმომშობი მიზეზები არ ჩანს. გიგას შეძლების ხალხი შემდეგში კულაკთა კლასად იქცა. (თუმც ეს შემდგომი ამბავია ისტორიაში).

გიგას გახსენებიდან ვგებულობთ, რომ დეკანოზიაანთთან მდგარა მოჯამაგირედ. ეს შტრიხი ვერ გვიქმნის წარმოდგენას გიგას „სიღატაკეზე“. ის დღეისთვის შეძლებულ მცხოვრებად ჩანს. შიროპის სიმდიდრე დაეწვა. მან ტომრებით ყველი წაიღო სინღალში გასაყიდად, რაც ესარჩენელება კიდევ, ვაპარიც ატყუებს, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ქმნილა და გაყიდა. გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში“ პატარა ბიჭი თხეს რომ მწყემსავდა დიდ მესაკუთრე ბახვა ფუღაევად იქცა. გიგას პატრონად შრომით წარსულზე გაკვრით ნათქვამი გვჯერა, მაგრამ ამასაც ვხედავთ, რომ ის მესაკუთრეა. ამ დროისათვის ქიზიყში წარმოშობილი იყო „სოფლის პროლეტარია“ წრე, რომლესაც არ გააჩნდათ ბარ-ურემი, ცხენი, ვენახი და სახნავ-სათესი, ბატივცემულ ადამიანს, რომ გიგა ამ წრიდან გამოეყვანა, დაბა-ჯერებელი იქნებოდა.

იმ უბედურობის შემდგომ აპრილის თვეში გიგა თავის ვენახში მუშაობს. შეიღვიით ეფერება „პაწაწინა ყლორტებს... ახლდ ამოყრილ ყვავილს... სულ მალე მტევნებად რომ უნდა გადაიშალონ“. (გვ. 194). შუა დღეა. გიგას პატარა შვილ ჯომარდოს სამხარი მოაქვს. მამა შვილს სთავაზობს ერთად შეექცნენ სამხარს. ჯომარდო უარს ამბობს, მე ანკეში მაქვს სათევზაოდ წავალო. — „წადი გინაკვარდე“. — ნებას აძლევს მამა. გიგა სამხრობის შემდეგ შავ ღრუბლებს შენიშნავს. ცოდათ ენიშნება. საქმეს აგრძელებს. „ასეფთავებს ვაზს, ზედმეტ ყლორტებს აჭრის“. (გვ. 195). ყვავილობის დროს არც ადრე და არც დღეს, ვაზს არ ეხებინან, ყლორტებს არ აჭრიან.

შავმა ღრუბელმა გიგას შავი ფიქრები აუშალა. — მოვა სეტყვა და ვენახებს აათხრებს... მკითხველსაც აწუხებს მშრომელ კაცის ფიქრები, მაგრამ როგორც ეკითხულობთ წინადადებას: „რაღა ჩემს საწყალ ვენახს დაექცერება?.. (ოტაა ამ ზეგიბე?.. თუნდაც აი, იმათი, დეკანოზიანთი. ასი თარგი მაინც ექნებათ. ნემს ერთ მტკვალ ვენახს ასცდება, უსათოდ ასცდება!“ (გვ. 195 196). ანა პატიოსან მშრომელ კაცს ასეთი აზრი მოუვიდოდა, რომ ირგვლივ ზვრები დასეტყვილიყო, მხოლოდ მისი გადარჩენილიყო? ასეთი ეგოიზმი „უბატონო ქვეყნის“ შვილებს არ ახასიათებდა.

„ცივ გომშორი არ ხემრობს. ღრუბელი ღრუბელს დაეჯახა. იქექა, ატყდა ცაში ორომტრიალი“ (გვ. 197). შეშინებული გიგა თავის პატარა ჯომარდოს ეძახის, მაგრამ ის ალაზანზე თევზის დასაჭერად წავიდა და ვერ გიგიგაბდა. „სეტყვა წამოვიდა, ტყეისაკენ დაეშინა. გიგას სეტყვის მარცვლები ხვდება თავშიც, სახეზეც. „ჯანდაბას ჩემი თავი, ოღონდ ამით, გაზეის ნურაფერს დაეშავებს!“ — გიიფიქრა, მაგრამ ამკარად ხედავდა გიგა „ალალოდენა ყინულის ბურთები როგორ წყვეტდა და გლეჯდა ვაზის ფოთლებს, პაწაწინა მტევნებს, სამამელე რქებსაც კი“ (იქვე).

დგას გიგა ხელებგაშლილი. თმა-წვერი ამტრაგვნია, დასველებია, სახეზე ცრემლებივით ჩამოსდის წვიმის წვეთები, რომლებშიც ცრემლებიც ერია. ეძახის შვილს. ბავშვი რას უშველის, მაგრამ „ულაჯო, ულონო, თავიდან ფეხებამდე გაწუწული და გულჩაწყვეტილი“ გიგა ვეღარაფერს ახერხებს. იქვე ხეებია, ქოხია, იმათთვისაც ვერ შეუფარებია თავი. (!) მწერად აღმოხდება შვილის სახელი — „ჯომარდოო!“

„— მოდდიკარ, მამი! — მოისმა შორიდან.

ბიუმა მოირბინა. ისიც სველი იყო, მაგრამ სახე მაინც უცინოდა. (!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეძახდი, მამი!

— ჰოო, შვილო, ერთი გახედე, რა დაემართა ჩვენს ვენახს, ხომ არ დაისაკუთა?..

— ხოო, მამი დაუსეტყვია!

— ძალიან?

— სულ, სულ, მთლად ჩაურეგვავს. ზედ არაფერი არ შერჩენილა, სულ ძირსა ყრია. რა, მამი, შენ ვერაფერს ხედავ?..

— ვერა შვილო, შვილო, ვერაფერს ვხედავ!" (გვ. 197, 198).

გიგა დაბრმავდა. ორი სიტყვა ამ სურათზე: იმ დროს ალაზნის პირი გაყვანილი არ იყო, რომ ჯობარდოს ახლო სათვეზაოდ წასული შესძღებოდა, ალაზნზე კი მარტო ვერც წავიდოდა და შუადღის შემდეგ დროც არ ეყოფოდა. ან გიგა ვენახიდან, შორაკანს იქით ალაზნზე როგორ მიაწვდენდა ხმას, რომ ეცახის?! დაუჯერებელია. აპირში ყველაზეს ეროს „ტაკლისოდენა ყინულის ბურთების" სეტეკვა არ მოდის, მკითხველს ასე უცაბად გიგას დაბრმავებაც არ სჯერა. ამ ფსიქოლოგიურ სურათს ბუნებრიკობა აკლია.

„გადიოდა თვეები... უსინათლოდ დარჩენილმა თვალის ახელის იმედი დაკარგა. ერთი რამ ძალზე აწუხებდა გიგას და მოსვენებას არ აძლევდა. დღეშუღამ ფიქრობდა შორაკში მიტოვებულ ქეკერზე, რომელშიც ზედაშედ (ხაზი ჩვენია ი. ბ.) ნახავდა სასურსაულოდ დათქმულ ადგილს". (გვ. 198). გიგა შვილებს მოსვენებას არ აძლევს წვიდენენ და ქეკერი ჩამოიტანონ. სამივე ძმა მიდის შორაკში. თავიანთ ნაკალოარზე მრავალი მოგონება აფშლებათ. ეპოვიან ქეკერს. „მიწა გადათხარეს და სარქველი ახადეს" ქეკერი ამოშრალიყო.

მკითხველს არც ეს სჯერა. წინა თავში სადაც გიგა იხსენებს მის მიერ თაობათა ცელით მოვიწყვეტილ სამას ჩიფიან ქეკერის პოვნას დეკანოზიანთ შაქრის შამფერში, რომელიც კარგად შენახული ღვინით აღმოჩნდა სავსე და დროს ვერაფერი დაეკლო, გიგას ქეკერი რამდენიმე თვეში როგორ ამოშრებოდა?

გიგა მორწყულა. კარგად იცის ქიზიყელთა ზნე-ჩვეულებანი. შეიძლება კაცი სხვაგან გადასახლდეს, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი კუთვნილება გადაატანოს, ხოლო ზედაშეს არაგინ ახლებს ხელს. მას სახურავს დაადგამენ და ასე ტოვებენ. ელიზბარმა თუ ძველი ბოდბისხეელის ნასახლარები ნახა. ალბათ ეტყოდა ნახავდა ათეულობით ზედაშეებს ყველა უბანში, მთ შორის ველაანთ უბანში. ამდენად გიგას ახირება ზედაშის გადმოტანაზე დაუჯერებელია. ეიგეკ იმიტომ არის გაუმართლებელი, რომ რახან ხანძარი მოჰდა, ბოდბისხეველებმა პროტესტი გამოუცხადეს შორაკს და მიატოვეს? ასე არ ყოფილა და ვერც გიგას შვილები დატოვებდნენ შორაკს, რადგან ისინი მეცხვარეობას მეეკიენენ. „შორაკი ცხერების დედაო". მეცხვარე კი უშორაკოდ ფარას ვერ შეინახავდა დღეს. თავისი მამაპაპის ნაფეძარს არ დაავდებდა.

შემდეგ თაში ჩვაკი ზამთარია აღწერილი. თოვლი ბარდნიდა. გიგა შუა ცეცხლთან ზის. „ცეცხლზე კარგად მოზრდილი ფენის ხე ეგდო და ოთახში განეფუვეტლივ სითბო ტრიალებდა" (გვ. 201).

„— ძეძეი დაააყრეთ! — ეუბნებოდა გიგა შვილებს.

ისინიც უმატებდნენ ხმელ წალამს და ძეძეს"... (იქვე)

„ვარო და თიკო გომეურში ტრიალებდნენ. ძროხებს უვლიდნენ. ნეკლეიდნენ. ყველი ამოეყოდათ. დოს თქვეფდნენ" (გვ. 20).

ძეძვითა და წალმით თონეებს ახურებდნენ და ოთახებში არ შეჰქონდათ. ზამთარში ძროხები მაკეობდნენ, წვეული არ ხდებოდა და როგორ დაეიყენთო წვეული, ყველის ამოყვანა, დოს თქვეფა ყიამთ ზამთარში! განა შეიძლება კი დოს თქვეფა?

წეიგნში დაუჯერებელი ადგილები ბევრია. ეი კიდევ რამოდენიმე: ნიკო ფიროსმანაშვილი სახლს აშენებს. „ხშირად მთვარიან ღამეში უმეშაენია, კრის ამზადებდა რომ მეორე დღეს კალატოზებს მასალა არ შემოკლებოდათ" (გვ. 114). ნიკო ოსტატებს ეხმარება, ადურს, აწერს. შრომის პროცესი გვიჩვენებს, რომ ქვითარის სახლი შენდება, რასაც კალატოზები ხსენებაე ამტკიცებს, შემდეგ კი გასაკვირად წერილი გვაცნობებს: „მართალია სახლი ერთოთახიანი იყო, მაგრამ მაინც სახლი იყო, ხასი, თუნდაც დახურული"... (გვ.221).

სოფელ ჯუგაანის მამასახლისსა გიგამ გუბერნატორი მიიწვია სტუმრად. მის პატივსაცემად „ეენენები და ეენაკენები, თავადები და აზნაურები მეზობელი მაზრებიდან მოიწვიეს ოდგან საწყალ ქიზიყელებს (ხაზი ჩვენია — ი. ბ.) საკუთარი თავადები არ გაანჩდათ". (გვ. 187).

დახედეთ! თავადების უყოლია ყოფილა ქიზიყელების გასაწყალების მიზეზი! თქვე „საწყალო ქიზიყელებო" იმპერატორი რომ გესტუმრაო თავისი დიდებულებით, ისინი განცვიფრეთ თქვენი მასპინძლობით და ახლა ღმერთ გაგიწყრათ, გუბერნატორს საკუთარი ძალით ვეღარ გაუმასპინძლდით!

მიხაზე თავდასხმის დროს ყარაღაჯში „სრულიმ მიყუჩებული სოფლები გამოაღვიძა...

მირზანი, ირბაშიანი, ზემომაჩხაანი თავს ადგა ველს, ზემოდან დასცქეროდა ალაზანს"... (გვ. 253). მირზაანში ნიკალა ფიროსმანაშვილის ეს, ფუფუ, შეშფოთებული გადარდება ახლანან გამართული სახლის აივანზე, სროლის ხმა შეაშინებს და ძმის დახატულ სურათებს წვავს.

იოსებ ბაბლიაშვილი
მკრთხველის თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბელებული სოფლებიდან ყარაღაჯის ხეობა არ შეიძლება. იქიდან აქ, თოფისა და რეგოლვერის სრო�ლის ხმა ვერ მოაღწევს. ზარბაზანი კი არავის გაუსვრია. თუქურმიშიდან ყარაღაჯში დრაგუნთა პოლკის მოყვანაშიც მწერალს დროს ორიენტაცია დაკარგული აქვს.

ბოდბისხევის ალავერდის ეკლესიას ახსენებს მწერალი. (გვ. 178) ბოდბისხევს ალავერდის ეკლესია არა აქვს.

წიგნში ვხვდებით უზუსტო შედარებებს მაგ. ნაფოტივით შეაფრიალა. (ნაფოტის აგდება, ფეიერდნა შეიძლება) ბალახის კიფვა. (ბალახს თიბავენ) ხახვის ფოთლები (უნდა იყოს ფოჩი). სახრის წმენდა. (სახრეს სხეპავენ). დასაკლავი ხარივით ბუღრაობდა. (ბუღრაობდა თავისუფალ, ლაღ მოძრაობას გამოხატავს, შებოჭილი დასაკლავი ხარის უმწეო ძალდობას ვერ შეედრება) და ა. შ.

ალარაფერს ეამბობთ ზოგიერთ უსწორო გამოთქმებზე, გრამატიკულ და სტილისტურ შეცდომებზე.

მწერალს სიმპატია მიხა მწერლიშვილისაკენ არის მიპყრობილი, რომანის თარგიც მისი ცხოვრებით იქარგება. მკითხველი ამაში წუნს ვერ ხედავს. ის კი საგრძნობია, რომ მიხა ვიწროდ არის, რომაშში მას ადგილი არ ყოფნის. მომდინარე საუკუნის ათიან და ოცდაათიანი წლების ყაჩაღების მიზნები მზე და მთვარესავით განსხვავებულია. პირველნი ხალხის ინტერესებისათვის იბრძვიან, თუმცა უსისტემოდ, სტიქიურად... მეორენი კი ახალ ცხოვრებას ებრძვიან. ამიტომაც ღირს მიხას ცხოვრების არა სქემატური, არამედ მონუმენტური ასახვა.

შეიძლება მკითხველს პრეტენზია არ ქონდა, წიგნს „უბატონო ქვეყანა“ რომ არ ერქვას. ახლა კი ფიქრობს: სახელს სქესის მიხედვით არქმევენ, მაშ სახელი სქესის შესაფერისი უნდა იყოს. რატომ იყო ქიზიყი უბატონო ქეყანა, რად არ ჩანს? აქ მკითხველი მართალია. საძირკველი თუ არ არის, მასზე შენობის დადგმას ვერ წარმოვიდგენთ. „უბატონო ქეყანას“ სწორედ ეს ჯალი. მკითხველმა მხატვრული სახეებით ვერ იხილა ამ სახელის შინაარსი... სიუჟეტი არადამაკმაყოფილებლად ვითარდება და ფაბულა ბუნებრივად ვერ ერწყმის.

ქიზიყი ის კუთხეა, სადაც კაცის გატანა, სიმართლით ერთმანეთისათვის ზრუნვა — პატრონობა სისტხლი ჰქონდათ გაჭედარი. პატრიოტიზმი, ქვეყნისათვის, ერისათვის თავდადება მათი თვისება იყო. სწორედ ეს ფესვები არ ჩანს წიგნში და მხოლოდ ზაქარია პაპას (მას განებაკეთ დიდი ვუწოდოთ და განებავთ უდიდესი) შემთხვევით და ჭეწყად მოცემული გახსენებები მხატვრული გმირების ტიპიურ სახეებს ვერ გვიჩვენებს.

ისტორიისადმი არა რეალისტური მიდგომა სხვა მეტი არაფერია. ნუთუ ქიზიყელთა მდიდარი ისტორიიდან ამისი მასალა ვერ მონახა მწერალმა? სხვა რომ არაფერი, გამოეყენებინა ცნობილი ფაქტი ბოდბისხეველ ქალთა მოქმედებისა, ქმრისა და ოჯახის მოღალატე თანაSოფლელი როგორ შესვეს ვირზე უკუღმა, მთელი სოფელი შემოატარეს და მერე თხილწყალის დაბლა დუქნებთან როგორ ჩააქვავეს. ასეთი ბევრი სხვა მასალა მოგვცემდა ქიზიყელთა მხატვრულ მართალ სახეებს და ბოლოს არც ის დაკაკლებდა წიგნს რამეს, თუ არ შემატებდა, დაეხატა სურათი, რით დაინტერესდა მეფე-იმპერატორი სტუმრებოდა ქიზიყს და როგორ უმასპინძლეს ქიზიყელებმა.

ეგრძნობა მწერლის სიძლიერე რეგოლუციური მოძრაობის ჩასახვის ჩვენებაში და გვწამს მეორე წიგნი უფრო სრულყოფილი იქნება..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

რვა საისტორიო-სახსოვარი 1975 წლისა

რვა — ბადალია სიყვარულისა, გინა უყვდავებისა.

კითაგორა.

1.

ჩვენ წელი დავით აღმაშენებელის სიკვდილიდან

ახოვანი იყო დავით მეფე, ათლეტურად ტანაშეებული, „შეწყობილ ანაგებითა", სხეულით კეთილშვენიერი, სახით სახიერი, თვალით ძლიერი, შექმოსილი, ხმით ლომებრ ხახიანი და გულით „ეშმაკი ეითარცა უხორცო". სახე მისი იყო „საწადელ ღიმილითა, უსაწადელს მშვენვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა". ეს იყო ბერი აქილევსის შემმართებლობით და ჰექტორის რაინდული ეკთილშობიერებით.

ორი რამ, ერთმანეთისაგან განუყრელად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია დავით აღმაშენებელს — ხმალი და წიგნი.

თვითონ მოკრძალებით ამბობდა ხოლმე: მე უსწავლელი ვარო და მხოლოდ „ახედრობათა შინა აღზრდილი". მაგრამ სინამდვილეში ყველამ იცოდა ხელმწიფის მრავალმხრივი განათლებულობა და განსწავლულობა. წიგნის გარეშე თვით სიცოცხლეც უსაგნოდ და უსისარულოდ მიაჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა მისი სულის ზეიმი იყო. წიგნები „იყენენ მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ: ივნი — შეუბა, განკრიბა, საწერთელ და სარგებელ". წიგნს კითხულობდა ინახის და სერობის შემდგომ, კითხულობდა ყოველ საქმეთა განსრულების ჟამს. წიგნს კითხულობდა გზად მამავალი, ამბეგობენი, წიგნი თან ჰქონდა ნადირობისს, წიგნებით დატვირთული ჯორები, ცხენები და აქლემები მისდევდნენ მეფეს ბრძოლად მამავალს. როცა თვალი მოეღებოდა, საგანგებო მკითხველი ხმამაღლა აკითხებდა და თვითონ უსმენდა. უყვარდა წანალითხის განსჯა, რკვევა და კამათი. უბრწყინვალესად იცოდა იმფრონიდელი მსოფლიო მწერლობა, სასულიერო და საეროდ, წარმართულიც, ქრისტიანულიც, მაამადიანურიც. ვითარცა ისლამის დიდი მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმოშობაზე ეკამათებოდა დავით მეფე. ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს, განსაკუთრებით ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას და პოეზიას. თვითონვე იყო მემატიანეც, სიბრძნისმეტყველიც, ვარსკვლავთმრიცხველიც და პიიტიკოსიც. ხელმწიფე, თვითონ უზენაესი კულტურის მეფე, საქართველოსა და „კაკეასნელ ხალხთა იმპერიის" მთელი კულტურული ცხოვრების დაუღალავი მზრუნველი, მფარველი და წარმართველი იყო.

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული მოღვაწეობის სიმბოლო შეიქნა მისგანვე აშენებული ეგალათის სავანე, — ერთდროულად მთავარი სატაძრო-პასტფორიონიც და სამეცნიერო აკადემიაც („მეორე იერუსალემად" და „მეორე ათინად"). მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხუთოთმოძღვარიც, უმაღლესი ქვის ოსტატიც და ოფლადქეფული ქვათამტვრეველიც. იქვე აღაშენა ქსენონი, ეითარცა ეშმარტი განსახება „კაცთმოყვარებისა თვისისა". ეს იყო საკადემყოფო-სამეურნალო (გინა „კლინიკა") სნეულთა და დაჭრილმოლოთვის. ყველაზეური, „უნაკლულოდ და უხუბებით" გაიღებდა მეფე, რაც კი ტანჯანრლეველთა და სულით დაცემულთა ფეხზე დასაყენებლად იყო საჭირო. თვითონ მიდიოდა მეფე ავადმყოფთა მოსახილველად, ყველას მოიკით-

ბავდა, ყველას გადაჰკოცნიდა, ყველას „იფუფუნებდის მამებრ“, საკუთარი ხელით გასინჯავდა ყველა სნეულის სამოსელს, საგებელს, პინაკჯრჭელს და ყოველი სახმარი ნივთის ვარგისობისაგან.

საკუთარ „სამამულოს“ გარდა, დავით მეფე ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ საკუთრებზე. მან „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი მერმეცა ასურეთისა და“ კვიპროსი, შავიცა მთისა, პალესტინისანი, ალაესნი კეთილითა“. მან სინას მთაზე „ალაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წოგნები საეკლესიოთა სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროს რ°ეულისა“.

ყოველივე ამათ გარდა, დავითმა „რაოდენნი ეკლესიანნი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი ეკლესიანნი, წარმართთაგან შეგრნებულნი, ვინაშინდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაერწყანნა ქრისტესა“.

იგი დიდი შემწყარებლობით ეპყრობოდა ყველა ერის შვილს. მფარველობდა, აშხვეკებდა და ეხმარებოდა ბაქმაღიან სწავლულთ და ხელოვანთ. მუსლიმანი პოეტებისა და სუფიებისთვის ტფილისში საგანგებო სახლიც აუგია ქრისტიან მეფეს. მათთან მიდიოდა, პოეტურ და ფილოსოფიურ მეჯლისებში მხურვალედ ემბრძოდა და მადლიერებით წყალობას გასცემდა.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდა თანამემამულეთა აღზრდისათვის. ეკმ-ეამად ქართველ ეპატეკის უცხოეთის კულტურულ ცენტრებშიც აგზავნიდა სასწავლოდ და „საწურთნელად“.

ეკმ-ეამად დავითი სამართლის განსაჩინებელად გავიდოდა გზა-შარაზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის“; იცოდა და ელოდა ბის სამართლიან განჩინებას მდაბითთა, ჭვრიე-ობოლთ და უპოკართა სამფარველოდ და სამწყალობოდ. ადიოდნენ ბორცვებზე, ხეებზე, კლდეებზე და იქიდან „ეპერეტდნენ“ გზას, რომელზეც უეჭველად გამოვლიდა „მათი მეფე“, მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მრავალ ერელთა დასაზოგავად.

ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით საკუთარი (არა სახაზინო) ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად გიატანდა გზაზე. თუკი ქისას საღამოდე დაიკარგებდა, სასახლეში „მხიარული სულით და პირით“ ბრუნდებოდა, ხოლო თუ ნახეკარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარენ იტყოდა: „დღეს ვერ გავეცი ჩემი ცოდვებით დამძიმებულთნაო“, — და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისა[illegible] მატებდა, რომ მომდევნო დღეს როგორმე ყველა ერთად გაეცა წყალობად.

ხალხმა მას დაარქვა ა ღ მ ა შ ე ნ ებ ელ ი.

ვინ მოსთვლის, ისტორიის ეკლესიებრენაში რამდენ დიდსა და მცირე გეგრგვინოსანს მოუპაძია და მოუთვლია თავის წილხვედრი წუთისოფელი და ვის რა ტრტულ-თავენი აუჩემებია მისი სახელის უკედესაყოფად, მაგრამ რომელი მათგანი შეედრება „ალმაშენებელს“, რაიც მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ დავით ქართველთა მეფეს აშშვეებდა, ვითარცა მისი მადლიერი ერისაგან ნაძღვნეები ნათელიერი და ყოველსმეტყველი სმეკელი.

მაგრამ დიდთა მოღვაწეთა მტერნი არსაღრეს დაეულვანან. ყრედ, შეფარვით, ბრაზითა და ბოღმით ვატენნილნი ღრტვინნადნენ მეფის რკინის მარჯვენითა და რისხეული ბრძანებით განპატიებული დიდებულები, მსგავსნი მეფისგანვე „გაწურთნილი“ ლიპარიტ კლდეკარელისა და ძაგან ერისთავისა. სწორედ ასეთი გაზფულებენი ფეოდალების თავხედობამ ალმეფინა ემეტრიანეს ეს სასტიკი ინვეიტეცია: „ნათესავი ქართველთა ორგელ ბუნება ორს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაკამს განდიდენ, განსუქენენ და დიდება პოოონ და გასსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“...

დავით ალმაშენებელსაც დასდევდა სიკვდილი. დასდევდა ფეზდაფეზ, წამწამისაფ, თითქოს სურვიელის ტრფიალებით, ხან შიშნიეულად, ხან გადდეულად, ზოგჯერაც სულ ახლოს მიბრკენით, თვალში თვალის გაწნენეთ.

სამოც ბრძოლაში შეხვდა დავით მეფეს სიკვდილი პირდაპირ, თვალდათვალ, მაგრამ სამოცჯერვე უკუქცია მისი საოცარი მეომრიული შემართებით განმკრთალი და გაფითრებული. ბრძოლის ველს თავი მიანება სიკვდილმა და „ალმაშენებელი „ეკამსა ალმშენებლობისასა“ გულსთის გუმბათიდან გადმოაგდო და მიწას დაანარეხა. მაინც ცძლია სიკვდილი მეფეს.

ახლა უფრო ბორტი გზით მოინდომა სიკვდილმა მოეცლა: ვმრინა. ეს იყო ბა ღალატისა. დავითი, ქართელი რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის ეკამს, შუადღის სიცხეში, პერანგის ამარად გამოვიდა ციხიდან. ციხის ქონგურიდან ქეიბერმა ვაიზუხუნა. ქეიბერი მეფის მკერდს დაეკვეარა, მაგრამ... ჭკერდზე დაკიდებულ ხატს მოხვდა და ისევ გადერჩა სიკვდილის.

მერე სანადირო ველზე ეკამეკა სიკვდილი ნადირობის მოტრფიალე მეფეს. მუხნარის სანადებს მიპყვებოდა ამბედრებული ვეირკვეინოსანი, ზეგნის კოხეკის ჩაერმაგებული. ძალლების ყეფამ ეკამკარა ზეგნს. ტყიდან ირეში გამოიჭრა. დავითმა მშვილდ-ისარი გამართა და ცხენი მოსსლიტა. სწორ მინდორზე მუხანათად ჩაკვეთილი ხრამი ვერ შენიშნა გაფრენილმა კენტეკრმა. და კენტაკერ ერთბაშად ორად განიპო-

ცხენი ბრამის კბილებს შეასკდა, ხოლო ენაგირის ძაძაყიდან ასხლეტილი მხედარი ზორს დაენარცხა „და ესოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოველად ფსულო მდებარე იყო ფუძისაგან". სამი დღე სისხლს აკაკვენებდა მკერდიდან. მაგრამ მაინც ძლიერი წყალი სულდგომ.

ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს საარაკო გმირთან თამაში და მასთან მივიდა სულ უბრალოდ, ეთვალთვალეო ნატკენი ჯნიი და ნაცადი წესით: შინ, სახლსა შინა, ჩვეულებრივ მოკვდავთა სარეცელზე...

იდგა 1125 წელი, 24 იანვარი, დღე სამშაბათი, საღამო ჟამი. და საქართველოს მოუკვდა დავით ალმაშენებელი.

ტფილისის სასახლეში „ჰრულითა რათამე შეენიერითთა დაიძინა" მან. იწვა „სახლსა სადაეთოსსა" საქართველოს გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი, მრავალმხრივი რეფორმატორი და ბრძენი სჯულმდებელი, ბრწყინვალე ზორავარი და მხედარ-მეომარი, „მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა", სამიცი ძლევამოსილი ბრძოლის კვალური, კავკასიის ხალხთა „იმპერიის" დამარსებელი, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვან-შაჰ და შაჰინ-შაჰ ყოველისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობობით მპყრობელი".

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელი, აღსრულა 52 წლისა.

მისი სახელი შერჩა მისგანვე სვეამაღლებულ ქართულ ჯავარნულებს — „დავითფერული". მისი სახელი დაებეჭდა მისგანვე აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას — „დავითიანი".

ეგლეთს დაკძალეს, მისგანვე აშენებულ სავანეს, მონასტრისაკ და აკადემიის გზა-ბოძალზე გათხრილ სამარტელეში. უზარმაზარი ცხენრის ტოლ ქვაზე ამოკვეთეს ეპიტაფია: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე ამას დადემკვიდრო რამეთუ მონავს ესე".

ხოლო ქართველმა ხალხმა სამარადკამოდ მკერდზე დაიწერა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ლექსი-ეპიტაფია:

„ვის ნაბარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად
დამესხნნეს,
თოერენი, სპარსნი და არაბნი საზღვართა
ოქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა
შთამესხნეს,
აწე ამათსა მოკმეფსა ხელნი გულზედან
დამესხნეს".

2.

780 წელი შამაორის ბრძოლიდან

ათი წელი გასულიყო დიდი თამარის გამეფებიდან. ათი წლის მანძილზე ქართველობას ოცზე მეტი ლაშქრობა გადაეხადა სრული ძლეამოსილებით. ხოლო ახლა ყველაზე დიდი ხმალთაკვეთება ელოდა ქართველ მხედრობას. აჰყრილად საქართველოს წასახდენად მოიტანდა ერანის ახალი მბრძანებელი აბუბაქარი, რომელსაც მთელი მუსულმანური სამყარო მოეხმო შემწედ და მოკავშირედ. ბიდღალის ხალიფასაც გამოეგზავნა მისთვის. ლაშქარი, ოქრო-ვერცხლიც უხვად გაეცია, „რათა შეკრიბონ ყოველთა-კერძო ლაშქარი ურიცხეი" და ყოველივესთან ერთად სახალიფოს დროშაც წამოუმძღვარებია ისმაილიტთა ბასმაზნეველნაკ და ჭრისტიანთა ზარდასაცემად.

მართლაც, საქართველოს სამტროდ „შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხეი იცოდეს, ვერცა ერთსა თემსა დაეტოდეს".

ხალაშქრო ალღუმზე დამდგარიყო ქართული მხედრობა.

გამოვიდა თამარი და წყნარად მიმართა მისი ხიდეთი და კრძალეთი მოხიბლულ ჯარებს.

„ძმანო ჩემნო, ვიცი, კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლესა მტრისაოთვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს, მაშ, შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა ძალითა ჯვარისათა, მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმარილესითა!"

მერე, მოიღო დროშა გორგასლიან-დავითიანი და გადასცა დავით სოსლანს, მეუღლეს, მეფეს და მხედართმთავარს.

მთავარსარდალს ბეგრდით დაუყენა ანტონ გლონისთავისძე ჭყონდიდელი, ძალიტბოველის ჯვარით ხელში.

კვლავაც ხმალი და ჯვარი მიუძღოდა ქართულ ლაშქარს სომარი თალპიონისკენ. ხმალი და ჯვარი — დაღოცული თამარისაგან.

ლაშქარი სომარი ემბატერიის გრიალით გადუშვრა.

ხოლო თამარმა „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანნი, და ფერჩნე შიშველითა ფერჩნითა" მეტეხის ტაძარს მივიდა ლოცვად — ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისათვის.

ქართველთა ლაშქარმა გარდაბანი გაიარა, მდინარე ეკლეკი გადალახა, რანს მიეახლოვდა და მზვერავებმა ამბავი შემოაგზავნეს დავით სოსლანს: ჩვენის თვალით ვიხილეთო მტერნი, „ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთანი, უმრავლესნი რიცხეისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა". შამქორიდან ვიდრე გაძძის კარამდე გადაშლილარო ბანაკნი მტერთა.

დავითმაც სასწრაფოდ დასძრა ლაშქარი შამქორისაკენ.

15 ივნისი იდგა 1195 წლისა, ხუთშაბათი, ღღის მიწურულს ქართველებმა შამქორს მიატანეს და მტრის პირისპირ დიბანაკეს. მთელი ღამე ესმოდათ ქართველებს მოლა-მეუყრთა და

ლევან სანიკიძე
რეა საისტორიო-სახლოვარი 1975 ფლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეძინოს კიევი შამქორის მინაწერეთბიდან ის დამიე განერსოლა. პარასაკეი თენდებოდა, 16 ივნისი.

დავით სოსლანს უკვე განეწყო ჯარი სამომარად.

თვითონაც მიმიედ აღეფუთვალიყო მთავარსარდალი; დიდებულ ზერდაგზე ამხედრებულიყო.

მოკლე სიტყვით მიმართა ჯარებს. მოაგონა „სიმხნე და მარჯვებულობა პაპათა და მამათა", გმირობანი ვახტანგ გორგასალისა, დავით ალმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

მერე დავითმა ჯარი სამ ნაწილად გაპყო: ორი მოიერიშე რაზმი (მარჯვენა და მარცხენა) და ერთიც რეზერვი. რეზერვი ძმეს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ჩაბაარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს ჯვარით და ხმალით წარუმძღვანა ანტონ ჭელნისთავისაც, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავითაცა ჭაბუკი", და პირდაპირ შამქორის მთავარი კარიბუსაკენ წარგზავნა საიერიშოდ.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან და მტრის ზურგიდან შემოსაკვლელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავლაზე, ზეე ხიდზე შემოგეგება აბუბაქარის ლაშქარი, „შეიქმნა ომი და კუეთება", ისე რომ ხიდისა და გზის სიიერშოვასაგან მხოლოდ მოწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს, როგორც იქნა, ქართველებმა მდინარე და ხიდი დიდი სისხლის ფასად უკან მოიტოვეს და ციხე-სიმაგრის კარიბუებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ერიცხეი მხედრობა შეახვედრა თავიწყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენიეთდა და შეეფდა. მოპირდაპირენი გამხეცებულნი ასკდებოდნენ და აკვდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. „მოუკლეს ცხენი ზაქარიას ეარაბის ძესა, და დაუოდნეს სხუათა მრავალთა დიდებულთა". ავეიანებდოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანის შემოვლით მანეარს: აქ ქართველებს გზა შეხედათ უეალი, ღირღოლოვანი, ფლატე-ქარაფოვანი და კაპან-ქვაღოჯიანი, მაშინ რეზერვი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა ახალ ფაზაში შეეიდა. კვლეე წონასწორად ქანაობდა ბრძოლა სასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტლივ მოჰყოდა ახალ-ახალი რაზმები საკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ გიმარჯვეს და ტყეელებანელოდ „ეახეთქნეს ნახეეარნი ლაშქართა და რაზმთანი". უკვე მოელის ძალებით იბრძოდა აბუბაკარი. მას სიეშვიდ აღარ ეარჩენოდა, რომ სეულ მალე ბრძოლა მისი ძლევამოსილებით განსრულებოდა. ქართველთათვის გულდამგესლავად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასაგან „ღაზიდ წარმოგზავნილი" დროშა სრულიად მუსლიმთა.

და უეცრად შამქორის ჩრდილო მხრიდან ეარეული მოიპრა დავით და მისი მხედრობა. „ეარეული წინ, ამაყი ფრენით მოეძღოდათ „დროშა იგი გორგასლეანნი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეკდებოდა" (შეიდასწოლეანი გამოძახილი ინდოეთს ვახტანგ გორგასალის ლეგენდიერული ლაშქრობისა!).

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უეცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა ბუსულმანებს, — „რაკამს იხილეს მეფე, დაეცათ რისხა ღმრთისა უზილავი".

ქართველები ბრძოლას შაშინ იწყებდნენ, როცა აბუბაკარს იგი დასასრული პირს ეგონა.

მიეტევა დავით „მსგავსად აქილეესისა".

მეფის მხედრობას მოწყდა მხედარი და ხალიფას დროშისაკენ გაკანდა ხმალამარიული. ეს შაეკა ახალციხელი იყო. მეწრნავე ბუსლმანი მედროშე მხარიღლივ გადაკკეთა რაინდმა. დაფრიხნენ და უკეოქკნენ დანარჩენი მედროშენი. მარცხენა ხელთ დაითრია შაეკამ ხალიფას დროშა.

სავსებით გატყდნენ ალლაის მხედრები. მთელის ძალებით მიესივნენ ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი ეკვეთნეს". ორად „განსქედა" ბუსულმანთა ლაშქარი და ორი მხრისკენ გაიქეა — განძისკენ და ველაქუნსკენ. პირველი გაიქეა ბრძოლის თვით ამირთამირა აბუბაკარი და „მიწეკნელმან ნნარცხა სიდმე მცირესა მიწასა შინა დაფსა თავი თვისა".

ხოლო ქართველები მისდევდნენ გაქცეულ მტრეს. სდიეს და „დათვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ეამდეს ხორცთა მტერთა მათთისა". განძამდე და ველაქუნამდე სდიეს და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. მეფესთან შეიყარნენ, ნაომარ ველზე. არც ერთი მეომარი არ დაბრუნებულა ხელცარიელი, ვის დიდი რანგის მტრის მეთაური მოჰყავდა მხარგაკრული — ამირა, ათამაგი თუ სხეა სარანგი, ვის კიდეე ერთი ან რამდენიმე მუსლიმი მეომარი.

თვალით გადაზომა დავით სოსლანმა მტრის გვამებით დარეული ბრძოლის ველი. მოგებული იყო დიდი ომი. პირველი მიეახლა ანტონ ჭელნისთავისაქე ჭყონდიდელი, მიეულიცა, ჯვარი გარდასახა, ხოტბა შეასხა და გადაეხვია. მერე ეახლნენ მეფეს მისი „მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპტნნ". თავი დაეხარათ მხარგრძელებს, რომელთაც ვერ ისახელეს თავი ამ დიდ ხმალთაკვეეთბაში...

მეორე დღეს, 17 ივნისს, შაბათის სისხამზე, შამქორის კარიბეენი ყურთამდეგ განიხეწნენ, ციხოინის მეთაურები გამოვიდნენ, დავითს მიეახლნენ და ქალაქის კლიტენი მიართვეს წელშა მოღაელებმა. იმ დღესვე ქართველ მთავარსარდალს ჩაბარდნენ შამქორის ახლომახლო სხვა სიმაგრენი. დავითმა განძაც დაიპყრო და ტფილისისაკენ შემობრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სატახტო ტრიუმფით შეხვდა გამარჯვებულებს.

ზალვა ახალციხელმა ხალიფას დროშა თამარის ფერხთა წინაშე დასდო. მას სხვა დროშებიც მოაყოლეს, თამარმა ხალიფას დროშა აარჩია და ძეირფას მანიკათან ერთად ხახულს გაგზავნა იქაური სახელგანთქმულ ლავრაში შესაწირავად.

3.

765 წელი ქართველთა მიერ ირანის დაპყრობიდან.

1210 წელს თამარ მეფემ ირანის დასალაშქრავად წარგზავნა ლაშქარი.

ქართველებმა ჯერ „ჩავეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯუღას და რახსსა და შეეღეს ციერო იგი ხეები დარდუზისა“ და აქედან მიადგნენ ადარბადაგანის დიდ ქალაქს **მარანდს.** მარანდელებს ადრე შეუტევიათ ქართველთა მოახლეება და მახლილე მთებში გახიზნულან დიდიან-პატარიანნად. ქართველმა სარდლებმაც ასე იფარაფდეს, რომ მარანდელთა ლაშქარი მთებში იქნებოდა ჩასაფრებული. ამიტომ გამოჰყვეს 500 რჩეული მეომარი, ყველა „დიდებული და ახნაური“, უსარდლეს „კაცი მხნე“. თაყაიანიან თმოგველი, და გაგზავნეს ქალაქს ზემოთ შუამთართულ მაღლობზე, მტრის დასაზვერავად. თუ იქ მტერი მართლა აღმოჩნდებოდა, თაყაიანისს დაუყოვნებლივ მთავარსარდალ ზაქარიასთვის უნდა შეეტყობინებინა და თვითონ ძირითად ძალთა მოსვლამდე შებრძოლებას განრიღებოდა.

მაღლობს შეუდგა თაყაიანიან თმოგველის რაზმი. პლატოზე აყიდნენ, დადგენენ და მზერა მიაპყრეს „ღირიღლთა და კლდეთა მაღალთა“. მარანდელნი მართლაც იქ ყოფილან ჩასაფრებულნი და ქართველთა სიმცირე რომ იხილეს, მაშინვე მთელის ძალებით გამოეტრნენ ეიეინთ, ხვიეოლთ, ღრიანცელით. თაყაიანიან თმოგველმა დაიეწყა მთავარსარდლის გაფრთხილება, ფიცხლივ შუბი გამართა, რაზმს შეუძახა და იერიშზე გადმოსული მტრისკენ გაქანდა. მაშაც მეთაურს მიაყვა ხუთასი ქართველი მხედარი, შუბგაწვართულნი, მძვინვარე ყიეინთნი. მარანდელებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს, მოპირდაპირეს ხუთასი მოკალული შეატოვეს და ისევ ტაე-ღრეეს მისაცეს თავი. ქართველებიც შეჰყვნენ გაქცეულ მტრებს და კიდევ მრავალი დახოცეს. მთავარი ძალებით ამოსულ ზაქარია მხარგრძელს ბრძოლა დამთავრებული დახვდა. მარანდი ქართველებს დანებდა.

მარანდის დაპერის შემდგომ ქართველები გაემართნენ **თავრეეისა�** (თავრიზი). მოსალოდნელი იყო, რომ ესოდენ დიდი ირანული ქალაქი უომრად არ დანებდებოდა მტერს. მაგრამ „ვითარ ესმა თავრეეს მყოფთა მისელა ქართველთა ლაშქრისა, განკრთეს და ძრწოლა-მან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრეეისანი“. თავრიზის მესვეურებმა დიდძალი ძღვენი გაიღეს, ხარკი იკისრეს და ქალაქი ქართველებს ჩააბარეს. ქართველებმა თავრეეში მცირე ციხოსნი ჩააყენეს და სამხრეთისკენ გზა განაგრძეს.

მიადგნენ **მიანას** (მიანე). მიანის მელქმაც თავრეეის მესვეურებს მიბაძა. ყელზე თოკი შეიბა და დიდძალი ძღვენი, ზღვმეი ხარკისა და ძმობის ალთქმით ქართველთა ბანაკში გამოცხადდა და ქალაქიც უბრძოლველად ჩააბარა. ზაქარიამ მიანაშიც დატოვა მცველი-ციხოსნი და ახლა ზანგანისკენ დასძრა ლაშქარი.

ზანგანი (ზენჯანი) მანამდე „მცირე ქალაქი“ იყო, ალიზის კედლებით გარშემორტყმული. მაგრამ მის მესვეურებს ქართველთა ირანში შემოჭრის ამბავი რომ შეუტყვიათ, „ქალაქი ძლიერად გაუმაგრებიათ“ და როგორც კი მტერი მოადგათ, „იწყეს ფიცხლა ბრძოლა“.

ზაქარიამ ზანგანის კედლები ჯარებს უბნებად მიუზომა და უბრძანა, „რათა შესთხარონ. ყველაზე უწინარეს მესხმა მეომრებმა „შეხეთრტეს“ და შეანგრიეს ზღუდე და პირველნი შეიჭრნენ ქალაქში. შეიჭრნენ „შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო“, ხოლო ქალსა, ბავშვსა და მხცოვანსა ხელსაც არ ახლებდნენ (ეს „წესად“ იყო ქართველთა ბრძოლისა). ამასობაში ქართველთა სხვა ნაწილებმაც შეანგრიეს თავის „წელხვედრი“ ზღუდენი და ქალაქში შეიჭრნენ. ზანგანელებიც დანებდნენ და დიდძალი სიმდიდრეც გაიღეს ხარკად.

ქართველები ზანგანს ერთ ხანს „დადგეს და მცირედ განისუენეს“. მერე გეზი ხორასანისკენ აიღეს. მთელი დღე იარეს. მიიწუხრს ერთ „მცირესა სოფელ-ქალაქსა მუსულმანსა“ მიაღწიეს, ის „სოფელ-ქალაქი“ მტრულად შეხვედრისთვის მტრულადვე მიგრეგნეს და დაღლილ-დაქანცულნი ისევ დასასვენებლად დადგნენ.

დილით ადრე ისევ განაგრძეს გზა, სამხრთა-აღმოსავლეთისაკენ. უკვე შორს გასცდენოდნენ კასპიის სამხრეთ სანაპიროებს. გამოჩნდა დიდი ირანული ქალაქი **ყაზვინი.** ქართველებმა მგლური იერიშით მიაშურეს. ყაზვინელებმაც უიმედოთ ჩათვალეს ყოველგვარი წინააღმდეგობა. ქართველები ქალაქში შეეიდნენ და დიდძალი ალაფი აიღეს. მცხოვრებთაგან არავინ შემოკვდომიათ. მხოლოდ მძეგლები აიყვანეს.

ყაზვინიდან აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ მაღალი, თოვლიან-ყინულიანი მთავრეხილები და თვალგადაწვდენი ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურიანი უდამნოები (1540 წლით ადრე ამ **გზებით** მიაქროლებდა თავის მხედრობას ალეკსანდრე მაკედონელი).

კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაალწიეს ქართველებმა და საკუთრივ ხორასანში შეიჭრნენ, აიღეს და დაარბიენ განთქმული ქალაქი **გურგანი** (ჯორგანი). დალაშქრეს ქალაქები „უშინაგანესისა **რომ-გურისა**“ (ავლანეთი).

აქედან სულ რამდენიმე დღის სავალზე იყო **ინდოეთი**...

უკვე ალარ შეეძლოთ წინსვლა აურაცხელი **ალაფითა** და ნადავლით დატვირთულთა. ამიტომ „შემოიქცეს გამარჯუებულნი და ძლევა-შემოსილნი ქართველნი“. ასე განასრულეს, რომ „ვერვინ წინა-აღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხუთასანსა სულტანი, ვერ ერაყისა და ვერა **რომელი** თემი“.

ქართველები ხორასანს ჯერ კიდევ არ გამოშორებიან, რომ ჩრდილოეთ ირანში, ქალაქ **მიანში** ვიდაცამ ცნობა მოიტანა: ხორასანს მოალშარტ ქართველებს „დიდი სულტანი“ და გალანელნი გარს შემორტყმიან და ისე გაუშუკვეტიათ, ერთი მთხრობელიც არ გაუშვიათ ცოცხალონ. ამის გამგონე მიანის მელიქი და მისი მუსულმანი მოქალაქენი აღტაცებაში მოვიდნენ, **მერე** მათთან მცველ-ციხონად დატოვებულ ქართველებს დაერივნენ, ცოცხლად გაატყავეს და ძელებზე გამოჰკიდეს. გაწყრომულთაგან მხოლოდ ერთმა მოახერხა გაქცევა და გადამალვა.

მაგრამ გამოჩნდა ხორასანდან მომავალი ქართველობა. მიანის მელიქისთვის ეს ზარგანზდა იყო, თუმცა გონი მაინც მოიკიბა და ქალაქში შემოსულ ქართველებს კვლავ დიდძალი ძღვენი მიართვა. ზაქარიამ თავისიანები მოიკითხა. „თავრეულ წარიდნენ მენ დატოვებულ მცველ-თა თანა“, — იკრთა მელიქმა. მაგრამ მოვიდა ის ერთადერთი გადარჩენილი ქართველი და თავისიანებს უთქვა, რა დღეც დამჭირეს მუსულმანებმა ამ ქალაქში დატოვებულ ქართველებს. ზაქარიას ბრძანებით მელიქი ოჯახიანად ამოწყვიტეს, ქართველთა მცველებიც ცოცხლად გაატყავეს და ქალაქის უმაღლეს „საყივარზე“ (მინარეთზე) ჩამოჰკიდეს. ქალაქი აოხრეს და დაანგრიეს.

წამოემართნენ საქართველოსკენ. ადარბადაგანს შემოვიდნენ. **უფენის** (ურეზნის) მცხოვრებნი შემოხვდნენ დიდძალი ძღვენით. მერე ისევ თავრეულნი (თავრიზელნი) გაეგებენენ „ძღუნითა ურიცხვითა, და მოართუეს სიმდიდრე აურაცხელი“.

ტფილისში დაბრუნდნენ ძლევამოსილნი.

ირანი, კაკასიელ ქრისტიანთა მარადიული სამტერო-სამფდარი, საქართველოს დიდი საქმეთმპყრობელის ფერხთა წინაშე ფო განრთხმული.

4.

750 წელი გარნისის ბრძოლიდან

1225 წლის აგრილ გაზაფხულზე საქართველოს მეფე რუსუდანი ჯარს ამზადებდა ადარბადაგანის დასალაშქრავად და დასაპყრობად. მაგრამ სავსებით მოულოდნელად სრულიად ახალმა და მეტად საშიშმა მეტოქემ დაასწრო ადარბადაგანის დაპყრა. ეს იყო ჯალალ ად-დინი, ხვარაზმ-შაჰი, მამაცი და თავზეხელაღებული თურქმანი. მოდიოდა ჯალალ ად-დინი და მოუწოდებდა ყველა მუსულმანს „ცისქვეშეთნი“, — იარაღი აიღეთო ქართველთა წინააღმდეგ „სალვთო ომში“. ზედიზედ შეუტევდნენ დასავლეთ ირანის ქალაქები. გამოჩენისთანავე ეკმო ქართველთაკენ ზარდაცემული ადარბადაგანის ათაბაგი უზბეგი, ჯალალს რუმისა და შამის სულტნებთანაც აფრინა ფაიქი საქართველოს დასალაშქრავი წვეერთ.

200.000-მა მუსულმანმა გადმოლახა საქართველოს სამფლობელოთა საზღვარი არაქსის ხეობაში. სომხთაში შემოიჭრნენ და დვინის მისადგომებს მოეწინენ ცეცხლითა და მახვილით, „ხოცად და მოსრავდ ქრისტიანეთა. ესრეთ უუყალოდ მოსრავდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩჩვილთა ყრმათა რიდებდეს“.

შეიყარა ჯარი ქართველთა, „ყრმათა იმერთა და ამერთა“. რუსუდანმა სეფე-დროშა გადასცა მთავარსარდალს ივანე ათაბაგს.

უკვე სიბერე მორეოდა მხარგრძელს, ფარულად მონაზუნობასაც შესდგომოდა. მეომრული „ოლბალეც“ ალარ მოსდევდა ყველებურად. ეჭვი და შური ჩასცივებოდა ბებერი სარდლის გულს: ძალიან შორს გადაეყოლა მისთვის მამაცთა შორის უმამაცესსა და უკეთილშობილესს — შალვა ახალციხელს.

ახლაც იქ დგანან ისინი, მოწინავე თორელთა წინ. ისინი, ძმები—შალვა და ივანე ახალციხელნი...

1225 წლის აგვისტოს, დვინის ჩრდილოეთით, სოფელსა და ციხესიმაგრე **გარნისთან**, ერთიმეორის პირისპირ დადგნენ 200 000 მუსულმანი და 60 000 ქართველი.

ქართველები გარნისთან აღმართულ მთაზე იდგნენ ბანაკად, ხოლო ქვემთ, ფართოდ გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის მეომრებით გადეფილიყო. სალამო ხანს დადგნენ ბანაკად მოპირდაპირენი. წყვდიადმაც მოიცვა ქვეყანა და მთელი ღამე ორივე მხარეს ორივე მხრიდან ესმოდა ბრძოლისწინარე ნერვიული გნიასი და ყარაყაში.

გათენდა. ჯალალს საომრად განეწყო ლაშქარი. შუაში ძმიმედ შეუტურვილი მხედრობა დაეყენებინა, მარჯვენა ფლანგზე — შშველდ-მოიასარი, ხოლო მარცხენაზე — სულ მთლად ქვეითი ჯარები, რომელთაც სარდლობდა თვით შაჰის ძმა ღიას ად-დინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღეც ასე პირისპირ დგომაში გაატარეს მტრებმა. ორივე მხარემ იცოდა თავისი საომარი პოზიციის უპირატესობა და ორივე იქოდან გამოსულნა და შეტევის რისას ერიდებოდა: მუსულმანებს თავისი რიცხობრივი და ცხენოსან ძალთა უპირატესობის გამოყენება სწორედ იმ გაშლილ ველზე შეეძლოთ და არ მაღალ მთაზე, სადაც ქართველები დამაბაკუნებულიყვნენ. ასევე სახიფათო იყო ქართველთათვის მთის დატოვება და ფართო ველზე ჩასვლა, სადაც მათ ურიცხვ მტერთაგან გარშემორტყმა და განადგურება ელოდებოდა.

როცა ის დღეც უკმნა და დამქანცველ მოლოდინში განვსრულა, საღამო ეამს, ჯალალ ად-დინმა თავისი კარავი წინ, მთის ძირის ახლოს გადაეწვეინა, თანაშემწე ხანებს, ემირებსა და სარანგებს მოუხმო და ბეჭობა გამართა. როგორც ეტყობა, მტერს საქმის გაგებინერება და იმ მთაზე დარჩენა გადეწყვეტიკო, ამიტომ ხვალ ჩვენ თვითონ გადავიდეთ შეტევაზე მთელს ძალებითო; ხოლო, თუ ვინაღობაა, მტერმა იერიშები დაგვაწყრო, მაშინ ისრის მერეხ-ბარანით შეეაკეთოთო იგი, — ბრძანა ჯალალმა.

დილით ადრე იერიშები ბრძანა ჯალალ ად-დინმა. მარცხენა ფთანგი — ქვეითი ჯარები, ღიას ად-დინის წინამძღოლობით, მთისკენ დაეძრა. დანარჩენებიც მიჰყვნენ კვალდაკვალ.

ივანე ათაბაგმაც უბრძანა მეწინავე ჯარს — თორ-ჯავახეთში — ჩაგებებოდნენ მტერს, თორელებიც სწრაფად დაეშვნენ იარაღის ზრიალით, წინ შეკავა და ივანე ახალციხელები მიუძღოდნენ ხმალაღმართულნი.

როცა მოიერშო მტერს მიუახლოვდნენ და თვალი მოაელეს, შალვამ მაშინვე ამირსასალართან ფიიქი იფრინა და შეეფთვალა: მტერი ერეულნი ვართ, ამიტომ გთხოვთ ისწრაფოთ და რაშოვეეშველოთ თავარი ძალებითო.

მაგრამ პასუხის მოსალამდე უკანდახეეკ არც ეფიქრიათ ახალციხელებს. მათ „აორკონა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა“ და „ვითა მხეენი ზედა მიეტეენენ“.

„და იქმნნეს ძლიერნი ომნნი“.

ხოლო მხარგრძელისაგან არც მაშველი ჯარი ჩანდა, არცრა პასუხი.

ხელმეორედ აფრინა შალვამ ფაიქი მთავარსარდალთან, აფრინნა და შეეტეა გულ-გამხეცებით. „განგრძელდა ომი“. ზემოდან თავგანწირული დაწოლილი აკავებდა ერთი მუქა თორელთა ჯარი ფუნვეტ ტალღებად მომდინარე მუსულმანთა ათასეულებს.

ხოლო, ისევ არ ჩანდა მაშველი ჯარი ივანე მხარგრძელისაგან. მესამედ აფრინნა შალვა ახალციხელმა.

თხელდებოდა ზღვა-ბადასული მხნეობით მორკენილ თორელთა რიგები. ცხენები დაუზოცეს ორივე ძმას — შალვას და ივანეს. ქვეითად იბრძოდნენ ძოდნენ გაეშეშებით, სიკვდილთან ბულირილ წოლერით.

ხოლო, ისევ არ ჩანდა „ბუღმეეკ“ მხარგრძელისგან არც მაშველი ჯარი, არცრა პასუხი,

ადარც ახალციხელები ფიქრობდნენ მასზე. ფიქრისთვისაც ადარ ეცალა ბრძოლის ხანძრით დამშეარ ჯარებს. ისინი მხოლოდ მტრის ჩაბალახინან თავებს ჰხედავდნენ და ვაშმაგებით სცემდნენ მახვილებს „იმ ჩაბალახებს“; სცემდნენ და ეეცემდნენ „ჩაბალახები“, მაგრამ ისეე ჩნდებოდა ახალი, ჩნდებოდა და ამოდიოდა უთვალავი, ვითარცა თავები ზღაპრულ დევთა და ურჩხულთა წარკვეთილ ენრეებზე.

ბრძოლა შენივთდა.

ხოლო, „ვითარცა შენივთდა ძლიერად ომი, ხრმალნეკა ახალციხელთანნი განტყდეს ჩაბალახსა ზედა“. შუაგადამხერეული ხმლებით იბრძოდნენ ახლა ახალციხელები.

ეეცემდნენ სისხლისაგან დაცლილი უკანასკნელნი თორელნი, ჯავახელნი, ქეხეხნი. ვინც გადაურჩა, მახლობელ კლდისკენ ივლტოდა თავშესაფრად. ივანე ახალციხელმაც ეეიარ გაუძლო შემზარავ სასაკლაოსთან რაკნას და ისიც გაიქცა ქვქეეულთა კვალდაკვალ. უცეტ (მაინც და მაინც იმ წუთს) უზარმაზარი ლოდი დაეშვა კლდიდან. ივანე ახალციხელს დაეტაკა და გაბტანა უსულოდ ქმნილი.

ხოლო, შალვა იბრძოდა ისეე. იბრძოდა მარტო, მიტოვებული, ვითარცა ჰეროკლე კენტავრებით გარშემორტყმული. ბოლოს, ყოველ მხრიდან მიეშვნენ მუსულმანთა ბუნდები „სიმრავლითა ფრიადითა“. მხოლოდ ხმლის ვადა შერჩენოდა შალვას ხელში. მეერდი შეუნგრიეთ უახლოეს თურქმანს, ვადა შორს გასტყორცნა ხანჯალი, — სისხლი პეშვით აართვა და სახეზე შეიქცია, ასე ინება, რამეთუ მისი სახე ვაფიორებული არ ენახა მტერს.

ასე შეიპყრეს შალვა ახალციხელი, „რომელ არა ყოფილ კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“.

მიიშურა და მიიკამა ბოროტი დღე. გარნისს ბრძოლა განესრულა. 4000 ქართველი იწვა უმეტეს მუსულმან ვვამთა შორის

ივანე მხარგრძელმა „თავისი“ გაინადა: „საძულველი ახალციხელები“ ადარ ჩანდნენ სამეტოქეო ასპარეზზე. მან ქართველთა ძირითადი ძალები ხმლის ამოოდებულად განაშორა საბედისწერო ბრძოლის ველს,

გარნისის ბრძოლა — ქართველთა უმძიმესი ტრაგედია — მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულოს კისრად დარჩა.

ლევან სანიკიძე

რვა საისტორიო-სახსოვარი 1975 წლისა

640 წელი ქრონოლოგთა ულის დაბნეობიდან

XIV საუკუნის 30-იანი წლები. მალე საუკუნე განსრულება საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებიდან. საქართველოს მეფეა გიორგი მეხუთე, ხალხისაგან „ბრწყინვალედ“ წოდებული.

სწორედ გიორგი ბრწყინვალე იყო პირველი, რომელმაც გაბედა უწოდნერ „მსოფლიო მბრძანებელთა“ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა, დიდწყო იმით, რომ მან მონღოლთა ყაენს ხარკის ძღვაზე უარი შეუთვალა.

წილი ნაყარია! რუბეიერნი გადალახულია!

და ყაენმა დუმილით უპასუხა!

მაგრამ დუმილი მარცხთან შერიგებასაც ნიშნავს და ავიანმასწავლებელ შერისგებასაც. ხოლო, რომელი იგულისხმებოდა ყაენის დუმილში?!

მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს პაუზები არ უყვარდა და მახვილის ჯვარდინზე ხელდადებული მიადგა ქართულ სამანებთან ჩარიგებულ მონღოლურ ბანაკებს. მიეიდა და მისელისთანვე ჯიქურ უბრძანა: ან თქვენის ნებით, უსისხლოდ დატოვეთ საქართველოს მიწა-წყალი, ან ბრძოლა მიიღეთო! მონღოლთაგან ზოგი მოიქცა „გონიერებითა“ და საქართველო უომრად დატოვა. დანარჩენები მახვილს მიწყდნენ. ქართველებიც „მიეშენენ“ მახვილამოწყდილნი ბრძოლა გაგრძელდა ძმიმედ, სისხლაჯერად, რამდენიმე წელს.

ბოლოს, ქართველებმა თავისი გაიტანეს და ყველა შეტაკება მონღოლთა სრული მარცხითა და განდევნით განესრულა.

ასე „განასხნა თათრნი საქართველოსაგან“ მეფე გიორგი ბრწყინვალემ.

ეს ამბავი საქართველოში მონღოლთა გაბატონებიდან სწორედ 100 წლის თავზე მოხდა— 1335 წელს (გიახსენე, მეეთხეელო: მონღოლთა ბატონობა საქართველოში 1235 წელს დამკვიდრდა).

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო მბრძანად“ იქცა, რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მეოთხთაგან იგი აღმოჩნდა პირველი, რომლის მოთავეობით მისმა ხალხმა პირველმა დაამხო უბაროტესი „თათრული ულელ“.

გამარჯვება გამარჯვებად დარჩა, მაგრამ გიორგი ბრწყინვალეს არ შეეძლო ყური აეკლო მისი ქვეყნის შინაგანი ავსნებოვანებისათვის, რომელმაც ერთჯერ კიდევ იჩინა თავი სწორედ მონღოლთან გადამწყვეტი ხმალთაკვეთების ძამს. ეს იყო ისევ ეა ღალატი და საქეკენო-ეროგნული საქმეებიდან განდგომა-განრიღება თვითნება და თავკერძა ფეოდალებისა. დიდ გამთავისუფლებელ ომში არ მონაწილეობდნენ ქვემო ქართლისა („სომხითნ“) და კახეთ-ჰერეთის მთავრები. უფრო მეტიც: „სომხითის“ მმართველნი, მხარგრძელთა „უმეცარ-ბატონთა“, შეფარვით მონღოლთა მხრეს იქნენ. ნენ და ქართველი მეფის წარმატებებს მზაკვრული მზერით ზეერავდნენ.

ახლა უკვე თვალში საცემად აშკარა ხდებოდა ქართულ ფეოდალურ შტოთაგან ფრიად საეხელგანსმენილ მხარგრძელთა საგვარეულოს „ისტორიული ხასიათი“ მთელი მათი „მოღვაწეობის“ 150 წლის მანძილზე. მხარგრძელები იყვნენ ტიპიური ეგოისტი და ეგოტისტი მეგატონენი, რომლებიც ეჩოსაკით ყველაფერს თავისკენ მიითელიდნენ და „სამშობლო საქართველოც“ სხვად არაფრად მიაჩნდათ, თუ არ მხოლოდ და მხოლოდ ასეთი პირადი „მოთელ-მოჭმის“ საშუალებად.

ზოგიერთი რამ წინარე ისტორიიდანაც გავიხსენოთ და ისე განვსაკოთ: 150 წლის მანძილზე (დაახლ. 1180-1330 წწ) ისტორიამ სულ 11 მხარგრძელის სახელი შემოგვინახა. ეს იყო ორი ძმის — სარგისისა და ვარამის ოჯახთა წარმომადგენლობა:



აქედან, ჯერ მხარგრძელთა „უფროსმა თაობამ“ (სარგისი და ვარამი თაეიანთი ვაქეებთ) დაიწყო „ღალატი სერიოზ“ პოლიტიკური კარიერა: ჯერ გიორგი მესამეს ეფიეცეობდნენ ერთგულებას, მერე მის წინააღმდეგ შეთქმულ ომმა ბატონიშვილს, მერე ისევ გიორგის დემნას წინააღმდეგ. ეს იმის და მიხეცთან, თუ საით გადაქანდებოდა პოლიტიკური სასწორი. ოგივე უფროსმა მხარგრძელებმა მოახერხეს 45 წლის მანძილზე უპირველეს ქართველ ფეოდალთა შორის მდგარიყვნენ სამეფო ტახტის გვერდით. ყურადღება მივაქციოთ: სწორედ ეს 45 წელი ძლიერი ხელმწიფეები (გიორგი მესამე, თამარ მეფე, გიორგი ლაშა) განაგებდნენ საქართველოს და მხარგრძელთა საგვარეულოს „ისტორიული ხასიათის“ გამოვლინებაც სწორედ ის გახლავთ, რომ ისინი სწორედ ძლიერ საეეთმპყრობელთა ახოვან მუხლებთან მუხლებმოკეცილნი ახერხებენ დაწნაურებას. მხარგრძელებმა მხოლოდ გიორგი მესამის, თამარის, დავით სოსლანისა და გიორგი ლაშას შეეეალი მბრძანებლობის ქვეშ შეძლეს „დიდი ერთგულებაც“, „დიდი სარდლობაც“, „დიდი მამულიშვილობაც“. მაგრამ, როცა ვამბობთ „შეძლეს“-ეეოქი, რასაკვირველია, აქ ყოველგვარი გულწრფელი (გულწრფელი-მეექი!) ერთგულებაც და მამულიშვილობაც გამორიცხულად უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვიგულისხმოთ, რადგან ერთიანა და მეორეც მაკაცი იქნებებად მოდიოდა: მხარგრძელებს, ვითარცა ტიპიერ ფეოდალებს, სხვა გზა არ ჰქონდათ (ანუ გასაქცევი არ ჰქონდათ და ვერ გარბოდნენ) და ამიტომ ძლიერ მბრძანებლებს უნდა დამორჩილებოდნენ. ხოლო ეს მორჩილება, — როგორც ეს ჩვეულებრივ, სამეფო კარსა და ფეოდალური იერარქიის ეთიკას სწევეია — უნდა გამოვლინებულიყო ერთგულების, თავდადებისა და მამეული ნიეზით. აწერად ასეთი ნიღბის ქვეშ მიჰქონდათ მხარგრძელებს თავისი ნიჭი და სიმამაცე (რაიც მათ არ აკლდათ) „სამშობლო-საქართველოს საკურთხეველზე" (იგულისხმე: საკუთარი ეროს საკურთხეველზე). თანაც საკმარისი იყო სადმე (საქართველოში) ან სადმეიდან (საქართველოს გარეცან) „უფროს ძლიერი ძალა" გამოჩენილიყო და მხარგრძელებიც მაშინვე ქვეყნ საალოცავებს მიაფურთხებდნენ და „იმ ახალი ძალის" წინაშე ჩაიეკაცვდნენ მუხლებს. ეს სულ მალე დაადასტურა საქართველოს ჩარხის უკუღმა დატრიალებამ. თუმცა მხარგრძელთა „უფროსი თათბილ" ექვსი წარმომადგენლოდან ხუთმა მოასწრო ამ ქვეყნიდან „დიდი" მოღვაწისა, სარდლისა თუ მამულიშვილის ტატლული წასვლა: ისინი ახალ ღალატსა და განდგომას ვეღარ მოესწრნენ (ანუ ვერ მოასწრეს), რადგან საქართველოს მაღალ სეკეთმპყრობელთა სიკვდილს, ან დასუტებას, ვერ მოესწრნენ სიკრთოდ. ძლ ერ გვიჩვეოსანთნა „ტრიადის" (გეორგი მკსპე, თამარი, ლაშა) სიკვდილს უფროს მხარგრძელთაგან მხოლოდ ივანე ათაბაგაშორსსასალარი მოესწრო, და საკმარისი გახდა ტახტზე შედარებინ სუსტი ფიგურის (ოუსუდანი) გამოჩენა და „დიდი ათაბაგი" უცეკ დაპატარავდა, „მარადღლეველობა" „მარადღლეველობად" შეეცვალა (გავიხსენოთ: მისი სამარცხენო მარცხი მარბიელ ყიჩაყთაგან, მერე ორჯერ სამარცხოლთაგან და მთავაგნე სამარცხენო ტაეეიბა); ბრძოლოა „გულმხეცი" მთავარსარდალი გულუუკენი შეიქნა. მერე საკართველოს დიდი მბერი გამოუჩნდა — „ჯალალ ადდინი. მხარგრძელმაც ნამდვილი „მხარგრძელური ალღოთი" შეიფასა ახალი ძალის „სიდიადე", მაშინვე „ძლიერი მეუფის" წინაშეა ატაეისტური რეზნიციის სურეიელა სძლია და... ვარნისის ტრაგედიაც უმალვე დატრიალდა! ივანე მხარგრძელმა „დიდ ჯალალ ადდინს" გადამეშეკეტ ბრძოლაში მხოლოდ მისი შეერანინ თვალით ამოჩეგმეტული ახალციხელები შეადლტა, ხოლო მთავარი ძალებთან ხმლის ამოუღებლად უკან მობრუნდა. გამოიქცა და საქართველოს სამხეთეთლი კარიბეჭენი სავსებით პირმორეველი შეატოვა მძვინვარე მტრის. მტერით, მაგრამ რა მტერი და ვისი მტერი, ან ვინ ვისი მტერი?! აწერად მაშინ გახდა აშკარა: მხარგრძელისათვის საქართველოს მტერი მისი პირადი მტერი არა ყოფილა. „პირად მტრებად" მხარგრძელს სხვანი ჰყავდა — „თანაქართველნნ" ერთსისხლ და ერთხორც" — ძმები ახალციხელები, და აკი ახლა, გარნისის შეტაკებში, მან თავისი „პირადი მტრები" საქართველოს „საერთო მტერს" შეაკლა. შეაკლა და მაშინვე უკუიქცა, რადგან „თავისი საქმე" (ახალციხეთთა დალეპვა) უკვე მოთავებეული ჰქონდა. ხოლო „დიდ ჯალალთან" ბრძოლა მხარგრძელს ხელს არ აძლევდა. ის კი არა და, უფრორე... ერთი სიტყვით, საქართველოს უდიდესი ტრაგედია — გარნისი — მხარგრძელის გვარის მქონე ქართველი ფეოდალის კისრად დარჩა! ეჭვი არ არის, სულ მალე ჩვენ მას ეიხილავდით „დიდი ჯალალის" წინაშე მიეხეეშჩაკეცილს. მაგრამ მისდა „საბედნიეროდ" უმალვე სიკვდილმა დაიხსნა იგი ისტორიაში აშკარა მოღალატისა და რენეკატის ირლიყიან შესალისაგან.

ახლა მხარგრძელთა „მომდევნო თათბა" გავსინჯოთ: ავაგ ივანეს ძე, მამა-შვილი შანშე და ზაქარია, ეარამი და აღბეკა. ყველანი საკუთარ სოროში ჩაიზემქრნენ და მრისხანე მტერი საღსალამათად გამოუშვეს ტფილისისაკენ. მერე ტფილისის გიეგანარი ტარაგდნა, და „ყველანან გამოჩინებელ" მხარგრძელთაგან არც ერთი არ ჩანს საქართველოს სატახტო ქალაქის დამცველთა შორის. შემდეგ მონღოლური ტაიფენი მოიპრა და მტერს ისევ პირველნი მხარგრძელნი შეხვდნენ, — შეხვდნენ ისე, როგორც მათი გვაროვნულ-ატავისტური ენება უკარნაზებდათ: ჯერ ქვეცნობიერი შიშით სადღაც ეეგზო-უკვლოდ გადაბიეეწნენ და მოეფალ ქვაბულებში ჩაინთქნენ, მერე, როცა „გონს მოეგენნ", „მობრუნდნენ", „ახალ ძლიერ მეუფეეებს" ჯერ მდიდარი საჩუქრები და ცოლ-შვილიც (!) ძღუნად მიუგზავნეს!, მერე თვითონაც ეახლნენ, ეთაყვანენ და მათ ფერხთა მტერად იქცნენ. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართველი ფეოდალთა უმრავლესობას მონღოლთა წინააღმდეგ საერთოდ არ აუღია ხელში მახვილი, მაგრამ მხარგრძელთა ლაჩრობა. „უეცხო თესლთა" წინაშე მონღური რეზნიციელთა ეა, რაც მთავარია, ერთობაშვე მოვარდნილ, მანამდე სასეკინთ უეცხო ჯადამთიელებთან ასევე ერთბაშად შეგუება და „შეესისხლხორცება", საქართველოს (თუნდაც ფეოდალურ) ისტორიაში პირდაპირ საოცარ, უწინამორბედო მოვლენად გამოჩანს (ანდა, თუ წინამორბედთა მონახვა აუცილებელი გახდება, მაშინ მათი მიგნება არ გაეჭირდება ისევ მხარგრძელთა „უფროს თათბაში").

ამასვე მეტყველებს კოხტასთვის შეთქმულება, რომელშიც თავისი რჩეული წარმომადგენლობით მონაწილეობას ღებულობს **საქარ-**

ლევან სანიეიძე

თველოს ყოველი კუთხე, გარდა ქვემო ქართლ-„სომხითისა“. კოტტასთავი ხომ იმფრთხილდელი ზოგადქართული ეროვნული შემეცნებისა და თვითშეგნების უბრწყინვალესი გამოვლინებაა. და მაში მხოლოდ მხარგრძელები არ ღებულობენ მონაწილეობას — სწორედ ის მხარგრძელები, რომელთა „უფროსი თაობა“ ზოგადქართრული საქმეთა სათავეში წამოსაკუბებას იყენენ ჩვეულნი. მაგრამ რა გაეწყობა — „დრონი მეფობენნ...“ აკი მაშინ „ქართული მეფუბება“ იყო ძლიერი, ხოლო ახლა — „მონღოლური მეუფება“. ერთი სიტყვით, მხარგრძელებს მხოლოდ „დრო და ჟამის შესაფერად“ ესოფვებათ და ეხერხებათ ცხოვრების „მოწყობა“.

ძალზე საგულისხმოა, რომ კოტტასთავის, — ვითარცა ზოგად-ეროვნული მოვლინების — მთავარი გმირი შეიქნა არა საქართველოს „ცენტრში“ მბრწყინავი რომელიმე მხარგრძელი, არამედ საქართველოს „პროვინციაში“ მოკოძალებით „განლტოლვილი“ კოტნე დადიანი. მართლაც და, დღემდე ყოველგვარ მეცნიერულ და მხატვრულ შეფასებათა მაღლა დგას კოტნე დადიანის სოციკონი გმირობა, პირველ რიგში, ვითარცა ზოგადქართულ-ეროვნული პატრიოტიზმის სრულქმნილი (ვინა „ლასპიკური“) გამოვლინება. კოტნე დადიანის გმირობის ფონზე სავსებით უღიმღამო ჩრდილებად იქცევიან სამეცნიერო და კაზმულ სტუდიერებში ესოდენ „განებივრებულნი“ და „გაალერსებულნი“ მხარგრძელნი. თუმცა შედარებაც კი მკრეხელობად მიმიჩნევია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა გადაჭრით: მხარგრძელთა მთელი საგვარეულოს „ეროვნული ნიღაბი“ მარტო კოტნე დადიანის სრულიად ქართული მამულიშვილობის ფრჩხილადაც არ აიწონება.

მაგრამ კოტნე დადიანის ვმირობა ქართული მამულიშვილობის მწვერვალია. ჩვენნ „უთანასწორო შედარებას“ განვერიდოთ და „მწვერვალიდან“ რამდენიმე საფეხურით დავიქვეითოთ. მხოლოდ დასახელება ეიკმაროთ: ბაკურ, ფირან და ფაზა იბერიელები, ფარსმან კოლხი, ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძენი, გაბრიელ ოჩოანტრესაძე, თორნიკე ერისთავი, იოანე მარუშისაძე, ძმები გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისაძენი, ბაკურტიხელნი, ქაგანისძენი, ასათისძენი, კახაბერისძენი, გამრეკელნი, ჯაყელნი, სურამელნი, კალმახელნი, ძმანი ახალციხელნი (მარტო შალვა რად ჰღირს!) ..და ისევ გაფიქრკთალდებიან „საგანგებო აპოლოგეტთა“ ხელით „გაიდეალებული“ სახენი მხარგრძელებისა.

მხარგრძელთა „საგვარეულო ბუნებას“ მარტლაც არ შეეძლო თავისი წიაღიდან წარმოეშვა ზოგად-ეროვნულ-ქართული გმირი. ეს ასეა, რადგან რენეგატიზმი გმირს ვერასოდეს ვერ წარმოშობს. მთელი 150 წლის მანძილზე ყოველი ცალკე მხარგრძელის „ეროვნული ინტერესი“ მათი ლოკალური ფეოდის (ეგზისტენციალურ მეფეთაგან ბოძებული ფეოდის)—„სომხითის“ (ანუ ქვემო ქართლის) ეთნიდლეგობისთვის ზრუნვის ფარგლებს არასოდეს გაშორებია. ამისათვის — საკუთარ ლოკალურ საბუდართა „მოწყობისათვის“ — „დრო და ჟამის შესაფერად“, მხარგრძელები 45 წელი ქართველ მეფეთა მეუხლეს ელაციცებდნენ (რადგან მაშინ ქართველ ვეგრიგენონსნებს ჰქონდათ დიდად ახოვანნი მუხლები). მერე 10 წელი ხვარაზმელთა შიშველი იატაგანების ქვეშ მოიშიშვლეს საკუთარი ხელით კისრები (რადგან ხვარაზმელთა ავზნიანნი ბელადი იყო მაშინ „დროის ვმირი“) და ბოლოს, მთელი 100 წელი მონღოლურ უღელს შეებნენ და „შეეზარდნენ“ თითქოს და, სავსებით „ბუნებრივად“ და „ორგანულად“ (რადგან ცინიზმით აესებულმა საისტორიო ფორტუნამ მონღოლთა მოდგმას არგუნა ასწოლილი ბატონობა საქართველოში).

მხარგრძელთა არსებობის საუკუნენახევრიანი რენეგატული ისტორიიდან ბნელი ფერები უფრო ძლიერად იეკვრებიან, ვიდრე ნათელი სხივები. ქართული ფეოდალური ისტორიის ქსოელზე ამ ქართული სავგარეულოს (არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ იგი შორეული წარმოშობით ქურთული მოდგმისაა) „უსანი“ რაღაცნარ მექ, უსახურ-უფორმო ლაქად აღბეჭდილა. მისმა „ღვაწლმა“ ზოგადქართულ ისტორიას უფრო ავნო, ვიდრე არგო.

ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობის ღვთაებას, თემიდას, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. და იმანაც თავისი მახვილი მეფე გიორგი ბრწყინვალეს შეაბა წელზე.

მხარგრძელთა უმეტესი თაობის „ანტიქართული პოლიტიკა“ განსაკუთრებით სწორედ გიორგი ბრწყინვალის მეფობისას ვამჟღავნებდა. მხარგრძელებს „დრო-ჟამისობის“ მანამდე უტყუარმა ალღომ ამჯერად უღალატად და ქართველთა და მონღოლთა შორის ამამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ისევ მონღოლთა მხარე აირჩიეს. ისინი, კახეთ-ჰერეთის მთავრებთან ერთად, უცხოური უღლის დამხობისათვის დიდ ეროვნულ ბრძოლას განერიდნენ და გაექცნენ. ასეთი პოლიტიკა გიორგი მეფეს, სავსებით სამართლიანად, ნამდვილი ღალატის პოლიტიკად შეეფასებინა.

და თემიდას მახვილიც გაშიშვლდა.

გიორგიმ კახეთში, ცივს მთაზე გამართულ საზაფხულო სასახლეში, მოღალატეებს თავები დააყრევინა.

ასე გადაწყდა: მარტივად, მკაცრად, უძვერელი გულით, მტკიცე მკლავით და ცივი ფოლადით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

350 წელი მარტყოფის ბრძოლიდან.

1625 წლის აღრიცხვა გაზაფხულზე შაჰ-აბასმა, ირანის აეუნენამა მბრძანებელმა, ქართველ-კახეთის საბოლოოდ ამოსაგდებად ახალი, დიდძალი მხედრობა გამოგზავნა. ყიზილბაშურ ურღოს სათავეში ედგა ირანელთა უპირველესი სარდალი ყარჩიხა-ხანი. მას თანასარდალად და მრჩეველად მოაყვანდა გიორგი საკაძე, დიდი ქართველი სარდალი და მამულიშვილი, ქართველ ფეოდალთა წეალობით სამშობლოდან ლტოლვილი და აქაშდე ირანს შეხიზნული.

მორიგი მათხარი ლაშქრობა საქართველოში „მოყვრობის“ გამოცხადებით დაიწყო. ყარჩიხა-ხანს მაშინდელი ქართლის მმართველისათვის, სიმონ-ხანისათვის, ისპაჰანიდან საცოლე მოუყავდა და სპარსული არმიაც სპეტარძლის ვითომ მაყრონად მოაყვანდა.

გიორგი საკაძემ არაფერი იცოდა, რომ კახელთა სრული გაწყვეტისა და ქართლელთა დედა-წულნან აყრისა და ირანს გადასახლების „გვირგვინად“ მისი წარკვეთილი თავი უნდა მირთმეოდა გულგასელილ შაჰს.

მაგრამ არც შაჰ-აბასმა იცოდა, რომ გიორგი საკაძე საქართველოსკენ ქართველთა ასაკინაებლად და ირანელთა ამოსაწყვეტად მოეშვრებოდა.

სპარსელები ჯერ თბილისს მოვიდნენ, სიმონ-ხანს სადღიფლო მოუგზავნს, ქორწილი გადაიხადეს, მერე მუხრანს გავიდნენ და ალაზანის ველზე დაიბანაკეს.

აქ ყარჩიხა-ხანმა კახელთა ლაშქარი დაიბარა, იმერეთს გალაშქრების საბაბით. კახელებიც მოვიდნენ, მაგრამ მათ აქ ახალი ბრძანება დაჩნდათ: იმერელები თქვენი თანამოძმენი არიან, მათთან ლაქრობას არ ვეგნლობითო და ამიტომ იარაღი ჩაგვბარეთო, სამაგიეროდ საჩუქრები მიიღეთ და უკანვე გაბრუნდითო. საჩუქრების მისაღებად კახელები მოშორებით მდგარ კარავში უნდა შესულიყვნენ სათითაოდ. აქვე მათ სათითაოდვე დაკვლა ელოდათ სპარსელ ჯალათთა ხელით. მაგრამ სპარსელთა ვერაგი განზრახვა გამეღილნდა. კახელებმაც ხმლები ეშიშველეს, ყიზილბაშთა სალტე ჩეხეთ გაარღვიეს და სამშვიდობოს გაადწიეს. სპარსელებს საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ კახელთა გადარჩენის ეს მოულოდნელი ამბავი მათ ბანაკში მყოფი ქართველი სარდლის რაღაც იდუმალ ზრახვებთან იყო დაკავშირებული. შაჰ-აბასსაც უნდა შეეტყო „კახელთა კაზუსის“ შესახებ..

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი საკაძეს შემთხვევით ხელი ჩაუვარდა სპარსეთიდან მოსულ ოლოკეი ფაიქი, რომელსაც შაჰის წერილი მოჰქონდა, ბრძანებით ყარჩიხა-ხანისადმი: ქართველები დაუუბრუნებლიე ამოხოცე და გიორგი საკაძეს, „რადაც უნდა დაგიჯდეს“, თავი გაგაგდებინე!

გიორგიმ შეკრიბა იქვე მოკლა და მიწაში დაფარა. სწრაფად ამოქმედდა. ყველაფერი უნდა მოესწრო და დაესწრო.

მოხდა ის, რაიც ერის ისტორიაში ასეთ საგანგებო, კრიტიკულ ჟამს მოხდება ხოლმე. გიორგიმ თავისი მოსისხლე თავადები დაიბარა და სპარსელთა დამამხობელი ჯანაუების გეგმა მათ თვალწინ გაშალა. შინა-სოციალურ მესისხლეობას დროებით თავი უნდა „მოემძინაროვინა“...

1625 წლის 25 მარტი, ხარება დღის რიგრაკი. მარტყოფის ველზე ძილს მისცემია სპარსელთა ბანაკი. მთავარსარდლის კარავში სძინავს ყარჩიხა-ხანს. მახლობელ კარვებში „სძინავთ“ შაჰ-აბასის „ერთგულ“ გიორგი საკაძეს, მის ვაჟს ავთანდილს, ელია დიასამიძეს, პაატა ხერხეულიძეს და პაპუნა ვაშაყაშველს.

უეცრად, სისხამ დღე-ღამის განსაღრეკელზე, ელვასავით მოიქცა ქართული ჯარი ზურაბ ერისთავის მეთაურობით. უწესრიგოდ აიშალა სპარსელთა ბანაკი. კარვიდან გამოიქცა ყარჩიხა-ხანი და ისტერიული ყიჟინით იხმო ყველა თანასარდალი, რაღა თქმა უნდა, საკაძეც. გიორგიც მოიქცა თავისი ოთხი თანამებრძოლით. მოიქცა და წამსვე ყარჩიხა-ხანს შიგ გულში, ზურგშივაწოწვინი, აძგერა შები. ის იყო ყარჩიხა-ხანმა დაცემა მოასწრო, რომ მისი შვილი, იმამვერდ-ბეგი, ავთანდილ საკაძემ აღმეფდა გადაჰკვეთა ძლევამოსილეული ხმლით. ამასობაში, დიასამიძე, ხერხეულიძე და ვაშაყაშველი დანარჩენ სპარსელ მეთაურებს სჩეხდნენ. ასე — ქართველმა ხუთეულმა რამდენიმე წუთში თავი მოჰკვეთა ირანელ ურჩხეულს. ზურაბ ერისთავიც უკვე შემოეჩიოლიყო ბანაკში. მთელი დღე ქლეტდნენ ქართველები უწესრიგოდ გაბნეულ და დაფანტულ მტერს.

30000 ყიზილბაშიდან მხოლოდ 3000 გაასწრო სიკვდილს.

საქართველოში იდგა დღე — „ხარება“.

7.

350 წელი მარაგდიდ ბრძოლიდან

მაგრამ „ხარება-დღეები“ დათვლილი იყო საქართველოში.

მარტყოფის უმძიმესი მარცხითა და ქართველ-კახეთის დაკარგვით გაეკოფებულმა შაჰ-აბასმა ძმაკეცად დატოვებულ პაატა საკაძეს თავი გაკვდებინა და ქართველ-კახეთის ამოსაწყვეტად ახალი, უზარმაზარი არმია წარმოგზავნა თავისი სიძის, ისა-ხან ყორჩიბაშის მთავარსარდლობით.

შაჰის ბრძანებით, საქართველოსაკენ მოშავალ ყორჩიბაშს თავიანთი ძალებით შეეერთნენ შირვანელი ყაზახ-ხანი და ერევნელი ამირგუნე-ხანი. სპარსელთა საშველად მოელოდნენ ზაზრანიკანის ბეგლარ-ბეგს შაჰ-ბენდე-ხანს. ყორჩიბაშს მოსდევდა ნუნეური და მამაცი ქართველი ბატონიშვილი ხოსრო-მირზა (შემდეგში ქართლის მეფე როსტომ-ხანი).

ივნისის ბოლოს მოვიდნენ და მარაბდის ველზე დასცეს ბანაკი.

20 ათასი ქართველი შეიყარა მტრის უზარმაზარი უძლოს სპირისპიროდ. ტაბახმელასა და კოკრის მთებში დაიბანაკეს. აქ მოსულიყო ყველა ცნობილი სარდალი: გიორგი საკაძე, თეიმურაზ მეფე, ზურაბ ერისთავი, ალათინა ხერხეულიძე, დავთა ჯანდიერი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, იესე ქსნის ერისთავი, ბაადერ ცალიშვილი და მანეჩარ ათაბაგი. ბრძოლად მოსულიყვნენ მღვდელთმთავრები და რიგითი სასულიერო-მოწესენი.

თათბირად დასხდნენ სარდლები. თუმცა ბევრი სათათბირო და საკამათო რა უნდა ყოფილიყო? უმარტივესი ეს შემარტივება: მცირე ჯარს მტრის კაცელებთან დიდ არმიასთან ვაშლილ ველზე შერკინება უმრავლეს შემთხვევაში მარცხს არეკუნებს, ხოლო მთავრობის ადგილებში შეტაკებისას დიდი არმია მთელი ძალებით ვერ გაიშლება და მისი მობილისპირე მცირე ჯარი ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. ამასთან, რაკი ძალზე სიცხისნი ამინდები იდგა, ბუნებრივად უნდა ეფიქრათ, რომ სიცხით გათანჯულ მარაბდის ველზე სიცხეს შეჩვეული ირანელები უფრო ძალმოსილად იომებენენ, ვიდრე ქართველები. ამიტომ, ბუნებრივია, ამ მოტივითაც ქართველები კოკორ-ტაბახმელას მთებში უნდა დარჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას.

ეს საკმაოდ უბრალო, საღი და ნათელი მოსაზრება წარმოადგინა გიორგი საკაძემ. მაგრამ მოხდა ყოველად გაუმართლებელი მოუოლოდნელობა: დანარჩენმა სარდლებმა საკაძის განასაჯა დაიწუნეს და მარაბდის ველზე მტრისთან ჩახდომა და დაეფაფეინებლივი ბრძოლის გამართვა გადაწყვიტეს.

ეს იყო პირველი გაუსწორებელი შეცდომა.

მთავრსარდლობა, თეიმურაზ მეფეს მისცეს და არა გიორგი საკაძეს.

ესეც — მეორე გაუსწორებელი შეცდომა.

ერთი სიტყვიით, გულზეიდმა, თავკერძა და პატივმოყვარე ფეოდალებმა ყველაფერი ისე გადაწყვეტეს, როგორც საქართველოს დასაქცევად მოსულ მტრს მოესურვებოდა და მოინატრებოდა. ირანელთა სარდლობას იმედიც ჰქონია, რომ ქართველები მარაბდის ველზე ჩამოსვლას გადაწყვეტდნენ და ამიტომ იქვე საომრად დიდის ბეულმოდგინებით გამზადებულან. სანგრები გაუთხრიათ, მათ უკან ბატარეაზნები ჩაუწყვრიელებიათ, ზარბაზნებიც ადგილზე დგომ 12.000 მეთოფეე ჩაურიგებიათ ოთხ რიგად: პირველი რიგი — ცალ მუხლზე ჩაჩოქილი, მეორე — ფეხზე მდგარი, მესამე — ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთხე — კიდევ მაღლა, აქლემებზე აღმაღალნი. ცენტრში თვითონ ყორჩიბაში ჩამდგარიყო რჩეულთა მხედრობით. ფლანგებზე ხმირ ტყედ იდგა დანარჩენი ლაშქარი.

ქართველებმა ღამით ზარიება მიიღეს, კოკრის მთებიდან დაეშვნენ და დილით, რიგრიგზე, მარაბდის ველზე ჩასულნენ, მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ.

მაშ, 1625 წლის 1 ივლისი. მარაბდის ბრძოლა.

თეიმურაზმა წინ ცხენოსნები დააყენა, უკან ქვეითი ჯარი. სათოფე მანდილადე ნელი ნაბიჯით იარეს, მერე ფარ-შუბი გაიმართეს და ჭეკნებთ გაფრინდნენ. თორმეტითასმა თოფმა და ზარბაზანმა იგრიალა სპარსელთა მხრიდან. ქართველებმა პირველი სისხლი არად ჩაავდეს და გაალმასებთან შეიჭრნენ მტრის გასალაგებებში. საშინელი ხმალთაკვეთებთან ჩაჰკიფეს და ჩაანწვნეს ყორჩიბაშის მეწინავენი. მერე ცხენებზე და აქლემებზე ამხედრებულებს მიუხდნენ, უკუაქციეს და ჩეხვით დაეფვენენ. რომელიღაც ქართველის ხელით განგმირული დაეცა მეთოფეთა სარდალი, ეოევნენ ბეგლარ-ბეგი, „ყვითელ ჯიქად“ წოდებული ამირგუნეხანი. ქართველებმა ცენტრიდან ფლანგებისაკენ გაშალეს ბრძოლა. ყველა ეგრეი იყო ამ დღეს — ელვნიც, აზნაურიც, თავადიც, მეფეც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბერიც. კვლავ საარაკო სიმამაცით იბრძოდა გიორგი საკაძე. მას მუზარადი მოეხადა, რათა სპარსელებს ზარი დასცემოდათ მათთვის ნაცნობი ზღაპრული სახის ხილვისას. საკაძე იყო ყველგან, სადაც უფრო დასჭირდებოდა მისი მგრძობა ქართველთა რაზმებს. ცხენი მოეკლეს ვიორკის თოფის გასროლით. საკუთარი მოართვა მის ვეერდით შებრძოლმა ლომი ჩრდილელმა. გიორგი გამოდგენნ გაქცეულ მეთოფეს, წამოეწია, ხმლით გასჩეხა და მისი ცხენი სანაცვლოდ მისცა ლომი ჩრდილელს.

ქართველთა გამარჯვება საეჭვო აღარ იყო.

მაგრამ ისევ მოხდა მოუოლოდნელი: ბრძოლად მოვიდა ახალი ძალა, — ახალი დიდი მხედრობა მოეშველა თითქმის განადგურებულ სპარსელთა ბანაკს. ეს იყო აზერბაიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰ-ბენდე-ხანი და მისი არმია ბრძოლა თავიდან უნდა დაწყებულიყო. უნდა დაწყებულიყო მაშინ, როცა ქართველებს იგი უკვე დასრულებული ეგონათ. ეგონათ, რადგან „თითქმის გამარჯვებულებს“ უკვე დაეშალათ თავიანთი საომარი წყობანი. ერთი ნაწილი,

ავთანდილ საკაძის მეთაურობით, გაქცეულ ჯიზღიბაშთა გუნდს გამოპკიდებოდა და სიკეთით გადაკარგულიყო ბრძოლის ველიდან. სხვებს ბრძოლისთვის თავი მიუნებებიათ და ნადავლ-ალაფის შეგროვებას შესდგომიან.

დაფანტულმა, სისხლდაღვრილმა და სიცხოსაგან დაოსებულმა ქართველობამ მაინც სცადა გამარჯვების შენარჩუნება. მაგრამ „ნეკაშე ძალის“ მოსვლამ ქართველთა მარცხით დაკვნა ბრძოლის სასწორი. ამაოდ ცდილობდა საკაძე შეეკავებინა ბრძოლის ველიდან გაქცეული მხედრობა. ბრძოლად დაგდებული ქვეითი ჯარი, ქართველი გლეხობა, უსაზღვრო შეაწუხდა გაეშვებულ რიცხვმრავალ მტერს.

ბრძოლა გათავდა. მარაბეის ველი 24000 გვამით იყო დაფენილი — 10000 ქართველი და 14000 ირანელი. დაზოცილ ქართველთა შორის იყვნენ სარლეზი: დავთ ჯანდიერი, აღთანგ ხერხეულიძე, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, პაატერ ციციშვილი; ეპისკოპოსები — რესთველი და ხარჭაშვილი.

გულდალახვრეულნი იწვნენ: ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაველი, ზვიდი ჩოლოყაშვილი.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორგა ქართველი მიწა-წყლის საკუთხეველზე. აღესრულა უკანასკნელ მარცხისა და უბადლო გმირობის პოთეოზით.

8.

180 წელი კრწანისის გრძოლიდან.

1795 წელი. ქართველთა ქვეყანა ისევ გათიშულია „ორ საქართველოდ“ ქართლ-კახეთად და იმერეთად, ხოლო „მესამე საქართველო“ — სამცხე-საათაბაგო — ოსმალთა ბირობით ულლის ქვეშ მოქცეული, ეროვნული გადაშენებისა და გადაგვარების უფსკრულს მისდგომია. ღრმა მოხეცებულობაში ჩაშდგარა ერეკლე მეორე, უკანასკნელი დიდი ქართველი გვირგვინოსანი, ძრაველი ძლევამოსილი ბრძოლის კაკალური, ევროპა-აზიაში სახელგანსმენილი სტრატეგოსი და სწორეაუოვარი მხედარ-მეომარი. ხოლო საპრაქტიოთ, ირანი — ქართველი ხალხის ეს მარადიული სამტრო-საბუდარი — ახალი სამხედრო ალორძინებისა და აღზევების გზას შესდგომია. მის სათავეში ჩამდგარა კაკობრიული მაზანდარონის „ჩრეულთაგანი“, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, სხეულით საჭურის-ქონდრისაკენ, საქმით ირანის დიდი მბრძანებლებს — შაჰ-აბასისა და ნადირ-შაჰის ბადალი.

ქართველი და სომეხი პატრიოტები საფრაქეოული საფთხის აღსაკვეთად ერეკლე მეფეს მოთავეობით მტკიცე ალმი ერთიანობაზე ოცნებებენ და დიდ რუსეთთან სამარადჟამო შეკავშირებისაკენ მიიტყიან. აღა-მაჰმად ხანს განაკუთრებით სწორედ „მეიერკეკასიაში“ რუსეთის ჩაშოსახლება აშიშვს და ერეკლე მეფეს, ქართველ-სომეხთა მთავარ მესვეურს, ჩრდილოეთი პოლიტიკისაკენ ხელის აღებას „უბრძანებენ“ ან სამაგერად საკუთარ „ფოლტობაზ“ სთავაზობს.

ერეკლეს ჩრდილოეთიდან დახმარების იმედი მტკიცედ სწამს, მაგრამ რუსეთის სიმპერატორო კარს რეში და კაკეასიის ხალხების ძმობა ერთობის სიკეთისა ირაფერი გაეგებოდა ან სამხრეთისაკენ სომარ ძალთა გაძოგზავნას აგეიანებდა.

და კატასტროფაც ერთბაშად დატრიალდა.

1795 წლის სექტემბრის დამდეგს აღა-მაჰმად-ხანმა 35000-იანი თურქმან-ირანული მხედრობით ქართული სამანები გადმოლახა. ერეკლე მტრის ურდოს 5000 მეომრით (3000 ქართველი და 2000 იმერელი) დახვდა! (ეს მაშინ, როცა მცირე მოგვიანებეთ, პტრარა ალხან კლეოს თავს ადგა ირაფერნი ჩამგდონი 20000 ქართულ-კახელი მეომარი!). საფულისწერო ფეოდებად დარიგებული ქართულ-კახეთში სერიოზული სომარ ძალთა შეკრება არ მოხერხებულა. საბედისწერო ბრძოლის ჟამს კახელთა ჯარი, რომელსაც აღა-მაჰმად-ხანს განსაკუთრებით ეშინოდა, კახეთშივე იდგა უქმად „ხაქნაშიი ბატონიშვილის“ მეთაურობით...

პირველი სისხლი 7 სექტემბერს დაიქცა, „გატეხილ ხიდთან“. აქ ასეოდე ქართველი კაცისაგან შემდგარი რაზმი სანახევროდ შეაკედა ირანელთა მეწინავე ათასეულს.

8 სექტემბერს, იაღლიჯის ფერდობზე თორმეტკაციანი მზვერავთა ჯგუფი შეება მოულოდნელად შემოყრილ მტერს. ირანელები გააოგნა ათოიდე კაცის გასაოცარმა თავზეხელაღებულობამ. განსაკუთრებული შემართებით იბრძოდა დავით თარაშელი. თერმეტი დაეცა გმირის საკვდილთან. ხოლო მეთორეტეტმ, რაზმის უფროსმა გორკასაბი ნათალოშვილმა, მისგანვე მოკლული თურქმანის ცხენზე ამხედრებულმა, თბილისში მყოფ მეფეს ცნობები აასწა მტრის რაოდენობისა და სალაშქრო გეზის შესახებ.

9 სექტემბერს შაინაბადას ძირში ირანელები ქართველთა პირველ სანგრებს წაეწყდნენ. ჩასაფრებულებს ერეკლეს შვილისშვილი, დავით გიორგის ძე სარლუობდა. მისი ბრძანებანთ, ქართველებმა მტერი ჯერ ახლოს მოუშვეს და ტყვიი დააყარეს, მერე ხმალამოწყდილნი სანგრებიდან ამოცვივდნენ და ზარდამცემი ყიჟინი მტარს შეეტენენ. ირანელთა პირველი მწკრივი ჩაიკეფა და ჩაწვა, აღა-მაჰმად-ხანმა ახალი ძალები ჩაავა ბრძოლაში. საშინელი ხელჩართულობა იყო ქართველთა უპირატესობით წარიმართა. უკუქცეულმა საჭურისმა ქართველთა სანგრებს ირტილერიის ცეცხლი დაუშინა და

ლევან სანიკიძე

რეა საისტორიო-საბჭოვარი 1975 წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი იერიშნი ბრძანა. ქართველები ისევ თავგანწირული, ამალთაკვეთებით შეეგებნენ მტრის ურიცხვ ძალებს. ირანელებმა ბრძოლის წინა ხანზე რამდენიმე ასეული მკედარი და დაჭრილი დატოვეს და კვლავ უკუიქცნენ. აღა-მაჰმადმა ბრძოლაში ჩართო მისი ყველაზე სანდო და ძლიერი თარაქამელი რაზმები. ეს ამდღეკენადელი ბოლო შერკინება იყო, უყალნესად სასტიკი და სისხლეანი. ქართველებმა ისევ სძლიეს რიცხვით უპირატეს მოპირისპირეს. დადამებისას ბრძოლა შეწყდა და მარცხნივამა აღა-მაჰმადმა კვლავ არადერი იცოდა, ვის ებრძოდა იგი ამ დღეს, ქართველთა მთელ არმიას, თუ მხოლოდ მის ნაწილს? ან რა ძალა ჰქონდა და რა ამბნეებედა ამ ერთ ბუტა ხალხს, ამ დღეს რომ ასე გაეეშებინაოდ მოკმონდა ირანიშეი ათჯერ უმეტეს მოპირდაპირის წინააღმდეგ? ვინ იცის, რამდენი ქართველი და მისი მოკავშირე ჩასაფრებულა ამ კრწანისის უთვალავ ხევხეეებში?..

მეორე დღისთვის, 10 სექტემბრისთვის, აღა-მაჰმად-ხანმა ერთჯერ კიდევ სცადა ბედი. იმ ღამით მან ერთი თავისი რჩეული სარდალი, თბილისისა და მასზე მისასეელელი გზების კარგი მცოდნე მელიქ-შეკნეში, რამდენიმე ათასეულთან შანვანაცას ხოიზე გაკზავნა ქართველთა ზურგის გადასაკრეკად. საკუთრისის ანგარიშით, სწორედ ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ბრძოლის საბოლოო ბედი: ან უნდა გაემარჯვებინაო, ანდა, თუ ქართველებთან ერთჯერ კიდევ „ქართულ მეომრულ სიგიჟეს" წაეწყდებოდნენ, — როგორმე ნაოლე ხელმარცხინად ბრძოლეს ვეღლ. დროზე გაკყოროდნენ და ისევაკ ირეული ზურგისთვის (აღა-მაჰმადს ირანიდან რაღაც შინა აშლილობის ცნობა ჰქონდა მიღებული) დროზე მიეხვედნა.

ქართველებს მტრის ღამეული მოძრაობა მხედველთბედან არ გამოპარვიათ და, როგორც კი გამთენიისას მელიქ-შეკნეშის ათასეულები შავნაბადას ჩრდილო ფერდობიდან დაეშვნენ და შინდას-ოხრახეეს გაადწეს, ისინი დავით და იოანე ბატონიშვილების ჯარებმა ორმხრივი დარტყმის მარწუხებში მოაქციეს. ირანელთა მოწინაეე ასეულები შეგმინთანავე აკაკუწეს ქართველმა ცხენოსნებმა. ეიღამწკეეტ ქამს ეროკლეს ბრძოლაჯ წარმოეზაეენა იმერთა და ქართლელთა რაზმები, ზურაბ წერეთლის, ოთარ ამილახვის, ზაქარია ანდრონიკაშვილისა და იოანე მუხრან-ბატონის მეთაოეობით. ირანელთა რიცხობრივმა უპირატესობამ ძალა დაჰკარგა. ქართველებმა მათი უმრავლესობა კრწანისის ხევხეეებში ჩაბოცეს და ჩაკაფეს. თვითონ მელიქ-მეკნეში ძლივს გაექცა დავით ბატონიშვილის ხმალს.

მაშ, საქართველოს მრავალრიცხოვან სიხსლთხეეთა ექმსაბრენაეში ვიდეე შეეედა ერთი დიდი გამარჯვეეის დღე — ორშაბათი, სექტემბერი 1795 წლისა.

მაგრამ საქართველოს „ბედის წიგნში" დიდი ძლეეამოსილების გვერდით ისევ გადაშალა ჭუკეიანი ფურცელი. ეს იყო მორიგი ღალატი. ოოსებ ბებუოოოვმა და არუთინი არარატიანემ თბილისის ციხიდან სპარსეი ელჩი გაიპარეს და მისი თანხლებით ირანეეთა ბანაკში გამოცხადდნენ.

და აღა-მაჰმად-ხანმა მოისმინა საოცარი და სასიხარულო ამბავი: ერეკლე მეეეს არავითარი საომარი ძალები აღარ გააჩნია მტერთან ხელახალი შეტაკებისთვის!

უსაზღვრო აღტაცებამ აიჩქაროოა საკუთრისის ეგლიანი ველი...

1795 წლის 11 სექტემბერი, სამშაბათი დღე — ღრუბლიან-ჯანღიანი ვეთენნდა კრწანისისა და მტკვრის შესაყარში. ჰაერი დილიდანვე იყო ჩახუთული, ხორშაკიანი.

ერეკლემ მოწინაეე ლაშქრის მეთაურად შეალიეინა, იოანე გიორგის ძე დაალანა, მის შემდგომ ცენტრში თვითონ ჩადგა, მტკვარშე მიყრდნობილ მარცხენა ფლანგს იოანე მუხრან-ბატონი უსარდლა, მარჯვენა ფლანგზე ზურაბ წერეთელი დაადგინა იმერთა ათასეულითან, მათ უკან სამარქაფო რაზმებს ეახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი ჩაუყენა. სულ უკან, თბილისის კარიბეჭესთან დადგა სოლომონ მეორე იმერთა ერთი ათასეულითან. ხოლო ბალკანეთ, ხელმარჯვნივ, თაბორის მთის ფერდობიდან, არტილერიის თანხლებით მტკვრის ხეობის გადმოსცქეროოდა დავით ბატონიშვილი. ნარიყალას ციხეზეც არტილერიის ნაწილი იდგა გორგი ფურაბიშვილის მეთაურობით.

მთელის ძალებით მიდიოდა აღა-მაჰმად-ხანი, გულსრულად და გულმაჯარად, ამდღეკენადელ გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებული. არმია თორმეტ მწყობრად დაელაგებინა. მწყობრთა შორის ზარაბაზნები და ზამბოლაკები ჩაემწკრივებინა. წინ სპარსელ ყიზილბაშთა ეერდო მოდიოდა, უკან რიგეი თურქმან-თარაქამელი ჯარები მოთქარუნობდნენ.

ბრძოლა დილის 7 საათზე დაიწყო. პირველად სოფლაქეღის ვიწრობებში შეეენენ ერთიერთს ირანელთა და ქართველთა მეწინავენი. ქართველებმა ილიეინ ბატონიშვილის მეთაურობით თოფ-დამბაჩები დაახალეს ზედმოწოლილ მტერს; მეტ საფრანდან ხმალამოწედილნი ამოეცეენდნენ და ყიეინით მიეტეკენენ. სპარსთა პირველი რიგი მოიცელა. „... და ბრძოდეს ქართველთა მეწინავენი მხედრობანი საკვირველად". სპარსელთაგან უკეე იწყეს ბრძოლიდან გაქცევა, მაგრამ ზურგში მდგარმა თურქმანთა ტყვეამ, ხმალმა და აკინაკმა ისევ ბრძოლისკენ შემოაქცია ქართველთაგან ზარდაცემულნი. ისევ ჩახოცეს ქართველები სპარსნი. ზაშმა შეთხეეე

ქართველთა მოწინააღმ პოზიციას არტილერიის ცეცხლი დაუშინა.

პარალელურად თამრიის მთიდანაც დაიგრიალეს ქართველმა ზარაბზნებმა. ეს ისევ დავით ბატონიშვილი იყო. ალა-მაჰმად-ხანს წინდაღვანდელი განსაცდელი არ დავიწყნია და თავის დროზეც უზრუნველი, როგორმე აღეკვეთა თელეთ-ტაბახმელას გასწვრივ მთათაგან მომავალი საფრთხენი. სწორედ ამიტომ გაუგზავნენი მას ჯერ კიდევ ღამით სამი რჩეული ათასეული ისეც მელიქ-მეჯნუნის მეთაურობით ფილიქ-მეჯნუნი თავისი ათასეულებით უკვე მოუახლოვდა დავით ბატონიშვილის პოზიციებს. ქართველთა ახალგაზრდა სარდალმა ჯერ ზარაბზანთა ჯერი შეიგება მტერს, მერე ცხენს მოახტა და ხმალი აშშიშალა. ქართველებიც მყისვე ამხედრებულნი და ხმალაძარცული გამოეშინენ უფლისწულს. სასტიკ შეტაკებაში ისევ იძლიენენ და განადგურდნენ სპარსელნი. მელიქ-მეჯნუნმა მეორეთა თანხლებით, ისევ გაქცევით იხსნა თავი სიკვდილისაგან.

დავით ბატონიშვილი ახლა კრწანისის ტაფობში ტორტმანით მცოცავ ირანულ ველებშას ეთვალთვალებდა, მაგრამ მალე თვალსაზრიდან გაქრა მტკვრის ხეობა თბილისთან და კრწანისთან ერთად: სქელმა ნისლმა და ჯანღმა დაპფარა შენახბაადა, თბილი და ტბაბაზელი.

ალა-მაჰმად-ხანი კი საათახეკარი უშენდა ყუმბარებს იოანე ბატონიშვილის სანგრებს. მერე ისევ ბრძანა იერიში. ისევ დაუსვდნენ ქართველები, მაგრამ დეგბოდა ეჯმი, როცა რიცხობრივ სიმრავლეს მიანც თავისი უნდა გიტანა. სანგართა მეორე რიგისაგან დაიწყეს გადასაცილება მეწინავეებმა. მაშინ ერეკლემ უბრძანა თავის ძეს, ვახტანგს, მიშველებოდა იოანეს.

მძლავრი იყო ქართველთა ახალი შეტევა. ვახტანგ ბატონიშვილის რაზმის მეწინავეები იკვნენ სამსი არაგველნი, მათ გვერდით მოსდევდნენ თბილისელი მოქალაქენი, რომელთაც ენახეთა და „შადანის“ სიმღერით წინ მიეყოლოდა დავით მაჩაბელი, „წარჩინებული მესაკოვეი და მსახითბი მეფისა“.

ისევ აჭკეის ბრძოლის ველს ჯერეი ყიზილ-ბაშებმა, რომელთაც ზურგიდან ახლა თურქმანთა ხელით ელოდათ სიკვდილი. მაინც არ სცხრებოდა შაჰი-საჭურისი. კვლავ ახალ-ახალ ათასეულებს ერეკებოდა სიკვდილის ხახზე.

მხეკქმნილნ ადამიანთა ურთიერთრეგა ერთხანს ერთ ხაზზე მიდიოდა შენივთებულად. მეორეები დახოცილთა გვამებს ეხლართებოდნენ ღა ზედ ენარცხებოდნენ. ფეხი სხლტებოდა სისხლნაყერ მიწაზე. ტუსი იკვეთებოდა, ქალი ინანებებოდა, ცული ბრწუნდებოდა.

მაინც გასტეხეს ქართველებმა გაუმზრალ ტყე-მაღნარად დამდგარ ირანელთა ფრონტი. შეუძლებელი შეიქნა არაგველთა და თბილისელთა შეტევის შეკავება. უკვე შაჰის წინაშე ეცემოდნენ არაგვისპირელი სატევრებით აჩეხილი მისი მეომრები. მთელი ქართველები პირველნი მიწვდნენ ირანელთა საომარ დროშებს, მეფეროშენი დასჭიზეს, დროშები დაითრიეს, ტარები შეუხლეზე გადაამსხვრიეს და ღომის ეკრნბიანი ქსოვილები ქბილებით დაფხრიწეს. ამის შემხედვარე შაჰმა იყვირა:

„სიყრმითგანვე მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამატარებია და აკმამაზე არ მოვსწრებიეარ, მტერთაგან ვისმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოს!“

იყვირა და ისევ ახალი ძალები შეაგება ვახტანგისა და იოანეს მოიერიშეებს, ხოლო თვითონ რამდენმა რჩეული ათასეულით მტკვარი მარჯვნიდან მარცხნივ გადალახა, ზემოთ ამოუყვა და ორთაბალასთან უკანვე გადასვლით, წინ გაჭრილ ვახტანგისა და იოანეს ზურგში შეიჭრა,

მაშინ ერეკლემ ბრძოლად გასვლა უბრძანა თავის მარცხენა ფლანგს, იოანე მუხრან-ბატონს, და თვითონაც ცენტრიდან გაიჭრა სეიდაბადში, ახალ საომარ ველზე.

გადაიშვადა. ირანელ მხედრობას მოეცვა კრწანისის თალპითნის ყოველი უბანი. მტკვრის ხეობა ალა-მაჰმად-ხანის ხელუხლებელი ათასეულებით ავსებულიყო. ქართველები კი უკანასკნელი სისხლისაგან იცლებოდნენ. უსაზმნო იყო მათი გმირობა.

ნასამხრალზე შაჰმა-საჭურისმა მთელის ძალებით გადამწყვეტი იერიში ბრძანა. ქართველებიც დაუხვდნენ „მთელის ძალებით“. ბრძოლის ცეცხლში გახვეულმა ერეკლემ შიკრიკი აყრინა მარჯვენა ფლანგზე: ზურაბ წერეთელი დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყო შეტევაზე. კატასტროფის ჩარხი ელვის სისწრაფით დატრიალდა. შიკრიკმა იმერთა ათასეულამდე ვერ მიაღწია: იგი სპარსელებმა შეიპყრეს და მოკლეს...

სეიდაბადზე პატარა კახი და მისი უკანასკნელი ქართველთა გახალებული ხმალთაკვეთებით აკვეთებნენ მტრის ოკეანეს. კიდევ ერთი საათის განმავლობაში ჭკვეთნენ და ჩეხნენ, მაგრამ თვითონაც იკვეთებოდნენ და იჩეხებოდნენ. საბედისწერო რკალი იკრებოდა.

და უკანასკნელ გმირთაგან რომელიღაცამ შენიშნა, რომ მათი მეფე, პირველად მის დიდ სიცოცხლეში, სიკვდილს ეძებდა, მის დირსსაფერს, შშეენიერ სიკვდილს.

და ყველამ, როგორც ერთმა, მოითხოვა, „რამთამეა მორიდოს მეფემან ნა არა მისცეს თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელს!“

სიკვდილს გადარჩენილმა სამასათოდ ქართველმა მეფის გარშემო სალტე შეკრა და სეიდაბადიდან ბრძოლით უკან დახვევა დიწუო.

ლევან სანიკიძე

რვა საისტორიო-სახსოვარი 1975 წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლემ კიდევ სამჯერ გაიბრძოლა; სამჯერ კიდევ შეძლო დაქანცულმა და სისხლდაღვნილმა ქართულმა გუნდმა მტრის უკუგდება. თბილისის კართან ერეკლე უკანასკნელად გამოექცა თავისიანებს და უთვალავ მტერს უკანასკნელად შეუტია... ორივე მხრიდან მიცვივდნენ მეფეს შვილი და შვილიშვილი — ვახტანგ და იოანე მუხრან-ბატონმაც ცხენის ჯილავს უტაცა ხელი, ხოლო ზაქარია ანდრონიკაშვილმა მათრახი უშერა ცხენს. ასორმოცდაათი კაცი გაპყვა ხმლის ქნევით მეფეს.

უკანასკნელად ელავდნენ არაგვისპირული გველისპირულები თბილისის კართან. უკანასკნელმა არაგველებმა „კვლავაც მრავალნი მოსწყვიდნეს სპარსნი“.

საღამოს 7 საათზე დასრულდა დილის 7 საათზე დაწყებული საშინელი ბატალია. ომის ღმერთს შეეძლო ტკბილად ჩაეთვლემა, უზომო სისხლით გალეშილს.

კრწანისის ველი 18000 კაცის გვამით დარეცილყო: 15000 სპარსელ-თურქმანი და 3000 ქართველი. მათ შორის სამასი არაგველი, სამასი წმიდა გმირი, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველნი“.

ასე აღესრულა ქართველი ხალხის კიდევ ერთი სისხლიანი ზორავა დიდი ისტორიული მოვლენის კვირაძალს: იგი მრავალსაუკუნოვან სამამეოო ბრძოლებში დაფლეთილი ეროვნული დროშებით, გვეშული სხეულით, გაუტეხელი სულითა და მომავლის ურყევი რწმენით, თავის მომავალ ისტორიას დიდ ჩრდილოელ მეზობელს უკავშირებდა...

ხოლო, კრწანისი დარჩა, ვითარცა ავი დემონის ხელით ჩახსნილ-ჩაშლილი საკინძე საქართველოს მღელვარე მკერდზე.

1795 წლის 11 სექტემბერი და კრწანისი — დრო და სივრცე, სადაც უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადა მარად ეულად მბრძოლმა ქართულმა ხმალმა, ზედწარწერით: „მე ვარ ავი მუსაიფი ყოხთ ბატონის ირაკლისა“..



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი გოგოლაური

ხმით ნატირალთა და მთიბლურთა მხატვრული თავისებურებანი

საგურინავ მთიბლურთა და ხმით ნატირალთა ტექსტების უმეტესობა ქალთა პოეტური შემოქმედებაა. მათი მხატვრული ანალიზიც მიზნად ისახავს, გარკვეული წარმოდგენა შექმნას უბრალო შრომელი ქალის — ქართველი დედის სულიერ სიფაქიზეს და მხატვრულ აზროვნებაზე.

ფიქსირებული ტექსტების ძირითადი ნაწილი, როგორც ჩანს, წარმოშობით XIX საუკუნის იქით არ უნდა მიდიოდეს, მაგრამ ერთი ნაწილში გარკვეულად ისმის შორეული საუკუნეთა ექო. ამგვარად, ისინი მემატიანეთა აღიარიცხეული. გარდასულ ჟროთა ბეურეს-ში გაბეული მოგლენების პოეტურ ისტორიას წარმოდგენენ, საიდანაც იხედებიან მრავალ უბედურებაში გამოვლილი, უთანასწორო ბრძოლაში აჩეხილი წინაპრების ლაჩდები და მგლოვიარეთა მდაბადებელი სახეები. მათში ვლინდება ხალხის სულიერი მოძძოობა, დამოკიდებულება მოგლენებისადმი, ხალხური ადათებისადმი, სიკვდილ-სიცოცხლისადმი, სიკვდილის გარდუვალობით გამოწვეული განცდები. თითოეული მათგანი კონკრეტული მოგლენითაა განპირობებული და ქვეტექსტებით აკითხება. ისინი აშკარად მეტეყველებენ ქალის პოეტურ შესაძლებლობათა სიმაღლეზე და შთამბეჭდავი სახეებით იპყრობენ მკითხველის გულსა და ეონებას.

ხმით ნატირალი რეალისტური ბუნებისაა და მარტო მახლობელი ადამიანის დაკარგით გამოწვეული მწუხარების, გამომხატველი კი არ არის. არამედ — ამ მწუხარების განცდათა მხატვრული გამოვლენა, -- სიტყვიერ სარჩულში გახვეული მკლოვიარე ადამიანის ნაიზრევი სიკვდილ-სიცოცხლეზე, ადამიანის ბედზე თუ უბედურებაზე. მათში გამოხატულია მარადიული სიცოცხლის წყურვილი, მადლიანი და შეუბღალავი არსებობის სურვილი.

ხმით ნატირალთა და საგურინავ მთიბლურთა მხატვრულ ხერხებსა და სამუალებებზე დაკვირვებისას მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ ხალხური ხელოვნების პირველ საფეხურზე შემოქმედის დამოკიდებულება მხატვრულ ასახვასთან პრიმიტიული ფორმიდან თანდათან გაიზრდელი ხასიათს ღებულობდა და რომ თვით შემჩრეულებელს ეჩნდებოდა და თანდათან უკითარდებოდა მოგლენის მხატვრული წარმოდგენის უნარი და მოიხოვნილება.

ფანტაზიისა და მხატვრული აზროვნების წყალობით, ხალხის გენიამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ირეალური სამყაროც კი რეალურად წარმოდგენილი და თუ ახლა მისი არსებობა ღრმად გეწამს, იყო დრო, როცა საიქიო აღიქმებოდა დამიანის გონებაში როგორც რეალურად არსებული „სახელწოდეა", სადაც ავი და კარგი, მართლაც ავად და კარგად გადიოდა და დიდაკცობითა და გვარშვილობით არავის ეფერებოდნენ. იქ საუკუნო განსვენება „საკაოში" „სიალნ-სიმართლეთ" ყოფნაზე იყო დამოკიდებული.

ხალხურმა ფილოსოფიამ სიცოცხლეს ახალი შინაარსი მისცა, დამშვიდდა „წუთისოფლის წარმავალობით ბულდაწყვეტილი კაცობრიობა საიქოს სამარადამო სამყოფელის არსებობაში დარწმუნებით და იქ ადამიანის შემდგომი სიცოცხლის გახანგრძლივების რეალური წარმოდგენით. თქმაც ერთი პირობით: საიქოს სასუფევლ განყოფილებაში (სამოთხე) სამეფამო სასუფევლის მოპოვება საკმის მადლიანი ცხოვრებითა და კაი საქმიანობით შეიძლებოდა. დაღდგარმა გონებამ ცოდვილთათვის ჯოჯოხეთი შექმნა, მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანთათვის — სამოთხე. ცოდვა-მადლის საზომად აღმოდგებულ კუპრის მდინარეზე ბეწვის ხიდი გადო, რითაც ცოცხალნი ჩაადინქრა და გაადურთხოდა: სიცოცხლეშიე ეზოონათ საიქო ცხოვრებისათვის.

სულის არსებობის რწმენაშ წარმოშეა მრავალფეროვანი სამგალობიარო სიტყვიერება, რაც აგრეთვე ადამიანის გაუკვდავეების სურვილიდან გაჩოქნილოოდა. „პირადი უკვდავების მოსაწყენი წარმოდგენა გამოიწვია არა რელიგიური ნუგეშის მოთბოვნილებამ, არამედ იმ გარემოებამ, რომ ადამიანსა აღიარა სულის არსებობა. საერთო შეხდეუდულობის გამო ეკრ შეალო ავსსა, რა ემპრეგმოდა სულს სხეულის სიკვდილის შემდეგ"..[1]

თუმცა ეს იმის რიდი ნიშნავს, რომ ადამიანს საერთად არ შეეძლო ცოემორწმუნეობის ბეტრესდან გაღწეეა და სიკვდილ-სიცოცხლეზე ჩაფიქრება. ხმით ნატრილაში ეს საკითხი ფილოსოფიური გაზრების სიპაღლეს აღწევს. ხმით მოტირალი ჭირილეფოდ ეკრკად გრძნობს, რომ სიკვდილი არსებობს იმდენად, რამდენადაც სიცოცხლე. მოკიმეკელოთ ფშაური ხმით ნატრალი:

სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,
ერთხელ შენ თავად რად არ მაკვდი,
თოფლივით მზეზე რად არ დასდნი?..
წყალან აქ ვინაშ დამაკვედრა:
სუკეკელ შენი ბრალი არი, —
სიცოცხლე თავად გაეჩინე,
სიკვდილიც შენივ შვილი არი?.

ძართალია, ხმით ტირილი კოლექტიურად სრულდება, მაგრამ კოლექტივი არ ქმნის ხმით ნატრალ ლექსს. მისი შემქმნელი კონკრეტულად ერთი პიროვნებაა და რაც უფრო „ენა-პიროანი" და დაზეოლვებელია, რაც უფრო მეტადაა აღბეჭდილი პოეტური შთაგონების უნარით, მით უფრო ძლიერია და შთაბეჭდავი მისი მოთქმა-გოდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვას. ხმით ტირილი ქართული მგეგრეულეკეველობით ხელოვნების საყურადღებო მოვლენად უნდა ვიგულოთ. ხმით მოტირალი შესრულების გასაოცარ ოსტატობას ამკლეკნეს. იგი პოეტური მეგეგრეულეველობით, მიეკეკიებელს კი თვისებების სიტყვიერი დემონსტრირებით, გამამხნევებელი შეგონებებით, თემ-სოფლის სხვა გარდაცვლილთა ჩატირებითა და მსახობური მანერებით აღწევს, რომ შეკრებილი ხალხი მიეცალებულისადმი ბატონ-ყმობათა და სიბრალულით, მწუხარებითა და თანაგრძნობით განაწყოს. იგი ამისთვის მიეცალებულის გადაპარებულად ქებასაც არ ერიდება. ეს უკანასკნელი ვითარება მაშინ არის ხელშესახები, როცა ხმით ტირილის შემსრულებელი მოწვეული ხმით მოტირალია. მოწვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რა ვქნა, დედანო, მატრალნო,
რახელ ვიქერა სატრალდა!...
4. თქვენი ჭირიმეთ, მატრალნენო,
ჩვენ დრო-ყამ არ გვაკვირვებს"-
თავი... და სხვ.

შესაფალს მოსაყვება მიცალებული. დაღუპული გამოწეული მწუხარების გამომატეგელი მოთქმა, რომელიც უმეტესად მიცალებულთან გასაუბრებას წარმოადგენს, სამაგიროდ ნიშნათან (ტანსაცმელ-იარაღი) თუ სასაფლაოზე ტირილის დროს სპარობის მიცალებული ცხოვრების ეპიზოდებზე შეჩერება დაღუპული მიზეზების აღწერით. მაგალითად:

1. დედა ვენაცვალოს, გამწყარად
დედა,
ვაფუნავ, ხახაო ვაფუნაო,
მასკვლაო ცაზე მოარულო,
ჩამოუარდნილო, დაკარგულნო...
2. დედა ენაცვალოს ჩემს ლეკანსა!
შვიდ კეირას იყო დაკარგული,
თოფლი ბგეგაყო ლეიბადა,
ზეითაც საბნად ბზურებიყო,
დიდ ხეთად შეფფარა თავი.
ხეთაც დეფრად შაენახა.7
3. სადრა-რა მოგკლეს ფრაკულოთა,
სადრა-რა მოგკრეს მარკვენი,
სადრა დაკარეს ციხეზედ, —
ციხეს სადრა-რა ალიკ.ზებს!8
4. თვალჭეიელო ჩვენო აბულეთო,
ნადირობა არ იყავიეი?..

მეჯერმეტყველური სტილის წყალობით, ხმით ნატირლება დიდ ზემოქმედებთ ძალას აყენებს. მეკვერმეტყველურ მოიქმის თავისი მხატვრული ხერხები გაანირა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: რიტორიკული მიმართვები, შეკითხვები და შეძახილები, რომლებიც ერთობ დამახასიათებელია ხმით ნატირალთა ტექსტებისათვის, ხმით მოტირალთა მანერებისათვის. ხმით ნატირლები უნდა ჩაითვალოს ქართული მეჯერმეტყველების ერთ-ერთ ჟანრად და ამ თვალსაზრისით ისინი საგანგებო შესწავლას იმსახურებენ. მათი შესრულებისას შეიმჩნევა, რომ ზოგჯერ ხმით მოტირალს, რაც უფრო ღრმად შედის მოთქმის შესრულებაში, ცრემლი თანდათან ეშრება, რაც იმიტომ ხდება, რომ, მოეკითხა რა მუსიკალური „ხმის" ტყეეობაში, მთავარი ყურადება გადაეკვეს სიტყვის თქმაზე, იმპროვიზაციაზე. მეტრულად ჩამოყალიბებულ ტექსტს შესაბამერ შემქმნაზე. რაც უფრო მატულობს სიტყვილა, მატულობს მოტირალთა აქვითინება და ცრემლი. ამის გამო ასეთ მოტირალზე იტყვიან: „ისე იტირა, რომ ხალხი პირქეე დასცაო" ამ შეფასებას ხმით მოტირალი „მაკარი სიტყვეთ" აღწევს ამ „მაგარ სიტყვაში", კი უხეადაა გამოყენებული მწუხარების აღმაკრეფლი გამოთქმები.

უსულო საგნებისა და მოვლენებისადმი მიმართვით ხმით მოტირალი მათ ცოცხალივით წარმოადგენს, თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ მათ გამოპასუხება არ შეუძლიათ, არ შეუძლიათ თანაგრძნობა გაუწიონ ჭირისუფალ ხმით მოტირალს და სწორედ ამ აღწევს მწუხარების აღძვრა კეთილისეური წარტოლს. მიმართვის ხერხი ერთი ძლიერ ზეობმებელი ხერხია, რასაც ხმით მოტირლები ხშირად იყენებენ.

აი, გასვენების დრო მოახლოვდა. ეს ეს არის სასაფლაოსაკენ წასვენების წუთები ახლოვდება, ეზოში გამოსვენებულ ცხედარს დასტირიან ქალები. ჭირისუფლები და ახლობლები უკანასკნელად უყურიან თავის ამტირებელს, სასაფლაოზე კი ყველაფერი დამთავრდება. მახლობელის სამეფამო დაკარგვის „ინაცდით სასოწარკეეთილებაში ჩავარდნილ ჭირისუფალს უნდა, რომ დღე გაგრძელდეს, გაწმორების მოახლოვებას ეწინააღმდეგდეს და გოლმდეოარად მიპრთავს ჩამავალ მზეს და ბაგაკალ დღეს:

დაიცა, დღეო, ნუ ლამდები!
დაიცა, მზეო ნუ ბრძანდები!9
და-ძმათა ბეგრი გვაქვს ასაუბრო!...10
2. დღეო გადიდეი, ნუ ჰალმდები,
დედა-შვილნ ერთიერთს ეფრებიან...
დაბრუნდი, თორო დაგაბრუნებ,
გაურკულებულს გავარკულებ ...11

საფლავისადმი მიმართვა:

3. მიწანო, ავრემც ვენაცვლებით,
კარი გამოეეი ცოტა ხანა, —
ძმისაკენ დაწუხებაეი ვარ... 12

ხარებისადმი მიმართვა:

4. იყვირეთ, თქვენმა ოხრობამა,
თოვის მოგიტანთ მოწუხერთო, —
ნათიბსა კურდღელთანასა.13
5. ო, მზეო, დადგე, დაგვიანდი,
მამშვიდობებენ ბერდიასაო!14
6. ახუნო, პატრან გაგიჩნდება,
გასდები საბლით საზომლადაო!
და სხ.

რიტორიკული შეკითხვები უფრო ამძაფრებენ მწუხარებას:

1. დახოცილი ძმების მოიგბარი ქალი
მთას ეკითხება:
ახუნო, რა ჰქენ ძმანი ჩემნი,
ჩემ სულია და კურდღელანი?15
2. რიტორიკულ შეკითხვას თან გაკვირვებაც ახლავს:

ირაკლი გოგოლაური
ხმით ნატირალთა და მთიგლურთა
მხატვრული თავისებურებანი

რა არი, რა ამბავი გაქვნისთ,
დედაკაცებო ბეროთებო?
რადრაით დიდ ვაუ მოგკვდომიაოთ,
ტანისამოსი დაგრჩომიაოთ,
დამზადებული სანეფოდ! 16

რიტორიკულ შეძახების, როგორც პოეტურ ფიგურას, თან მწუხარების გამომხატველი ზორისდებულება ახლავს:

1. **იქ ყორნებ რასამ ეხვეოდენ,**
   ვაჰ, თუ იქ იყვნენ ჩემნი ძმანი!17
2. **ვაჰ, შენს დედასა, ჩემო შვილო! —**
   გველნი რო ბოლოს მაიქნეენ,
   შენ დედის ძოძუ გეგონება!18

ხმით მოტირალთა პოეტურ სინტაქსში ადგილი აქვს სიტყვათა ისეთ ინვერსიულ დალაგებას, რაც დამახასიათებელია კუთხეთა დიალექტისათვის და განპირობებულია ტაეპში რიტმული წესრიგის დამყარებისათვის, მაგალითად:

1. **ცხენსა შავრასა მაზდეზავდიო.**
2. **თავშალსა როდის დაიტერავო?**
3. **ერთ კარჩი გვიწევს ფალავანია**
4. **თოფს რო მრთავდეს კორდღელანი.**

და კავშირის შეკვეცილი ფორმით ხმირებაც ხშირია, მაგალითად.

წავალ დ'ი რუსეთს შაპოილი...
მე დ' ჩემ შვილსა გვაქვ სასაუბრო....
და სხ.

ხმით მოტირლები ხალხის ეკრძალდების მობილიზებისა და შთაბეჭდილებათა გაძლიერებისათვის ხშირად მიმართავენ სიტყვათა და გამოთქმათა გამეორებას:

ა ეხლა ხედნე სკამის ფეხთაო,
ოროლის ტყვეიი გაიკბეულთაო;
ა ეხლა ხედნე ყვერფკერათაო.
სისხლის მორეკვთა შიგ ნაბრუნთაო.
(ხევს.).

მოყვანილი ნიმუში ირონიაცაა, რასაც მთაში „გულს მოდებას" ეძახიან. კიდევ:

1. **მე გიყავ, ძალმა, კუდიანსაო,**
   მე გაგიღვიძე მძინარაიო. (ხევს)
2. **როსნამდე ვიყო ტირილითა,**
   როსნამდე ვარიფნე ბალლის ჩორცნი,—
   როსნამდე ვხვივნე კალთაშია,
   როსნამდე ვიწუვნე ერთერთრშედა?!
   (ფშაური)

პარალელიზმი უფრო ხშირი მოვლენაა ხმით ნატირლებში, სხვა მოვლენებთან და სიგნებთან შეფარდების გზით ხმით მოტირალი უფრო რელიეფურად წარმოადგენს ქვეითი ობიექტის სახეს; მაგალითად:

1. **ტირილ რად უნდა ხევსურებსაო,**
   საძროხის ყურეს ნახოცებსაო,
   ტირილი არხოტიენებს უნდა,
   სახარის მაღალ ნახოცებსაო... (ხევს.)
2. **ბურსა ვერა ვეკამ ქერისასა,**
   წმინდისასა ვარ დაჩვეული;
   წყალსა ვერა ვსოფ ბუბისასა,
   წმინდისასა ვარ დაჩვეული!
   (ფშაური)
3. **ცაზე ღრუბელნ რო ეთავეინნე,**
   მაშინავ სადამ გაკრებანა;
   მთაზე ქვანი რო ვითავინნე,
   დაგორდებიან, დატკდებიან.
   (ფშაური)

ხმით მოტირალთა ლექსების ნაწილი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური შინაარსის შემცველ ქსოვილს წარმოადგენს. ნაწილს კი (ნაწყვეტები, ფრაგმენტები) მარტივი აგებულება შერჩენია. შედარებით სრულ ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა ფსიქოლოგიური განცდის გამომხატველი პერიოდები, აეიღოთ ნიმუშად თუნდაც ხოშარული დედის ნატირალი:

I **პერიოდი:** **ნეტავ მოკლა მარჯეკალი, —**
(მარტივი) ჩემი ხოშარა 19 გამოხეტებ!
II **პერიოდი:** **ა. მე ხო ხოშარას ვერ**
ვიცხოვრებ:
(რთული) ბურსა ვერა ვეკამ ქერისასა,
წმინდისასა ვარ დაჩვეული!
წყალსა ვერა ვსოფ ბუბისასა,
მდინარესა ვარ დაჩვეული!..
ბ. სამკალს ვერ ვიღი
ბალლიანი,
ბრაწზე20 ვერ ვაბამ აკავანთა...
მოხდება ტილ მიწის
ძვრა და
ბაწარს გამიგლეჯს აკავანი,

დამიგორდება, ჭალას წავა, —
ყავდგები შვილია ცოდვაშია!...

აქ მოთხრობილია ის, რაც უკვე მოხდა. უკვე მოხდენილის მოსალოდნელ ამბებად წარმოდგენა ქარაგმულად აღადგენს უბედურების ამბავს. ეს ხერხი დამახასიათებელია ფშაური ხმით ნატირლებისათვის.

III **პერიოდი:** **როსნამდე ვიყო ტირილითა,**
როსნამდე ვარიფნე ბალლის
ხორცნი,
როსნამდე ვხვივნე კალთაშია.
როსნამდე ვიწუვნე
ერთერთრშედა?!
IV **პერიოდი:** **ჩამქოლეთ, ჩემო**
მოტირალნო,
ამის მეტს გეტყვით
ვეღარასა!

I პერიოდში — თავის გათხოვებას ემდურის და სწყეველის მარჯეკალს (მაჭანკალს),

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის შემწეობითაც იგი ხოშარაში გათხოვდა.

II პერიოდის 1 ნაწილში (ა) ხოშარის დახასიათებაა თავისი ქერის პერით და გუბის წყლებით და იქ როგორ იცხოვრებს... II პერიოდის II ნაწილში (ბ) კი, როგორც ითქვა, მოთხრობილია ის, რაც უკვე მოხდა, მაგრამ ცალკეული ასპექტის ფორმაში უკარგოდითი ნაწილაკის მეშვეობით ისე, რომ ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ მოთხრობილი არ მომხდარა, მაგრამ ეს მთხრობელის ხერხია — საერთოდ ხმით მოტირალთა მოთქმის დამახასიათებელი მანერაა. სინამდვილეში ბრაწის პუჩჭზე ბაწრით მიბმული აკვანი დაგორდა, რადგან მიწის ძერამ აკვანი შეარყია, ბაწარი გაწყდა. დაგორებული აკვანი ბავშვიანად ჭალაში ჩავარდა და ალდებეზე ნაფლეთებად იქცა. შვილი დაეღუპა ყანის სამკალად ნამყოფ დედას.

III პერიოდში დახატულია შემაძრწენველი სურათი დედის მიერ ალდებე დაგორებული ბავშვის ნაფლეთების კრეფისა.

IV პერიოდში კი სასოწარკვეთილებაში მყოფი დედა მოტირლებს ეუბნება, — ჩაქონლნ.

ყველა ნატირალი ფსიქოლოგიურად დატვირთულია და ქვეტექსტების გახსნას თხოულობს, ფორმალისოდაც მათზე მსჯელობა, მათს წარმოშობაზე და მხატვრულ ღირებულებაზე საუბარი აშრალი გამოვა.

ხმით ნატირალი, როგორც უკვე მივუთითებდით, იმპროვიზირებული ტექსტებია. მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იმპროვიზაციის შერე ხმით სატირლად მათი ხელმეორედ გამოყენების ტრადიცია არ არის. ისინი ან საგრძნაგ ტექსტებად იქცეოდნენ, ან, ფიქსირების გარეშე დაჩენილნი, იკარგებოდნენ, მიუხედავად ამისა, მათში აქა-იქ მაინც ვხედებით ტრადიციულ ადგილებს, გამთქმებს, ტერმინებს, ზოგჯერ მხატვრულ სახეებსაც. მაგ: ალდებე აკვნის დაგორების გამო ნაფლეთებად ქცეული ძუძუმწოვარა ბავშვის მოტირალი დედის — ხოშარელი ქალის ნატირალი, რომლის ერთი ვარიანტი ზემოთ უკვე მოვიტანეთ, მრავალ ვარიანტად გავრცელებულა. ერთ ვარიანტში ასეთი ადგილი: „გველნი რო ბოლოს მოეჭეენენ, შენ დედის ძუძუ გეგონება-ო. ჩუხარე დედა ქმნის შეუდარებელ სახეს: ძუძუმწოვარა ბავშვს ტუჩებზე შეხებული გველის ბოლო ძუძუ ეგონება და წოვას დაუწყებს! ამ წარმოდგენით სასოწარკვეთილი დედა შვილს ეუბნებოდა: „ეეა, შენ დედასა, გატყუებენ!-ო. ეს შთამბეჭდავი სახე გამოყენებულია სხვათა ნატირალებშიც (მასალები... 1940. III. გვ. 508, № 35). ზეაღნიშნული ვარიანტის სიძველეს კი მისი ბერიანტებად გაშლა-გაფრცელებაც ამტკიცებს.

ასევე ვხვდებით დღისადმი, მზისადმი მიმართვების გამეორებებს და სხვა.

საგრძნაგ მთიბლურში და ხმით ნატირალებში ქვეკნობიერად გამოყენებულ მხატვრულ სახეთა შორის უხვადაა წარმოდგენილი **ეპითეტი**. მაგალითად:

1. **დილას ამაზე ჩამეერა ქალმა სასელოცავლიანნა.**
2. **საპელოდავ ჩაგორავდა ბირმოტუსილი ქერის პური.**
3. **მანძილავ დასხენ განა რეანი, შე ხორხის მცველო, ფალავანო.**
4. **არ ვინნეა, ფიდი გაალდეო, დედა დღეპანელი, დაწყეულო!**
5. **ვაეუნავ, ხახაო ვაეუნაო, მასავლაო, ცაზე მოპარული** და ა. შ.

საგნის თვისებათა უკეთ წარმოჩინებისათვის გამოყენებულია მხატვრული **შედარებებიც**:

თვალებსა რასაც ფერთიბდა ნაპრინაველასავარ დათვიბითა“

2. **კოწოწეთ ქალი არა ვარა თაავიზეპი ბოვიპან გვლილითა.**
3. **ვაზედე ჩობოლაურო მთასა ბაბარტყელებულსა ცასავითა შიგ ნადგომს შენს ძმას მარტიასა, ბაბუსანებელს მთასავითა,**
4. **მოსულო ბულულასავითა, ჩაბაძალებულო მზესავითა.**

მიცვალებულთა პორტრეტის წარდგენა ხალხისათვის ხმით მტირალთა დამახასიათებელი თვისებაა. მათი გარეგნობისა და ფიზიკური სიძლიერის დემონსტრირება ხშირად პიპეროლურ სიმძლეოვნედა აყვანილი:

1. **დედა ენაცვალოს შვილს გორგასა: ერთი მთა ერთ ნამბრეკად უნდა, მეორე თოვის სათრელადა, კოკამდე მიწის სათხრელადა.**

გორგი ამირანის მეტოქე გმირს ამბრის მოგვაგონებს, თავის დედას მარხილით რომ მიპქონდა, ცალი ფეხი გადმოვარდნოდა და მიწას მიპხვადა.

2. **არყის ბოჭოლთა დაიმოწმონ, გიგალს წვერთა ჭალრიანთა. სამჯერ კისერში დანაკვეთლთა, ვერძის რქასავით დაგრაგნილთა.**
3. **ისეთ ქმარ-მაზლებ დამეხოცნენ, ერთ გორს მეორეს მაარტყამდენ.**
4. **ბეკ-სახეხავის გრიალშია ცის ქუხილ აღარ მამდიოდა.**

ირაკლი გოგოლაური

ხმით ნატირალთა და მთიბლურთა მხატვრული თავისებურებანი

ხმით ნატირლებში სიყვდილი პერსონიფიცირებულია. სიყვდილის ცოცხლად წარმოდგენა გარეცეულები ხერხია. მწუხარე ჭირისუფალი სიყვდილს პირისპირ ეკამათება, ემუქრება და თან ჩაგონებს, რომ ძალიან უსამართლოა; ცუდსა და კარგს არ არჩევს. კარგს უფრო ემტერება.

აი დედა მზადაა სიყვდილს ქრთამი მისცეს, ოღონდ ჩამოეხსნას მის შვილს:

სიყვდილო, ქრთამი აიტანე,
წილს მაგცემთ ბერდიაისასა.
დავარაყილსა მაგცემთ ოთხსა,
ლურჯასა შაგიმაზაეთ ცხენსა ...
ორნივ წამოუალო დედ-მამანი —
ნათელას დაგიყენებთ წინა,
ქალსა განთქმულსა სიკეთითა,
ულომც ბერდია დამიბრუნე — ო.

ეს ხერხი გამეორებულია სხვა ნატირლებშიც აი, სხვა მოტირალს სიკვდილისათვის სამაგიეროს გადახდა გადაუწყვეტია:

სიყვდილო, ნატრიმე გამიცხადე;
შენამც კაცი გქნა, მე — სიყვდილი,
ერთიანმე მოგცა ვაეშვილი,
თუნდა ქალი ქნა — მოგიელვდი,
ისეთა საქმეს მეც გიქამდი,
შენ რო მა ბაიდაური უკავ...

ნატერითი კილო ხმით ტირილს შთამბეჭდავს ხლის. ეს ხერხიც ხშირადაა გამოყენებული, მაგალითად დავასახელოთ სიყვდილისადმი სამაგიეროს გადახდის მძიგნი წყურვილით სავსე ნატირალი:

1. **სიყვდილსაშც მისცა ერთი ძმაი,**
მერე მე იმის სიყვდილი მქნა:
ურჯულოთ მოვაკლეინებდი,
გულზე ლეგურველს დაუკრავდი,
შენფერა დედას დაუგდებდი,
აუტირებდი ოთხ-ოთხ დათა,
სანეფოდ ნაკერ ახალოხთა
მიწაში დავადნობინებდი,
წავგვრიდი ცოლსა ნანდაურსა,
ამოვიყრიდი იმის ჯარსა!

ეს ნატირალი იმითაცაა საყურადღებო, რომ ალეგორიულად გადმოცემული მწუხარება ახალგაზრდა ვეფის სიყვდილის გამო.

სიყვდილისაგან თავის დასაწყვეად, შვილების გადასარჩენად მთაში იყო „შვილის გაყიდვის“ ჩვეულება: დედ-მამა უცხო სახელს დარქმევდა, შვილობითაც კი არ მიმართავდა, რომ სიყვდილი დაერწმუნებინა, რომ მთაი შვილი აღარ ჰყავდათ და „სხვის შვილთან“ კი რა ხელი ჰქონდა. ეერც ამ ხერხმა უშველა ბერელა უძი. ლურს და როცა ის შვილიც მოუკვდა, გამწარებულმა დაიტირა:

ხეესურას[21] შვილსა არ ვეძახდი,
სხვაგანა მყვანდა გაყიდული,
სიყვდილმა მაინც მამიხელა,
ალბათ გულში თუ ვთავაინიმდი-ო;

დედ-მამას ასევე გაყიდეთ ბყოლია ერთადერთი ვეფი ვახტანგ ბეწუკელი, რაც დიდუბის ანმიეთონში მისი დაკრძალვისას ფშაველი ქალის დატირებაში გამომძღვანვდა:

შენ ხო ლედისა აღარ იყ-ვ,
სიყვდილმა რადღა მოგიკოთხაო, —

დიატრა სამარის კარზე.

გარდა ამ ჩვეულებისა, სხვა ადათ-წესებიც ინერნენ თავს ხმით ნატირლებში. მთაში მოწონებით არ სარგებლობდა ცოლისაგან ქმრის დატირება. ერთ ნატირალში ასეთი ადგილია: „ლედები გულით იტირებენ, ცოლები კიდევ გულგარეთით“—ო. ამიტომ ცოლს თავი უნდა შეეკვეთნინა და სხვების დასაცინი არ გამხდარიყო, მაგრამ ამ ადათის საზღვრებში ზოგჯერ ეეღარ დაეტეოდა დამწუხრებული ადამიანის გული და იწყებდა მოთქმას, თუმცა იცოდა, რომ მის მწუხარებას ანგარიშს მაინც არ გაუწევდნენ და „გაიცინებდნენ“:

გაიცინებენ ლაღნი კაცნი,
ემაწვილ-ყმუწვილნი, უმეცარნი :
ქმარს ტირის ტოლსა შუქიაი,
შვილის კვირეის ახალზ-ალი!

ხმით ნატირლებში იგრძნობა გმობა უაზრო ხოცა-ჟლეტისა, რასაც ადგილი ჰქონდა მთის ტოძთა ერთიერთობაში და დედებისა და დების „დალეგება“ მოჰქონდა. ერთი მოტირალი გულახდილად აღიარებს:

1. **ჩვენ ხო არ ვიცით საბრალილო, —**
ზენგორზე ჩავაქციეთ კაცი,
მაგრამ ღმერთ მოგვეცეს მაგიერსაო.
2. **ავეთსაშც ნუვინ იხლის კია,**
მე რო ვიხადე ფარსმის თავსა:
ძმას მიეეუფდე ნაგუვიარსა,
სიპრიპელათა[22] იფარებდა!

ყურადღებას იპყრობს. ნანდაურთა და დანშნელთა ნატირალი ტექსტები თავისი მხატვრულობითა და განცდათა დატკბერობით. ამ ლექსებში დაგმობილია ძველი ტრადიციაც, რომელიც ნანდაურებს შეუღლების საშუალებას არ აძლევდა და ქალ-ვაეს ერთმანეთის მონატრება სამუდამო დაღად ემჩნიათ. ეს აშკარად ჩანს ფშაველი ქალის ერთ ნატირალში, რომელსაც მკვდარი ნანდაური დაუტირებია, აქ იგი პირდაპირ სწყვეტს მთ შეუღლებაში ხელის შემშლელ პირებს:

ნაზირ-ვეზირნნმც დაგიხოცნა,
ბაცესა — დ'ბისოს მამიდანი,

რაისად ერთად არ შაგვყრიან,
ერთურთის თავსა გვანატრებენო.

მწუხარე ემოციური განწყობილებით გამოირჩევა ავრეთვე დანიშნული ქალის ნატირალი, რომელიც ძალიან გავრცელებულია. მარტო ჩვენს მიერ ფიქსირებული არის ათამდე ვარიანტი, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, ერთი და იგივე ტექსტიდან უნდა მომდინარეობდნენ. ამ ნატირალში ყურადღებას იპყრობს სადღამოილოსადმი და სამამთილოსადმი მიმართვებიც. ჩვენ დავადგინეთ, რომ ამ ხმით ნატირლის ავტორი ყოფილა მართა ჩოხელაშვილი, რომელიც ფიცის თანახმად გაუთხოვრად გარდაიცვალა უკვე მოხუცებული, თავის სოფელ კუტეკეში (დუშეთის რაიონი). იგი დანიშნული ყოფილა არტანის ხეობაში (თიანეთი) ყვარელ ვაჭრე. რომელიც მოულოდნელად გარდაცვლილა. მართა წასულა, წუთია ორი გვირგვინი (წინათ ჯვარის წერის გვირგვინები ფშავში ბევრ ოჯახს საკუთრად ჰქონია) და მისვლისთანავე დაუწყია ტირილი:

მოიდა მზე და მოვყეე მენცა,
კარჩი გამოდი, დედისერთავ,
თორო შაგარცხვნი, შავალ შინა და
ა. შ.

მან იცის, რომ ამ გაბედულებისთვის შეიძლება გაკიცხონ, მაგრამ მაინც შედის სახლში და ტირილს აგრძელებს:

ურჯულო რჯული გაეარჯულე, —
უნეფოდ მოვიდ ბატარძალი ...

როგორც ძნელი იყო მისვლა, ისევე მძიმეა მის თვის იქიდან წამოსვლაც... ილეს გვირგვინებს, ერთს ახურებს თავზე დანიშნულ ვაჭს, ხოლო მეორეს თვითონ იხურავს, რითაც ურყევ ფიცს აძლევს და „წყევლით" ემშვიდობება:

როგორც მე გვირგვინ გამიშვე,
ისე შენ მიწამ გაგაშვოსო.

მას ემეძიმება წამოსვლა და ტირილითვე გამოხატავს თავის მწუხარებას:

დილაზე, ჩემის წასვლისასა,
სახსამც მაკშლია დერიფანი,
დაპხვია ჯანღი სოფელსაცა,
დამინახავდა ვეროთ ვინა,
ამ დამწვარ-აპრიალებულსა!

მართა ფიცის ერთგული დარჩა და დიდის პატივით იქნა დაკრძალული და დაფასებული მოტირალთაგან.

ხმით ნატირლებში დიდი ადგილი უკავია თავისა და სხვათა მიცვალებულების ჩატირებას (ეახსენებას). მაგრამ ეს ისე მოხდენილადაა მიცვალებულის დატირებასთან შერწყმული, რომ მკითხველი გაოცებულა რჩება შესრულების ოსტატობით. „ჩატირება" უბრალო ჩატირება რიდია მიცვალებულებისა. იგი სხვადასხვა მასტეტრული ხერხითაა შესრულებული.

„ჩატირება" წარმოდგენილია რიტორიკული შეკითხვის ხერხით.

მოტირალი მიცვალებულს მიმართავს:

თვალჭრელო ჩვენო აბელეფაო,
ნადირობ არ იყავიაეო ...
ეპნთით არ ჩინდა ტერელოო,
თოფის ხმა მადიოდაეე,
იდეა არცად ომობდეო,
ხოლიგა არ იცინოდაო.

ჩატირება ხან ფიცის სახით არის წარმოდგენილი:

არ ვტყუე, არ გამიწყდან ძმანიო,
გაგიმ არ დამიდევნა კარიო

დედა ფიცის სახით: მეორე შეილსაც ჩაატირებს:

შენმა მზემ, შენი სიკვდილითაო
მე არას გამოვლეე გონსაო,
ვერ დამაცილებ გიგიასაო,
სამ წელს ლოგინში ჩალეულსაო ...

მოტირალი მიცვალებულს ჩამოუთვლის დასატირებლად მოსულ ხალხს თავისი გარდაცვალებულებით:

სულ ეკ მოიდენ კუდოვლები,
აკ მაპყოლია შოთიეა,
მოძებარია უშანგანი,
წვერუწამებელ ვაფკაცსა...
მეც სასაფლაოს ვერიდები,
საფლავსა ენასაგ ხვთისოსასა.. და ა. შ.

ხმით ნატირალი ტექსტის შემადგენელი ნაწილია „დაბარებაც". მაგალითად:

გამამიგზავნე ხვთისო ჩემი,
ხარ-გუთანი მაქვ გამართული
თორო ვერავინ მიიხმარებს,
ვაშლი მოხნავი არვინ არი...

(ჯაგრავთ გუდაბის ჩატარა ს. კუდოში ქაზუმათ მიხეილმაო — მთქმელის შენიშვნა):

ხმით ნატირლები გამორჩეული ალეგორიული შინაარსითა და გრძელი სათქმელის ქარაგმულად გადმოცემით, მაგ:

მაპკვდია, ბეჩავ ირეგმო,
დასდევა სილარიბის ჯოხი,
მიწანიმც ფაილოცებიან,
შიშველნი დგიმალნა ხორცნი,
ღმერთმა უშველოს ნაწუთროსა,
რა ლამაზ ექიმ მოგიყვანა...

ირაკლი გოგოლაური
ხმით ნატირალთა და მთიულურთა
მხატვრული თავისებურებანი

ქარაგმა ზოგჯერ ისე რთულია, რომ შეიძლება გაუხსნელადაც კი დარჩეს. იგი ერთგვარი მთავარი საშვალთაგანა, რომლითაც მსმენელებში (მოტორლებში) ხმით მოტორაცი მაღალ ეფექტს აღწევს, **ქარაგმა ზოგჯერ ფიცის ფორმითაა წარმოდგენილი.** მოტორალს სამი ძმა მოპკვდომია, ქმარ-შვილიც დახოცვია და ძმის ცოლიც გასთხოვებია, ხოლო დედამისს „საამანათოს" (თავის სახლიდან წასვლა და სხვასთან შეკედლება) წასვლა დასჯიერებია:

აგრემც სამ-სამ ძმან შამრჩებიან,
არ დამეღლეკა ტკბილ ქმარ-შვილი,
ძმის ცოლი არ გამითოვდება, —
ალარ მამიჯრის მოკრილ კარსა!
დედა, ბეჩავ! — არ წაბვა
სხვაგანს, საამანათოსა...

ხმით ნატირლები უხვადაა დატვირთული მხატვრული სახეებით, რის გამოც ისინი დროს საკმაოდ უძლებენ. მოეხმით მაგალითები: გაოხრებული სახლკარი ასეა წარმოდგენილი:

უფროსათ სახლო, კარდაკარილო,
აკაცის ლოდინით დალეულო.

„კარდაკარილი" უპატრონოს ნიშნავს, ხოლო მეტფორული თქმა: „აკაცის ლოდინით დალეულო" — პატრონის მონატრებით გალეული, ე.ი. უპატრონოდ დარჩენილა და დანგრეული

ეგრე იცაინ ოხერ სახთა,
მიწათაკ რადამ დაიწვეენ"...

ესეც მეტაფორული თქმაა. „მიწათაკ დაწვა" სახლ-კარის დანგრევა, გაოხრებაა.
მეტაფორული სახეა შექმნილი აგრეთვე:

ცელს რო ლეესავდეს კურდღელეანი,
ბალახნი დაეკანებიან...

ეს ნიშნავს: კურდღელა ისეთი მაგარი მთიბელია, რომ მისგან ბალახებიც კი დაშინებულნი არიან. ამ პიპერბოლურ ნაწყვეტში — „ბალახნი დაეკანებიან" — ნიშნავს: ბალახი დაფრთხებაა. მომდევნო ორი ტაეპითაც შესანიშნავი პარალელიზმია შექმნილი:

თოფს რო მართავდეს კურდღელაი,
ნადირნი დეეღონებიან.

მეტაფორული პიპერბოლაა: „კურდღელა საოცარი მონადირეა: თოფის გატენას რომ დაიწყებს, ნადირნი წინასწარ გრძნობენ მოსალოდნელ საშიშროებას და თავის გადარჩენისათვის მოემზადებიან (დაეღონებიან), იქით-აქეთ მიმოაწყდებიან.

ვხვდებით მეტად ნაღვლიან ირონიას, რომელსაც მთაში „გულის მოდგებას" ეძახიან:

1. ეგე ნახე და ფარესი,
ბიჭო, შე ბალანჯთ ხუმარაო,
წითელნი რადა ნადირობდი,
ჩემი ძმის სანადირჩია!...

2. ძმაილამ, ძმაო, შენ მამკლავი
ხატშია ვნახე, სერობასა,
თოფიც ლამაზნი ჰკონებიყო,
თვალნიც ლამაზნი სხდომებიყვნეს.
დაკრილსა ხარსა რას მისხვედი,
არ იცოდი, დაგჩხეერავდა!

ზოგჯერ კი ორა:

3. ლაშქართ მეტობა რად გინდოლა,
გაბა შენ ქალ-ზალ მადიოდაო.

ხმით ნატირლებში ადამიანის სიკეთილი გადმოცემულია ბუნების მოვლენების მეტაფორული გააზრების გამოყენებით. ასეთ ხერხს ქართული სამგლოვიარო პოეზია იცნობს. უძველესი ხნიდან მომდინარე ხოგაის მინდის ლექსში იკითხება:

მზე წითდებისა, წყრეტისა,
ხოგაის მინდი კედებასა,
ცაზედ მდინარნი ფრინველნი
ობე-ბოლოთ იხოშებისა,
ჩამდის წვრილი ვარსკვლავი,
მთვარე უკუღმა ცხრეგნისა.[24]

ამ ლექსად კეცული დატირების პასაჟები ვლინდება ხმით ნატირლებშიც. ვეკაცის დაღუპვის საშინელება ერთ ხმით ნატირალში ასეა გადმოცემული:

ოჩიაურნი ჩამახეტყვნაო,
მეს დახკია ნინიაის ხაზლთაო,
ოწივლა ყველმა ლიბაურიაო,
კეზ გატყდა, კერას გაერეკაო,
ოროლნი გაიბვენა ძმანიო ...

ხმით ნატირლების ლაკონიური სტილი ყოფითი ამბების გადმოცემაშიც ჩვეულებრივია:

ლოგინზე წოლა არ გიხდებაო,
უნდა სტუმართა მასპინძლობდე:
ხელში გეპიროს ხელადაი,
დიდებ ყანწებსა ჯაილზულობდე,
გიმდვრიალებდე დამეხილი ...

რატომ სწყველის თავის თავს? იმიტომ რომ ცოცხალ ქმარს სტუმრების კარგად დახვედრას უშლიდა, სასმლის დაზოგვის ჭიჭნით და ახლეწრად ნანობს.

ხმით ნატირალში ხშირად გვხვდება განსაკუთრებული აფორისტული მნიშვნელობის თქმები, რომელთა გაგებისათვის ადგილობრივი ყოფის კონკრეტული ცოდნაა საჭირო. ასე მაგალითად:

1. ტაბლავ ხელუკუღმ გადმოგდებულო.
„ვერმოსცალ!" გადმოყოლებულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ნიშნავს: საკმელი არ ემეტებათ და წყველით აბმეგენ. „ეერმოსელა“ წყველაა. „ხელეკიდან გადმოდგმული“ გაუმეტებლად, საყველთაო, ნაძალადევად გადმოდგმული.

2. თვალებსა რასამ იწითებდა
ნაჯინქველავარ დათვივითა, —

ძალ-ღონის დაუზოგავად თმება იგულისხმება. მთიბელის ჯაფისაგან დასისხლიანებული თვალები შედარებულია ჭინაწკველების დაკბენილ დათვის თვალებთან.

3. მავალო არე-არეზედა —

ველად, თავის გენებაზედ სიარული გიყვარდაო, ერთ ადგილზე დაუდგომელი იყავით.

4. არცარა დამილეადა ოხლები —

„ლალგებმ“ დათალზეაა, სამგლოვიარო ტანისამოსის ჩაცმა. შებრუნებული თქმაა.

5. არავისა გეკვთი სისხლიანი? —
იარაღით მოკლული იგულისხმება,

6. გიტარეზ, ლამიანის მზემა —
„ლამიანში“ წყლის დამხერჩალი იგულისხმება.

7. ქუშნი ჩამამცდენ წკმუტუენითა,
ნალეო შენი დატუქსეანენი — საუცხოო შედარებაა. ცელისაგან მოკრილი ქუშმა წკმუტუენით ჩამოიარა. თვითონ „ჩამოიარა?“ არა, მოქნეულმა ცელმა გამოიტანა და ნათელში გამოგორდა შეკუმშული ქეჩი, რაც შედარებულია ლეკვის (ძაღლის) წკმუტუენით გაქცევასთან. როცა ჯოხს დაარტყამენ, ამ დროს ძაღლი მოიგრიხება, ჯერ წრისებურად გაიქცევა ჯოხის ხელმეორედ მოსალოდნელი დარტყმის ასარიდებლად და მერე კი პირდაპირ გამოქანდება.

8. ჭოპეა გაყეირებს, ჭიჩოელო,
დამზრალის ქერის გარზანაი — დაცინვაა. ჭოპეა ბალახი ფოთლიანი, აღვილად სათიბი ბალახია: იმიტომ მოერიხარ თიბვაში, რომ ადვილი სათიბია, თორემ რა კაცი ხარ, დამზრალ, ე. ი. შემოუსელელი ქერისაგან დამზადებულ მოხარშულ ცომს (ანტრია) ჭამ. („გარზანა“ — ქერის ან ჭადის მოხარშული კეერი).

9. ქუთია დაპბერენ, ბიძაისო,
ეორრარნი თოვას ვერ გიეობენ!
დიდი პური და დიდი ყველი
მთის ბოროთა დაპბრაოდ ეპბა —

ნიშნავს: გულიანად იმუშავე, სიოსტაკე და სიკეკლუცე თოვას არ მოგიტანს, არ გარგებს. დიდი პური და დიდი ყველი რომ გიყვარს, თვითონ კი არ მოდის, მთის ბალახმა იცისო. ამ ლაკონერ თქმაში მთელი სამეურნეო საქმიანობა წარმოიდგინება: თიბვა, თივის დაშზადება, ძროხებისა და ხარების კარგად კაკვება, ხვნა და წველა...

10. შეილო, შენ სახლნიც მაღალნ
ეიუენნ
დადაბლებულან კი რაადამ.

„სახლის დადაბლება“ — ოჯახის დაღუპვა, უსატრონოდ დარჩენა სახლისა...

11. ობლები აგიტირდებიან,
მამელეტ აგიეამირდება —

მამელეტის აყამრება — უპატრონოდ, დამუშავებლად დარჩენაა.

12. ჩამამაბდინა ცხენზეეოა
მუხზეეი ჩამოსახდომელმა —

„ცხენზეეით ჩამოხდომა“ — მხერის სიკვდილს ნიშნავს. ასევე სიკვდილს ნიშნავს „მუხლზეეით ჩამოხდომაც“.

13. ცეცხლშეითა ცეცხლში დავამიკენ —
მწუხარებას თავს ვერ ვაღწევ. იგულისხმება ოჯახში და მამისახლში სავდილიანობა...

14. ლიტანეიის სალაამნა
მათურულამა სათხრომა

თორმეტი მშვილდი წამაიღო — სინეკდოქიანი ნათქვამია, „თორმეტი მშვილდის წამოღება“ თორმეტი ვაჟკაცის დაღუპვას ნიშნავს რაც მოიხდარა მათურის ხატში ღამის თევისას. მტერი დასცემიათ და დაუზოციათ. (ამის გამო, თავდამსხმელთა მოდგმა ბოლო დრომდე ბეგარას ხდიდა).

15. მაგან რო გვირგვინ გამიშავა,
ახლა ეგ მიწამ გააშაოს.

„გვირგვინის გაშავება“ — დაკქრილებაა (წყველა) .

ხმით ნატირალებში მიცვალებულისათვის წყველით მიმართვა მწუხარების გამოხატვის ერთგვარი ხერხია. ასეთი მიმართვა საწყენი აღარ არის იმდენად, რამდენადაც მასში ნაგულისხმევი შინაარსი უკვე შესრულებული აქტია. მიტირალი ამ ყალბი წყველით მხოლოდ გულს იოხებს და „ჯავრს იყრის“ მიცვალებულზე, რომ პირისუფალი უმწეო მოგომარეობაში ჩაგდო თავისი სიკვდილით. წყველა უმეტესად ცოლის ნატირალში გვხვდება. ნიმუშები:

1. **ეიმას არ მეუბნებოდიო:**
რო ო�ელ ჩოხა მამიქსოვე,
ორივ ზედიზედ ჩავიცვაო.
მე კი შენ ნათქმ შავასრულე,
ჯანამას წადი, თუ არ ეოხველ!
2. **თავშალსა როდის დაიხურავ,**
მიწამ შაგეამოს, ეთერაოლ!“
3. **სესხიაშვილო, შე თავმკვდარო,**
სიკვდილი როგორ მოკერია?

ირაკლი გოგოლაური
ხმით ნატირალთა და მთიგლურთა
მხატვრული თავისებურებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირალში სხვა მიცვალებულთა ნიშნების მოტანაც იცოან ჭირისუფლებმა. მოტირალნი მორიგეობით ტირიან მიცვალებულს და სხვასაც „ჩაატრებენ". „ჩატრება" თავისა თუ სხვისი მიცვალებულისა ტრადიციული წესია, რაც ხმით ნატირალებს უმრავლესობაში ასახული არის, ამასთან ხმით ტირილისას მოტირალი ახალი და ძველი ჭირისუფლები ერთმანეთს თავიანთი მიცვალებულებზე მოუთხრობენ, რითაც ერთიმეორეს **მწუხარებას უმსუბუქებენ.** დავასახელებ ორიოდე მაგალითს:

1. დო, გახსონდეს ეხლი ჩემი:
ხუთ დღეს ვუარე ნატყვიარსა:
ჩქარ-ჩქარა იცის ხელის ქცევა,
ბალ-ბალი იცის წყლის ყოფა...

ტირილი გაბაასების სახესაც ღებულობს, რაც ფშაური ხმით ტირილისათვის ერთობ დამახასიათებელია. ნიმუშები:

2. მიშველე. ჩემო გიგალ ქალო,
ნეტარ ვეღარას მიშველია?
ვაიმე, ჩემო გიგალ ქალო!!
მე ოროლი ძმა გავიხსტუმრე,
ო�ლი შვილი ერთ წელშია...

სამასუხოდ გიგალ ქალმა დაატარა:

შენ ვერას გიშველს გიგალ ქალო
თავადაც უპირს გიგალ ქალსა!
ოერთმეტი შვილის კაპზოლელია,
ოერთმეტი შვილის ვაძსტუმრები,
მეთორმეტე და მეცამეტე
დედამთილი და მამამთილი,
მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე
უფროსი ძმა და იმის შვილი, —
სამ წელში მიწას მივაბარე,
მე ისევ დავალ სამზეოსა!

ხმით ნატირალთა ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია ჭირისუფალთა გამხნევება. მათი მწუხარების მიზეზებული შენელება შთამბეჭდავი საზეკის შემქმნელი:

მაშ მე რაღა ექნა, ჩემი ნინო,
დავალ სიკვდილის დახელთილი,
რა ხილაღია მამის სახლი! —
მტერსამც დახვდება კარდაჯრილი!...

დასახელებული ნიმუშები აპტიკებენ, რომ ხმით ნატირალი ტექსტები უალრესად დამიანური გენდების გამომხატველი პოეზიაა.

ალმოსავლეთ საქართველოს მთაში ხმით ტირილი ახლაც სრულდება. მისი ფორმა და ხასიათი ტრადიციულია, შინაარსიც. ბჰოლოდ ტექსტებში ახალი ყოფის ამსახველი გამოთქმები და ტერმინები გვხვდება. შეიმჩნევა, რომ სკოლაში აღზრდილი ქალიშვილები იშვიათად თუ ასრულებენ ხმით ტირილს. არა იმდენად იმიტომ, რომ თაკლოშენ, არამედ მათთვის მისი მელოდია თანდათან უცხოდ ხდება. აღარ ესმით სიყრმიდანვე, ვეღარ ითვისებენ მას და მათი მოთქმა მდარე პროზაულ ხასიათს ღებულობს, რაც გულსაკენია.

ახალ ხმით ნატირლებში ასახულია სამამულო ომი. ფასდება ბრძოლითი ადამიანის ღაწული: თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ს. მაღროსკარში უბედური შემთხვევით გარდაიცვალა სამამულო ომის მონაწილე მშრომელი და სოფლისათვის თავდადებული, ობლობით გაზრდილი ნიკო თურმანაული, მაგრამ მაინც არ ივიწყებენ ხმით ტირილსა ხშირად ჩაატრებენ მას ხმით მოტირლები და ხალხს კვლავ გაახსენებენ მისი ცოცხალი გამოწვეული სოფლის დანაკლისს, ხოლო მისი დატირების დღეები კი სახალო გლოვის დღეებად იქცა. ბევრი რომბმეზდავი სიტყვა ითქვა მოტირილოაგან. ერთმა სახელობრ მაშინ უკვე მოხუცმა მართა ჩოხელაშვილმა, რომელსაც ეკუთვნის დანიშნული დატირება, რაზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი, მეტფორული სიტყვებით მომართა მიცვალებულს:

ობლობის მტკერი მაიშორე, —
თავის ბალღებსავ მიაკარე.

ე. ი. თვითონ, როგორც იქნა, თავი დაადწიე ობლობას, სამგალრეოდ საყეთარი შვილები დაამბლეთ.

მეორე განთქმულმა ხმით მოტირალმა ელენამ კი მის დატირებაში ასე მომართა სიკვდილს:

სიკვდილო, თვალნიმც გადმოგხარნა,
ფეხნიმც დაგტეხნა მუხჩიითა,
შუაზე გაგპრა წელჩიითა,
ხელნიმც დაგტეხნა მხარჩიითა,
ეს ვიქაც როგორ გაიმეტე
წყლის ნათოსად და ნარიყადა.

ამავე სოფელში გარდაცვალა მეორე ხალხის საყვარელი პიროვნება, ამავე ღროს საუკეთესო ხელის მქონე ხელოსანი, თეთინაწყალი მხატვარი და მოლექსე, დატირებისას მოტირალმა მოხუცმა ქალმა ხოშიმ ასე მომართა ხალხს სასაფლაოზე:

რად არ მასდიხართ, ხალხო გონსა,
სიკვდილმა როგორ ხელ დაგვრია!
შეგვიი არჩევს, ვინც კარგია
ასერ-ასერა რასა შერეგსა!!
ჯერ ხიწვათ ნიკომ გადაგვრია,
ახლა ალექსი გამოგვაროვა ...

მერე მიცვალებულს ჩასძახა საფლავში:

რო ჩაიოოლენ ლამაზ ხელნი,
მიწამ რად უნდა შაგიკვამოს! და ა. შ.

ხმით ნატირლებიდან გამოსქვეიეს საერთო სევდა — სამამულო ომში დაღუპულთა შინმოუსვლელობის სევდა. სახლში გარდაცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ჭირისუფალს ან როგორ მიმართავს ომში დაღუპულის და:

> რ-ფ-რა რა სტირი, მარიამო,
> შენ ხო სატიროდ არაი გაქვ, —
> „დედას" იძახდა — გვერდში ეჯე,
> კუბოშიც ჩაგისვენებავის,
> მერგვალთ ყოილებ მოგიწყვავეს ...
> ... თავის მიწაწყალს მიაბარებ
> საფფლავ-სამარეს დაიხსონებ!
> ...გაუჯულებულს გავაჯულებ,
> წავალ ი რუსეთს შამოილი,
> ძმების ძვლებს დავკრეფ კალთაითა,
> მაუტან დედას, გავალალდებ[25]

თითქმის იგივე შინაარსია შინმოუსელელის დედის სამძიმარ მახაურის ნატირალში:

> ნეტავ, გიორგივ, ჩემო შვილო,
> ყისმათი მოგაც იმღენი,
> თავის სახლში მკვდარ დაგაწვინა,
> გომეწრელთ ცრემლი დაგადინა,
> საყდართგორს საფლავ გაგიოხარა,
> რო დედას მალმალ ანახვინა!...

სამამულო ომის მრისხანე დღეებში შეიქმნა ჩარგლელი დედისადან ეს ხმით ნატირალიც:

> ხატო და ღმერთო დალოცვილო,
> იმ ჩარგლელ ვაჟებს გადაიხედენ,
> ჩარგლელებს ჩარგლით წასულლებსა.
> დედებს მშვიდობით მაუფალე,
> დედებსა დალონებულებსა,
> ვამბე ნუ გაბზდი, დალოცვილო,
> ველზე ყოვ-ყოორანი საშმენლადა
> დეგებ დაბრუნდნენ მშვიდობითა,
> თავის ოჯახებს მაპპატროიდნენ,
> ოჯახებს გაოხრებულებსა ...
> დაუსალდება დუშმანიცა
> დაუთხოვდება ცოლებიცა
> აუტარდება ობლებიცა,
> ჩაჰყრეინდება კბილებიცა...
> ჩამაეშლება ქორრებიცა...
> მაშინ რას იქამთ, ბეჩავებო,
> პირით რო დაწოლა მოგინდებათ,
> შავეოში გასახოხებშია?!
> დედები გულით გიტირებენო,
> ცოლები კიდენ გულგარეთა...

თავისი მამიდის, ომში დაღუპული შვილების დედის საფლავზე თამარ ტახიშვილმა სოფ. ხილიანაში (მაღაროსკარის საბჭო) შინმოუსელელი მამიდაშვილებიც დაიტირა:

> თქვენი ჭირიმეი, ჩემო ძმებო,
> თავის სამშობლოს დამცველებო
> ახა თქვენ იცით, დაგენაცვლეთ,
> სახელიანებ რო დასდიხართ,
> დედასაც კარგა მაუარეთ ...
> თავმკვდარი თქვენის ხალიზითა
> ერთი ნაბიჯით მაღლა დავალ ...

გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ იგი შესაწინანხვანი მოლეკსეც ყოფილიყო.

ხალხისადმი მოწოდებითი ხასიათის მიმართვა ხმით ნატირლების ერთერთი ნიშანია. ასეთი ადგილები ხშირად გვხვდება მათ ტექსტებში, თუნდაც:

> ჩამკოლეთ, ჩემო მოტირალნო,
> ამის მეტს ვეტყვით ვეღარახა!
> დედანო, დედა გამავაგდეო,
> ვარცლი, საცერი გამავართვინო. და ა. შ.

ხმით ნატირლები ძირითადად ქალთა პოეტური შემოქმედებაა, ხალხური ლირიკის მოქმედი ქალია და მნიშვნელოვანი იმითაც, რომ მას ჰქმნის უბრალო მშრომელი ქალი არა მარტო პირადი მწუხარების საფუძველზე, არამედ საერთო სახალო მწუხარების საფუძველზეც ქართველ ქალს სამშობლოს ძნელბედობის ჟამს მწარე სინამდვილე უქმნიდა პირობებს, რაც მას ხმით ტირილშიც უნდა ესახა. ამგვარ ნატირლებში დედის სულია ჩაქსოვილი. ხმით ნატირლების შესწავლას დიდ მნიშვნელობა აქვს ხალხის ფსიქოლოგიის გაცნობის თვალსაზრისითაც.

რუსი მოტირალი ქალის ირინა ფედოსოვას შემოქმედებით მოხიბლული ბ. გორკი ამბობდა: „და მოთქმა, თავის მძიმე ხვედრზე მოტირალი რუსი ქალის მოთქმა, იღრეტა პოეტი ქალის მშრალი ბაგეებიდან, ღაღრება და სულში აღძრავს ისეთ მწველვე ნაღველს, ისეთ ტკივილს, ისე ახლოველია გულისათვის ამ მოტიროვების ყოველი ნოტი ეშმაკირტი რუსული, ღარიბი ხატოვანებით, რომელიც არ ვამოიჩრეკავ ეარიაციების მრავალფეროვნებით, — დიახ! — მაგრამ აღსავსეა გრძნობებით, გულწრფელობით. ძალით და ყველა იმით, რაც არაა ამქვეყნ, რასაც ვერ შეხვდები ხელოვნების ხელოსანთა პოეზიაში და მის ფორტეტიოსებთან, რასაც არ მოგვაცმს ფიგნერი და მერეეკოვსკი, არც ფოფანოვი, არც მიხალოვი, არავინ უშინაარსო ხმების გამოცემი ხალხიდან.[26]

ასევე თქმის ქართველი ხმით მოტირალთა შემოქმედების შესახებაც. მართალია, ქალებთან ერთად, ხმით ნატირალი ლექსების შექმნაში მამაკაცებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ამაზე სხვა დროს!..

ხმით ტირილს დიდი საზოგადოებრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა იგი ხალხზე კეთილისმყოფელი გავლენის ფუნქციას იძენდა მაღალ მხატვრული რიტორიკული სტილით, შესრულების ექსპრესიულობითა და ჰუმანური შინაარსით.

ირაკლი გოგოლაური
ხმით ნატირალთა და მთიბლურთა
მხატვრული თავისებურებანი

ხმით მოტირალი მოურიდებელი პირდაპირობით, უხამს მოულენებთან კრიტიკული დამოკიდებულებით, მიცვალებულის ადამიანურ თვისებათა საყარო დემონსტრირებით ხალხს სიკეთისაკენ განაწყობდა, თავის განკელილ გზაზე ჩაფიქრებით გააცდებდა და სასახელო საქმეს მოაწყობინებდა. ყველას უნნდებოდა სურვილი, ისეთი კარგი საქმე გაეკეთებინა, რომ გულიანად დატირებულიყო და საჯარო ხოტბის ღირსად ქცეულიყო მისი სახელი. ხალხისათვის თავდადებისა და კაცური სიკოცხლის სურვილის აღძრა საქმეთა სახელებისაკენ მოუხმობდა ადამიანებს. ნატრობდნენ ლამაზად დატირების ობიექტად ქცევას, გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ პატივის მოპოვებას სიკვდილის შემდეგ. ამის მაგალითები მრავლად მოიპოვება მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში. მოვიხმობ ორიოდე ანდაზას გალითს:

გადმოცემით, ერთ ახალგაზრდა ფშაველს, როცა ხმით მოტირალი ქალის მიერ სახელოვანი მოყმის დატირება მოუსმენია, უთქვამს: *რომ ეიცოდე, მეც ეარე კარგად მიტირებდეხლავე მოკვდებოდიო.* ეკაო, კაი ტირილი სახელმა იცისა, — უთქვამთ. ვაეი ლაშქარს წასულა და ბრძოლაში დაღუპულა. სასიკვდილოდ დაჭრილ ხეესურს მასთან მოსაკლავად მისულ ხმით მოტირალისათვის უთქვამს: ხომ ეიცი, მოკვდები და მინდა მოვისმინო, როგორ დამიტირეო. ქალს მომაკვდავისათვის თხოვნა შეესრულებია.

ქართული ხმით ნატირლები თვალსაჩინო ადგილს იკავენ ეროვნული სიტყვიერების საგანძურში და შემდგომ ფიქსირებასა და შესწავლას იმსახურებენ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970, გვ 19.

2. გ. თურმანაული, ფშაური ხმით ნატირლები, ცისკარი, 1969, №7, გვ. 88

3. ნ. ურბნელი, ენთორრაფ. ნაწარმოები, 1940, გვ. 80. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: ა. ზისერმანი, რაფ. ერისთავი და სხვ.

4. მასალები ..., 111, 1940, გვ 122.

5. ვრცლად: ქს. სიხარულიძე, ქართ. ხალ. სამგ. ოპეზიის საკითხ., 1970 .

6. გ. თურმანაული, იქვე.

7. მოგვაწოდა ფილ. მეცნ. კანდიდატმა გ. შეკეთაურმა.

8. საკუთარი მასალებიდან

9. ფშაში მზის „ჩასელას“ არ იტყვიან, იტყვიან: მზის ჩაბრძანებასა“.

10. ცისკარი, 1969. №7. გვ. 87.

11. 12, 13, 15, 16, 17 საკუთარი მასალებიდან.

14. მასალები ... 111, 1940, გვ 112

18. საკუთარი მასალებიდან.

19. სოფელია ფშაში.

20 მეცნარეა. კლდიან ადგილებში ხარობს.

21. ამ შეთხვევაში თაკენი ჩზედმეტი სახელი)

22. სიპრიპელა, თხელი ქვა (კლდის თხელი ნაფოტი) „სიპრიპელათა“ ნიშნავს სიპრიპელას. ორსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა ფრაზერის დამახასიათებელი ნიშანია.

23. მტრები შეხვდნენ. ერთმა დაასწრო და მეორე დაჭრა ტყვიით. დაჭრილი თავის გადასარჩენად გაიქცა, პირველი გახალისდა და გამოეკიდა. დაჭრილი ჩაესაფრდა და მდევარი მოკლა. (თემელის ილია გახუტელაშვილის განმარტება).

24. ამბ. გაჩეჩილაძე, გადმოცემა ზოგიის მინდიაზე და პოემა „ეველისმპაპელი“ 1959. გვ. 51-52.

25. მოგვაწოდა თ. გოგოლაურმა, ს. ხორხი.

26. М. Горький, Собр. соч., т. 23, М., 1953, стр. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გვინჭიძე

დიდგორის ბრძოლის ზოგიერთი საკითხისათვის[1]

1121 წლის ზაფხულში ნაჯმ-ად-დინ ილ-ღაზის მეთაურობით საქართველოში შემოჭრილი თურქ-სელჩუკთა კოალიციური არმია, სომეხი ისტორიკოსის, მათე ურჰაელის ცნობით, 560 000[2], ხოლო ფრანგი ქრონისტის, გოტიეს გადმოცემით, 600 000[3] მებრძოლს მოითვლიდა[4] დავით აღმაშენებელს, მისივე მემატიანის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ „სიმრავლეთა ეთარცა ქვიშა ზღვისა"[5] ლაშქრისათვის, 40 000 ქართველის, 15 000 ყიჩაყის, 500 ალანისა და 100 ფრანგის[6], ე. ი. სულ მხოლოდ 55 600 მეომრის დაპირისპირება შეეძლო. ასეთ ვითარებაში ქართველები გენერალურ ბრძოლაში წარმატებას სამხედრო ხელოვნების შესაძლებლობების მხოლოდ მაქსიმალური ამოწურვა თუ მოუტანდა. როგორც წყაროებიდან ჩანს, 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში, ტაქტიკის თვალსაზრისით, ქართული არმია თავიდანვე მართლაც დიდი ოსტატობით მოქმედებდა. ეი რას გადმოგვცემს არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი:

„შეხედა რა ორი მხარე ერთმანეთს, მოემზადნენ საბრძოლველად; ამ დროს დაწინაურდა 200 ყიჩაყი. მაჰმადიანებს ისინი დანებებულნი ეგონათ და არავითარი ზომები არ მიუღიათ მათ შესაჩერებლად, და მიუახლოვდნენ მათ, მაგრამ ყიჩაყებმა ისრები სტყორცნეს. ამან არია მტერი; უკან მდგარ მეომრებს ეგონათ, რომ მოწონიანენი მირბიან და ტოვებენ ბრძოლის ველსო და თვითონაც უკუქცნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და თელავდნენ. მრავალი მათგანი დაიღუპა".[7]

აღსანიშნავია, რომ იბნ-ალ-ასირთან გადმოცემული ქართული არმიის ამ ტაქტიკური ხერხის შესახებ, რომელმაც, სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებას,[8] არც ერთ სხვა ისტორიკოსთან ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ერთი ასეთი არაპირდაპირი მოწმობა მაინც არსებობს. შ. მესხია წერდა:

„გოტიეს ერთ ცნობაში სწორედ ეს ფაქტი, ორასი მეომრის მეწინავეობა და თავდადება უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ მას, როგორც ევროპელ, ყველაფერი ეს იმ ორასი „ფრანგისათვის" (ჯვაროსნისათვის) მიეწერია, რომლებიც იმ დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში იბრძოდნენ. 9 მოვუსმინოთ თვით გოტიეს: „მეფემ თითეული რაზმი დაყწო, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი დაიყენა მოწონავეებად, პირველ დაკვრათა მოსახდენად... (და მტერიც) ეცემოდა ძირს ფრანგების ხელისაგან და უწესრიგოდ იფანტებოდა". როგორც ჩანს, გოტიეს, „ფრანგების" დამსახურების კაზეიდებით დაინტერესებულს, ალბათ, თავისებურად გადაუკეთებია იმდროინდელი საისტორიო წყაროებით თუ გადმოცემებით შენახული ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ხერხის შესახებ".[10]

აღნიშნულ საკითხს ეხება ივ. შაიშმელაშვილიც. მისი აზრითაც „გოტიეს მტკიცებები, ესენი (მანგერის შემსრულებელნი — გ. გ.) იყვნენ ფრანგი რაინდები...".[11]

როგორც ვხედავთ, ზემოთ ციტირებულ სტრიქონებში, გოტიეს ცნობა დიდგორის ბრძოლაში ფრანგთა მოქმედების შესახებ, მიჩნეულია იბნ-ალ-ასირის გადმოცემის გადაკეთებულ ასახვად. მაგრამ თვით იბნ-ალ-ასირის მოწმობის ის ადგილიც, სადაც ოპერაციის შემსრულებლებად ყიჩაყები არიან დასახელებული, ხსენებულ მკვლევართა ვარაუდით, სანდო არაა:[12] შ. მესხის მიხედვით, დავით აღმაშენებელს „ცხადია, სიეშვოა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც ქვეყნისა და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყიჩაყებისათვის და თან უფრო „ფრანგებისათვის" (ჯვაროსნებისათვის) მიენდო".[13] ივ. შაიშმელაშვილის აზრითაც, „ქართველთათვის ესოდენ

უფიდესი და გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყისშივე არაქართველ მხედართთვის ასეთი დიდი ამოცანის დაკისრებას არავითარი გამართლება არ შეიძლებოდა ჰქონოდა. სხვა არა იყოს რა, ასეთი აქტი ქართველი ლომგული ეფაკიცის სრულიად დაუმსახურებელი დამცირება იქნებოდა, რის ნებასაც დაეთი აღმაშენებელი არავის აძლევდა".[14]

უპირველეს ყოვლისა, შეეკედლებით რა ჩვენ გვაარკვიოთ, თუ ვის დაავალა დაეთი აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლის დასაწყისში მოსსენებული ოპერაციის ჩატარება, უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად იბნ-ალ-ასირისა და გოტიეს ცნობების გაიღენტურების მარილაც დიდი საცთურისისა, ჩვენი აზრით ფრანგი ქრონისტი თავის ნათქვამში სრულიადაც არ გულისხმობს იბნ-ალ-ასირის მიერ აღწერილ მანევრს.

ჯერ გავიხსენოთ ის გარემობა, რომ იბნ-ალ-ასირის გადმოცემით 200 მებრძოლის ოპერაცია დამყარებული იყო დანებების იმიტაციაზე. თუკი ჩვენ გოტიეს ცნობას დიდგორის ბრძოლაში ფრანგების მოქმედების შესახებ ამ მანევრის ასახვად მივიჩნევთ, მაშინ, ბუნებრივია, იმასაც უნდა დავეთანხმოთო, რომ გოტიე დანებების იმიტატორებადაც ფრანგებს გულისხმობდა. ამის დაშვება კი შეუძლებელია: დაეთი აღმაშენებლის არმიაში მყოფი „ფრანგები" ხომ „იმ ეფრობელ ჯეროსანთა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთში ბრძოლები ჰქონდათ თურქ-სელჩუკებთან".[15] ამდენად, მათ მიერ შექმნილი დანებების სურათი, ილ-ღაზის (სწორედ იმ ილ-ღაზის, რომელსაც არა ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გადაუხდია ჯეროსანებთან) არა თუ მხოლოდ არადამაჯერებლად, არამედ შეუსაბამოდაც წარმოესახებოდა: გამოდიოდა, რომ „ფრანგებმა" მხოლოდ იმიტომ დიფარეს მანძილი ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან კაკეასიამდე, რათა სწორედ საქართველოში ჩაეარნოდნენ ტყვედ თურქ-სელჩუკებს. ყოველივე ამის აბსურდულობა პირველ ყოვლისა ნათელი იქნებოდა თვით დიდგორის ბრძოლის თანამედროვეს, პირველი ჯეროსნული ლაშქრობის მონაწილეს და ჯეროსანთა ანტიოქიის სამთავროს კანცლერ, გოტიესათვის; და ამდენად, როდინ დიდიც არ უნდა ყოფილიყო მისი სურვილი ფრანგების დამსახურების გაზვიადებისა, ფრანგი ისტორიკოსის იბნ-ალ-ასირის მიერ აღწერილ ოპერაციას ეეჭიბენ მებრძოლებს არაფერით არ მიაწერდა.

მაგრამ, თუკი ეს ასეა, მაშ რაღას გულისხმობს გოტიე მოწმობა? შეეკადოთ გაეკვეთ ამ საკითხშიც.

შ. მესხიას უთუოდ სწორი შენიშვნით, „ფრანგები" „გარკვეული მიზნით იყენენ შეყვანილი ქართველთა ლაშქარში"[16] მართლაც, რა გამართლება ექნებოდა სამხედრო თვალსაზრისით 100. ან თუნდაც 200 ეკრობელის ჩამოსვლას საქართველოში, თუკი მათი შესაძლებლობების ფარგლებში იმავე სამხედრო ამოცანების გადაწყვეტა იქნებოდა, რომელთა გადაჭრას საქართველოს ლაშქრის ყველა დანარჩენი 55 500 წარმომადგენელიც შეძლებდა? ასე რომ, დაეთთან მყოფი ევროპელთა რაზმი რაღაც დეფიციტური აღქურვილობისა და მომზადებისა უნდა ყოფილიყო. ამდენად, სრულიად მართებულად გამოიყურება ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომ დიდგორის ბრძოლაში მონაწილე „ფრანგების" ქვეშ, „იუკუს გარეშეა, ... იგულისხმებიან ეფრობელი რაინდები, ... (მძიმედ შეიარაღებული და საუკეთესოდ გაწვრთნილი....)".[17] შ. მესხისაც და ივ. შაიშმელაშვილსაც დიდგორთან მყოფი „ფრანგებიო" ასევე რაინდებად მიაჩნათ.[18] მაგრამ, ასეთ შემთხეევაში, გავიხსენებთ რა სამხედრო ხელოვნების კანონებს, უნდა ვაღიართო, რომ დიდგორის ბრძოლაში ამ რაინდებს, რასაკვირველია ქართველ მძიმედ აღჭურვილ მეომრებთან ერთად, დაეთის არმიის ბირთვის პირველი რიგები უნდა შეედგინათ. ივ. შაიშმელაშვილის მართებული შენიშვნითაც ხომ „დაეთის არმიის წინა რაზმები... სამაგალითოდ შეჯავშნული მხედრობისგან შედგებოდა".[19] ასე რომ, გოტიეს სიტყვებს: „მეფემ თითოეულ რაზმი დაუწყო, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი დააყენა მოწინავეებად, პირველ დაკვრათა მოსახდენად... (და მტერიც) ეცემოდა ძირს ფრანგების ხელისგან და უწესრიგოდ იფანტებოდა", უნდა მიეცეს შემდეგი, ეფეკრობთ ბუნებრივი ინტერპრეტაცია: დაეთი აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ 200 ეკრობელი რაინდი თავისი ლაშქრის დამკვრელი ნაწილის წინა რიგებში განალაგა, რათა მოწინაღმდეგისათვის მათ დიერტყათ პირველად, და მართლაც, რაინდების შეტევა მტერმა ვერ შეაჩერა. ამრიგად, მართალია, იბნ-ალ-ასირიც და გოტიეც საქართველოს მოწინავე რაზმზე ლაპარაკობენ, რომელიც პირველი ეშმეევა ბრძოლაში და რომლის შემადგენლობაც 200 კაცით ვანისაზღვრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ცნობებში საუბარი სხვადასხვა რაზმებზე მიმდინარეობს: იბნ-ალ-ასირის მოწინავე რაზმი ის განაყოფია, რომელსაც მთავარ ძალთა შეტაკებამდე დიდი არეკ-დარეკვა შეაქვს მოწინაღმდეგის მთავარ ძალთა განლაგებაში და ამდენად მართლაც პირველი შედის მტერთან კონტაქტში, ხოლო გოტიეს მოწინავე რაზმი, აზრა უკვე მთავარ ძალთა შეტაკებისას, სხვა დამკვრელ განაყოფთა მხარდამხარ, ასევე პირველი ეკვეთება მოწინაღმდეგს.

როგორც ეფეკრობთ, გაირკვა, გოტიეს მო-

ბიორგი გვინჯიძე
დიდგორის ბრძოლის ზოგიერთი
საკითხისათვის

წმობა ფრანგთა მიწრნაკეფობის ოპობაზე სრულიადდაკ ან გულისხმობს იმისალ-ასირის მიერ ალმოცემეფულ ოპერაციას და ამფენად გერჩენა ერთადდ-ერთი ცნობა, რომელის მიხედეთიაც ამ მანგეარის შემსრულებელნი ყოვნაუები იყვნენ.[23] მაგრამ, როგორც ეხახეთ, შ. შესხია და ივ. შაიშმელაშვილი მას უკიდურესი დაეჭვებით განიხილეენ. ივ. შაიშმელაშვილი, ცდილობს ეჭვადგენოს 200 მებრძოლის მიერ თურქ-სელჩუკთა გაკოუეენის ვითარება, შემდეგ სურათის ვეიხატავს:

„დავით აღმაშენებლის ნებით (რასაკვირველია, წინასწარ დამშვებული ეეგმით)... ქართველთა მხრიდან ბრწყინვალე საჭურველით შემოსილი ორასი ოთხეული ქართველი მხედარი გამოსულა დ. თურქთაკენ დაძრულა. ეტყობა, რომ ორასივე სასტიკად იყო ეაფრთხილებული, რათა ეარკ ულ მომენტამდე ჰკმნოდაო შუბი დახრილი, ხმალი ამოუტეხელი, ფარი და შვდილ ასი მოუმარკვეული, სვლის ტემპი სრულიად არა საიერშო. სურათი სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც ქაკეთის ციხის კარიბეჭისაკენ დაძრული ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის სამასკეკინა რაზმის „შვიდოდ-ბიანნ“ პრ ალეესისაკ: „პირველ ამოდ მოდიოდეს მეზობლია ჩათმე მაგიერაც, მათ მიგანთა ვერა ეკრძნეს, ცერაცა „ადრეს ეულ ხმელიერა, ეულსა შინ არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად“.[21]

ივ. შაიშმელაშვილის მიერ აღნიშნული დეტალები — დახრილი შუბი, ამოუტეხელი ხმალი, მოუმარკვეული ფარი და შვიდეულისაი, არა საიერშო სვლის ტემპი, — ყოველივე ეს რასაკვირველია საჭირო იქნებოდა 200 მებრძოლის დანებების სურათის შესაკმენელად. მაგრამ იქნებოდა კია ჩამოთვლილ მოქმედებათა შესრულება საკმარისი იმისათვის, რომ მოსისხლეთ მტერს ქართველ მხედართა ბრწყინვალე საჭურველით შემოსილი რაზმი, ე. ი. ურჩეულნანი, სამშობლოს ეუქეკელ მოღალატეებად მიეჩნია? ეფიქრობთ, რომ არა. მამამღინთა მოტყუება ხომ არც ისე იოლი საქმე იყო: მათ მიერ შუა საუკუნეებში, ზოგ შემთხვევაში კი სწორედ XII საუკუნეში შექმნილ ტრაქტატებში სამხედრო ხელოვნების შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თემათაგანია სწორედ სამხედრო ცბიერება, რომელიც მამაცობასთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული, ხოლო სახიერანთა, მოხერხებულობა, მამაცობაზე მაღლა კია დაყენებული. ერთ-ერთ თურქულ ტრაქტატში მოყვანილია ლექსი: „საზრიანობა უფრო მნიშვნელოვანია გულადობა მამაცობაზე“[22] ისლამის წინასწარმეტყველ მუჰამედს კი მიეწერება სტატეეი: „ომი — ეს არის მოტყუება, ფანდი“.[23] ამასთანავე, ცნობილია იოუბიდთა დინასტიის ერთი უფლისწულისადმი დაწერილი წარმოები „ალ-ჰარეის სამახსოვრო სამხედრო ფანდების შესახებ (სამხედრო ხელოვნების ცბიერებებზე)“.[24] ასე რომ, ეფიქრობთ, თურქ-სელჩუკთა შეცდომაში შესაყვანად ბევრად უფრო ეფექტური საშუალება იქნებოდა საჭირო, ეიღრე ამას იე. შაიშმელაშვილის მიერ ჩამოთვლილი მოქმედებანი წარმოადგენენ, ასეთ ეფექტურ საშუალებად კი, ჩვენი აზრით, სპეციალური რაზმის სწორედ ეიეჩაეთვალ ფაკომპლექტება იქნებოდა.

უთუოდ არ არის საღეკო, რომ დიდგორთან საკართველოს ღალატი ქართველებთან შედარებით, გაცილებით უფრო მოსალოდნელი იყო ოუსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მჭნენი, რომელნიმე ეკმელთა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა: და ესე არა ერთ ერთ, ეარა სან, არამედ ბრავალ ბრეს“. წერდა ეარ, ვინა სან, არამედ ბრავალ ბრეს“. ეარ-ნიმე ეაბეთ აღმაშენებლის ისტორიკოსი.[25] როგორც ცნობილია, ყოვნაეები და თურქ-სელჩუკები მონათესავენი იყვნენ, და მათ შორის არსებული ეთნიკური სიახლოვე ბრძოლისას პირისპირ შეხვედრის დროს გაფალპარაკებასაც ეხმარებოდა, დავით აღმაშენებელმა, მის განკარგულებაში მყოფი 40 000 მეფმეკად მოლაშქრე ყოვნაოდან, მხოლოდ 15 000 გამოიყენა. გათვალისწინებენ რა ყოველივე ზემოთქმულს, და რადგანაც დიდგორის ბრძოლის დასაწყისში ეარ ალ ეაბეთ 200 მებრძოლის მანეკრი ღალატის იმიტირებაზე იყო დამყარებული, ამდენად აღმაშენებელი მის შესრულებას, რათა სპეკტაკლისათვის სრული დამაჯერებლობა მიეცა, სწორედ ქართველების ნაცვლად ყოვნაეებს ფაეალებდა. 200 ყოვნაყის კი იმდენად გაერთგულება, რომ მათთვის თავისი, თუნდაც დიდმნშვნელოვანი და თავგანწირვის მომთხოვნი ჩანაფიქრის განხორციელება, მინდობა შეძლებოდა, ეაკეთ, უთუოდ, არ გაუქმრდებოდა, გამოიყენებდა ეა ამისათვის ყველა საშუალებას, რადგან ნებისმიერი დანაბარკი, თუნდაც უდიდესიც კი, ეერავითარ შეფარებას ვერ გაუძლებდა იმ სარგებლობასთან, რომელიც მოპოვებული იქნებოდა და იქნა კიდეც ოპერაციის გეგმის მიხედვით ჩატარების შემთხვევაში.

ამასთანავე, ფსიქოლოგიური თვალსაზრისის გარდა, ყოვნაყთათვის ოპერაციის მინდობა გამართლებული იქნებოდა წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც, რადგან აღნიშნული მანეკრი ელვისებურ შესრულებას მოითხოვდა, ხოლო ყოვნაყთათვის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სტატეეინი, დამახასიათებელი იყო „ეწყობასა შინა სიმკნე, სისუფეტე და მიმოსვლა, სიფიცხე“.[27]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ყივჩაყთათვის ამ მნიშვნელოვანი ამოცანის მინდობით-ქართველი ლომეული ეფეკაცების შესაძლო დამკირებას, რასაკვირველია, ეს 200 მხედრის ყივჩაღებად მინნეველ სწონაადდგომ სერიოზულ არგუმენტად ვერ გამოდგება, როდგან დავით აღმაშენებელი ამა თუ იმ ოპერაციას უთუოდ მათ მიანდობდა, ვისთვისაც ყველაზე უფრო შესაფერი იქნებოდა მისი შესრულება. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში კი, როგორც უკვე ვნახეთ, ღალატის იმიტირება ქართველთან შედარებით ყივჩაყთათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

ასევე მტკიცება, რომ იბნ-ალ-ასირი დიდგორთან მყოფ „დავითის ლაშქრის საერთოდ „ყივჩაყთა ლაშქარს" უწოდებდა და მხოლოდ ამიტომ იხსენიებდა ამ ლაშქრიდან გამოყვანილ 200 მებრძოლს ყივჩაყებად", სარწმუნოდ ვერ გამოიყურება, რადგანაც სხვა შემთხვევებში არაბი ისტორიკოსი ქართველ მებრძოლებს სრულიად გარკვევით „გურჯებს", ე. ი. ქართველებს უწოდებს. აი ამის დამადასტურებელი მაგალითებიც:

I. „ისლამის კვეყნებში გურჯების შეპრისა და მათ მიერ თბილისის აღების "ზესახებ".[28]

II. „ჰ. 514 (1120) წელს, გურჯები შეიპრნენ მუსლიმანთა ოლქებში (კვეყნებში)".[29]

III. „მათ (გურჯებმა — გ. გ.) ილაშქრეს ყივჩაყებთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ერთად".[30]

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ყივჩაყებისა და ეროპელი რაინდების, ვფიქრობთ, დადასტურებული, აქტიური მოქმედებისა დიდგორის ომისას, რასაკვირველია ძალაში რჩება დასკვნა, რომ „საქართველოს ლაშქრის თავგანწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოქნეულმა ხმალმა, ქართველი ვლეხისა და ხელოსნის მარჯვენამ და მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზარუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში".[31]

შენიშვნა:

[1] წაკითხულია მოხსენებაც ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XXII სამეცნიერო სესიაზე 1974 წ. 25 დეკემბერს.

[2] ლ. დავლიანიმე, მთე ურბაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 245.

[3] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა ლრიდან, პარიზი, 1929, გვ. 66.

[4] მართალია, ურბაელისა და გოტიეს ეს მონაცემები რამდენადმე გაზვიადებული ჩანან, მაგრამ თურქ-სელჩუკთა ლაშქრის ზეობრობის შესახებ სხვა სანდო ცნობები არ მოგვეპოვება.

[5] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი 1955, გვ. 340-341.

[6] ლ. დავლიანიმე, დასახ. ნაშ., გვ. 245-246.

[7] Ибн-ал-Асир. Из Сарых-ал-Камил. Материалы по истории Азербайджана, Баку, 1940, გვ. 123-124.

[8] А. Страков, История военного искусства, Москва, 1955, გვ. 245.

[9] გოტე დიდგორის ბრძოლის მონაწილე ფრანგთა რაოდენობას 200 მებრძოლით განსაზღვრავს.

[10] ზ. მესხია, ძველეაჲ საკვირველი, თბილისი 1972, გვ. 113.

[11] ივ. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალთახედვით, დიდგორის ბრძოლა, თბილისი, 1973, გვ. 89, შენ. 166.

[12] უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1946 წ. გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, დიდგორის ბრძოლის დასაწყისში ჩატარებული ამ ოპერაციის მონაწილეებად ქართველები არიან მიჩნეულნი (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი — 1946).

[13] ზ. მესხია, დასახ. ნაშ. გვ. 114.

[14] ივ. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 89, შენ. 166.

[15] ზ. მესხია, დასახ. ნაშ., გვ. 107.

[16] იქვე, გვ. 106.

[17] ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 4, 1942, გვ. 217.

[18] ზ. მესხია, დასახ. ნაშ., გვ. 107, ივ. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 89. შენ. 166.

[19] ივ. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 90.

[20] აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი იბნ-ალ-ასირის ამ ცნობას სანდოდ მიიჩნევს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1965, გვ. 203).

[21] ივ. შაიშმელაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 89.

[22] А. Зайончковский. Арабские, персидские и турецкие трактаты о военном искусстве (XII—XV вв.), აღმოსავლური ფილოლოგია, თბილისი — 1973, გვ. 285.

[23] იქვე.

[24] იქვე, გვ. 283.

[25] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 362.

[26] Анна Комнена, Сокращенное сказание о делах царя Алексея Комнена, 1859, стр. 282.

[26] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336.

[27] იბნ-ალ-ასირი, დასახ. ნაშ., გვ. 123.

[28] იქვე.

[29] იბნ-ალ-ასირი, დასახ. ნაშ., გვ. 123.

[30] ზ. მესხია, დასახ. ნაშ., გვ. 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ადამია

„ახალგაზრდობის კრიზისის“ შესახებ

დღეს ახალგაზრდობა აქტიური ძალა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში და მისი პროტესტი კაპიტალისტური საზოგადოების მორალური, კულტურული და სოციალური საფუძვლების წინააღმდეგ ჩვეულებრივ მოულოდნელ იქცა იმპერიალიზმის ქვეყნებში.

„დასავლეთ ევროპის, ამერიკის, იაპონიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ახალგაზრდობის რიცხობრივი ზრდა და მისი პოლიტიკური აქტიობა. ახალგაზრდობის აქტივიზაციის სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები ყოველმხრივ ანალიზს საჭიროებს“ — აღინიშნა კომუნისტური და ჰუმანთა პარტიების მოსკოვის თათბირის ძირითად დოკუმენტში.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ახალგაზრდობის ჩაბოყალბებისა და სოციალური პომწიფების პროცესი დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ისტორიული განვითარების გადამწყვეტ მომენტებში ეს სიძნელეები მწვავდება და სოციალური წინააღმდეგობების ზრდას გამაპირობებს. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს წინააღმდეგობები იმდენად გამწვავდა, რომ მისი ამოღოგეტებიც ალაპარაკდნენ ახალგაზრდობის სოციალურ პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ აიძულონ ცხოვრებაში ფეხშედგმული თაობა მიიღოს, შეითვისოს და შემდგომ თაობებს გადასცეს ის ღირებულებები და ნორმები, რომელიც ამ საზოგადოებაში მიღებული.

„ეკამბოხე“ ახალგაზრდობის დიდი ნაწილის სტაქიურ-ემოციური ბუნება ზოგჯერ უფუფუნების სიმბოლოებისა და სიგნების განადგურებაში ჩანს თავს, სიმბოლოების, რომელიც მიუწვდომელია საშუალო და დაბალი ფენებისათვის. გარკვეულ შემთხვევებში ახალგაზრდის წემბოქველი ქცევის სააწინააღმდეგო ბუნები ყველა და ყველანაირი საზოგადოებრივი ნორმისადმი პროტესტის ფორმით მეღავნდება. მაშინ ჩნდებიან წვერმოშვებული ჰიპები აშშ-ში, „ბაუხლაითიანები“ საფრანგეთსა და გფრ-ში, „დაკერონები“ იტალიაში, „რიგარები“ შვედეთში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება ახალგაზრდობის დანაშაულობანი, მატეტლობს სოციალურ დაავადებათა რიცხვი მის იმ ნაწილში, რომელიც ბურეუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში იმყოფება და არ ესმის თავისი იმედგებისა და რეალური სინამდვილის კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი.

ბურეუაზიული სოციოლოგები ხშირად უმალავენ ფართო საზოგადოებრიობას თავიანთი კვლევის ნამდვილ შედეგებს, აქვეყნებენ ისეთ დასკვნებს, რომელიც საშუალებას არ იძლევა სწორად გაარკვევ მოზარდი თაობის საზოგადოებასთან კონფლიქტის მიზეზი. ზოგიერთებრ ცდილობენ ახალგაზრდობის ქცევის შეცვლა XX საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას დაუკავშირონ. მათი აზრით, სწორედ განვითარებულ ქვეყნებში, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში, ადგილი აქვს „ახალგაზრდობის კრიზისს“ და ეს პრობლემა ნომერ პირველი პრობლემა ხდება.

ახალგაზრდობა საზოგადოების ორკანული შემადგენელი ნაწილია და ისევე, როგორც საზოგადოება, ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლებისგან შედგება. ეს ლენინური დებულება საფუძვლად უდეკს ახალგაზრდული მოძრაობის პრობლემების გაგებას და საშუალებას ვვაძლევს გავიგოთ იმ პროცესების არსი, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარეობს და კვალს აჩენს ახალგაზრდობის ინტერესებსა და ქცევას. ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდის პრობლემას ნებისმიერ საზოგადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. თაობათა ბუნებრივი ცვლა ბიოლოგიური ფაქტორი არ არის — ის კონკრეტულ საწარმოო ურთიერთობათა გარეშეულ ჩარჩოებში მიმდინარეობს და შესაბამისი სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორების გავლენას განიცდის.

ისტორიული განვითარების მემკვიდრეობითობით დაინტერესებული საზოგადოება ცდილობს ახალი თაობის მხარდაჭერა უზრუნველყოს. სწორედ ამაში მდგომარეობს „ახალგაზრდობის პრობლემის“ კლასობრივი არსი, რომლის მიჩქმალვას ყოველნაირად ცდილობენ ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, სოციოლოგები. კაპიტალისტურ ქვეყნებში მრავალი თეორეტიკოსი ახალგაზრდობის წრეში მიმდინარე პროცესების ახსნისას, წინა ქლაზე, ფიზიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ ფაქტორებს აყენებს. სხვები ლაპარაკობენ ახალგაზრდობის კონფლიქტზე ტექნიკურად მაღალგანვითარებულ საზოგადოებასთან, მესამენი ძირითად ყურადღებას ახალგაზრდობის უარყოფით დამოკიდებულებაზე ამჟღავნებენ პოლიტიკისა და იდეოლოგიისადმი. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში შეინიშნება მისწრაფება დამალონ, დამახინჯონ, უარყონ კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდულ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენათა კლასობრივი ხასიათი. შეცვალონ მიზეზი შედეგით და ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისი საყოველთაო „ახალგაზრდობის კრიზისად“ გამოაცხადონ. ბურჟუაზიული პროპაგანდა უარყოფს ამ პროპაგანდისადი კლასობრივი მიდგომის აუცილებლობის და ქადაგებს მთელი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ნიველირებას.

ადამიანის ტექნიკასთან „ტრაგიკული შეჯახების“ თემა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემაა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრი განვითარება ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ადამიანების გონება-განწყობილებაზე. შრომისა და ყოფის შემსუბუქებასთან ერთად ეს პროცესი აძლიერებს ბურჟუაზიული საზოგადოების. ადამიანსთვის დამახასიათებელი შეშფოთების გრძნობას თავის მომავალთან დაკავშირებით — წარმოების აუტომატიზაცია წარმოშობს უმუშევრობას, უახლეს აღმოჩნენს მონოპოლისტები მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად იყენებენ. კაპიტალისტური საზოგადოების ადამიანისთვის დამახასიათებელი ეს გრძნობები ბურჟუაზიული მეცნიერების შრომებში მახინჯ ფორმებს იღებს და პესიმიზმის, ადამიანის შესაძლებლობებისადმი ეჭვის ქადაგებადაა გადაქცეული: ტექნიკას განსაკუთრებულ მისტიურ ძალას მიაწერენ და აკეთებენ დასკვნას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ წყობას, რომელიც ტექნიკის პროგრესით, წარმოებისა და ემპირიულობის ბიუროკრატიული ორგანიზაციითაა განპირობებული, ადამიანი კრიზისსაკენ მიჰყავს. ტექნიკის ადამიანზე ზემოქმედების მისტიფიცირებით ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ კაპიტალიზმის სისტემისგან პასუხისმგებლობის აცილებას და ბრალს მთლიანად მეცნიერებასა და ტექნიკას სდებენ. შრომასა და კაპიტალს შორის არსებული ანტაგონიზმი შეცვლილია მოგონილი მეორადი ანტაგონიზმით ტექნიკასა და ადამიანს შორის.

ამგვარი მეცადინეობის მიზანი ნათელია. კაპიტალიზმის ისტორიული დაღუპვა გარდუვალია, ის უძლურია კონკრეტულვე სამუშაოებით შეეკვლოს ძალთა თანაფარდობა თავის სასარგებლოდ და ბურჟუაზიული მეცნიერებიც ახალგაზრდობის ბურჟუაზიულ საზოგადოებისთან შეურიგებლობის არსის ფილოსოფიურებას ცდილობენ. შთაგონებენ ახალგაზრდებს, რომ არ არსებობს არავითარი განსხვავება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, რომ ახალგაზრდობის მიგიმბარეობისთვის საზოგადოებაში სულერთია ეს ხელშა წარმოების საშუალებები, რა მიზნებს ემსახურება მეცნიერება და ტექნიკა. კაპიტალიზმის უძლურებას, გადაჭრას ინდუსტრიული წარმოების პრობლემა, ბურჟუაზიული იდეოლოგები წარმოადგენენ, როგორც თვით ადამიანის უძლურების პრობლემას. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე სოციალური პროცესების წინაშე ადამიანის უძლურების პროპაგანდით იმპერიალიზმის იდეოლოგები თავიერ მიზნად ახალგაზრდობის იდეურ განიარაღებას ისახავენ — იბრძვიან მისი რევოლუციური ენთუზიაზმის, კლასობრივი შეგნების შესუსტებისთვის, უპირისპირებენ მას უფროს თაობას, ეკეთებენ სკეპტიციზმსა და ამლოტიერობას. ახალგაზრდების მიერ სახელმწიფო-მონოპოლისტური სისტემის სტიქიური მიუღებლობას, მის გამოსეკვას, მმართველი კლასების პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტების წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგები „თაობათა კონფლიქტითაც ხსნიან. ამ სქემაში თითქოს ახალგაზრდების ქცევის „ნორმიდან გადახრის“ ყველა ფორმა თავსდება. ეს კონცეფცია ხელს აძლევს ბურჟუაზიას, რადგან მის ჩარჩოებში აღვილია ახალგაზრდობის პრობლემების გადაწყვეტა.

ახალგაზრდებს შთაგონებენ, რომ „თაობათა კონფლიქტი“ მიეკუთვნება ისეთ მარადიულ პრობლემათა რიცხვს, რომლის გადაჭრასაც საზოგადოება ყოველთვის ახერხებდა არსებულ სოციალური სისტემის ფარგლებში. ამიტომ აღნიშნული კონფლიქტის გადაჭრა ღღეკანდილ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც შესაძლებელია ბურჟუაზიული რეფორმებისა და საზოგადებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის საშუალებით. მიუხედავად ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდისა, დაგვარწმუნონ კაპიტალისტური სამყაროს „ახალგაზ-

ლობის „კრიზისი“ XX საუკუნის სოციალური ფაქტორიაო, ახალგაზრდული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება და ფართოვდება.

„დღეს, მსოფლიოში მძლავრი რევოლუციური პროცესები ეთარეთება. იმპერიალიზმთან სპრძოლველად ერთიანდება თანამედროვეობის 3 მძლავრი ძალა: მსოფლიო სოციალიზმის სისტემა, საერთაშორისო შუშათა ალიანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. ეს სოციალური ფაქტორები სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ ახალგაზრდობაზე, ამაოლებენ მის აქტიობას, განაპირობებენ მის მონაწილეობას. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

•

დასავლეთში მილიონიანი ტირაჟებით გამოდის ლიტერატურა, რომელშიც ხოტბას ასხამენ „ამერიკელი“, „დასავლეთგერმანული“ ყაიდის ცხოვრებას. ამ მყარიალა პრობაგანდის გვერდით ბროდდრო შეშფოთებული ხმებიც ჯოსმის, რომლითაც ეიგეთი, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის, რომ ახალგაზრდობა მდგომარეობა დასავლეთში მეტად დამაფიქრებელია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ახალგაზრდობის დანაშაულობათა ზრდა. ამშმ-ეს ამაოა „№ 1 საშინაო პრობლემაა“. ოფიციალური ბურჟუაზიული სტატისტიკა და სხვა წყაროები გვაწოდებენ ცნობებს ფსიქიურ დაავადებათა, ალკოჰოლიზმის, სქესობრივი აჟიერახსნილობის ზრდის შესახებ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში არაოდეს ყოფილა თვითმკვლელობის ამდენი შემთხვევა: ფართოდ გავრცელდა ნარკომანია. ამერიკელი სოციოლოგი ტოლოტ პარსონსი წერს, რომ „თვით ამორალიზმი და დანაშაული ამერიკულ ღირებულებათა თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენსო“.

ამ სოციალურ მოკლენთა მექანიზმის შესაწყვეტად აუცილებელია, პირველ რიგში, კაპიტალისტური სამყაროს სოციალური წინააღმდეგობების შესწავლა. შემდგ კი იმის გარკვევა, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანების ქცევაზე. მაშინ ნათელი გახდება, რომ ახალგაზრდობის დანაშაულობათა ზრდა „კაპიტალისტურ ქვეყნებში, მისი რეაქციაა თავისი არსებობის უპერსპექტივობაზე, თავისი შესაძლებლობების ვამოყენების მკვეთრ შეზღუდულობაზე.

ბურჟუაზიული სოციოლოგები ცდილობენ, ცალკეული ინდივიდების ფსიქოლოგიური და მორალური დახასიათების საშუალებით ახსნინ საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფში, რეფორმა გაბატონებული ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ურთიერთობის კანონზომიერებნი. სოციალური ძალების, ჯგუფებისა და ინდივიდების შეტაკებებს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების განყოფილი ნაწილია, ბურჟუაზიული სოციოლოგია საზოგადოების „აკადმოფობად“ „პათოლოგიად“ მიიჩნევს. მისი მიზანია მონიპოლებსა და სახელმწიფო ორგანოებს მოგვების შემდგომი გადიდების, ამპარტის გამმტკიცებლ, ოლიადური ახალგაზრდობის აღზრდის საშუალებები მიაწოდოს.

ბეგრი ბურჟუაზიული სოციოლოგი თვლის, რომ „ახალგაზრდობის კრიზისი“ ე. წ. „ახალი გაუცხოვების“ ფორმაა, ესაა ახალგაზრდობის დიდი ნაწილის უარი მიიღოს ბურჟუაზიული სამყაროს საფუძველად მყოფი ღირებულებები და ნორმები. ბურჟუაზიულ იდეოლოგებს განსაკუთრებით ის ფაქტი აშინებთ, რომ დღეს ამ ღირებულებებს უარყოფს არა მარტო შრომელი ახალგაზრდობა, არამედ ისინიც, ვინც არ განიცდის სიღატაკესა და ლეგნის, შეუძლია ცხოვრების ნებისმიერი გზის არჩევა, ე. ი. ის ნაწილი, რომელიც ტრადიციულად კაპიტალიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა.

ბურჟუაზიული სოციოლოგები და ფსიქოლოგები, რაც თანმიდროვე ბურჟუაზიულ საზოგადოების მორალის დეგრადირებას ახაიაოვებენ, ხშირად გაუცხოვების მეცნიერს ხმარობენ. გაუცხოვების პრობლემა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამასთან ბურჟუაზიული სოციოლოგები კ. მარქსის ადრეულ შრომებზე მიუთითებენ, სადაც განხილულია გაუცხოვების პრობლემა; უფრო ხშირად კი „1844 წ. ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერს“ ობველებენ. უკვე ამ ნაშრომში მარქსი მოიხსენებს გაუცხოვებულ შრომას, რაც ადამიანებს ერთის ბატონობა მეორეზე შესაძლებლობას აძლევს მას მითვისოს სხვისი შრომა. „ეკონომიურ იდეოლოგიაში“ მარქსი და ენგელსი უფრო დეტალურად ამეშვებენ ამ პრობლემას და აკეთებენ დასკვნას, რომ გაუცხოვების პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა წარმოების საშუალებების მფლობელების შეცვლა; მეშვთა კლასი პროლეტარული რევოლუციის მეშვეობით სპობს გაუცხოვების პირობებსაც.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ანალიზებენ არ შენიშნონ გაუცხოვების ობიმიფზერული ძალები. არავინ ანალიზებს გაუცხოვებისა და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ურთიერთკავშირს. ისინი გაუცხოვებას ანორმიპოლეგიურ, ე. ი. თვით ადამიანის, ბუნებით განპირობებულ მოვლენად თვლიან ან უშუალოდ აკავშირებენ ადამიანის ცოდნის პროგრესთან, ტექნიკის მიღწევებთან. თანამედროვე ბურჟუაზიული გაუცხოვების თეორია თავიანებრად ეკიპტალიზმის დაცვას ემსახურება, აბტაცებს, რომ კაპიტალიზმი ეი არა. არამედ საზოგადოება, პროგრესი, ყოველგვარი მოქმედება ისტო-

---

ლია ადამია

„ახალგაზრდობის კრიზისის“ შესახებ

რიული პირობებისგან დამოუკიდებლად „აუცხოვებს ადამიანს, იმოქმედ მას, ზღუდავს მის ცხოვრებას". კაპიტალიზმის მიერ შობილი კონკრეტული ისტორიული სიტუაცია ზოგადსაკაცობრიო სიტუაციად ცხადდება, რომლის თავიდან აცილება არაეკონომი სოციალური გარდაქმნებით არ შეიძლება, თავისი მტკიცებებით ბურჟუაზიული იდეოლოგები ხელს უშლიან სოციალიზმის იდეების გავრცელებას ახალგაზრდობაში. ისინი მხარს უჭერენ ნებისმიერ კონცეფციას, რომელიც ახალგაზრდობის უკმაყოფილებას კაპიტალიზმის სოციალურ სიმახინჯთა ჩაურეველად ახსნის.

●

ამჟამად დასავლეთში „ახალგაზრდობის კრიზისის" ახსნის რამოდენიმე კონცეფცია არსებობს. მეტად მოფერია ე. წ. „სექსუალური რევოლუციის" კონცეფცია. ის იმ კელვეის შედეგებს ეყრდნობა, რომელიც დასავლეთის ახალგაზრდობის სქესობრივი აქტივობის ზრდას გვიჩვენებს. ამის მიზეზად თვლიან კატასტროფიულ სხვაობას, რაც ახალგაზრდობის ფიზიკურ და სოციალურ მომწიფებას შორის შეიმჩნევა.

ტექნიკურმა პროგრესმა და მასთან დაკავშირებულმა ცხოვრების ახალმა პირობებმა ადამიანის ფიზიკური მომწიფების დაჩქარება გამოიწვია. ფიქსირებულია, რომ 1880-1950 წწ-ში, ყოველ ათწლეულში ადამიანის სიმაღლე საშუალოდ 1,5 სმ-ით მატულობდა, წონა — 0,5 კგ-ით. შეორე მხრივ, ისევ და ისევ ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით ახალგაზრდობა სოციალურ აქტიურობას მნიშვნელოვნად გვიან იწყებს, რადგან საკრთო და პროფესიული განათლების ვადები გართულდა და გახანგრძლივდა. ამის შედეგად ფიზიკურად მომწიფებულ ადამიანს არ აქვს საკმარისი მორალური და მატერიალური მონაცემები ოჯახის შესაქმნელად. უფრო მეტიც, მას არ აქვს საშუალება განიკუთვნოს თავი, როგორც საზოგადოების წევრმა. „სექსუალური რევოლუციის" კონცეფცია მჭიდროდ დაკავშირებული „ფსიქოანალიზის" თეორიებთან. როგორც ცნობილია, ამ თეორიების მიხედვით ადამიანის ქცევას განსაზღვრავენ ცხოვრების მატერიალური ფაქტორები, არამედ გაუცნობიერებელი ინსტინქტები, ლტოლვები, რაც სათავეს ბავშვობის სექსუალურ განცდებში იღებს. ბევრი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი ფსიქოანალიზს უნივერსალურ თეორიად თვლის, რომლის საშუალებითაც შეიძლება აიხსნას არა მარტო ცალკეული ადამიანების ქცევა, არამედ ნებისმიერი საზოგადოებრივი მოკლენა. ამგვარად, ახალგაზრდის სულიერი სიმდიდრე, ამაღლებული ოვისებები, სწრაფვა მაღალი იდეალებისკენ არარაობადა გამოცხადებული, სექსუალური განცდები კი განმსაზღვრელი და ძირითადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებულია კონცეფცია, რომლისაც მიხედვითაც ახალგაზრდის საზოგადოებასთან კონფლიქტში ოჯახია დამნაშავე ზოგიერთი ფილოსოფოსი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახიდან საზოგადოებაში გადასვლის სინდრო

ცურ და სოციალურ-ეკონომიურ მოთხოვნებს აკმაყოფს.

„ახალგაზრდობის კრიზისის“ ახსნის კიდევ ერთ ცდას წარმოადგენს „საზოგადოების დაბერების“ თეორია. მისი არსი ისაა, რომ თითქოს უფროსების წილის გაზრდამ აქტიური მოსახლეობაში შეაკოჭა ახალგაზრდობის სოციალიზაცია. XX საუკუნეში 20 წლის ახალგაზრდა ცოცხალი ჰყავს დედ-მამა და ხშირად ბებია-პაპაც. რაც მთა საზოგადოებაში დროდან დამკვიდრებას უშლის ხელს, როცა ეს ადგილი დაკავებულია— არ არის ვაკანსიები. ასე რომ, ამტკიცებენ ამ თეორიის მიმდეკრები, ხშირია შეშფოთება, როცა ბეგრად უფრო ნიკიერი და განათვლილი ახალგაზრდა ძალოდან და მხლიდან თავი-ლი ასაკის გამო ნაკლებად მომზადებული პიროვნების ხელქვეითია; ამ გარდუვალ წინააღმდეგობაშია თაობათა კონფლიქტის ფესვები. ამგვარად აქვს სოციალური კონფლიქტი ასაკობრივი, ბიოლოგიური კონფლიქტითაა შეცვლილი. მართალია, ბალიან ბალალია უმუშეგრობის დონე დასავლეთის ახალგაზრდებს შორის, მაგ. აშშ-ში 16-21 წლის ახალგაზრდები უმუშეგრათა 15 პროცენტს შეადგენენ, მაგრამ ამის მიზეზი კაპიტალისტური საზოგადოების საკრთო პირობებსა და კანონებში მდგომარეობს.

ბეგრი მიმდეგარი ჰყავს „ახალგაზრდობის კრიზისის“ ახსნის „ახალგაზრდული სუბკულტურის“ კონცეფციასაც. „ახალგაზრდული სუბკულტურა“ წარმოიქმნება ისეთ ისტორიულ სიტუაციაში, როცა ახალგაზრდობა თავს აწყენებს ტრადიციულ, თაობიდან თაობაზე გადამავალ ქცევის ნორმებს და მათ თავისი წარმოდგენისაგან სრულიად საწინააღმდეგო ფორმად შეიცნობს. ითვლება, რომ „ახალგაზრდული სუბკულტურა“ თანამედროვე საზოგადოებაში სოციალიზაციის აუცილებელი ეტაპია.

„ახალგაზრდული სუბკულტურის“ შესწავლისას ბრუკუეზიუსი სოციოლოგები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ საზოგადოებას განასხვავებენ. ვერტიკალური ესაა ოჯახი, სკოლა, უფროსების სამყარო. ჰორიზონტალური — ტოლებისა და ამხანაგების სამყარო. ოჯახისაგან „განთავისუფლება“ ნიშნავს არა უფროსების, არამედ „შუალედურ წრეში“ მოხვედრას, წრეში, რომელიც ქუჩის კუთხეში იკრიბება თამაშისა და გართობისთვის. ტოლების ჯგუფი მზარდს ამზადებს სოციალური ერთიერთობისათვის, შეგანებებს თავის სოციალურ როლს, მათი ქცევის ნორმები ქცევის ეტალონად გადაიქცევა: ასეთი ჯგუფები ერთმანეთისაგან გადაიღებენ ღირებულებებსა და სტანდარტულ ქცევებს, რაც საბოლოო ჯამში „ახალგაზრდულ სუბკულტურას“ ქმნის.

„ახალგაზრდული სუბკულტურა“ უკანასკნელ მოვლენა არის და არ უნდა დაეუპირისპირო-ოთ საზოგადოების სოციალური ნიშნით დაყოფას. ახალგაზრდობის კულტურაზე დაფუძნებული ასევმს კლასობრივი განსხვავება, ამიტომ არ არსებობს ერთიანი „ახალგაზრდული სუბკულტურა“. ის ბენეფაქტი საერთოდ არ არსებობს, როგორც არ არსებობს „ერთიანი ახალგაზრდობა“ კლასობრივ საზოგადოებაში.

ცნობილი, ამერიკელი სოციოლოგების სახელთანაა დაკავშირებული თეორია „თანაბარი იღლეზიები და უთანასწორო შესაძლებლობები“. ეს თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული „მასობრივი კულტურისა“ და „მასობრივი საზოგადოების“ ფესვებთან, რომელსაც ფართოდ იყენებენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში. დასავლეთელი იდეოლოგები დაახლოებით ასე მსჯელობენ: მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების (კინო, ტელევიდეო, პრესა და ა. შ.) განვითარებას „მასობრივი კულტურის“ შექმნამდე მივყავართ. თუ ადრე გარკვეული იდეალები, ღირებულებები, ეგზისტენცია და ა. შ. გარკვეული სოციალური ჯგუფების საკუთრება იყო, ახლა ის საზოგადოების ყველა ფენამ ეკუთვნის. ერთსა და იმავე ტელეკადაცქმას უცქერის მილიონერი და მენაგე. ამგვარად კულტურა თანაბრდება, ხდება უსახელო, იღებს ისეთ შინაარსს, რომლის მიხედვითაც ყველა სოციალური ჯგუფი ერთი და იგივე ღირებულებების, შეხედულებებისა და მრწამსის მიმდევარი ხდება. ამასთან ერთად ქრება განსხვავება სოციალურ ჯგუფებს შორის და ითვლება საზოგადოება ხდება უკლასო, ე. წ. „მასობრივი საზოგადოება“.

ადვილად შეენიშნავთ, რომ ეს სპეკულატური კონსტრუქცია ფაქტიურად ქარწყლდება „თანაბარი იღლეზიებისა და უთანასწორო შესაძლებლობების“ თეორიით. მისი ავტორები აშტკიცებენ, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა განვითარება, ნამდვილად იწვევს ადამიანებში მსგავს მისწრაფებებსა და იდეალებს. ბავშვს, რომელიც ჯერ არ წაწყდომია სოციალურ რეალობას, რეკლამისა და პროპაგანდის საშუალებით ექმნება ილუზია, რომ მისთვის ყველა გზა ხსნილია, მას ყველაფერი შეუძლია, ისევე როგორც ახვეს. მაგრამ ცხოვრებაში გადადგმული პირველივე დამოუკიდებელი ნაბიჯები დაარწმუნებენ, რომ ფაქტიურად არ არსებობს თანაბარი შესაძლებლობები, რომ იმთვან განსხვავებით. ვინც „გაბატონებული ელიტის“ წიაღში არიან შობილნი, მას მეტად არასახარბიელო სოციალური როლი აკისრია. ეს აუცილებლად იწვევს იმედის გაცრეცვას, ბუნებს იმ საზოგადოების ნორმების ეარეოფას, რომელმაც ის სასტიკად მოატყუა.

ლია ადამია
„ახალგაზრდობის კრიზისის“ შესახებ

ბურჟუაზიული პროპაგანდა ძალასა და საშუალებას არ იშურებს, რათა დაარწმუნოს ახალგაზრდობა, რომ „კაპიტალიზმი „თანაბარ შესაძლებლობათა“ საზოგადოება ვარდა.

დასავლეთელი იდეოლოგები ცდილობენ გამოსახონ არსებული კონფლიქტების განმუხტვის სოციალური სისტემის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ზეგები. ამ მხრივ სინტეტიზმა ამეერიკელი სოციოლოგის დონალდ მიაკლის მოხსენება პრეზიდენტის კომისიას. Donald Michael „The next generation“ N. Y.). ავტორი მოიაველი 20 წლის მანძილზე ახალგაზრდობის სოციალური ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით ახდენს ეკონომიკის, ტექნოლოგიის, ქალაქებისა და საზოგადოებრივი ორგანიზების განვითარების პროგნოზირებას. ის თვლის, რომ ეკონომიკის შემდგომი განვითარება გამოიწვევს საზოგადოებრივი დიფერენციერების გაძლიერებას, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების კამოყოფას და არაკვალიფიცირებული მშრომელების მომსახურების სფეროში გადასვლას, რაც თავის მხრივ მკვეთრ განსხვავებას შექმნის ხელფასებში. „სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები კიდევ უფრო გაზრდის „გაუქსოვებულ“ ფენას, თუმცა ამ ცვლილებებს მიესალმებიან ისინი, ვისაც გაუუმჯობესდება პირადი მდგომარეობა. დეპრესია, შეშფოთება, მტრობა კიდევ უფრო გაიფურჩქნება ახალგაზრდობაში. ბევრი შეეცდება გამოსავალი სიყვარულში, ნარკოტიკებში, სპორტში, რელიგიაში, ხელოვნებასა ან პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჰპოვოს; ნაწილს ექსტერმისტული მოღვაწეობა ჩაითრევს. არასასურველი შედეგების შესამცირებლად ავტორი ეთავაზობს ახალგაზრდობის სოციალურ ორიენტირებას სამ ჯგუფად:

1. **ღრმა** მომზადება, პრაგმატული მიზნები — მმართველობა, პოლიტიკა; 2. ხელოვნება, პედაგოგიური მოღვაწეობა, სოციალური მოღვაწეობა, ოჯახი, რელიგია; 3. მომზადება მომსახურების სფეროში სამუშაოდ.

ამ პროექტიდან ნათლად ჩანს გაბატონებული კლასის ძირითადი ნაწილი ახალგაზრდობის მიმართ — გამოარჩიოს მიზნები თაობიდან ისინი, ვინც შეიძლება არსებული წყობის მტაცეს საყრდენად ჩაითვალოს, დანარჩენები კი მცირე მოთხოვნილების მქონე, პასიური [illegible] ტალღად გადაარქვიოს.

„კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერები პროფესენი „კრიზისის“ გამომწვევ ძრავალ მიზეზს ასახელებენ. ესაა: ბეკეთრი სხვათა ფიზიკური და სოციალური მოგზეფების ტემპებს შორის, ოჯახური ურთიერთობის სისტემასა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემას შორის, სოციალურ-კულტურული განვითარების ტემპსა და შესაბამის ღირებულებათა ახალგაზრდობის მიერ თვისებების ტემპს შორის, სხვაობა მოცემული სოციალური სტრუქტურის რეალურ შესაძლებლობებსა და იდეოლოგიური პრობლემების მიერ რეკლამირებულ პერსპექტივებს შორის. თითოეული ეს წინააღმდეგობა ნამდვილად შესასწავლია, მაგრამ დასავლეთელი მეცნიერები ივიწყებენ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას — წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას და მის გავლენას ახალგაზრდობის მდგომარეობაზე. და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძირითად ეკონომიურ წინააღმდეგობას და მისგან გამომდინარე კონფლიქტებს, თუ არ განვიხილავთ ამ პროცესებს ერთიანობაში, შეუძლებელია კაპიტალისტური ქვეყნების „ახალგაზრდობის კრიზისის“ ახსნა. ამ „კრიზისის“ არსი ისაა, რომ ახალგაზრდობა სულ უფრო მტკიცედ გამოდის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ.

წწეკვე სოციალურმა დაავადებამ მოიცვა ბურჟუაზიული საზოგადოება. ეის წიაღში შობილი ახალგაზრდები მედგრად ეწინააღმდეგებიან მას, არ სურთ დაიღუპონ განწირულ საზოგადოებასთან ერთად. მათ წინააღმდეგობას მრავალი ფორმა აქვს — სტუდენტი ბუნტთა და „ყვეალფრეს“ ანსოლუტური უარყოფიდან დაწყებული, ორგანიზებული პროტესტითა და ბრძოლით დამთავრებული. წინააღმდეგობის სტიქიური ფორმებში ნაკლებეფექტური და ეპიზოდური, ის უძლურია სოციალურ ბოროტებასთან ბრძოლაში, ამნევს ეალეფულ პიროვნებებს, მიმყავს ისინი ბუსინბზმსა და ურწმუნობამდე. ორგანიზებულ ფორმებს, პირიქით, ახალგაზრდები მუშაობა კლასისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის მებრძოლ ბანაკამდე მიმყავს, აერთიანებს მათ სოციალურ უთანასწორობის, ექსპლოატაციისა და ომების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ბალახაშვილი

ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

მთიანეთის 1804 წლის აბეზოზებაში

ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება თავის მკვლევარს ელის.

მე ამ ამბოხების მხოლოდ ორიოდე მხარეს ალვწერ.

„ქართულ-კახეთის სამეფოს გაუქმებას და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას, იმერეთის მეფე სოლომონ II სახელგანთქმული ერეკლე II-ის შვილიშვილი, უარყოფილად შეხვდა.

მან ფარული კავშირი დაამყარა თურქეთთან და სპარსეთთან... შაჰის კარზე მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირში შეეცადა თურქეთ-სპარსეთის მაშველი ძალების მიღებას.

სოლომონ II ვარაუდობდა არა მარტო საკუთარი სამეფოს გამაგრებას, არამედ გალაშქრებას აღმოსავლეთ საქართველოზე, რათა ბოლო მოეღო იქ რუსეთის სამხედრო ძალებისათვის და აღედგინა ბაგრატიონთა დინასტია“.

სოლომონს ვარაუდმა და დაპირებამ არ გაუმართლა, „მაშველი ძალები“ არ სჩანდა. 1804 წლის 4 ივნისს, სოფელ საკბილოში, სოლომონ მეორეს და გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერეს იმერეთისა და სამეგრელოს რუსეთთან ქვეშევრდომობის ტრაქტატს.

სოლომონ II-სთან დადებულ ხელშეკრულების შემდეგ, საქართველოს გაშვებელმა, პ. ციციანოვმა ერეკლის სახანოზე გაილაშქრა. ნაგარაუდები ჰქონდა ადეო ერეკლესი — ამიერკავკასიაში უძლიერესი ციხე-სიმაგრე.

ერეკლის ციხე „წარმოადგენდა გასაღებს შუაგულ ირანისაკენ და დასაყრდენს ირანის შაჰებისათვის თბილისზე გამეფდებული ლაშქრობისათვის“.

1804 წლის 3 ივნისს, მდინარე ზანგასთან პ. ციციანოვმა ახას-მირზა დაამარცხა, რომელიც 27-ათასიან არმიას მეთაურობდა.

„მალე ირანის პრინცმა, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამშრომლობით, კვლავ შეკრიბა ახალი ძალები და ციციანოვი, რომელიც ალყას არტყამდა ერევნის ციხეს, თვით აღმოჩნდა ალყაშემორტყმული.

ახას-მირზამ და ალექსანდრე ბატონიშვილმა ერევანთან თავი მოუყარეს 40-ათასიან არმიას.

ბატონიშვილი 6 ათასი კაცით შეიჭრა ლორე-ბამბაკში და ზეერგში მოექცა ციციანოვს. მან აიკანყა ბორჩალოს თათრები, რითაც ციციანოვი მოწყვეტა თბილისს.

გაწყვეტილი კომუნიკაციის აღსადგენად ციციანოვმა გაგზავნა მონტეზორი ასეულებით, რომლებიც მთლიანად გაანადგურა ბატონიშვილმა, ამის შემდეგ თბილისიდან დაიძრა გენ. ტლილიზინი, მაგრამ დიდი ზარალით მან მხოლოდ კარაკლისში მიაღწია. ციციანოვი მეტად ირიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა“.

სწორედ ამ დროს, ქართლის მთიანეთი აჯანყდა. აჯანყებაში გაერთიანებულნი იყვნენ მოხევეები, მთიულები, ხევსურები და სხვები.

აჯანყება გამოიწვია მთავრობის მიერ დაწესებულმა აუტანელმა ბეგარებმა და გადასახადებმა და უფრო იმ ზომებმა, რასაც მთავრობის მოხელე-ოფიცრები მიმართავდნენ გლეხობისადან ბეგარების მოსახდელად.

მთიანეთის აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად იმერეთიდან იელონ და ფარნაოზ ბაგრატიონები გამოემართნენ.

იმავე ხანებში, აჯანყებულ მთიანეთს შაჰის ფირმანი და ალექსანდრე ბაგრატიონის წერილი მოუვიდათ, რომელშიაც ისინი ამბოხებულ გლეხებს დახმარებას ჰპირდებოდნენ.

აჯანყებულმა გლეხობამ ინტუნშიაც არ ჩაგდო ეს მოწოდება. მათ თავიანთი მეთაურები ჰყავდათ: ბურდული, ნაზო�აძე, ჩჩარული, ბენიაძე, ძმანი ბედოძენი.

გაგრძელება, იხ. „ცისკარი“ № 2

„არა დათმობა, არამედ ბრძოლა თავისუფლებისათვის, სისნის უკანასკნელ წვეთამდე მეფის ბიუროკრატიისა და მემამულე თავადების წინააღმდეგ — ასეთი იყო აჯანყებულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება. აჯანყების მეთაურები თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიდნენ ქარალ-ალეთში და მოუწოდებდნენ მოსახლეობას საყოველთაო აჯანყებისაკენ.

გლეხთა აჯანყება, მაშასადამე, განვითარდა, როგორც ნაციონალურ-განმთავისუფლებელი ბრძოლა. აჯანყებულებისაგან სამეფოს სამხეთრო გზის გასაწმენდად, კავკასიის ხაზიდან, დაიძრა დონის კაზაკთა პოლკი, რომელმაც სასტიკი მარცხი განიცადა პირველ შეტაკებისთანავე".

ამბოხებულნი წინ და წინ მიიწევდნენ.

1804 წლის 24 ივვისტოს, ქარალ-ალეთის ხაზეერებიდან ორმოცეოდე ვერსტის დაშორებით იმ ალადას, რომელსაც საწუთბეე ერქვა და სადაც ქუთაისიდან წამოსული იყენენ და ფარნაოზ ბაგრატიონებს დადგოთ ბინა, თავს დაესხა რუსის მხეერობა. გიმმართა სამნელი ხელჩართული ბრძოლა.

იეღონი თავისი ჯაბუკი შვილებით: ლევანითა და ლუარსაბით, ამალის გადარჩენილ წევრებთან ერთად შეიპყრეს. ფარნაოზ ბაგრატიონმა ტყეს შეიფარა თავი, მერე ამბოხებულებთან მივიდა და აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა.

ამბოხებულებმა მალე მცხეთამდე მიაღწიეს.

1804 წლის „4 სექტემბერს თბილისში დაბრუნდა ეიციანოვი. სურსათის ნაკლებობამ, ცოცხალი ძალის ფიცარ ზარალმა, ბრძოლის გახანგრძლიეებამ და ამასთან დაკავშირებით ეპიდემიებმა, ერეენის ციხის სიმაგრემ, ყველა სიძნელეებმა, რაც დაკავშირებული იყო კომუნიკაციის გამართვასთან და მთიანეთის აჯანყებისაგან შექმნილმა საფრთხემ, აიძულეს ეიციანოვი მოეხსნა ერეენის ფრონტი. თბილისში დაბრუნებული ეიციანოვი თვით ჩაუდგა სათავე ოპერაციებს სათავეში აჯანყებული მთიანეთის წინააღმდეგ".

იმავე 1804 წლის 10 სექტემბერს, ფარნაოზი თელავში ჩაეიდა და კახეთის თავად-აზნაურობას დახმარება სთხოვა.

13 სექტემბერს კახეთის თავად-აზნაურობამ თათბირი გამართა, დახმარებოდა თუ არა ფარნაოზ ბაგრატიონს.

14 სექტემბერს, ალავერდობა დღეს, თელავიდან ახმეტის გზით ფარნაოზთან შესაერთებლად გამოვიდა კახელ თავად-აზნაურთა ჯგუფი, რომელშიაც ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც იმყოფებოდა.

ისტორიკოსი ა. ფრონელი წერს:

„უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია სახელისა და გვარის ჩამოთვლა ალავერდობიდან წასულ თავადაზნაურებისა: არქიმანდრიტი ბესარიონი; ზასადატელები: ს. ქობულაშვილი და ლ. ჯანდიერი; დეპუტატები: ეახვახიშვილი; ალექსანდრე გარსევანის ძე და ზურაბ ნინოს ძე ჭავჭავაძენი; გოგია, იოსეფ, თამაზი და ეეგენი ქობულაშვილები; გრიგოლი, აბელი, დიმიტრი, იოსეფ და ოთან ხოლოფაშვილები; დიმიტრი, გლახა და ბარამ ყორჩიბაშვილები.

ნადვორნი სოეტნეკი ავალიშვილი; სპირიდონი, ოთან, გრიგორ, ბიძინა, ივანე, დიმიტრი, ოტია და სიმონ ჯანდიერები; იასე და იოსეფ მაყაშვილები; გრიგოლ ეახვახიშვილი და გიორგი ავალიშვილი.

აზნაურები: ალავერდის სახლთ-ხუცესი პაატა სულხანიშვილი; გოგია და ანდრონიკე ანდრონიკაშვილები; დიმიტრი მგალობლიშვილი; ბეეან ტანიაშვილი; სიმონ ნათალოშვილი და გლახა კოზმანაშვილი.

სიღნაღის მაზრიდან: გივი ჩერქეზიშვილი; კოხტა ანდრონიკაშვილი და გლახა ავალიშვილი".

ითნა მეუნარგიას უბის წიგნაკში ჩაწერილი აქვს ისტორიული სატეუთებიდან ამოკრეფილი შემდეგი ცნობა:

„ღენერალ-მაიორი ორბელიანი სწერს ვოლკონსკის და ვოლკონსკი ციციანოვს (15—IX—1804): 14 ამ თვეს (სექტემბერს — ი. ბ.) დავით ყორჩიბაშვილმა და თელავეის კომენდატმა გეინმა შემატყობინეს, რომ 13-ს დიდი ხალხი შეყრილა ალავერდობაში და 14-ს საღამოთი ალავერდის პრიზიდის არხიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი, ბარამ, გლახა ყორჩიბაშვეეანი; მაიორი ეახვახეი; ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; აბელ ჩოლოყაეეი, პაატა, დიმიტრი, იოსეფ... წავიდნენ".

მეორე ადგილას კი ასეთი ცნობაა: „ფარნაოზთან თელავის კაპიტან ისპრავნიკის დანესენით წასული სულ 28 თავადი. Александр сын Гарсевана-ს უეჩრავს სპისოფში ოცდამეშვიდე (ლბად ადგილი — ი. ბ.) აზნაური, ერთიც არქიმანდრიტი".

კახეთიდან დაძრული შეთქმულნი მთიანეთისაკენ მიეშურებოდნენ, მაგრამ ალაყაში მოხვდნენ და მიმოიფანტნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რამდენიმე თანაგანძრახველთან ერთად მოახერხა ხეესურეთიდან ლტოლვილ, დამარცხებანაგან ფარნაოზ ბაგრატიონს შეერთებოდა.

თბილისიდან ორმოცოდე ვერსტის დაშორებით, დემერჩასაღლოსთან ფარნაოზ ბაგრატიონი ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და ფარნაოზის ამალასთან ერთად დაუპატიმრეს. ა. ფრონელი გადმოგვცემს:

„ფარნაოზთან ერთად დაიპყრეს: არქიმანდრიტი იოსტას ანდრონიკაშვილი; თავადშვილნი: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; მერაბ ანდრონი-

ქაშვილი; დიმიტრი ვახტანგშვილი; გრიგოლ ვახტანგშვილი და გრიგოლ ნათოლაშვილი.

აზნაურები: ნინია დუძაძე: მთიულეთის მოურავი ზაალ კობიაშვილი; იმერელი ივანე და ოსი დუღუთი.

ამათ გარდა ახლდა ბატონიშვილს 13 კაცი ღლეხი ოსი და ქართველი და თავადები — 5 კაცი".

მთავარმართებელი ციციანოვი 1804 წლის 16 ოქტომბერს გენერალ ვოლხოვსკის ატყობინებდა:

«За теми людьми, кой вами, по сумнению задержаны, предлагаю вашему сиятельству иметь наипримернейшее смотрение и пачеза кн. Чавчавадзевым и архимандритом кн. Эриставым; равно смотреть и за теми, кой были с царевичем Парнаозом, с тем, дабы сий последныя, коль скоро потребуются были представлены».

დასტამბულები ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისში ჩამოიყვანეს და ციხეში მოათავსეს. დილეგები შეამბოხებენი იყვნო.

გარსევან ჭავჭავაძე ყოველნირად ცდილობდა „დიამენციებნა", რომ მისი ძე თავისი ნებით კი არ მიემხრო ამბოხებულთ, არამედ ფარნაოზ ბაგრატიონის კაცებმა ძალდატანებით ჩაიყიოეს, რათა რუსეთის წინაშე გარსევანისათვის სახელი გაეტეხათ.

იმპერატორისადმი მირთმეულ არზაში გარსევან ჭავჭავაძე ამის გამო წერდა:

„ყო

ვიშ მათ მშვენთა ხალთა,
ვაი მათგან ნაკრძალთა.
ეეტრფი სატრფოთთა თვალთა.
ღაწვ. ვარდთა, ბაგე ლალთა.
ეედარ დაჰფარეს თავი
განდიდებულთა ალთა.
ვიშ მათ მშვენთა ხალთა...
საშუალ ორთა ღიმეთ,
ვნახეთ მზე გულსაამეთ.
მისთა სხივთ ისრებთაგან
სულღისა ხდასა ვლამე.
ვიშ მათ მშვენთა ხალთა...
ბადაზსნა შვენის მოკმა
მარგალიტთ მიჴრთი წყობა.
ვიცი უცილოდ მომკლავს,
მათი იდუმალ ტრფობა.
სულს, გულს მის ზზისა ხდება,
ვისგან პყრობილი ბნეგა.
ვფიცავ თუ არ მცა წამალ
სამიწყოდ სული მხდება.
ვიშ მათ მშვენთა ხალთა
ვაი მათგან ნაკრძალთა!

არ ვიცით, ეს ბარათი და ლექსი ადრესატმა მიიღო თუ არა, ჩვენამდე სამდღისოდ მოაღწია.

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“

ეურნალ „მნათობის“ 1969 წლის მეთორმეტე ნომერში, მწერალმა გიორგი ნატროშვილმა ალეკსანდრე ჭავჭავაძის ამ პირველი პატიმრობის შესოქმედებითი ბიოგრაფიის სასეგბით ახალი ფურცელი გადმოგვიშალა.

გ. ნატროშვილმა ცხადყო, რომ 1804 წლის 8 დეკემბერს თბილისის სასტამბოროში დამთავრებული „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, რომელიც დღემდე უცნობი ფრანგი ავტორის ნაწარმოებად მიაჩნდათ და ალეკსანდრე ჭავჭავაძეს კი მთარგმნელად ასახელებდნენ, ქართული რომანტიზმის მთავარის კალმისეული თხზულება ყოფილა.

გიორგი ნატროშვილის წყალობით ცნობილი გახდა, რომ „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ პირველადან ბოლო სტრიქონამდე გამსჭვალულია ეან-ჟაკ რუსოს იდეებით და რუსოს ერთ-ერთი მიმდევრის, თვალსაჩინო მოაზროვნისა და პოლიტიკური მოღვაწის — ვოლნეის (კონსტანტენ — ფრანსუა ბუაჟირე-შასპიფოს) მიერ 1791 წელს გამოცემული წიგნის — „ნანგრევები ანუ ფფქრები იმპერიების აყვავებასა და დაცემაზე“-ს გადმოცემას წარმოადგენს. გ. ნატროშვილი წერს:

„აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ ზუსტი თარგმანი არ არის ვოლნეის ნაშრომი ძალზე ვრცელია და ალ. ჭავჭავაძეს აქედან მხოლოდ დედაზრი აუღია: ჭავჭავაძის თარგმანი — ეს მხოლოდ წაკითხული აღძრული შთაბეჭდილებანია, კომენტარის მსგავსი, იქამდე თავისუფალი, რომ ცნება თარგმანი ეგება აქ შეუფერებელიც კი [illegible] ასეთ ვითარებაში, გასაკვირი, რომ მთარგმნელმა ადარც თავისი სათაური შეუნარჩუნა ფრანგი მწერლის ნაწარმოებს...

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის მთავარი: საქმე ისაა, რომ ალეკსანდრე ჭავჭავაძისათვის სტამეული მართალია, ვოლნეის წიგნს მიუეია, მაგრამ ქართველი ავტორი ყველაფერში როდი ეთანხმება ფრანგ მოაზროვნეს.

ვოლნეი თავის წიგნში ბეგრს ლაპარაკობს ადამიანის ტანჯვაზე, უბედურებაზე, ჩაგვრაზე, მაგრამ არაფერს ამბობს ადამიანთა ტანჯვის პირველადელ მიზეზებზე, საფუძველთა საფუძველზე — ეერძო საკუთრებაზე. ეერძო საკუთრების გამოცხადება კაცობრიობის ტანჯვის წყაროდ რუსოს მთავარი თეზისი იყო და ვოლნეიმ გვერდი აუხვია მას.

და არა მარტო ვოლნეიმ, ჯერ ისევ ადრე, რუსოს სიცოცხლეშივე, მისი გაბედული რევოლუციური მოსაზრება თვითონ ეოლტერმაც ეი არ გაიზიარა.

რუსომ დაბეჭდვისთანავე გაუგზავნა ვოლტერს თავისი წიგნი ამსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობასა და საფუძველებზეა“. რუსოს ამ წიგნში ადამიანებმა პირველად წაიკითხეს ისტორიული ფრაზა უთანასწორობის დაგმობაზე, რაც შემდგომში აფორიზმად იქცა:

ადამიანი, რომელმაც ყველაზე პირველად შემოღობა მიწის ნაკეეთი და თქვა: ეს ჩემია, თანაც მონახა საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები, რომ ამაში დაერწმუნებინა, იყო სამოქალაქო საზოგადოების ჭეშმარიტი ფუძემდებელი. რაოდენ დანაშაულს, ომს, მკვლელობას, რაოდენ უბედურებასა და საშინელებას აეცდენდა ადამიანთა მოდგმას ის კაცი, ვინც იმ პირველ მესაკუთრეს ამოუყრიდა მიჯნებს, ამოუესებდა თხრილს და ეტყოდა ადამიანებს: ყურს ნუ დაუგდებთ ამ მატყუარას, თქვენ დაიღუპებთან, თუ დაივიწყებთ, რომ პუნების ნაყოფი ეკუთვნის ყველას, ხოლო მიწა — არავის.“

და აი, რასაც ეგვრდი აუარა ვოლნეიმ და რაც დიდმა ვოლტერმა არ ეაიზიარა ალეკსანდრე ჭავჭავაძემ აზიდა და რუსოს ეს აზრი „ახლოით განჩხრეკილ კაცში“ ასეთი სიტყვებით გადმოგვეცა:

„მიეხედოთ ყოველთა ბორტტებთა წყაროსა! საჭიროება კაცისა მდგომარებთა ნაყოფსა, რძესა და წყალსა შინა. შემუშავებულ მიწა გამოსსცემდა მისთვის სიუხვით ამა პირველთა უმაკოებისა საქონელთა:

ლტენი საზრდო ესე, რომელი თავით თვისთ მიეცემოდა ხელთა მისთა, დაიცევდაც კეთილ მოუკარებასა ბეულსა შინა მისსა გარნა... მან დაფარა ბეგაი თვისი ჭრელთა საპოსელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჭკეშე და დაიდგა ტეირთად ოჭრონი და ძეირფასნი თვალნი და ჰსთქვა ამპარტავნებით:

„ბიწო ესე ჩემი არს, მე განვაგებ მუნით ყოველსა კაცსა, რომელსა არ ექნების საკმაო ძალი, გინა მხეკობრითა.

თავისი თვისისა განსარინებლად დავსდებ მათ ჯაჭვსა რკინისასა, და იძულებულ ეყოფ რათა იმუშავონ სიამოვნეთა ჩემთა კმა საყოფელად, ხოლო გამოუცემლად ფასისა. ამის, ვერცა მიიღოს მან ნაყოფი მიწისანი, და ვერცაღა ხორცი ცხოვართა“.

ყველი ამის გამო გ. ნატროშვილი წერს:

„ასე, რუსოს მეშვეობით გასაწორა და შეავსო ქართველმა ავტორმა ფრანგი მწერლის წიგნი. გარდა ამისა, და ეს მთავარია — ალ. ჭავჭავაძის ნაშრომში არის მთელი ადგილები, შესანიშნავი მხატვრული სახეები, რომლებიც სავსებით ორიგინალურია.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ის „ფრანცუზი“, რომელსაც ეკუთვნის „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ არის ალექსანდრე ჭავჭავაძე. დიახ, აქ დარღვეულია თარგმანის ყველა წარმოსდგენი და შესაძლებელი საზღვრები, ეს უკვე ორიგინალური ნაწარმოებია.

ამით უფრო იზრდება ამ ტრაქტატის მნიშვნელობა. ქართული ლიტერატურა მდიდრდება ნაწარმოებით, რომელიც საუკუნის დასაწყისშივე ქადაგებს ზრომის ახსნასა და ადამიანის განთავისუფლების დიად იდეებს, რომლებიც შემდგომში ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელებმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს“.

როგორც ვნახეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძეს თვრამეტი წლის ასაკში შეუქმნია „ახლოით განჩხრეკილი კაცი“. ამგვარად, „ის ადრეული სიჭაბუკის წლებიდანვე გამსჭვალულია ყველაზე მოწინავე განმათავისუფლებელი იდეებით. ეს რევოლუციური განწყობილებანი, ეს მძაფრი პროტესტი ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ გასდევს მთელ მის პოეზიას!“.

აი, თუნდაც ერთი მაგალითი:

„ვაი სოფელსა ამას“

გიორგი ნატროშვილმა ჯერ კიდევ 1947 წელს გამოცემულ თავის „ლიტერატურულ ეტიუდებში“ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ უშუალო კავშირშია ალექსანდრე ჭავჭავაძის სავსებით თვითმყობად ლექსთან „ვაი სოფელსა ამას“, რომელიც პოეტის ამ პირველი პატიმრობის დროსაა დაწერილი.

„ახლოით განჩხრეკილ კაცთან“, — წერს გ. ნატროშვილი, — უშუალოდ არის დაკავშირებული პოეტის ორიგინალური ლექსი «ვაი, სოფელსა, ამას».

ამ ნაწარმოებში გადაშლილია სურათი პოეტის თანამედროვე საზოგადოებისა, სადაც «ცდაბალთა ჩაგვრის, მტაცებლობის და ხვეპის“ შემზარავ ატმოსფეროში ჭკნება და ფეჩქვეშ თელება სიკეთეც და სამართალიც.

ეს არის მრისხანე და უძლიერესი პროტესტი ყველა ტირანიის წინააღმდეგ, რომელნიც მოცულნი «განდიდების სურვილით» აოხრებენ და იპყრობენ მეზობელ ქვეყნებს და სჩაგრავენ საკუთარ ქვეშევრდომებს.

პოეტი ჰგმობს არა მარტო მეფეებსა და ფეოდალურ ბიუროკრატიას, არამედ უფრო ფართოდ ღიებს თემის და ებრძვის მთელ იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას“.

ეხლა, როცა ეს ყველაფერი ვუწყით, გასაგები ხდება, ჭაბუკი პოეტი რისთვის ჩაება 1804 წლის მთიანეთის გლეხთა აჯანყებაში.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი სავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი" — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 27/I-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14.35 შეკვეთა № 0311. უე 00671. ტირაჟი 31.000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

16977

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236